

სოციალური დემოკრატიის კურსი 3

ალექსანდრე პეტრინგი და სხვები

სოციალური სახელმწიფო და სოციალური დემოკრატია



AKADEMIE
FÜR
SOZIALE
DEMOKRATIE

FRIEDRICH
EBERT 
STIFTUNG

ISBN 978-9941-0-7349-6



პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.
დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული
მასალების კომერციული მიზნით გამოყენება
ფონდის თანხმობის გარეშე.

გამომცემელი:
ფრიდრიხ ებერტის ფონდი
თბილისი, 2014

© Friedrich-Ebert-Stiftung

სოციალური დემოკრატიის კურსი 3

ალექსანდრე პეტრინგი და სხვები

სოციალური სახელმწიფო და
სოციალური დემოკრატია

შინაარსი

ენისნიტყვაობა მორე გერმანული გემოცემისთვის	4
ენისნიტყვაობა სარტაშორისო გემოცემისთვის	6
1. შესავალი	8
2. სოციალური სახელმწიფო და სოციალური დემოკრატია	10
3. სამართლიანობა სოციალურ სახელმწიფოში	16
3.1. თანასწორობა	20
3.2. შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა	22
3.3. მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანობა	24
3.4. ზანების თანასწორობა	26
3.5. შეჯამება	28
3.6. ექსპერსი: ერჰარდ ეჰლერი „სამართლიანობის“ ცნების შესახებ	29
4. სოციალური სახელმწიფოს გასაღები, ჯონსტრუქციონი და არქიტექტურა	32
4.1. სოციალური სახელმწიფოს საშენი მასალები და ინსტრუმენტები	33
4.2. სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა არქიტექტურა	35
4.3. დასკვნები სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა არქიტექტურის შესახებ	40
5. მოთხოვნები სოციალური სახელმწიფოს მიმართ	44
5.1. გლობალიზაცია	47
5.2. სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკასა და შრომაში	51
5.3. დემოგრაფიული გარდაქმნა	54
5.4. სოციალური გარდაქმნა	56

<i>6. პარტიების სოციალურ-პოლიტიკური პროცესები</i>	<i>60</i>
<i>6.1. ძირითადი პრინციპები გერმანიისთვის – ქრისტიან-დემოკრატიული ჯავშირის (ქდქ) პროგრამა</i>	<i>61</i>
<i>6.2. თავისუფალ დემოკრატთა პარტიის (თდპ) „ჯარლსრუეს თეზისები“</i>	<i>63</i>
<i>6.3. ჰამბურგის პროგრამა – გერმანიის სოციალ-დემოკ- რატიული პარტიის ძირითადი პრინციპების პროგრამა</i>	<i>66</i>
<i>6.4. „მომავალი მწვანეა“ – „ჯავშირი 90/მწვანეების“ ძირითადი პრინციპების პროგრამა</i>	<i>70</i>
<i>6.5. პარტია „მემარცხენეების“ პროგრამა</i>	<i>73</i>
<i>6.6. შეჯამება</i>	<i>75</i>
<i>7. სოციალური სახელმწიფოს ძირითადი სფეროები</i>	<i>76</i>
<i>7.1. გადასახადები</i>	<i>77</i>
<i>7.2. შრომა</i>	<i>91</i>
<i>7.3. პენსია</i>	<i>105</i>
<i>7.4. ჯანდაცვა</i>	<i>120</i>
<i>7.5. განათლება/მომზადება</i>	<i>134</i>
<i>8. მემდგრძობი განსჯა</i>	<i>147</i>
<i>ბიბლიოგრაფია</i>	<i>149</i>
<i>რეკომენდაციური ლიტერატურა</i>	<i>154</i>
<i>ავტორების შესახებ</i>	<i>155</i>

წინასიტყვაობა მეორე გერმანული გამოცემისთვის

სოციალური სახელმწიფო სოციალური დემოკრატიისთვის მეორეხარისხოვანი არ არის – ის დემოკრატიის პირობაა. იგი თანაბარ თავისუფლებას – სრულ თავისუფლებას – უზრუნველყოფს.

სოციალურ სახელმწიფოში სოციალური დემოკრატიის თავისუფლების ცნება კონკრეტულ მნიშვნელობას იძენს. ის არ გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოს ან საზოგადოების ზენოლისგან დაცვას, მაგალითად, სინდისისა და სიტყვის თავისუფლებას; სრული თავისუფლება ასევე ნიშნავს გაჭირვებისა და შიშისაგან თავისუფლებას, როგორც დამოუკიდებელი ცხოვრების მატერიალურ წინაპირობას.

თანაბარი თავისუფლება – ეს ის მოთხოვნაა, რომლითაც სოციალური დემოკრატიის სოციალური პოლიტიკა მუდმივად ხელმძღვანელობს. მიმართულება და მიზანი გასაგებია. დროთა განმავლობაში საჭიროა კონკრეტული ნაბიჯების გადაფასება და აღებული გეზის სისწორეში ხელახლა დარწმუნება. ამ მიზანს ემსახურება ეს ნაშრომი.

იგი აღწერს სოციალურ სახელმწიფოსა და დემოკრატიას შორის არსებულ ფუნდამენტურ კავშირს, მიუთითებს, სამართლიანობის რომელი ცნებები განსაზღვრავს სოციალურ სახელმწიფოს, და განმარტავს, სხვადასხვა ქვეყნის სოციალური სახელმწიფოს რომელ მოდელებშია ორგანიზებული საზოგადოებრივი სოლიდარობა. ნაშრომი წარმოგვიდგენს სოციალური სახელმწიფოს პოპულარულ კრიტიკას, მიანიშნებს არსებულ გამოწვევებზე, გეთავაზობს პარტიების სოციალურ-პოლიტიკური პროგრამების მიმოხილვას და დეტალურად განიხილავს სოციალური სახელმწიფოს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა შრომა, პენსია, ჯანდაცვა, განათლება/მომზადება და გადასახადები. წინა გამოცემების მსგავსად, ეს წიგნიც დასრულებულ პასუხებს კი არ გეთავაზობთ, არამედ გაცნობისა და შემდგომი განსჯისაკენ გიწვევთ.

„სოციალური სახელმწიფო და სოციალური დემოკრატია“ „სოციალური დემოკრატიის კურსების“ სერიის მესამე ტომია და ეფუძნება ნაშრომს „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები“. მასში განმარტებულია სოციალური დემოკრატიის საბაზისო ღირებულებები, შედარებულია ლიბერალური, კონსერვატიული და სოციალური დემოკრატიის საზოგადოებრივი მოდელები და ნაჩვენებია განსხვავებები ლიბერტარულ დემოკრატიასა და სოციალურ დემოკრატიას შორის. ის ასევე ეხმიანება გამოცემას „ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია“, რომელიც არკვევს, როგორ შეიძლება სოციალური დემოკრატიის თანამედროვე, ღირებულებებზე დამყარებული ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელება.

სოციალური პოლიტიკის საკითხები ევროპასა და მსოფლიოში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ წიგნის ყურადღების ცენტრში სოციალური სახელმწიფოს გერმანული მოდელია. საერთაშორისო გამოცდილებას გთავაზობთ გამოცემებში „ევროპა და სოციალური დემოკრატია“ და „გლობალიზაცია და სოციალური დემოკრატია“.

განსაკუთრებით ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა გამოააშკარავა, როგორი მნიშვნელოვანია სოციალური სახელმწიფო. სწორედ კრიზისის პირობებში გამოიკვეთა მისი ძალა და დანიშნულება. მან იმოქმედა, როგორც ავტომატურმა სტაბილიზატორმა, გააძლიერა შიგა მოთხოვნა და ხელი შეუწყო სიღარიბის დაძლევის და სამუშაო ადგილების შექმნას.

გვინდა გულითადი მადლობა გადავუხადოთ ალექსანდრე პეტრინგს, ტობიას გომბერტსა და თომას რიქსენს. ალექსანდრე პეტრინგი ნაშრომის ძირითადი ნაწილის ავტორია. ტობიას გომბერტმა და თომას რიქსენმა სარედაქციო და დიდაქტიკური სამუშაოები შეასრულეს. გვსურს ასევე მადლობა ვუთხრათ დიანა ოგნიანოვასა და მარიუს ბუზემაიერს ქვეთავების „ჯანდაცვა“ და „განათლება/მომზადება“ ავტორობისთვის, მიჰაელ დაუდერშტედტსა და კლაუდია ბოგედანს წიგნის კონცეფციის შემუშავებისას მოცემული რჩევებისთვის. გვინდა აღვნიშნოთ ევა ფლეკენი, კნუტ ლამბერტინი და ყველა ის, ვინც ამ გამოცემის მომზადებაში თავისი წვლილი შეიტანა. მონაწილეობის, მონდომებისა და საუცხოო თანამშრომლობისათვის ყველას დიდ მადლობას მოვახსენებთ. ზოგიერთი ხარვეზისთვის პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვიღებთ.

სოციალური დემოკრატის აკადემიის სიმბოლო კომპასია. აკადემიის ბაზაზე ფრიდრიხ ებერტის ფონდი იძლევა შესაძლებლობას, განხილულ იქნეს სხვადასხვა თვალსაზრისი და გაირკვეს ორიენტირები. მოხარული ვიქნებით, თუ ჩვენი ნაშრომი ხელს შეგინწყობთ საკუთარი პოლიტიკური გზის განსაზღვრაში. სოციალური დემოკრატის სიცოცხლისუნარიანობას სწორედ ის განაპირობებს, რომ იგი მოქალაქეთა მუდმივი ინტერესისა და მისწრაფების საგანია.

დ-რი კრისტიან კრელი
დირექტორი
სოციალური დემოკრატის აკადემია

იოჰენ დამი
პროექტის ხელმძღვანელი
„სოციალური დემოკრატის კურსები“

ბონი, 2012 წლის ნოემბერი

წინასწარსააღმოსაზრებელი გამოცემისთვის

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებში ეკონომიკური პროგრესის სოციალურ პროგრესად გარდაქმნა „სოციალური სახელმწიფოს“ გადამანაწილებელი ფუნქციების საშუალებით მოხერხდა და დასავლური განვითარებული ეკონომიკის მახასიათებლად იქცა. ადამიანთა უმრავლესობისთვის სოციალური სახელმწიფოს ზრდა და განვითარება ნამდვილად სოციალური პროგრესის სინონიმია. თუმცა ფილოსოფიური არგუმენტაციის, ინსტიტუციური არქიტექტურისა და გადამანაწილების შედეგების თვალსაზრისით „სხვადასხვა კეთილდღეობის კაპიტალიზმის სამყაროს“ შორის, კერძოდ, სოციალური სახელმწიფოს ანგლოსაქსურ ლიბერალურ, კონტინენტურ კონსერვატიულ და სკანდინავიურ სოციალ-დემოკრატიულ მოდელებს შორის, მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ყველა სოციალურმა სახელმწიფომ განიცადა შეტევა და რეფორმების მნიშვნელოვანი ზემოქმედება. ეს ნაწილობრივ უკავშირდებოდა ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიურ თავდასხმას და „ფსკერისკენ რბოლას“ („race to the bottom“), რომელიც მზარდმა გლობალურმა კონკურენციამ მოიტანა. მეორე მხრივ, ყოველივე ეს გამოწვეული იყო დემოგრაფიული ცვლილებებით (დაბერებადი საზოგადოებები), პერმანენტულად მაღალი უმუშევრობის დონით, სოციალური ცვლილებებით (ტრადიციული ოჯახის სტრუქტურის ეროზია) და სახელმწიფოს მზარდი დავალიანებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო/OECD) წევრი ქვეყნების უმეტესობაში. იმ ფაქტორების შესუსტებამ, რომლებიც არასტაბილურ ფინანსურ ტვირთად და კონკურენციის დამაბრკოლებლად მიიჩნეოდა, აგრეთვე სოციალური გარანტიების სისტემების შემცირებამ შრომის ბაზრისა და საგადასახადო პოლიტიკის რეგრესულ რეფორმებთან ერთად საგრძობლად გაზარდა უთანასწორობა დასავლეთის საზოგადოებებში.

თუმცა 2008-2009 წლების ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების შედეგად შეინიშნებოდა ცვლილებები აზროვნებაში. განვითარების საუცხოო პოტენციალის მქონე ქვეყნებმა, რომელთაც სოციალური დაცვის მრავალმხრივი სისტემები და მეტად რეგულირებული შრომის ბაზრები აქვთ, როგორცაა გერმანია, მიგვიყვანეს სოციალური სახელმწიფოს სოციალური, პოლიტიკური, მაგრამ ასევე ეკონომიკური ღირებულებების გადაფასებამდე, რაც, თავისთავად, ხელახლა აღვიძებს ინტერესს საზოგადოებებში ორგანიზებული სოლიდარობისა და სამართლიანობის პრობლემების მიმართ.

„სოციალური სახელმწიფო და სოციალური დემოკრატია“ შედარებითი მეთოდის გამოყენებით განიხილავს თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს, ალტერნატიულ ინსტიტუციურ არქიტექტურას, აგრეთვე პოლიტიკის ძირითად სფეროებს (საგადასახადო სისტემა, უმუშევრობის დაზღვევა/გარანტირებული საბაზისო შემოსავალი, საპენსიო სისტემა, ჯანდაცვა, განათლება/მომზადება). ნაშრომში შედარებულია, ერთი მხრივ, სოციალური დემოკრატია და სხვა პოლიტიკური მიდგომები და, მეორე მხრივ, გერმანიისა და ეთგოს წვერი სხვა ქვეყნების გამოცდილებები. ეს გამოცემა, როგორც „სოციალური დემოკრატიის კურსების“ მესამე ტომი, ეფუძნება ასევე პირველ ორ ნაშრომს – „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები“ და „ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია“.

„სოციალური დემოკრატიის კურსები“ თავდაპირველად გერმანულ ენაზე გამოიცა და ქვეყანაში პოლიტიკური განათლებისთვის იყო განკუთვნილი. ამიტომ მოყვანილი გამოცდილებისა თუ მაგალითების უმრავლესობა გერმანიისა და ეთგოს წვერი სხვა ქვეყნების პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავდა. თუმცა აღნიშნული გამოცდილება და მაგალითები იმ ძირითადი პრინციპების, პოლიტიკური მოდელებისა და სამოქმედო გეგმების ილუსტრირებას ემსახურება, რომლებიც განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტისთვისაც გამოსადეგია. ფრიდრიხ ებერტის ფონდის საერთაშორისო საქმიანობის ძირითადი რწმენა ის არის, რომ სოციალური დემოკრატიის საბაზისო ღირებულებები და იდეალები არ ცნობს საზღვრებს – არც გეოგრაფიულს, არც კულტურულს და არც ენობრივს.

„სოციალური დემოკრატიის კურსების“ საერთაშორისო გამოცემას ბევრ ერთგულ მკითხველს ვუსურვებ.



კრისტინე კესპერი
დირექტორი

საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილება

1. შესავალი

სოციალური სახელმწიფო სოციალური დემოკრატიის არსებითი ელემენტია. იგი არის გარანტი იმისა, რომ ძირითადი უფლებები არა მხოლოდ ფორმალურად დაცული, არამედ აქტიურად რეალიზებულიც იქნება.

როგორც წესი, სოციალური სახელმწიფოს შესახებ დებატებში მთელი პოლიტიკური სპექტრი განსაკუთრებული ძალისხმევით ერთვება. ეს გასაგებია და სწორია, ვინაიდან სოციალური სახელმწიფოს გაგება მთლიანად დემოკრატიისა და საბაზისო ღირებულებების აღქმას ეხმარება. ეს ნაშრომი ხელს შეეწყობს ამ დებატებში საკუთარი აზრის გამოკვეთაში, მის განმარტებასა და წარდგენაში.

თავი 2:
სოციალური
სახელმწიფო
და სოციალური
დემოკრატია

სოციალური დემოკრატიის საბაზისო ღირებულებებია თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა. ისინი ქმნიან სოციალური სახელმწიფოს კონცეფციის არსს, რომელსაც სწორედ ეს ნაშრომი აყალიბებს. ამდენად, სოციალურ სახელმწიფოსა და სოციალურ დემოკრატიას შორის არსებული ფუნდამენტური კავშირი განხილულია ამ გამოცემის დასაწყისში (თავი 2).

თავი 3:
სამართლიანობა
სოციალურ
სახელმწიფოში

ამასთანავე, ამკარაა, რომ ის, ვინც სოციალურ პოლიტიკაზე საუბრობს, განანილებს საკითხებს გულისხმობს. საქმე ეხება პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ხდება განათლების/მომზადების, დასაქმებისა და შემოსავლების, ხელისუფლების, უსაფრთხოების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების განანილება. ვინაიდან სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზეა საუბარი, სამართლიანი განანილების მოთხოვნა წარმოიშობა. მაგრამ რას გულისხმობს სამართლიანი? რას ნიშნავს სამართლიანობა ცალკეულ სფეროებში? არსებობს კი პრინციპი, რომელიც ისევე მოქმედებს უმუშევრობის დაზღვევის შემთხვევაში, როგორც განათლების/მომზადების სისტემისა და ჯანდაცვის პოლიტიკისათვის? სამართლიანობის ეს საკითხები მე-3 თავშია განხილული.

თავი 4:
სოციალური სახელმწიფოს მასალები,
კონსტრუქცია და
არქიტექტურა

მსოფლიოში სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა მოდელია განვითარებული. ყველა მსგავს მასალებსა და კონსტრუქციას იყენებს. თუმცა მათი არქიტექტურა და მოსახლეობაზე გავლენა მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. არქიტექტურის აღნიშნული განსხვავებები მე-4 თავშია განხილული.

თავი 5:
მოთხოვნები სოციალური სახელმწიფოს მიმართ

სოციალური სახელმწიფო ხშირად ხდება პოპულარული ან თუნდაც პოპულისტური კრიტიკის მსხვერპლი. მე-5 თავში ეს კრიტიკა განალიზებული, ნაჩვენებია, რა რეალური გამოწვევების წინაშე დგას გერმანული სოციალური სახელმწიფო, და მითითებულია, როგორ შეიძლება მათთან გამკლავება.

ცნებებისა და გამონწვევების გარკვევის შემდეგ, მე-ნ თავში განხილულია საკითხი, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ბუნდესტაგში წარმოდგენილ პარტიებს სოციალური პოლიტიკისადმი, სოციალური სახელმწიფოს რომელ მოდელს ემხრობიან ისინი და რა რეფორმებს უჭერენ მხარს.

თავი 6:
პარტიების
სოციალურ-
პოლიტიკური
პოზიციები

სოციალური დემოკრატიის მისწრაფება თანაბარი თავისუფლების უზრუნველყოფაა. ამდენად, მიზანი აშკარაა. თუმცა დასადგენი რჩება, სოციალური სახელმწიფოს ცალკეული სფეროების რომელი კონკრეტული ფორმებია მისაღები.

თავი 7:
სოციალური
სახელმწიფოს
ძირითადი
სფეროები

არსებობს ხუთი მთავარი სფერო, რომლებითაც ხდება თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს იდენტიფიცირება. ვინაიდან სოციალური სახელმწიფო დიდი სასიცოცხლო რისკებისგან აზღვევს და ადამიანის ღირსების დაცვას უზრუნველყოფს, ჯანმრთელობის, უმუშევრობისა და საპენსიო დაზღვევა სოციალური სახელმწიფოს ელემენტარული შემადგენელია.

შრომა, პენსია და
ჯანდაცვა

ვინაიდან სოციალური სახელმწიფოს მიზანი ყველა მოქალაქის მონაწილეობაა, თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს ცნება განათლების/მომზადების პოლიტიკასაც გულისხმობს. რადგან განათლება/მომზადება, პირველ რიგში, დემოკრატიული უფლებების გაცნობიერების წინაპირობაა, ის ასევე გადამწყვეტია მატერიალური რესურსების განაწილების კონტექსტში. განათლება მონაწილეობასა და შანსებს ნიშნავს.

განათლება

თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს ცნების მომდევნო ელემენტი საგადასახადო პოლიტიკაა. მასზე მარტო იმიტომ არ უნდა ვიმსჯელოთ, რომ სოციალური უზრუნველყოფა გადასახადებითა და შენატანებით ფინანსდება; გადასახადები ის ძირითადი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ხდება საზოგადოებაში შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილებაზე ზემოქმედება.

გადასახადები

2. სოციალური სახელმწიფო და სოციალური დემოკრატია¹

ამ თავში:

- განხილულია სოციალურ სახელმწიფოსა და დემოკრატის შორის კავშირი;
- ახსნილია სოციალური სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატიული კონცეფცია, რომელიც თავისუფლებას, თანასწორობასა და სოლიდარობას ეფუძნება; და
- წარმოდგენილია სოციალური სახელმწიფოს როლი ძირითადი პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების უზრუნველყოფაში.

გერმანია:
სოციალური
ფედერალური
სახელმწიფო

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დემოკრატიული და სოციალური ფედერალური სახელმწიფოა.“ ეს არის გერმანიის ძირითადი კანონის, ანუ კონსტიტუციის, მე-20 მუხლის პირველი წინადადება, რომელიც მოიცავს დემოკრატიის, სოციალური სახელმწიფოსა და სამართლის უზენაესობის პრინციპებს, რომლებსაც, ეგრეთ წოდებული „კონსტიტუციის მამებისა და დედების“ ნების შესაბამისად, თანაბარი იურიდიული ძალა უნდა ჰქონდეს.

სოციალური
სახელმწიფოს
ორგანიზება:
სამართლიანობის
საკითხი

დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის პრინციპები უფრო დეტალურადაა აღწერილი ძირითადი კანონის მრავალ ადგილას, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი კი დაკონკრეტებული არ არის. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სოციალური სახელმწიფოს ორგანიზების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი სამართლიანობაა.

რა არის
სამართლიანობა?
– დავის საგანი
ოდიტგან

ადამიანები სამართლიანობის მნიშვნელობაზე ოდიტგან დავობენ. დღეისთვის მრავალი ტომია დაწერილი იმაზე, თუ რა არის სოციალური სახელმწიფო და რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვთ არსებულ სოციალურ სახელმწიფოებს; დიდი ყურადღება ეთმობა ალტერნატიული ფორმების ძიების საკითხსაც.

სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს და ასპექტის უფრო დეტალურ განხილვამდე ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატისა და სოციალურ სახელმწიფოს შორის არსებულ ფუნდამენტურ კავშირს უნდა შევხვით.

სოციალური სახელმწიფო ნიშნავს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც, მისი კონსტიტუციის შესაბამისად, არა მხოლოდ ძირითად უფლებებს და პირად და ეკონომიკურ თავისუფლებებს უზრუნველყოფს (სამართლის უზენაესობის პრინციპის მიმდევარი სახელმწიფო), არამედ, ამასთანავე, ახორციელებს სამართლებრივ, ფინანსურ და მატერიალურ ღონისძიებებს სოციალურ განსხვავებათა და დაძაბულობათა (არასრულად) გათანაბრებისთვის. ამ ფარგლებში სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სამართლის უზენაესობის საფუძველზე დაკავშირებულია სამართლიანობის მიზანთან და ასახულია ძირითადი კანონის მე-20 და 28-ე მუხლებში. (Das Politiklexikon 2006: 282)

¹ ამ თავის მომზადებისას გამოყენებულ იქნა კნაიპის (2003), პროისის (1990), სკანლონის (2005), კაუფმანის (2003) და რიტერის (1991) მოსაზრებები.

ხშირად ისე ჩანს, თითქოს სოციალური პოლიტიკა ერთ-ერთია პოლიტიკის მრავალ სფეროს შორის. იგი სხვებისაგან ძირითადად იმით გამოირჩევა, რომ ფედერალური ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს შეადგენს და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადამწყვეტილებები პირდაპირი (სარგებლის მიღების საშუალებით) თუ არაპირდაპირი (გადასახადებითა და შენატანებით შექმნილი ფონდების მეშვეობით) გზით ყველა მოქალაქეზე ახდენს გავლენას. ის ფაქტი, რომ სოციალური პოლიტიკა სათანადოდ არ არის დაფასებული, მისი ძირითად კანონში მოხსენიებით დასტურდება. მაგრამ რა განსაკუთრებული კავშირია დემოკრატია და სოციალურ სახელმწიფოს შორის?

დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქეს თავისუფლებისა და პოლიტიკური მონაწილეობის ერთნაირი უფლება აქვს. ყველა ადამიანი ერთნაირი ღირსების მქონეა და თანაბარ პატივისცემას იმსახურებს. ეს თითქოს სრულიად აშკარა და ტრივიალურია. თუმცა არისტოტელეს, რომლის მრავალი იდეის გავლენა დღესაც ძლიერია, მიაჩნდა, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც თავისუფლებაში ცხოვრება არ შეუძლიათ: ის ფიქრობდა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ბუნებით მონები არიან. გარდა ამისა, მისი აზრით, ქალი არ შეიძლება მამაკაცის თანასწორი იყოს. თანაბარი პოლიტიკური უფლებების იდეის განვითარების კარგი მაგალითია ქალთა არჩევნებში მონაწილეობა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქალებმა გერმანიაში 1919 წელს მოიპოვეს, შვეიცარიაში კი ეს მხოლოდ 1971 წელს მოხდა. მამასადამე, პოლიტიკური თანასწორობის ცნება ტრივიალური არ არის და მრავალი თვალსაზრისით შედარებით ბოლო პერიოდის მოვლენაა.

აქედან გამომდინარე, ღირსების, პატივისცემისა და თვითგამორკვევის თანასწორობა დემოკრატის წინაპირობაა. თუმცა, როგორც მაგალითები უჩვენებს, მხოლოდ ის საკმარისი არ არის. მას თან უნდა ახლდეს სხვა ინსტრუმენტებიც. თვითშეფასება და თვითგამორკვევა ძირითადი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საჭიროებს. საკვებისა და თავშესაფრის გარეშე ყველაზე მასშტაბურ ფორმალურ თავისუფლებასაც კი არა აქვს ფასი. ამიტომ სოციალური სახელმწიფო ქმნის პირობებს, სადაც შესაძლებელი იქნება თავისუფლებისა და დემოკრატის რეალიზება.

დემოკრატია რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს, ისეთ საქონელთან ერთად, როგორცაა საკვები და თავშესაფარი, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სხვაგვარი საქონელი და რესურსები: განათლება/მომზადება და ინფორმაცია. სიღარიბის საფრთხისაგან დაცვა და განათლების/მომზადების უზრუნველყოფა არ უნდა იქნეს განხილული ქველმოქმედებად ან კეთილგონიერთა სოლიდარობად. ჭეშმარიტი დემოკრატია არ არსებობს სოციალური პოლიტიკის გარეშე. დემოკრატიული სახელმწიფო სოციალური სახელმწიფო უნდა იყოს.

სოციალური პოლიტიკა – პოლიტიკის ერთერთი სფერო?

დემოკრატია: ტრივიალური არ არის

სოციალური სახელმწიფო: რეალური თავისუფლებისა და დემოკრატის რეალიზების საფუძველი

დემოკრატიული სახელმწიფო სოციალური სახელმწიფო უნდა იყოს!

სოციალური
დემოკრატია:
სოციალური და
პოლიტიკური
საკითხები
ერთმანეთს
ადრეულ ეტაპზე
დაუკავშირდა

დემოკრატისა და სოციალურ დაცვას შორის კავშირს სოციალური დემოკრატია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1868 წელს „გერმანიის მუშათა ასოციაციების შეხვედრაზე“ განცხადებულ იქნა, რომ „პოლიტიკური თავისუფლება [არის] მუშათა კლასის ეკონომიკური განთავისუფლების განუყოფელი პირობა. შესაბამისად, სოციალური საკითხი განუყოფელია პოლიტიკურისაგან, მისი გადანყვეტა ამ უკანასკნელითაა განპირობებული და ეს მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოშია შესაძლებელი.“ 150 წლის განმავლობაში მუდამ ხდებოდა ამ კავშირის ხელახალი გააზრება და დღეს იგი გსდპ-ის პროგრამაშია ჩართული:

„სოციალური სახელმწიფო ცივილიზაციის უდიდესი მიღწევაა მეოცე საუკუნეში. იგი სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს სოციალური უფლებებით ავსებს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ დემოკრატია და სოციალური სახელმწიფო ხელიხელჩაკიდებული დადიან. სოციალურმა სახელმწიფომ მილიონობით ადამიანი იხსნა მათი სოციალური წარმომავლობის მარნუხებისაგან, დაიცვა ისინი ბაზრის სირთულეებისაგან და შეუქმნა მათ შესაძლებლობა, თვითონ წარმართონ საკუთარი ცხოვრება. ის არის გადამწყვეტი საფუძველი დინამიკური ეკონომიკისა, რომელსაც კეთილდღეობის შექმნა შეუძლია. ... თანამედროვე პერიოდში უსაფრთხოებისა და სოციალური მობილურობის დანაპირების განახლების მიზნით ჩვენ სოციალური სახელმწიფოდან პრევენციულ სოციალურ სახელმწიფოს ვავითარებთ.“ (გსდპ, ჰამბურგის პროგრამა 2007: 55, 56)

პრევენციული სოციალური სახელმწიფოს ცნება – იხ. სოციალ-დემოკრატიული მოდელი მე-4 თავში


აქ ნახსენები პრევენციული სოციალური სახელმწიფოს ცნება დაკავშირებულია სკანდინავიის ქვეყნების წარმატებულ სახელმწიფო სოციალურ პოლიტიკასთან, მათი ეგრეთ წოდებული „სოციალ-დემოკრატიული“ ტიპის სოციალური სახელმწიფოთი, რომელიც მე-4 თავში (სოციალური სახელმწიფოს მასალები, კონსტრუქცია და არქიტექტურა) უფრო დეტალურადაა განხილული.

სოციალური სახელმწიფო:
საარსებო წყაროს
გარანტირებაზე
მეტი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის კვლევები უჩვენებს, რომ დემოკრატისთვის საჭიროა მატერიალური და არამატერიალური საფუძვლები, რომლებიც სცილდება უბრალო საარსებო წყაროს გარანტიებს. მაგალითად, პოლიტიკური მონაწილეობის მასშტაბი (არჩევნებში მონაწილეობის მიღება, პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკური აქტივობის სხვა ფორმებში ჩართულობა) მჭიდროდაა დაკავშირებული ხსენებულ რესურსებთან.

აქტიური (პოლიტიკური) მონაწილეობის მოთხოვნა

უმუშევრები, დაბალშემოსავლიანი მუშაკები და განათლების/მომზადების არმქონე პირები თავიანთ პოლიტიკურ უფლებებს პრაქტიკაში ნაკლებად ახორციელებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების და პოლიტიკური უფლებების თანასწორად აღიარება – რაც დემოკრატის უპირველესი მოთხოვნაა – სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების გარემოებათა ფეხდაფეხ მიაბიჯებს.



სურათი 1: სოციალური სახელმწიფოსა და დემოკრატია შორის კავშირი

სოციალური სახელმწიფოს შესახებ კამათი ხშირად იმ ხარჯებზეა კონცენტრირებული, რომლებსაც იგი მოითხოვს. ზოგჯერ იმასაც კი ამბობენ, რომ სოციალური პოლიტიკა აბრკოლებს ეკონომიკურ ზრდას. დემოკრატია და სოციალური სახელმწიფოს განუყოფლობის ფონზე მრავალი არგუმენტი უბრალოდ აბსურდულია: დემოკრატია არ არის ფასით გასაზომი ცნება. თავისუფლება და დემოკრატია არ შეიძლება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებით გაიზომოს.

გარდა ამისა, სოციალური სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოთქმული მრავალი კრიტიკული შეხედულება ჯერ კიდევ არ არის დეტალურად გაანალიზებული. მაგალითად, ქვეყნები, რომლებიც უდიდესი სოციალური სახელმწიფოები არიან, უმდიდრესი დემოკრატიათაც გამოირჩევიან.

გარდა ამისა, არაფერი ამყარებს შემდეგ თეზას: მასშტაბური სოციალური სახელმწიფო არ შეიძლება კარგად დაფინანსებული იყოს; აქედან გამომდინარე, მას გარდაუვალად დიდი მოცულობის სახელმწიფო ვალი წარმოეშობა. მართალია, არის ქვეყნები, სადაც მაღალია სახელმწიფო ვალის დონე, მაგრამ დიდია სოციალური სახელმწიფოს მასშტაბი, თუმცა ისეთი ქვეყნებიც არსებობს, სადაც დიდია სოციალური დანახარჯები, მაგრამ დაბალია სახელმწიფო ვალის დონე.

სოციალური სახელმწიფო „ძალიან ძვირი“ ღირს? შეიძლება დემოკრატია „ძალიან ძვირი“ ღირდეს?

ძლიერი სოციალური სახელმწიფოები ხშირად ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნებიც არიან

სოციალური
სახელმწიფო
გადანაწილებას
ნიშნავს

სოციალური სახელმწიფოს დაფინანსების საკითხი ამ ტიპის სახელმწიფოს კრიტიკის კიდევ ერთ მიმართულებას – სოციალური პოლიტიკის საშუალებათა გადანაწილებას – უკავშირდება. გადანაწილება იმას ნიშნავს, რომ ის, ვისაც ძალიან ბევრი აქვს, გარკვეულ ნაწილს გასცემს, ხოლო ის, ვისაც ცოტა აქვს, რალაცას იღებს. ზოგს მიაჩნია, რომ დღეს ეს პროცესი პატერნალიზმის ან თვით ექსპროპრიაციის გამოვლენა და გაუმართლებელი ქმედებაა.

დასაბუთება:
საკუთრების
გარანტირება
მხოლოდ
სამართლის
უზენაესობას
შეუძლია

სინამდვილეში სახელმწიფო ერევა შემოსავლების განაწილებაში. აქ სრულიად ნათელია, თუ რომელ ღირებულებებს ენიჭება უპირატესობა. საკუთრების უფლება ბევრს არაფერს ნიშნავს დემოკრატიული სამართლის უზენაესობის გარეშე, რომელიც ამ უფლების სადარაჯოზე დგას, ხოლო დემოკრატიული სამართლის უზენაესობა, თავის მხრივ, მოქალაქეთა ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრების პირობაა.

ამრიგად, იმ შემოსავლების განაწილებაში ჩარევა, რომლებიც ბაზრისაგან მიღებული გადასახადებისა და შენატანების მეშვეობით იქმნება, საჭიროა ყველა ადამიანის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და საკუთრების უზრუნველსაყოფად. ეს არ ნიშნავს ადამიანთა საკუთრების უფლების ფეხქვეშ გათელვას – ეს მხოლოდ აბსოლუტური პრიორიტეტის უარყოფაა.

სოციალური
დემოკრატია:
ნეგატიური და
პოზიტიური
თავისუფლებები


სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით, თავისუფლება, რომელიც ინდივიდს საზოგადოების აგრესიისაგან იცავს (ნეგატიური სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები), და საკუთარი სურვილებისა და მიზნების კარნახით ცხოვრების თავისუფლება (პოზიტიური თავისუფლება) თანასწორად უნდა განიხილებოდეს და მათი დამკვიდრებისა და რეალიზებისთვის სწრაფვაც ერთნაირი უნდა იყოს.² თუმცა როდესაც სოციალური პოლიტიკისა და გადანაწილების კონტექსტში ზოგიერთები პატერნალიზმსა და ექსპროპრიაციას უსაუბრობენ, მათ ის მაინც უნდა აღნიშნონ, რომ ყველას არ შეუძლია იმ თავისუფლებით სარგებლობის განაწილება, რომლის დაცვაც სურს.

„თავისუფლება ნიშნავს ისეთ ცხოვრებას, როდესაც არსებობს თვით-გამორკვევის საშუალება. ყველა ადამიანს აქვს თავისუფლების რეალიზების კომპეტენცია და უნარი. საზოგადოებაში განსაზღვრულია, შეუძლია თუ არა პირს ამის შესაბამისად ცხოვრება. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს დამოკიდებულებებისაგან, რომლებიც მის დეგრადაციას იწვევს, აგრეთვე სიდუხჭირისა და შიშისაგან და აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განავითაროს თავისი პოტენციალი და პასუხისმგებლობით შეასრულოს თავისი როლი საზოგადოებასა და პოლიტიკაში. საკუთარი თავისუფლების რეალიზება მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებიც ადეკვატური სოციალური დამცავი მექანიზმებით არიან უზრუნველყოფილი.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 15)

2 პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლებების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ აგრეთვე იხ. ნიგნი 1: სოციალური დემოკრატიის საფუძვლები (2008), გვ. 96-98.

დემოკრატიულ საზოგადოებაში სოციალური პოლიტიკა პოლიტიკის მრავალ სფეროს შორის მხოლოდ ერთ-ერთი კი არ არის, არამედ განუყოფლადაა მასთან დაკავშირებული. ეს მტკიცება აქტუალურია იმ შემთხვევისთვის მინც, როდესაც დემოკრატია გაგებულია არა მხოლოდ როგორც სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების, არჩევნებისა და დამოუკიდებელი სასამართლოების ფორმალური არსებობა, არამედ აგრეთვე, როგორც სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველა მოქალაქის აქტიური ჩართვა და მონაწილეობა. იგი ამავედროულად სოციალური დემოკრატიის ღერძია. ის არის ძირითადი უფლებების რეალიზების საშუალება. წიგნში „სოციალური დემოკრატიის საფუძვლები“ ეს შემდეგნაირადაა აღწერილი:

„თუკი ნეგატიური სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალო ფორმალური არსებობა, და ისინი ეფექტიანია ყველასთვის, პოზიტიური სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები ყველას უნდა ჰქონდეს მინიჭებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მდიდართა ფენამ უნდა აღიაროს სოციალური გადანაწილების პრინციპი. ... სიმდიდრის სოციალური გადანაწილების გარეშე, რასაც, ჩვეულებრივ, სახელმწიფო უწევს ორგანიზებას, სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები ყველასთვის ვერ იქნება რეალიზებული.“ (წიგნი 1, სოციალური დემოკრატიის საფუძვლები: 98)



სურათი 2: ნეგატიური და პოზიტიური სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები

3.სამართლიანობა სოციალურ სახელმწიფოში³

ამ თავში:

- განხილულია განაწილების სამართლიანობის ოთხი პრინციპი და მათი ურთიერთდამოკიდებულება. ესენია: თანასწორობა, შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა, მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა და შანსების თანასწორობა;
- შესწავლილია გენდერული სამართლიანობისა და თაობათაშორისი სამართლიანობის ზოგადი პრინციპები;
- ექსკურსში ერჰარდ ებლერი პოლიტიკაში „სამართლიანობის“ კონცეფციის ყოველდღიურ გამოყენებას მიმოიხილავს.

როგორ შეიძლება
განაწილება
სამართლიანი იყოს?

დამატებითი
ლიტერატურა:
ნიგინი 1:
სოციალური
დემოკრატიის
საფუძვლები (2008),
თავი 2.2.

სამართლიანობა არის კრიტერიუმი, რომლის შესაბამისადაც ხდება სხვათა მიმართ ქცევის აღწერა და შეფასება. ანალოგიურად, ეგრეთ წოდებული „სოციალური სამართლიანობა“ მიუთითებს სხვათა მიმართ ქცევაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სუბიექტი არის სახელმწიფო ან საზოგადოება. მაშასადამე, აქ მთავარია, განაწილების რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ.

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული გა(და)ნაწილების საფუძველი უკვე მითითებულია. თანაბარი ღირსების დაშვებიდან გამომდინარე, ყველა მოქალაქეს თანაბარი შანსები უნდა ჰქონდეს, რათა მათ თვითონ წარმართონ საკუთარი ცხოვრება და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში.

„სამართლიანობა ყველას თანაბარ ღირსებას ეფუძნება. იგი ნიშნავს თანასწორ თავისუფლებას და ცხოვრების თანაბარ შანსებს, წარმოშობისა და გენდერის მიუხედავად.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 15)

ყველასთვის
ერთნაირი?

მაგრამ როგორ მიიღწევა იგი? ყველა მოქალაქემ ყველაფერი თანაბრად უნდა მიიღოს? თუ ყველა მოქალაქემ ყველაფერი თანაბრად უნდა მიიღოს შედეგების კუთხით? თუ ყველა მოქალაქის ინდივიდუალური მოთხოვნილებები ერთსა და იმავე ფარგლებში უნდა დაკმაყოფილდეს? თუ შრომითი წვლილი და თვისებრივი მაჩვენებელი უნდა გახდეს განაწილების საფუძველი? თუ თანაბრად უნდა განაწილდეს შანსები და არა საქონელი?


³ ამ თავში ფართოდაა გამოყენებული ბეკერის/ჰაუზერის (2004), გოსეპათის (2004), კერსტინგის (2000); პეტრინგის/ჰენკესის (2007), დიურინგის (1998), კერსტინგის (2001) და ლესენიჩის (2003) მიერ გამოთქმული იდეები.

ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ, ზუსტად რა ელემენტებისა-გან შედგება თანასწორობის ეს პრინციპები, კერძოდ, შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა, მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანობა და შანსების თანასწორობა, და სოციალური სახელმწიფოს რომელ სფეროებშია გამართლებული მათი გამოყენება. აქ განხილული სამართლიანობის კონცეფციები განაწილების სამართლიანობის პრინციპების ღერძია.

აქ ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართლიანობის ორი პრინციპი: გენდერული სამართლიანობა და თაობათაშორისი სამართლიანობა. განაწილების სამართლიანობა არის ძირითადი საკითხი, რომელიც განსაზღვრავს, არეგულირებს თუ არა სახელმწიფო ადამიანთა შორის არსებულ განსხვავებებს და, თუ არეგულირებს – როგორ. მარტივად რომ ვთქვათ, სხვადასხვა სფეროს სხვადასხვა პრინციპი მიესადაგება.

ოთხი პრინციპი:
თანასწორობა,
შანსების
თანასწორობა,
შრომითი წვლილი
და მოთხოვნილება

უმთავრესი
პრინციპები:
გენდერული
სამართლიანობა და
თაობათაშორისი
სამართლიანობა



სურათი 3: სამართლიანობის ოთხი კონცეფცია

თუმცა ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა და მომავალი თაობების ცხოვრების საფუძვლის დაცვის აუცილებლობის პრინციპი ინდივიდუალური პოლიტიკური სფეროებით არ შემოიფარგლება. ისინი (სოციალური) პოლიტიკის ფუნდამენტური სახელმძღვანელო პრინციპები უნდა იყოს.

გენდერული სამართლიანობა

ევა ფლეკენი

სამართლიანია, რომ დედები მამებზე ნაკლებად მონაწილეობენ შრომით ცხოვრებაში? ის თუა სამართლიანი, რომ მუშაკი ქალები უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე მამაკაცები? სამართლიანია, რომ მოსწავლე ვაჟების აკადემიური მოსწრების დონე გოგონებთან შედარებით სულ უფრო უარესდება?

ეს მხოლოდ რამდენიმე შეკითხვაა, რომლებიც გენდერული სამართლიანობის ფარგლებში უნდა დაისვას. გენდერული სამართლიანობა მოითხოვს, რომ სისტემატურად ხდებოდეს ქალთა და მამაკაცთა ცხოვრების რეალობების გათვალისწინება პოლიტიკის თითოეულ სფეროში. გენდერული თანასწორობა, მრავალი თვალსაზრისით, განაწილების სამართლიანობის ოთხივე ძირეულ პრინციპს კვეთს, განსაკუთრებით – შანსების თანასწორობისა და შედეგის თანასწორობის კუთხით.

მართალია, გენდერული უსამართლობის იდენტიფიცირება ახალი ხილი არ არის, მაგრამ გენდერთა შორის განსხვავებები ფუნდამენტურად არ შემცირებულა. სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ეს საჭირობოროტო საკითხია, რადგან მამაკაცთა დეკრეტული შევებულების (გერმანიაში მას ხშირად „Wickelvolontariate“-ს, ანუ „საფენების გამოცვლის პრაქტიკას“, უწოდებენ) და მშობლის ვალის არასათანადო შესრულების შესახებ დავა აქტუალურობას არ დაკარგავს. პირიქით, ცეცხლი გამუდმებით ღვივდება და აზრის ფორმირების ცნობილი ექსპერტები სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებენ.

ბოლო წლებში ფემინისტთა პროგრამის ცვლილებასთან ერთად მისი ფოკუსის მიმართულებაც შეიცვალა. დღეს აქცენტი კეთდება თანაბარ უფლებებზე, რომლებიც პარტნიორობაზეა დაფუძნებული, და ნაკლებად ეთმობა ყურადღება იმ რადიკალურ მოთხოვნებს, რომლებიც 1970-იან წლებში ჯერ კიდევ აუცილებელი იყო. თუმცა, ფემინისტურ მოძრაობაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების და ფემინიზმის განვითარების მიუხედავად, ფემინისტური მოთხოვნები პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად რჩება.

ეს განსაკუთრებით გამართლებულია გერმანულ სოციალურ სახელმწიფოსთან მიმართებით: მაგალითად, ხანდაზმულობით გამოწვეული სიღარიბე უფრო მეტ ზიანს კვლავ ქალებს აყენებს, ხოლო მეუღლეთა ერთობლივი საგადასახადო დეკლარაციები რეალურად ქალთა დასაქმებას უშლის ხელს. თუმცა ისიც ცხადია, რომ გენდერული უსამართლობის თვალსაზრისით სიტუაცია იცვლება: ზოგ სფეროში – როგორცაა განათლების სისტემა – ვაჟებს უარესი მაჩვენებლები აქვთ.

დამატებითი

ლიტერატურა:

ფრიდრიხ

ებერტის ფონდი

(რედ.)(2009ა),

თემატური

პორტალი: ქალი-

კაცი-გენდერი

www.fes.de/gender.

ფრიდრიხ

ებერტის ფონდი

(რედ.)(2009ა),

Alter, Arbeit,

Armut?

Altersarmut von

Frauen verhindern!,

ბერლინი, 2009.

კრისტინ ფორბერი,

ულრიკე შპანგენ-

ბერგი, ბარბარა

სტიგლერი (2008),

Umsteuern: gute

Gründe für ein Ende

des Ehegattensplittings,

ფრიდრიხ

ებერტის ფონდი

(რედ.), ბონი.

ამრიგად, ორივე გენდერი უსამართლობის წინაშე დგას. როგორც ჩანს, ურთიერთკომპენსაცია არც ეკონომიკური და არც სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით გონივრული არ არის, რადგან ორი არამართებული ერთ მართებულს ვერ შექმნის.

პირიქით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ თანამედროვე საზოგადოებებისთვის მრავალგანზომილებიანი გენდერული უსამართლობა დამახასიათებელი. მარტოხელა მამებმა ისევე კარგად იციან, რა პრობლემები სდევს თან ბავშვის აღზრდას, როგორც მარტოხელა დედებმა. ექთანი მამაკაცები ისევე ზარალდებიან აღმშფოთებლად დაბალი ხელფასებით, როგორც ქალები. ამრიგად, გენდერული სამართლიანობის საკითხი ასეთი რთული და აქტუალური არასდროს ყოფილა.

პლურალისტული საზოგადოებები მოითხოვენ განაწილების სამართლიანობის უფრო რთულ სტრატეგიებს, აგრეთვე, ზოგადად, უფრო დეტალურ ხედვას სამართლიანობის პრინციპებთან დაკავშირებით. ეს გენდერულ სამართლიანობასაც ეხება.

თაობათაშორისი სამართლიანობა ეხება საქონლის განაწილებას, ერთი მხრივ, ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს შორის და, მეორე მხრივ, დღევანდელ და მომავალ თაობებს შორის. თაობათაშორისი სამართლიანობის არარსებობის კლასიკური მაგალითია გარემოს განადგურება. თუმცა ეს კონცეფცია სულ უფრო ხშირად გამოიყენება სოციალური სახელმწიფოს დაფინანსებასა და სახელმწიფო ვალის ზრდასთან დაკავშირებით. ამ კონტექსტში სადავო არ არის, როდესაც, მაგალითად, მას საბაბად იყენებენ სხვა პოლიტიკური მიზნებისთვის, როგორებიცაა განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების დაფინანსების შემცირება.

მაგალითად, გსდპ-ის ჰამბურგის პროგრამაში თაობათაშორისი სამართლიანობის ცნება უფრო დეტალურადაა ჩამოყალიბებული: „გონივრული ფინანსური პოლიტიკა ჩვენთვის იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დღეს მომავალი თაობების ხარჯზე არ ვცხოვრობთ. სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდაცია მომავალი თაობებისთვის შეღავათი ინფრასტრუქტურის დატოვებას არ უნდა იწვევდეს. მომავალი თაობების წინაშე ჩვენი პასუხისმგებლობა იმას ნიშნავს, რომ უნდა შევამციროთ სახელმწიფო ვალი და, იმავდროულად, სულ უფრო მეტი თანხის ინვესტირება უნდა მოვანდინოთ განათლების/მომზადების, კვლევისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 46).

დამატებითი ლიტერატურა:
ფრიდრიხ ებერტის ფონდი (რედ.) (2006), *Generationengerechtigkeit*.
ფრიდრიხ ებერტის ფონდის ონლაინაკადემიის თემატური მოდული, www.fes-online-akademie.de.

პიტერ ბოფინგერი (2009), *Gerechtigkeit für Generationen. Eine gesamtwirtschaftliche Perspektive*,
ფრიდრიხ ებერტის ფონდი (რედ.), ბონი.

ბიორნ ბიონინგი და კაი ბურმაისტერი (რედ.) (2004), *Generation & Gerechtigkeit*, ჰამბურგი.

3.1. თანასწორობა

მეცხრამეტე
საუკუნეში
სამართლებრივი
და პოლიტიკური
თანასწორობა
მოითხოვებოდა

თანასწორობა, როგორც სამართლიანობის პრინციპი, მოითხოვს, რომ საზოგადოების წევრებს შორის არ იყოს რაიმე განსხვავება მათი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ნიშნით. საფრანგეთის რევოლუციის (1789) ლაიტმოტივი იყო მოთხოვნა: „liberté, égalité, fraternité [თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა]“. მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, მუშათა მოძრაობა ყველას სამართლებრივი და პოლიტიკური თანასწორობისთვის იბრძოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუშათა მოძრაობა მიზნად ისახავდა არა მხოლოდ მუშათა ემანსიპაციას, არამედ აგრეთვე თანასწორ თავისუფლებას ყველასთვის:

„მუშათა კლასის ემანსიპაციისთვის ბრძოლა არის არა ბრძოლა კლასობრივი პრივილეგიებისა და მონოპოლიების მოსაპოვებლად, არამედ ბრძოლა თანაბარი უფლებებისა და თანაბარი ვალდებულებებისთვის.“ (გერმანიის მუშათა ასოციაციების ასამბლეის პროგრამა, ნიურნბერგი, 1868; ციტირებულია გამოცემიდან: Dowe/Klotzbach 2004: 157-158)

ფორმალურად
თანასწორობა
ძირითადად
მიღწეულია

დიდი პროგრესი შეინიშნება სამართლებრივი და პოლიტიკური თანასწორობის ან „თანაბარი უფლებების“ კუთხით. თუკი ადამიანი ამ პრინციპის საფუძველზე შრომობს, მსგავსი მსგავსად უნდა განიხილებოდეს, ხოლო განსხვავებული – განსხვავებულად. არგუმენტის მიმართულება ცხადია: პოლიტიკური მონაწილეობისა და თვითგამორკვევის უფლება ყველას თანაბრად უნდა მიენიჭოს. მაგალითად, არ შეიძლება გენდერის ნიშნით დიფერენციაციის გამართლება, რადგან გენდერი არ ამართლებს ღირსებასთან, პოლიტიკურ მონაწილეობასა და თვითგამორკვევასთან დაკავშირებულ განსხვავებებს.

ინსტრუმენტსა
და შედეგს შორის
განსხვავება უნდა
იყოს

აქედან გამომდინარე, დისკრიმინაცია, როგორც ინსტრუმენტი, უნდა განვასხვავოთ შედეგის უთანასწორობისაგან. სწორედ ამისთვისაა საჭირო, რომ მოწყვლადი პირებისთვის შეღავათიანი მოპყრობა იყოს გათვალისწინებული. თანასწორობის რეალიზება, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივ სფეროში ხდება. თუმცა რეალურად თანასწორობის პრინციპის დარღვევას ხშირად ვაწყდებით.

„სამართლებრივი თანასწორობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს თანასწორ მდგომარეობას. ძველი არახელსაყრელი სიტუაციები კვლავ განსაკუთრებით პროფესიულ და შრომით სფეროში შეინიშნება. დედებისთვის დიდ პრობლემად რჩება ოჯახური ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის შეთავსება; ქალებს მამაკაცებზე ნაკლები შემოსავალი აქვთ; ქალები უფრო ადვილად კარგავენ სამუშაოს და უფრო ხშირად დგანან სიღარიბის საფრთხის წინაშე.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 10)

მაშასადამე, როდესაც ჩვენ უთანასწორობის უშუალო მონმენი ვხდებით, მის დასაბუთებას ველით. თანასწორი ღირსების, თავისუფლებაში დამოუკიდებელი ცხოვრების თანაბარი უფლებისა და პოლიტიკური მონაწილეობის თანაბარი უფლების ვარაუდისას უთანასწორობის ნებისმიერი გამოვლენა დასაბუთებული უნდა იყოს.

მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს ეხება თუ შემოსავლისა და კეთილდღეობის განაწილებასაც? ერთი შეხედვით, თანასწორობის პრინციპის გამოყენება რთული არ უნდა იყოს, თუმცა რამდენიმე კითხვა მაინც ჩნდება. თანასწორობის პრინციპი გამოყენებული უნდა იქნეს პირთა მიმართ თუ ოჯახის (შინამეურნეობის) მიმართ? ეს შემოსავლების თანასწორობასა და ცხოვრების პირობების თანასწორობასთანა დაკავშირებული? და რა შეიძლება ითქვას თანასწორობის დამკვიდრების დროზე: ეს უნდა მოხდეს განსაზღვრულ პერიოდში, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე თუ უწყვეტად?

უთანასწორობის
ნებისმიერი
გამოვლენა
დასაბუთებული
უნდა იყოს

რა განზომილებები
აქვს
თანასწორობას?

ცხოვრების პირობების მეთოდი

კნუტ ლამბერტინი და კრისტიან კრელი

ცხოვრების პირობების მეთოდი არის კონცეფცია, რომელიც სხვა კონცეფციებთან ერთად **გერჰარდ ვაისერმა** შეიმუშავა და რომელიც სიღარიბისა და კეთილდღეობის მრავალგანზომილებიან ბუნებას ითვალისწინებს. გერჰარდ ვაისერი (1898-1989) იყო მინისტრი, სოციალური მეცნიერი, კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორი, აქტიური პროტესტანტი და ერთგული სოციალ-დემოკრატი. 1954 წლიდან 1970 წლამდე იგი ფრიდრიხ ებერტის ფონდს თავმჯდომარეობდა.

განაწილების პოლიტიკისადმი მისეული მიდგომის მთავარი პოსტულატი ასეთია: „განაწილება ცხოვრების პირობებთანა დაკავშირებული“ („Verteilt werden Lebenslagen“). თავდაპირველად მან ივარაუდა, რომ განაწილების პოლიტიკაზე ფიქრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ მატერიალური მაჩვენებელი, არამედ ადამიანის მოთხოვნილებათა ყველა ასპექტი, მოქმედების ფარგლების, სოციალური კავშირებისა და კულტურული დონის ჩათვლით. იგი ითვალისწინებდა როგორც სოციალურ-ეკონომიკურ განზომილებებს, ისე კეთილდღეობის შესაძლებლობებს, რომლებიც მათ ახლავს, ისინი კი მხოლოდ მატერიალურ საგნებზე არ არის დამოკიდებული.

გერჰარდ ვაისერმა მისეული ცხოვრების პირობების მეთოდით თეორიული ნაშრომისა და პრაქტიკული ორიენტაციის სინთეზი მოახდინა. მან ზეგავლენა იქონია როგორც გსდპ-ის გოდესბერგის პროგრამაზე, ისე სოციალური დახმარების აქტზე და სიღარიბისა და კეთილდღეობის შესახებ მთავრობის მოხსენებებზე.

მისი იდეები გამოყენებულია გსდპ-ის 2007 წლის ჰამბურგის პროგრამაშიც, რომელიც მოითხოვს „თანასწორობას შემოსავლის, კეთილდღეობისა და ძალაუფლების განაწილებაში“ და შეიცავს მონოდებას მონაწილეობისა და ცხოვრების თანაბარი შანსების შესახებ.

მატერიალური
შედეგების
თანასწორობა...

ერთ-ერთი შესაძლებლობა იქნებოდა თანასწორობის მატერიალური შედეგების თანასწორობად განმარტება. იმის მიუხედავად, თუ ვინ რას მიაღწია, სახელმწიფოსაგან ყველა ერთი და იმავე ოდენობის მატერიალურ ღირებულებას მიიღებდა.

... ვერ იქნება
ერთადერთი
ლონისძიება

ასეთ მოდელთან დაპირისპირება სერიოზული კონტრარგუმენტებით არის შესაძლებელი. თანასწორობის მიზნის მუდმივი რეალიზაცია ვერ უთავსდება საბაზრო ეკონომიკას; იგი ასევე ეწინააღმდეგება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ უფლებებს (მაგალითად, საკუთრების უფლებას). მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ თანასწორობა ვერ იქნება ერთადერთი პრინციპი, რომელსაც განაწილება უნდა დაეფუძნოს.

შრომითი წვლილი და მოთხოვნილება ის ორი სხვა პრინციპია, რომელთა შესაბამისადაც უნდა განაწილდეს საქონელი და რესურსები. აქედან გამომდინარე, შეიძლება კი ამ ორი კრიტერიუმით უთანასწორობის გამართლება?

3.2. შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა

მაგალითი:
თანაბარი
ანაზღაურება
თანაბარი
შრომისთვის

ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სამართლიანობის ყველაზე ჯეროვანი პრინციპი, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელია განაწილებასთან დაკავშირებული განსხვავებების გამართლება, შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობაა. შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა, ანუ შრომითი წვლილის პრინციპი, მოითხოვს, რომ თანაბარი წვლილი და არათანაბარი წვლილი თანასწორად არ იქნეს განხილული. სამართლიანობის ამ აქსიომის ტიპური მაგალითია „თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისთვის“.

„სოციალურ დემოკრატიას – იმ წინასწარშექმნილი აზრის უარსაყოფად, რომ იგი კვლავ გათანაბრებულია მასთან – ყოველთვის ლეგიტიმურად მიაჩნდა განსხვავებები საქონლისა და რესურსების განაწილებაში, თუკი იგი ეფუძნებოდა კონკრეტულ მოთხოვნებს ან შრომით წვლილს, ან მოპოვებასთან დაკავშირებულ განსხვავებებს, რომლებიც საგულისხმო, ადვილად ამოსაცნობი და შეფასებადია.“ (თირზე 2005: 14)

როგორ შეიძლება
შეფასდეს შრომითი
წვლილი?

თუმცა ყოველთვის ასე ადვილი არ არის იმის თქმა, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს შრომითი წვლილი ან დამსახურება. ის იგივეა, რაც კონკრეტული მოქმედების შედეგი? ან იმ ძალისხმევის – ანუ პრობლემების გადაჭრისა და მონდომების – შედეგი, რომელიც ამ მოქმედებას დასჭირდა? გარდა ამისა, რა როლს ასრულებს ტალანტი შრომითი წვლილის შეფასებისას? უნდა და-

ფასდეს თუ არა კონკრეტული ნიჭი, რომელიც ადამიანს დაბადებიდან დაჰყვა და, ამრიგად, მისი მიღწევა შეუძლებელია?

„მხოლოდ უფალს, რომელმაც იცის, რა საიდუმლო ძევს კაცის გულში, შეუძლია საჭირო განაწილების განხორციელება. თუკი ადამიანი უნდა იშრომოს, მაშინ განაწილების მექანიზმს ადრეულ ეტაპზევე ხელში ჩაიგდებს არისტოკრატთა ჯგუფი (ისინი ასე მოიხსენიებენ საკუთარ თავს) ფიქსირებული კონცეფციით იმის შესახებ, თუ რა არის საუკეთესო და ყველაზე ღირსეული, და ისინი უგულვებელყოფენ სხვადასხვა უპირატესობას, რომლებითაც თანამოქალაქეები მათზე აღმატებული არიან.“ (ვალცერი 2006: 56)

გამოკითხვები და კვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანთა უმრავლესობა შრომით წვლილში სამი ფაქტორის – შედეგის, ძალისხმევისა და ნიჭის – კომბინაციას გულისხმობს. ამასთანავე, შედეგი და ძალისხმევა უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია.

ამის საწინააღმდეგოდ, მრავალ ადამიანს მიაჩნია, რომ ინდივიდუალური ნიჭი შრომითი წვლილის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ძალისხმევასთან კომბინაციაში.⁴ თუმცა შედეგის, ძალისხმევისა და მონდომების დონე გარედან განსაკუთრებით ძნელი შესაფასებელია.

ცხადია, შრომითი წვლილის პრინციპის ერთგვაროვანი გამოყენება ადვილი არ არის. საკითხის ნაკლებად რთული გადაწყვეტა იქნება შრომითი წვლილის განსაზღვრის ბაზრისთვის მინდობა. თუმცა ამასაც მოჰყვება თავისი შედეგები: ბაზარი ყოველთვის სათანადოდ არ აფასებს შრომით წვლილს ინდივიდუალური ძალისხმევისა და ერთუზიანობის გათვალისწინებით.

პირიქით, იგი, უპირველეს ყოვლისა, შედეგზეა ორიენტირებული. სხვათა შორის, ამის გამო შემოსავლებს შორის განსხვავება, რომელიც ადამიანებს სამართლიანად მიაჩნიათ ინდივიდუალური შრომითი წვლილის შესაბამისად, რეალურად არსებულ განსხვავებაზე ბევრად ნაკლებია (მილერი 2008: 112).

აქ კიდევ უფრო ძირეული პრობლემა არსებობს: მრავალი საქმიანობა – განსაკუთრებით ოჯახში (ზრუნვა, ბავშვების გაზრდა, მოვლა) – ანაზღაურებადი არ არის. ვინაიდან ასეთ სამუშაოს კვლავ არაპროპორციულად ქალები ასრულებენ, აქ უთანასწორობას ორი დონე აქვს:

1. მრავალი ადამიანის საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი.
2. ეს უსამართლობა ყველაზე მეტად ქალებზე ახდენს გავლენას.

სამართლიანობის ამ პრინციპის გამოყენება ყველაზე მკაფიოდ ჩანს უმუშევრობის დაზღვევისა და საპენსიო დაზღვევის მაგალითზე. ორივე შემ-

4 სამართლიანობისადმი დამოკიდებულების საინტერესო მიმოხილვა იხ. გამოცემაში: მილერი (2008), მე-4 თავი.

შრომითი
წვლილი: შედეგი,
ძალისხმევა, ნიჭი

ბაზრის მიერ
შრომითი წვლილის
შეფასება ...

... უპირველეს
ყოვლისა,
შედეგზეა
ორიენტირებული

პრობლემა:
ბაზარი ყველა
საქმიანობას არ
ითვალისწინებს

შრომითი წვლილის
პრინციპის
გამოყენება:
უმუშევრობის
დაზღვევა
და საპენსიო
დაზღვევა

თხვევაში სარგებლის ოდენობა დაგროვილი შენატანების ოდენობაზეა დამოკიდებული: პენსიებთან მიმართებით ეს მუშაობის პერიოდში დაგროვილი შენატანებია, ხოლო უმუშევრობის დაზღვევის სარგებლის ოდენობა დასაქმების ბოლო წლის საშუალო ხელფასის შესაბამისად განისაზღვრება.

ჯანდაცვის სისტემაში შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის პრინციპი მხოლოდ შეზღუდულად გამოიყენება. ჯანდაცვის მომსახურებების შრომითი წვლილის შესაბამისად განაწილება არაპირდაპირ ხდება, რაც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზღვევის კანონით გათვალისწინებული და კერძო სქემების არსებობით, რომლებიც, თავის მხრივ, ხელფასზეა დამოკიდებული.⁵

განათლების
სისტემაში
გამოყენება

ეს პრინციპი გამოიყენება განათლების/მომზადების სისტემაშიც. საბაზისო განათლების ზედა საფეხურზე სწავლას მხოლოდ ის აგრძელებს, ვინც განათლების ან მომზადების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სხვა სფეროებში, რომლებიც ჩვენ (ადრე) განვიხილეთ, შრომითი წვლილის ინდიკატორი შემოსავალია, განათლების/მომზადების სისტემაში შემდგომი საფეხურის ხელმისაწვდომობას აკადემიური ნიშნები და საბოლოო გამოცდები განსაზღვრავს.

3.3. მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანობა

„თითოეული-
საგან – უნარის
მიხედვით,
თითოეულს –
მოთხოვნების
მიხედვით!“

მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანობა კარლ მარქსმა გოთას პროგრამის გაკრიტიკებისას ამგვარად განსაზღვრა: „თითოეულისაგან – უნარის მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნების მიხედვით!“ თუმცა იგი არ გულისხმობდა, რომ ეს პოლიტიკური ამოცანა უნდა ყოფილიყო. მას მიაჩნდა, რომ ეს პრინციპი თავისთავად იქნებოდა რეალიზებული კომუნისტური საზოგადოების მომდევნო ეტაპებზე, რის შედეგადაც სამართლიანობის კონცეფცია დრომოჭმული გახდებოდა.

არის კი
ინდივიდუალური
სურვილები
საზომი?

მოთხოვნებისა და ნდომის როგორი აღქმა იქნება თანამედროვე საზოგადოებაში საქონლის განაწილების შესაფერი საფუძველი? სავარაუდოდ, ისინი ინდივიდუალური სურვილების სინონიმები იქნება. მრავალი ადამიანი შეიძლება ნატრობდეს ვილას გარშემო უზარმაზარი პარკით. თუმცა რესურსების სიმწირის გამო მალე ცხადი გახდება ამ სურვილის ასრულების შეუძლებლობა.

⁵ მე-7 თავის შესაბამის განყოფილებებში დეტალურადაა განხილული სამართლიანობის პრინციპები, რომლებიც სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროში გამოიყენება.

ალტერნატიული ხედვის შესაბამისად, ისინი ალკმული უნდა იქნეს პირობებად, რომლებიც მოცემულ საზოგადოებაში ღირსეული ცხოვრებისთვისაა აუცილებელი. ამავე იდეას შეესაბამება ადამ სმიტის კონცეფცია აუცილებელი საგნების (რომლებსაც ის „necessaries“-ს ეძახდა) შესახებ.

„აუცილებელ საგნებში მე ვგულისხმობ არა მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის საგნებს, არამედ იმ საგნებსაც, რომლებიც პატივმოყვარე ადამიანებს, თუნდაც ყველაზე დაბალი კლასის წარმომადგენლებს, უნდა ჰქონდეთ, მათი ქვეყნის წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე.“ (სმიტი 1978 [1776]): 747)

მაშასადამე, მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანობის მიზანი ძირითად მოთხოვნებათა ადეკვატურ, საშუალო ან მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილებაა. მაგრამ, ეს დეფინიცია თუნდაც იმას ნიშნავდეს, რომ ზემოხსენებული ვილა არ შეიძლება ძირითად მოთხოვნებებს მიეკუთვნებოდეს, რაიმე მკაფიო და დამკვიდრებული გამყოფი ხაზი არ არსებობს. ცნობილია, ზუსტად რა საქონელია საჭირო ღირსეული ცხოვრებისთვის? ცხადია, ეს მთლიანად თითოეული საზოგადოების გარემოებებზეა დამოკიდებული. დღეს ტელეფონი, ტელევიზორი და ინტერნეტი შესაძლებელია ძირითადი მოხმარების საგნებს მიეკუთვნოს, 1960-იან წლებში კი ასე არ იყო.

მაგრამ პრობლემების წარმოშობა ან მათი გადაჭრის აუცილებლობა მხოლოდ ტექნიკურ და ცხოვრებისეულ ცვლილებებთან არ არის დაკავშირებული. რა უნდა ქნან ადამიანებმა, რომელთა მოთხოვნები არ არის შედეგი უიღბლობისა, უბედური შემთხვევისა ან რაიმე სხვა მიზეზისა, რომელიც მათ კონტროლს არ ექვემდებარება? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა უნდა ქნან ადამიანებმა, რომელთა სავალალო მდგომარეობა მთლიანად მათგან მომდინარეობს? სახელმწიფო მათ მიმართაც იმდენად ვეა პასუხისმგებელი, რამდენადაც იმ შეჭირვებულთა მიმართ, რომლებმაც ყველაფერი ილონეს ზიანის თავიდან ასაცილებლად?

მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანობის პრინციპის გამოყენება შეიძლება კიდევ უფრო რთული იყოს ისეთი საქონლის მიმართ, რომელიც ვერ გაიყოფა. ასეთია, მაგალითად, გადასანერგი ორგანოები. როგორ უნდა გადაწყდეს, ვინ უნდა მიიღოს სიცოცხლის გადამრჩენი ტრანსპლანტი, როდესაც იგი ერთზე მეტ ადამიანს სჭირდება?

ცხადია, მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანობის ძირითადმა იდეამ, ღირსეულ ცხოვრებაზე მითითებით, გერმანიის ძირითად კანონში სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ჩართვა გამოიწვია. ამრიგად, ადვილი შესამჩნევია, რომ აქაც კი მისი პრაქტიკაში გამოყენება ყოველთვის მარტივი არ არის.

მოთხოვნლება: რა არის აუცილებელი ღირსეული ცხოვრებისთვის?

პირველი პრობლემა: მატერიალური გამყოფი ხაზი

მეორე პრობლემა: სად მთავრდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა?

მესამე პრობლემა: როგორ გაყოფენ განუყოფელ საქონელს?

მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანობა სოციალური სახელმწიფოს გამობატვის პრინციპია

ჯანდაცვის
სისტემაში
გამოყენება

მაგრამ იგი გერმანული სოციალური სახელმწიფოს რამდენიმე საკვანძო სფეროში მოქმედებს. ჯანდაცვის სისტემაში ამ პრინციპის გამოყენება შედარებით ნათელია. დაავადებათა მკურნალობა ძირითადად მოთხოვნილების შესაბამისად ხდება, თუმცა ზოგიერთ სფეროში არის გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის პრინციპითაა გამონეული.

ALG II: საბაზისო
დაზღვევის
პრინციპი

მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობის პრინციპი ყველაზე უკეთ ჩანს ეგრეთ წოდებული უმუშევრობის II შემწეობის (Arbeitslosengeld II – ALG II) მაგალითზე, რომელმაც საშემოსავლო დახმარება შეცვალა. აქ მთავარი იდეა არის მკაფიო საბაზისო დაზღვევა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მინიმალური ღირსეული ცხოვრების დონე ყველასთვის.

სადავო საკითხი:
მოთხოვნილების
დონე

აქაც აშკარად ვლინდება ამ პრინციპის განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეები. დახმარების ოდენობა სისტემატური (და ცხარე) კამათის საგანია: ზოგს მიაჩნია, რომ დახმარება მცირეა და ვერ უზრუნველყოფს ღირსეული ცხოვრების დონეს, სხვების აზრით კი, დახმარება იმდენად დიდია, რომ ადამიანებს ალარ აქვთ სამუშაოს ძებნის სტიმული.

ადამიანის ღირსება
ვერ შეფასდება

თუმცა ეს უკანასკნელი უმთავრესად ქმედითობაზე დაფუძნებული არ-გუმენჯია და არა სამართლიანობის საკითხი. ადამიანის ღირსება ვერ შეფასდება ქმედითობის ან რაიმე სხვა საფუძველზე. მკაცრად რომ ვთქვათ, წინააღმდეგობა შეიძლება მხოლოდ მაშინ წარმოიშვას, როდესაც დგება საკითხი, არის თუ არა დახმარება საკმარისი ინდივიდის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

3.4. შანსების თანასწორობა

შანსების
თანასწორობა–
უმთავრესი
პრინციპი

შანსების თანასწორობა – სამართლიანობის მეოთხე პრინციპი, რომელიც აქ არის განხილული – დანარჩენი სამისაგან ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლით განსხვავდება: შედეგის თანასწორობა, შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა და მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

შანსების
თანასწორობა –
შრომითი წვლილის
პრინციპის
წინაპირობა

მათგან განსხვავებით, შანსების თანასწორობა ხელს უწყობს შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის შედეგის თანასწორობასთან დაახლოებას და, გარკვეული თვალსაზრისით, იგი აუცილებელი პირობაა ამ ორი პრინციპის განხორციელებისთვის. მაგრამ ჯერ მთავარზე ვისაუბროთ.

შანსების თანასწორობის შემთხვევაში, სხვა კონცეფციებისაგან განსხვავებით, მკაფიოდ ჩანს, რომ იგი გარკვეულ მატერიალურ სიკეთეს ითვალისწინებს. ეს პრინციპი არ ეხება ზოგადად საქონლისა და რესურსების განაწილებას. იგი მკაფიოდ მიუთითებს შანსების თანასწორ განაწილებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას ეხება.

ამოსავალი
ნერტილი:
სასტარტო
პირობები

თუკი ეს თანასწორობა უზრუნველყოფილია, მაშინ სამართლიანია ყველა შემდგომი უთანასწორობა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს შემოსავლის განაწილების, სტატუსის ან სხვა სფეროებში. აქ შესაძლებელია შრომითი წვლილის პრინციპის გამოყენება, რადგან თავდაპირველი პირობები ყველასთვის ერთნაირია. რა არის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო საწყისი პირობები, რომლებიც თავდაპირველად ძალზე არათანაბრად განაწილებული ადამიანთა შორის და პიროვნების ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე? მაგალითად, შანსების უთანასწორობა თანდაყოლილი უნარების განსხვავების, მშობელთა განსხვავებული შესაძლებლობების, გენდერისთვის დამახასიათებელი როლების განაწილების და განათლებისა და მომზადების განსხვავებული ღონეების შედეგად წარმოიშობა.

რა ახდენს
გავლენას
სასტარტო
პირობებზე?

თუმცა შანსების თანასწორობის დროს ადამიანი შეიძლება დადგეს იმ საფრთხის წინაშე, რომ თანაბარი შანსების არსებობის შემთხვევაშიც კი სიტუაცია მყისიერად შეიცვალოს და შანსები კვლავ არათანაბარი გახდეს. ამიტომ შანსების თანასწორობის თანამედროვე თეორიები უფრო „ცხოვრების შანსების თანასწორობისკენ“ იხრება. ამ კონცეფციით სამართლიანობა სახელმწიფოსაგან მოითხოვს არა ერთჯერად ჩარევას, არამედ უწყვეტ კორექტირებას სამართლიანობის დამყარებისა და შენარჩუნებისთვის.

ცხოვრების
შანსების
თანასწორობა

მაგრამ აქაც ისმება კითხვა: სახელდობრ, რა უნდა განაწილდეს თანაბრად იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შანსების თანასწორობა? ერთი ვერსიით, ეს უთანასწორობის გამომწვევ მიზეზებს უნდა დაუკავშირდეს. არათანაბარი ცხოვრების პირობები, რომლებიც ინდივიდუალურ მიზეზებს ეფუძნება, არ ამართლებს სახელმწიფოს ჩარევას.

მიზეზების
დიფერენცირება:
ინდივიდუალური
მიზეზები...

და პირიქით, უთანასწორობა, რომელიც წარმოიშობა ნიჭისა და უნარების საფუძველზე, რომლებზედაც გავლენის მოხდენა შეუძლებელია (ისინი „ბუნებისგანაა ბოძებული“), სახელმწიფოს მოქმედებით უნდა დაბალანსდეს. ეს განსხვავება დამაჯერებლად ჟღერს, თუმცა პრაქტიკაში უთანასწორობის გამომწვევი სამართლიანი და უსამართლო მიზეზების ერთმანეთისაგან მკაფიო გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია.

...ან „ბუნებისგან
ბოძებული“

„ერთი მხრივ, იმის შიშით, რომ თანასწორობა დაირღვევა, ჩვენ ნება უნდა დავრთოთ, რომ რესურსების განაწილება ნებისმიერ კონკრეტულ მომენტში ამბიციისაზე იყოს [...] ორიენტირებული. [...] მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ არასოდეს არ უნდა დავუშვათ, რომ რესურსების განაწილება ოდესმე უნარზე იყოს ორიენტირებული, ანუ მასზე გავლენას ახდენდეს ასეთ შესაძლებლობებში არსებული განსხვავებები, რომლებიც თავისუფალი, კონკურენტული ეკონომიკის მქონე საზოგადოებებში ერთნაირი ამბიციების ადამიანებს შორის განსხვავებულ შემოსავლებს წარმოშობს.“ (დეორკინი 1981: 311)

„შესაძლებლობები“

ამიტომ სხვებს მიაჩნიათ, რომ ყურადღება უნდა მიექცეს „შესაძლებლობა-თა“ განაწილებას. ყველა უნდა იყოს უზრუნველყოფილი კომპეტენციებით, რაც მათ თავიანთი ცხოვრების გეგმის შესრულების საშუალებას მისცემს. პიროვნების ცხოვრების შანსების უზრუნველსაყოფად სოციალური პოლიტიკა არ უნდა გეგმავდეს უთანასწორობის მომავალში აღმოფხვრას. პირიქით, სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, ადამიანები ისეთი საშუალებებით უზრუნველყოს, რომ მათ თავიდან აიცილონ უნებლიე და მუდმივი სოციალური სიდუხჭირე ან სულაც გარიყვა.

თანაბარი შანსების
მთავარი არეალი:
განათლების/
მომზადების
პოლიტიკა

ამის გათვალისწინებით, სამართლიანობის ამ პრინციპის თანახმად, სამართლიანი საწყისი პირობები იმდენად ძირეული საკითხია, რომ დამაჯერებლად შეიძლება ითქვას: განათლების/მომზადების პოლიტიკა გამოყენების ძირითადი სფერო იქნება. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მომსახურება – დანაყოფილი დღიური მზრუნველობის ცენტრებით იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლებიც სრულ განაკვეთზე მუშაობენ (გერმანიაში მათ „Kitas“-ს უწოდებენ), დამთავრებული პროფესიული სწავლებით – ნათლად უჩვენებს, რომ სახელმწიფოს თავის ამოცანად მიაჩნია განათლების/მომზადების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის.

გერმანია: შანსები
თანაბარი არ არის
– იხ. თავი 7.5. განათლება/მომზადება

მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) ბოლო წლების კვლევების შედეგები უჩვენებს, რომ შანსების თანასწორობა გერმანიის განათლების/მომზადების სისტემაში კვლავ იშვიათი ხილია (იხ. თავი 7.5.: განათლება/მომზადება).

3.5. შეჯამება

ეპლერი: აბსოლუტური სოციალური სამართლიანობა არ არსებობს

ერჰარდ ეპლერი ამ საკითხს ნათლად აყალიბებს: „პოლიტიკურად, აზრი არა აქვს, ვიტანჯოთ აბსოლუტური სოციალური სამართლიანობისთვის. ასეთი რამ არ არსებობს“ (იხ. თავი 3.6.: ექსკურსი: ერჰარდ ეპლერი „სამართლიანობის“ ცნების შესახებ).

პოლიტიკას
კომპასი სჭირდება

სამართლიანობის მხოლოდ ერთი კონცეფციით ხელმძღვანელობა, რომლის შესაბამისადაც უნდა იქნეს ორგანიზებული ყველა პოლიტიკური და სოციალური სფერო, არა მხოლოდ ილუზორულია, არამედ უკიდურესად არადემოკრატიულიც. სინამდვილეში ადამიანებს სამართლიანობაზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ.

სოციალური
სამართლიანობა:
პოლიტიკის
მთავარი ამოცანა

სხვადასხვა პრინციპის ირგვლივ გამართული დებატები ადასტურებს, რომ პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში სამართლიანობის კონკრეტულ სენტენციებს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად ამისა, პოლიტიკას სჭირდება კომპასი, რომელიც გადანყვეტილებების მიღებისას უნდა იქნეს გამოყენებული.

რას ნიშნავს ეს სოციალური დემოკრატიისთვის?

- დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის თანაბარი ღირსება და თანაბარი შანსები საზოგადოების რესურსების სამართლიან განაწილებას მოითხოვს.
- სამართლიანი განაწილების საკითხი შეიძლება ოთხი პრინციპის – თანასწორობის, შრომითი წვლილის ან შესრულების შესაბამისი სამართლიანობის, მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობის და შანსების თანასწორობის – საფუძველზე იქნეს განხილული.
- ეს პრინციპები სხვადასხვა სფეროში განსხვავებულად უნდა აინონოს. თანასწორობა, შრომითი წვლილის ან შესრულების შესაბამისი სამართლიანობა და მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა ერთმანეთს ზღუდავს. შანსების თანასწორობა ყოველმომცველი პრინციპია. იგი სხვა პრინციპების გამოყენების პირობაა, განსაკუთრებით – შრომითი წვლილის ან შესრულების შესაბამისი სამართლიანობისა.

3.6. ექსკურსი: ერჰარდ ეპლერი „სამართლიანობის“ ცნების შესახებ

ერჰარდ ეპლერი 1926 წელს დაიბადა. მას სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, მათ შორის, იყო პარლამენტის წევრი და მთავრობის მინისტრი, აგრეთვე გსდპ-ის საბაზისო ღირებულებათა კომისიის თავმჯდომარე 1973-1992 წლებში.

„შეიძლება მართალი იყოს, რასაც ხშირად გვიქადაგებენ: სამართლიანობის განსაზღვრა, გარანტირება, გაზომვა და, რაც მთავარია, აღსრულება შეუძლებელია. მკვლევარის მცდელო-

ბისთვის მოსამართლის მიერ განსაზღვრული სასჯელის სამართლიანობას პროკურორი და ადვოკატი განსხვავებულად აფასებენ; მაშინაც კი, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მკვლევლის მცდელობა არ ყოფილა. დააბრუნებს კი ზემდგომი ინსტანციის სასამართლო სამართლიან ვერდიქტს? თუ წლიური ანგარიშები სწორია, შესაძლებელია მათი შემომშება, გადაანგარიშება და განსაზღვრა. აბსოლუტურ სამართლიანობასთან მიმართებით ეს შეუძლებელია. ანგარიშების ბალანსის დასადგენად საჭიროა ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გაანგარიშება და იცინან, რა როგორ უნდა იყოს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტური სამართლიანობა კაცობრიობისთვის მიუწვდომელია.

ეს კიდევ უფრო მიესადაგება ეგრეთ წოდებულ „სოციალურ სამართლიანობას“. ჩვენ მას ვერასოდეს მივალწევთ, რადგან ვერასოდეს შევთანხმდებით, რა არის იგი. შემოსავლის სამართლიან განაწილებაზე თვითდასაქმებული დურგლის შეხედულება საგულისხმოდ განსხვავდება იმისგან, რაც ამავე საკითხთან დაკავშირებით ეგრეთ წოდებული ჰარც IV დახმარების [ხან-

დამატებითი
ლიტერატურა:
ერჰარდ ეპლერი
(2009),
*Der Politik
aufs Maul geschaut,*
გამომცემლობა:
J. H. W. Dietz,
ბონი.

გრძლივი უმუშევრობის შემწეობა; ოფიციალურად ცნობილია სახელწოდებით „უმუშევრობის II შემწეობა“ – იხ. ზემოთ) მიმღებს, შემნახველი ბანკის დირექტორს ან მთავრობის მინისტრის თანაშემწეს აქვს.

თითქმის ყველა აღიარებს, რომ ტოტალური სამართლიანობა, ყველა სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების თვალსაზრისით, არც სამართლიანი იქნებოდა და არც ეკონომიკისთვის სასარგებლო. მაგრამ უნდა მიიღონ კი კომპანიის საბჭოს წევრებმა კვალიფიციურ მუშაკზე ოცჯერ ან ასჯერ მეტი ან თუნდაც მხოლოდ ხუთჯერ მეტი ხელფასი? ოცდაათი წლის წინ დირექტორის ხელფასი, ზოგადად, ოცჯერ აღემატებოდა მუშაკთა ხელფასებს. დროთა განმავლობაში, მრავალ შემთხვევაში, ისინი ასჯერ გაიზარდა. ჩვეულებრივ, ამას „შეუდარებლად დიდი პასუხისმგებლობით“ ამართლებენ. მაგრამ მაშინ რატომ არის გერმანიის კანცლერის შრომის ანაზღაურება მხოლოდ რაღაც ნაწილი ბანკის დირექტორის შემოსავლისა? კანცლერს ნაკლები პასუხისმგებლობა აკისრია? რა თქმა უნდა, ჭკვიანი ეკონომისტები გვეტყვიან: შეწყვიტეთ ეს უაზრო ტიტინი სამართლიანობაზე და იმას დასჯერდით, რასაც ბაზარი არგუნებს ადამიანებს. თუკი ბაზარს იმაზე ნაკლები არაკვალიფიციური მუშახელი სჭირდება, ვიდრე სამუშაოს მაძიებელია, მაშინ ხელფასები შემცირდება, ხოლო თუ უნარიანი მენეჯერები იშვიათობაა, მათი ხელფასები გაიზრდება. ბაზრის გადანყვეტილება ნათელი და ზუსტია: ამაზე მსჯელობის გაგრძელებას აზრი არა აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, ბაზარი აჯილდოებს მწარმოებელსა და უნარიანს და სჯის ზარმაცსა და უმაქნისს.

მაგრამ ამას აზრი მხოლოდ იმ ადამიანებისთვის აქვს, რომლებიც დაბეჯითებით აცხადებენ, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ყველაფრის მეცნიერულად დასაბუთება, განსაზღვრა და გაზომვა. ადამიანებს გრძნობები, იმედები და მოთხოვნილებებიც აქვთ. ამასთანავე, საკვებისა და წყლის მოთხოვნილების გარდა, არსებობს აღიარების, ყურადღების, უსაფრთხოების, აგრეთვე სამართლიანობის მოთხოვნილება. „სამართლიანობის შიმშილი“ აშკარაა. ეს უფრო ნაკლებად გამოიხატება სამართლიანობის ბუნების შესახებ ჭკვიანურ ტრაქტატებში, ვიდრე უსამართლობის მძაფრ განცდაში. ცხადია, რომ ეს გრძნობა სუბიექტურია და რომ თითოეულ ჩვენგანში იგი თავისებურად აისახება. თუმცა ის ძლიერი, ძირეული და დაუძლეველია. იგი ადამიანებს წინსვლის სურვილს უნარჩუნებს, მისი მოსპობით კი კაცობრიობა ილუპება.

ამის დანახვა ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში ან დაწყებით სკოლაში შეიძლება. მასწავლებლები, რომლებსაც უსამართლოს სახელი აქვთ, რადგან რომელიმე ბავშვს სხვებზე მეტ ყურადღებას აქცევენ, თავიანთ რეპუტაციას დიდ რისკს უქმნიან. თუმცა საცხებით ადამიანურია, რომ უფრო მოგვწონდეს მომხიბლავი, ჭკვიანი და, რა თქმა უნდა, ახლობელი ბავშვი, ვიდრე ზარმაცი, მძიმე და უინტერესო.

როდესაც ბავშვები იზრდებიან, ისინი ხვდებიან, რომ ამ სამყაროში მუდმივად არაფერი არ არის სრულყოფილად სამართლიანი, ან, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ისეთი სამართლიანი, როგორც, მათი აზრით, უნდა იყოს. აი, თუნდაც უფროსი დის მაგალითი, რომელიც ყოველთვის იპოვის მიზეზს, რატომ

უნდა დაიძინოს უფრო გვიან, რატომ უნდა ჰქონდეს კონკრეტული წიგნი ან ველოსიპედი და რატომ არა აქვს დრო ბაღში დასახმარებლად.

თვით დანყებითი სკოლის მოსწავლეებსაც კი უხდებათ იმ ფაქტთან შეგუება, რომ მათი მეგობრის მამას დიდი „მერსედესი“ ჰყავს, ხოლო მათ მამებს – ძველი „გოლფი“, ან რომ ცხენოსნობაზე მათი მეგობარი დადის და არა ისინი, თუმცა ცხენები სიგიჟემდე უყვართ. ისინი არ ფიქრობენ, რომ ეს სამართლიანია, მაგრამ ეს მათ მეგობრობას ხელს არ უშლის. თუმცა ისინი აღშფოთდებოდნენ, თუკი მათ მეგობარს დედა მათთან თამაშს იმ მიზეზით დაუშლიდა, რომ ისინი „საკმარისად კარგები არ არიან“. ბავშვებმა იციან, რომ ისინი იძულებული არიან – და შეუძლიათ – იცხოვრონ უსამართლობის კონკრეტულ პორციასთან შეგუებით, მაგრამ გარკვეულ საზღვრებში.

საზოგადოებაშიც ასე ხდება. იგი ათასობით მცირე თუ დიდი უსამართლობის ფონზე ცხოვრებას სწავლობს. ყველა ვერ იღებს ცხოვრებისაგან იმას, რაც სურს. ჩვეულებრივ, ქალიშვილის გამოცდებისთვის მოსამზადებლად მილიონერს უფრო მეტი არჩევანი აქვს, ვიდრე მენაგვეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ გაბრაზდება, როდესაც იგრძნობს – მილიონერის ქალიშვილმა მარტო იმიტომ ჩააბარა გამოცდები, რომ მასწავლებელს მისი ძლევა მოსილი მამის განაწყენება არ სურდა. ასეთი უსამართლობა უბრალოდ დაუშვებელია.

პოლიტიკურ ქრილში აბსოლუტური სოციალური სამართლიანობის საკითხი არ მწვავდება. ასეთი რამ არ არსებობს. პოლიტიკურ ქრილში ყურადღება ექცევა დასაშვებ და დაუშვებელ უსამართლობათა შორის გამყოფ ხაზს. რეალურად არავინ გაბრაზებულა, როდესაც მენეჯერი მუშაკებზე ოცჯერ მეტ ხელფასს იღებდა. თუმცა როდესაც ამ რიცხვმა ორასს მიაღწია, ადამიანთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ამის ატანა არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, როდესაც ეს მენეჯერი მუშაკებს სამსახურიდან ათავისუფლებდა შემოსავლების გაზრდის მიზნით. მდივნებს არ აღეგებდათ ის, რომ მათ უფროსს ბევრად მეტი შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ, როგორც კი გაიგეს, რომ იგი მათზე ნაკლებ გადასახადს იხდიდა, რადგან გადასახადისთვის თავის ასარიდებელი ხერხები იცოდა, ისინი განრისხდნენ.

ამჟამად მოსახლეობის სამ მეოთხედს მიაჩნია, რომ გერმანიაში მოვლენები უსამართლოდ ვითარდება, მრავალ მათგანს კი არ სჯერა, რომ მდგომარეობა ოდესმე გამოსწორდება – დასაშვებსა და დაუშვებელს შორის გამყოფი ხაზი ამჟამად გადაიკვეთა. შემთხვევითი არ არის, რომ გამოკითხვამ ეს ვითარება 2008 წელს გამოავლინა, რადგან ბაზრის ფუნდამენტალისტთა ეპოქა დასრულდა. როდესაც უსამართლობას უჩივის არა მხოლოდ ღარიბი და დაჩაგრული, არამედ ყველა, ვისაც საკუთარი თავი მდიდრად არ მიაჩნია, მაშინ საფრთხეა მოსალოდნელი. ასეთ მდგომარეობას დიდხანს ვერცერთი საზოგადოება ვერ შეეგუება. მამასადამე, სოციალური სამართლიანობა არის არა სოციალური რომანტიკით გატაცება, არამედ საკვანძო პოლიტიკური ამოცანა, რომელიც არასოდეს სრულდება.“ (ეპლერი 2009: 47-50)

4. სოციალური სახელმწიფოს გასაღები, ჯონსტროუქცია და არქიტექტურა

ამ თავში:

- აღწერილია სოციალური სახელმწიფოს საშენი მასალები – მომსახურებები და ფულადი და მატერიალური დახმარებები, სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროს მნიშვნელობათა გათვალისწინებით;
- წარმოდგენილია სოციალური სახელმწიფოს ძირითადი ტიპების – ლიბერალური, კონსერვატიული და სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფოების – არქიტექტურა; და
- ნაჩვენებია, როგორ აისახება სოციალური სახელმწიფოს არქიტექტურის შედეგები მოსახლეობაზე.

გერმანული
სოციალური
სახელმწიფო ქვაზე
არ აღმოცენებულა

გერმანული სოციალური სახელმწიფოს ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორებიცაა საპენსიო დაზღვევა და უმუშევრობის დაზღვევა, 100 წელზე მეტი ხნის არის. ამ დროის განმავლობაში მრავალი დებულება უცვლელი დარჩა ან მცირე ცვლილებები განიცადა. ამის ერთ-ერთი შესაძლო (მაგრამ არა გარდაუვალი) შედეგი ისაა, რომ ზოგიერთი დებულება და მახასიათებელი შეუცვლელად იქნა მიჩნეული.

საერთაშორისო
შედარება
სასარგებლოა

თუკი გადავხედავთ მეზობელ ქვეყნებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ სოციალური დაცვის უზრუნველყოფის სხვა გზებიც არსებობს. ეს ასეა იმის მიუხედავად, რომ არსებული საშუალებები – მომსახურებები და ფულადი და მატერიალური დახმარებები – ყველგან ერთნაირია. თუ ბინათმშენებლობასთან ანალოგიას მივმართავთ, ეს საშენი მასალები შეიძლება სხვადასხვაგვარად განთავსდეს, გეგმებიდან გამომდინარე.

ამ თავში
წარმოდგენილია
საშენი მასალები,
არქიტექტურა და
დასკვნები

ეს მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ სახლებს განსხვავებული ინტერიერი ექნება. მათი მობინადრეებიც დიდ შედეგებს მიიღებენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ: ჩვენ უნდა გვექონდეს საშენი მასალები, რათა სხვადასხვა არქიტექტურული გადაწყვეტა აღწეროთ. სხვადასხვა არქიტექტურული ფორმის შესახებ დასკვნები მე-4 თავის მე-3 განყოფილებაშია განხილული.

4.1. სოციალური სახელმწიფოს საშენი მასალები და ინსტრუმენტები

სოციალური პოლიტიკა საშენი მასალებისა და ინსტრუმენტების ფართო სპექტრს მოიცავს. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკისთვის დამახასიათებელი საშუალება ფულადი დახმარებებია. უმუშევრობის შემწეობას, პენსიას ან ბავშვის დახმარებას უმუშევრებს, პენსიონერებსა და მშობლებს უხდია.

თუმცა სოციალურ სახელმწიფოს, ფულადი დახმარებების ან ტრანსფერების გარდა, სხვა ინსტრუმენტებიც აქვს. ჯანდაცვის პოლიტიკა, მაგალითად, ხელმისაწვდომს ხდის დაავადების ექიმის მიერ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, თერაპევტიკასა და მომვლელის მომსახურებებს. სერვისებს ითვალისწინებს განათლების/მომზადების და საოჯახო პოლიტიკაც: მასწავლებლები უზრუნველყოფენ აღსაზრდელთა განათლებას, ბავშვებს უვლიან დღიური მზრუნველობის ცენტრებსა და საბავშვო ბაღებში.

ფულად დახმარებებთან და მომსახურებებთან ერთად მატერიალური დახმარება სოციალური პოლიტიკის „საშენი მასალის“ ერთ მესამედს შეადგენს. მატერიალური დახმარების ერთ-ერთი სახეა მედიკამენტებით უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დაცვის პოლისის ფარგლებში.

გარდა ამისა, სოციალური პოლიტიკის არსენალშია გადასახადები და შენატანები. მათ დაფინანსებასთან ერთად გადანიღებისა და მეთვალყურეობის ეფექტიც აქვთ. რა სამშენებლო მასალები შეიძლება იქნეს გამოყენებული სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროში?

მასალები: უმუშევრობის დაზღვევა

უმუშევრობის დაზღვევა გამოიმუშავების ჩამანაცვლებელი დახმარების კლასიკური ნიმუშია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ანაცვლებს შემოსავალს და, ამრიგად, ყველგან ფულადი დახმარების სახეა.

თუმცა ისმება კითხვა: ხომ არ აჯობებდა, გამოიმუშავების ჩამანაცვლებელი დახმარების მაგივრად შეთავაზებული ყოფილიყო სხვა მომსახურება სამუშაოს შოვნის ალბათობის გაზრდის მიზნით? მრავალ ქვეყანაში მომზადებისა და გადამზადების უზრუნველყოფა დასაქმების მომსახურების საქმიანობის განუყოფელი ნაწილი ხდება. მაგრამ ასეთი მომსახურების ხარისხი და უმუშევრობის დაზღვევის უზრუნველსაყოფად არსებული ბიუჯეტები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. აქედან გამომდინარე, გონივრული იქნება, უმუშევრობის დაზღვევა არ შემოიფარგლოს ფულადი დახმარებებით და მასში გათვალისწინებული იყოს მომზადებისა და გადამზადების მომსახურებების ფორმები. (დამატებითი ინფორმაცია იხ. მე-7 თავის მე-2 განყოფილებაში.)

პირველი
ინსტრუმენტი:
ფულადი
დახმარებები

მეორე
ინსტრუმენტი:
სერვისები

მესამე
ინსტრუმენტი:
მატერიალური
დახმარება

არსენალში
ასევე არის:
გადასახადები და
შენატანები

კლასიკური
ფულადი
დახმარება

ასევე
სასარგებლოა:
სერვისები –
დამატებითი
ინფორმაციისთვის
იხ. თავი 7.2. შრომა

კლასიკური
ფულადი
დახმარება

მასალები: პენსია

უმუშევრობის დაზღვევისაგან განსხვავებით, საპენსიო დაზღვევა სოციალური სახელმწიფოს ის სფეროა, სადაც ფულად დახმარებებს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მოუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულობისას ჯანმრთელობის დაცვისა და მზრუნველობის სამსახურებზე დამოკიდებულების ალბათობა იზრდება, ეს სამსახურები საპენსიო დაზღვევის კომპონენტები არ არის.

მთავარი საკითხი:
როგორ დაფინანსდება იგი? დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი 7.3. პენსია

საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული მთავარი საკითხია, როგორ უნდა იქნეს გადახდილი პენსია. როგორია შენატანების როლი გადასახადების როლთან შედარებით? ამის შედეგია მოცემულ ქვეყანაში პენსიონერთა შორის შემოსავლების დონისა და ხანდაზმულობით გამოწვეული სიღარიბით განპირობებული პრობლემების რაოდენობის უთანაბრობა. (პენსიასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია იხ. მე-7 თავის მე-3 განყოფილებაში.)

მატერიალური
დახმარებისა და
სერვისების უზრუნველყოფა: ჯანმრთელობას ვერ იყიდი

მასალები: ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა

ჯანდაცვის სისტემაში გამოყენებული „ინსტრუმენტები“ საპენსიო სისტემის ინსტრუმენტების სანინალმდეგო ბუნებისაა: ეს უკანასკნელი ძირითადად ფულად დახმარებას ითვალისწინებს, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა კი – მომსახურების მიწოდებას და მატერიალურ დახმარებას. ამ თვალსაზრისით, სულ მცირე, ადამიანი ჯანმრთელობას ვერ იყიდის.

მთავარი საკითხი:
როგორ დაფინანსდება იგი? ვინ რა როლს შეასრულებს? დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი 7.4. ჯანდაცვა

აქედან გამომდინარე, დღის ნესრიგში დგება შემდეგი საკითხი: როგორ უნდა დაფინანსდეს მომსახურება და ვინ უნდა უზრუნველყოს იგი. გავრცელებულია მოსაზრება, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა არაეფექტიანია. პირიქით, კერძო და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სისტემებზე დაყოფამ ჯანდაცვის სისტემას შეიძლება ორდონიანობის საფრთხე შეუქმნას. (ჯანდაცვასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია იხ. მე-7 თავის მე-4 განყოფილებაში.)

სერვისების
უზრუნველყოფა

მასალები: განათლება/მომზადება

განათლების/მომზადების პოლიტიკა კიდევ ერთი სფეროა, სადაც ფულადი დახმარებები რაიმე განსაკუთრებულ როლს არ ასრულებს, რადგან იგი ძირითადად მომსახურებებზეა დაფუძნებული.

მთავარი საკითხი:
როგორ მოხდება მათი ორგანიზება? დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი 7.5. განათლება/მომზადება

აქ მთავარია ის, თუ როგორ იქნება ეს მომსახურებები ორგანიზებული. არსებობს კი ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო დაწესებულებები? რა ტიპის სკოლები ფუნქციონირებს? როგორია განათლებისა და მომზადების სხვადასხვა სტემის მობილურობის ხარისხი? (განათლებასთან/მომზადებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია იხ. მე-7 თავის მე-5 განყოფილებაში.)

სოციალური
სახელმწიფოს
დაფინანსება და
განაწილებითი
ეფექტები

მასალები: საგადასახადო პოლიტიკა

გადასახადებისა და შენატანების აკრეფით სახელმწიფო ცდილობს დააგროვოს შემოსავლები, მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დასაფინანსებლად. შესაბამისად, კარგად განვითარებული სოციალური სახელმწიფო მაღალ შემოსავლებზეა დამოკიდებული. დაბალი გადასახადების შემთხვევაში მხოლოდ სპარტანული სოციალური სახელმწიფოს აშენება

შეიძლება. თუმცა შემოსავლების დონესთან ერთად ერთ-ერთი მახასიათებელია ის გზა, რომლითაც გადასახადები იზრდება: სხვადასხვა საგადასახადო სისტემას სხვადასხვა განაწილებითი ეფექტი აქვს. (გადასახადებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია იხ. მე-7 თავის 1-ლ განყოფილებაში.)

მამასადამე, პრაქტიკული თვალსაზრისით, სოციალური პოლიტიკის ორგანიზების მრავალი გზა არსებობს. მართალია, ამ პოლიტიკის უზრუნველსაყოფად თითქმის ყველა სახის საშენი მასალა და ინსტრუმენტი გამოიყენება, მაგრამ კონკრეტულ სახელმწიფოებს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი არქიტექტურა აქვთ და ერთსა და იმავე სამშენებლო მასალას ზოგი მეტად იყენებს, ზოგი – ნაკლებად. ამ გამოცემის მე-7 თავში დეტალურადაა განხილული სოციალური პოლიტიკის ინდივიდუალური სფეროები და შედარებულია კონკრეტული ქვეყნები; იმავე თავში აღწერილია ფუნდამენტური და ზოგადი განსხვავებები. რა არქიტექტურული ტიპები არსებობს?

4.2. სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა არქიტექტურა

სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმის შესახებ ყველაზე ცნობილი და გავლენიანი ნაშრომი გოსტა ესპინ-ანდერსენს ეკუთვნის. 1990 წელს მან გამოსცა წიგნი „სოციალური კაპიტალიზმის სამი სამყარო“, რომელშიც დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნები სამ განსხვავებულ „სამყაროდ“ დაყო.

სამმა სამყარომ თუ არქიტექტურამ სახელწოდებები იმ არქიტექტორებისაგან მიიღო, რომლებმაც გადაამწყვეტი ზეგავლენა იქონიეს მოცემული სოციალური სახელმწიფოს კონკრეტულ ფორმებზე. ესენი იყვნენ გავლენიანი პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები, რომლებმაც სხვადასხვა სოციალურ სახელმწიფოს მისთვის დამახასიათებელი ფორმები მისცეს.

გოსტა ესპინ-ანდერსენი 1947 წელს დანიაში დაიბადა. მან განათლება კოპენჰაგენში მიიღო, დოქტორის ხარისხი ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსინის შტატის მედიკონის უნივერსიტეტში დაიცვა, შემდეგ კი სწავლობდა და კვლევით საქმიანობას ეწეოდა ჰარვარდში, ბერლინის სამეცნიერო ცენტრში, ფლორენციის ევროპულ უნივერსიტეტსა და ტრენტოს უნივერსიტეტში. 2000 წლიდან იგი ბარსელონის უნივერსიტეტში მოღვაწეობს. „სოციალური კაპიტალიზმის სამი სამყაროს“ (1990) გარდა, ცნობილია მისი წიგნები „პოსტინდუსტრიული ეკონომიკის სოციალური საფუძვლები“ (1998) და „რისთვის გვჭირდება ახალი სოციალური სახელმწიფო“ (2000).

ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს ლიბერალურ, კონსერვატიულ და სოციალ-დემოკრატიულ სამყაროებს. ვინაიდან კონსტრუქციის სამი პრინციპი გეოგრაფიულ მახასიათებელსაც ასახავს, ეს საკითხიც გათვალისწინებულია. ამრიგად, ლიბერალურ სამყაროს აღნიშნავს „ანგლოსაქსური“, კონსერვატიულს – „კონტინენტური“ და სოციალ-დემოკრატიულს – „სკანდინავიური“. მაგრამ როგორ შევადაროთ ეს სამი განსხვავებული არქიტექტურა?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი 7.1. გადასახადები

რა არქიტექტურული ტიპები არსებობს? რა განსხვავებაა სხვადასხვა სახის საშენ მასალებს შორის?

გოსტა ესპინ-ანდერსენი: „სოციალური კაპიტალიზმის სამი სამყარო“

„არქიტექტორებისგან“ მიღებული სახელწოდებები

სოციალური სახელმწიფოს სამი ტიპი: ლიბერალური, კონსერვატიული და სოციალ-დემოკრატიული

რა საზომი შეიძლება იქნეს გამოყენებული შედარებისთვის?

შედარებისთვის რაიმე საზომი ერთეულია საჭირო. ესპინ-ანდერსენი ორ კრიტერიუმს იყენებს: დეკომოდიფიკაციის დონეს და სტრატეგიკაციის ფარგლებს.

დეკომოდიფიკაცია: შრომის ბაზარზე დამოკიდებულება

„დეკომოდიფიკაცია“ მომდინარეობს სიტყვიდან „commodity“ (საქონელი, პროდუქტი). ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქონელი არის შრომა. მაშასადამე, დეკომოდიფიკაცია აღწერს ფარგლებს, რომლებშიც ადამიანის საარსებო წყარო უზრუნველყოფილია შრომის ბაზარზე დაყრდნობის გარეშე.

თუკი შრომის ბაზარი საარსებო საშუალებების მოპოვების ერთადერთი წყაროა და ადამიანი ძალზე მცირე ანაზღაურების მიღების შემთხვევაშიც უნდა იმუშაოს, დეკომოდიფიკაცია ძალიან დაბალია; და პირიქით, თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ სოციალურ დაცვას, რომელიც ღირსეული ცხოვრების საშუალებას იძლევა მაშინაც კი, როდესაც მუშაობა შეუძლებელია (მაგალითად, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო) ან სამუშაო არ არის (მაგალითად, ცუდი ეკონომიკური სიტუაციის გამო), დეკომოდიფიკაცია მაღალია.

სტრატეგიკაცია – აღწერს სოციალურ „ფენებად“ დაყოფას

„დეკომოდიფიკაციისაგან“ განსხვავებით, „სტრატეგიკაცია“ აღწერს საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფას. ეს ცნება სოციალურ მეცნიერებაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის აღწერისა და გამოკვლევისთვის გამოიყენება. ფოკუსიდან გამომდინარე, მიუთითებენ ფენებზე/სტრატაზე (დაბალი ფენა, საშუალო ფენა, მაღალი ფენა), კლასებზე (მუშათა კლასი და კაპიტალისტები) ან გარემოზე (ლიბერალ-პროტესტანტული გარემო, სოციალ-დემოკრატიული გარემო, კათოლიკური გარემო).

ესპინ-ანდერსენი საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის აღწერითა და კვლევით ძალიან გატაცებული არ არის; მას უფრო ის აინტერესებს, თუ როგორ უმკლავდება სოციალური სახელმწიფო ამ სტრატას და რა წვლილი შეაქვს სოციალური სახელმწიფოს კონკრეტულ არქიტექტურას კონკრეტული სახის სოციალურ სტრატეგიკაციაში. და კიდევ, რა მახასიათებლები აქვს ამ სამსამყაროს დეკომოდიფიკაციისა და სტრატეგიკაციის თვალსაზრისით?

ბაზრის ძლიერი პოზიცია

ლიბერალური სოციალური სახელმწიფო

ლიბერალურ სოციალურ სახელმწიფოში უმნიშვნელოვანეს როლს ბაზარი ასრულებს. სოციალური უფლებები და სოციალური უზრუნველყოფა შედარებით სუსტად არის განვითარებული. გარდა ამისა, სოციალური უზრუნველყოფა საშუალებათა ხშირ და ინტენსიურ გამოცდასთანაა დაკავშირებული. ამის შედეგად სოციალური უზრუნველყოფის მიმღებთა მიმართ ხშირად სტიგმაა გავრცელებული და მათ დაბალი სოციალური სტატუსი აქვთ.

სახელმწიფო: უზრუნველყოფს მხოლოდ უსაფრთხოების ქსელს

ამიტომ სახელმწიფო მათ მხოლოდ უსაფრთხოების ქსელს სთავაზობს და ადამიანები საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად ძლიერ არიან მიჯაჭვული ბაზარზე. მაშასადამე, დეკომოდიფიკაციის დონე დაბალია. სოციალური უზრუნველყოფა გადასახადებით ფინანსდება. ამ ტიპის სისტე-

მაში იშვიათია შენატანები, რომლებითაც ინდივიდუალური შეღავათები მოიპოვება. შენატანებთან დაკავშირებული უზრუნველყოფის არარსებობის გამო სოციალური უსაფრთხოების გარანტიები შედარებით ერთგვაროვანია (ერთგვაროვანი ნორმები).

სოციალური სახელმწიფო არ ასხვავებს სხვადასხვა პროფესიას ან შემოსავლის სხვადასხვა დონეს, რომლებსაც შეიძლება ადამიანებმა მიაღწიონ. თუმცა, მინიმალური სოციალური უზრუნველყოფის და სიღარიბის თავიდან აცილების მცდელობის ფონზე, ის, ვისაც ამის საშუალება აქვს, კერძო მიმწოდებლებს (მაგალითად, კერძო საპენსიო დაზღვევა, კერძო სკოლები) მიმართავს. ამრიგად, ლიბერალური სოციალური სახელმწიფო არაპირდაპირი გზით მდიდართა და ღარიბთა სტრატეგიკაციას ინვესტს. ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო და ავსტრალია ლიბერალური სოციალური სახელმწიფოს ძირითადი წარმომადგენლები არიან.

ლიბერალური სოციალური სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლებია:

- ფულად დახმარებებთან დაკავშირებული შედარებით ნაკლებად ერთგვაროვანი ნორმები;
- გადასახადებზე დაფუძნებული დაფინანსება;
- დაბალი დეკომოდიფიკაცია;
- სტრატეგიკაცია კერძო დაზღვევისა და მომსახურებების გზით.

კონსერვატიული სოციალური სახელმწიფო

ესპინ-ანდერსენი კონსერვატიულ სოციალურ სახელმწიფოს გარკვეულ შემთხვევებში კორპორატიულ სოციალურ სახელმწიფოს უწოდებს.⁶ მაგალითად, ვინაიდან კორპორატიზმმა სხვადასხვა (სოციალური) ფენის ტრადიცია გააგრძელა, კონსერვატიული სოციალური სახელმწიფოც სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფს განარჩევს.

ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საჯარო სამსახურის შესახებ გერმანიის კანონი, რომელიც მოსამსახურეებს პრივილეგიებს ანიჭებს. აღნიშნული პრინციპი შეინიშნება სხვა პროფესიებშიც, თუმცა, მაგალითად, საგადასახადო კონსულტანტებისთვის, იურისტებისთვის, ნოტარიუსებისთვის, ვეტერინარებისთვის, ფარმაცევტებისა და ბულალტრებისთვის არსებობს ე. წ. პროფესიული საპენსიო სქემები, რომლებიც ამ ადამიანებს სხვა ელემენტებთან ერთად საკუთარი საპენსიო დაზღვევით უზრუნველყოფს. ნებისმიერი პირი, რომელიც შესაბამისი პროფესიული გაერთიანების წევრია, იმავდროულად ამ დაზღვევის სქემაში მონაწილეობს.

6 „კორპორატიზმი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „corporatio“, რომელიც „კორპორაციას“ ნიშნავს. იგი აღწერს სოციალურ მოდელს, სადაც მთავარ როლს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს – მაგალითად, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს – შორის კორპორაციული მოლაპარაკების პროცესი ასრულებს.

სახელმწიფო არ ასხვავებს შემოსავლებსა და პროფესიებს – თუმცა ხშირია დამატებითი უზრუნველყოფა კერძო მიმწოდებლების მიერ

სოციალური სახელმწიფოს სოციალური სტატუსი

მაგალითი: გერმანიის კანონი საჯარო სამსახურის შესახებ

ეს იმას ნიშნავს, რომ თვითდასაქმებულებზე და იმ პროფესიული ჯგუფების წევრებზე, რომლებიც დასაქმებულები არიან, არ ვრცელდება სავალდებულო საპენსიო დაზღვევა. პროფესიასთან დაკავშირებული განსხვავებები, მაგალითად, უმუშევრობის დაზღვევასთან მიმართებით, არსებობს კონსერვატიული სოციალური სახელმწიფოს ტიპის სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, იტალიასა და საფრანგეთში.

შენატანებით დაფინანსება

კონსერვატიული პრინციპი შეინიშნება თვით კანონით გათვალისწინებულ სადაზღვევო სქემებში, რომლებიც პროფესიულ ჯგუფებს არ ასხვავებს, რადგან სოციალური სახელმწიფო ძირითადად შენატანებითაა დაფინანსებული. ეკვივალენტობის პრინციპის (უზრუნველყოფა ინდივიდუალურ შენატანებთან უნდა იყოს დაკავშირებული) საფუძველზე მრავალი სოციალური უზრუნველყოფის დონე ადრინდელ შემოსავალს (უმუშევრობის დაზღვევა, პენსია) ითვალისწინებს.

უზრუნველყოფა „მოიცავს“ ადრინდელ სტატუსს

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური უზრუნველყოფა „მოიცავს“ ადრინდელ სტატუსს. კონსერვატიულ სოციალურ სახელმწიფოებში სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფა საშუალოდ უფრო მაღალია, ვიდრე ლიბერალურ სოციალურ სახელმწიფოებში, მაგრამ იგი ყველასთვის ერთგვაროვანი არ არის.

ზედა ზღვრით გამოწვეული უთანასწორობა

თითქმის ყველა კონსერვატიულ სოციალურ სახელმწიფოში შენატანებზე დაფუძნებული დაფინანსებისთვის დამახასიათებელია ზედა ზღვარი (სხვადასხვა დონეზე), ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემოსავლის დონე, რომლის ზემოთაც უნდა იქნეს გადახდილი შენატანები. ეს არათანასწორი დამოკიდებულების კიდევ ერთი ნყაროა, რადგან უმეტეს შემთხვევაში ზედა ზღვარი სავალდებულო და კერძო დაზღვევებს შორის არსებულ განსხვავებასთანაა დაკავშირებული (გერმანიაში ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში – იხ. აგრეთვე მე-7 თავის 1-ლი განყოფილება გადასახადების შესახებ).

ერთადერთ მარჩენლად მამაკაცის აღიარება

და ბოლოს, კონსერვატიული სოციალური სახელმწიფოს არქიტექტურას აქვს კიდევ ერთი მახასიათებელი, რომლის კვალი კვლავ შეინიშნება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბოლო ათწლეულში გარკვეულწილად შესუსტდა: სხვა არქიტექტურული ტიპებისაგან განსხვავებით, კონსერვატიული სოციალური სახელმწიფო ორიენტირებულია მოდელზე, რომელიც ერთადერთ მარჩენლად მამაკაცს აღიარებს.

შედეგი: ქალთა დასაქმების დაბალი დონე

საგადასახადო სტიმულები (მეუღლეთა ერთობლივი საგადასახადო დეკლარაცია), ბავშვზე მთელი დღის განმავლობაში ზრუნვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და ნახევარ განაკვეთზე მუშაობის შედარებით ნაკლები შესაძლებლობები – აგრეთვე ის, რომ დასაქმებული დედის როლის მოდელი არ არსებობს – იმაზე მეტყველებს, რომ კონსერვატიულ სოციალურ სახელმწიფოებში ქალთა დასაქმების დონე მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ლიბერალურ ან სოციალ-დემოკრატიულ სოციალურ სახელმწიფოებში.

აქედან გამომდინარე, კონსერვატიულ სოციალურ სახელმწიფოში სტრატეგიკაცია უფრო ღრმაა და არსებობს სხვა გამყოფ ხაზებთან ერთად, როგორებიცაა პროფესიული ჯგუფი, შემოსავალი და გენდერი. ამგვარი სოციალური სახელმწიფოს ტიპური წარმომადგენლები არიან გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია და ბელგია.

- კონსერვატიული სოციალური სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლებია:
- ფულადი დახმარებების ადრინდელ შემოსავალზე ძლიერი დამოკიდებულება;
 - ცუდად განვითარებული სახელმწიფო სერვისები;
 - ძირითადად შენატანებზე დაფუძნებული დაფინანსება;
 - ძლიერი სტრატეგიკაცია პროფესიული ჯგუფის, შემოსავლისა და გენდერის ნიშნით.

სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფო

სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფოს არქიტექტურა, დაფინანსების თვალსაზრისით, ლიბერალური სოციალური სახელმწიფოს არქიტექტურის მსგავსია, რადგან იგი ძირითადად საერთო გადასახადებით და უფრო ნაკლებად – შენატანებით ფინანსდება. თუმცა უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სამი განსხვავება უნდა აღინიშნოს.

პირველი, სოციალ-დემოკრატიულ სოციალურ სახელმწიფოებში კეთილდღეობის უზრუნველყოფის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ლიბერალურ ქვეყნებში.

მეორე, კონსერვატიული სოციალური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, უზრუნველყოფის დონე სრულიად სხვადასხვა შემოსავლის მქონე ადამიანებისთვის ერთნაირია. ეს სხვა მიზეზებთან ერთად იმითაა გამოწვეული, რომ სოციალური უზრუნველყოფის მრავალი სახე, მაგალითად, უმუშევრობის შემწეობა, იბეგრება.

მესამე – დღეისთვის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება – საყოველთაო სახელმწიფო სერვისები (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სერვისები, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია და რომელთა მიმართ შენატანები ძალიან დაბალია ან საერთოდ ვერ გადაიხდება) სოციალური დემოკრატიის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ღერძია. სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისები განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული ბავშვის აღზრდისა და სხვა სახის მზრუნველობის სფეროში.

ამას საგულისხმო შედეგები მოაქვს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ოჯახური ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის შეთავსება, უპირველეს ყოვლისა – ქალებისთვის, რადგან ბავშვის აღზრდისა და სხვა სახის მზრუნველობისთვის საიმედო და მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურა არსებობს. თუმცა აქ მაღალი სტანდარტები მხოლოდ ქალთა დასაქმების მაღალ დონეს არ გულისხმობს.

სახელმწიფოს ეძლევა საშუალება, მეტი ადამიანი დაიქირაოს. აქედან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციის მქონე ქვეყნებში საჯარო სექტორში დასაქმების დონე უფრო მაღალია. ამიტომ სახელმწიფოს მეუძლია პირდაპირი გავლენა მოახდინოს დასაქმების სფეროში არსებულ სიტუაციაზე და ბავშვის აღზრდისა და სხვა სახის მზრუნველობის ხარისხზე. ამავდროულად, ვინაიდან სახელმწიფო სერვისები ყველასთვის ხელმისაწვდომია, მარტოხელა მშობლების სიღარიბის დონე ბევრად დაბალია.

მრავალშრიანი
სტრატეგიკაცია

ასევე
გადასახადებით
დაფინანსება

უზრუნველყოფის
უფრო მაღალი დონე

შემწეობების
დონეთა უფრო
სამართლიანი
განაწილება

უნივერსალური
სახელმწიფო

ოჯახური ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის უკეთესი შეთავსება – ქალთა დასაქმების უფრო მაღალი დონე

სახელმწიფო,
როგორც
დამსაქმებელი, მეტ
როლს ასრულებს
და შედეგებიც
პოზიტიურია

სოციალური სერვისების ფართო ქსელი და ერთგვაროვანი ფულადი ტრანსფერები ამ ტიპის ქვეყნებში უმაღლესი დონის დეკომოდიფიკაციას და შეზღუდულ სოციალურ სტრატეფიკაციას გულისხმობს. ამ არქიტექტურულ პრინციპს იყენებენ შვედეთი, დანია და ნორვეგია, ანუ სკანდინავიის ქვეყნები.

სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლებია:

- სერვისები, როგორც სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი;
- ფულადი დახმარებების მკაცრი ერთგვაროვნება;
- მაღალი გადასახადების ხარჯზე დაფინანსება;
- დეკომოდიფიკაციის მაღალი დონე;
- შემოსავლების თანასწორობის მაღალი დონე და დაბალი სტრატეფიკაცია.

4.3. დასკვნები სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა არქიტექტურის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ აქვს ზემოთ აღწერილი სამი ტიპიდან მხოლოდ ერთის მახასიათებლები, ქვეყნების უმრავლესობა საკმაოდ მკაფიოდ შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე კატეგორიას კონსტრუქციის სამი პრინციპიდან ერთ-ერთის საფუძველზე. კონკრეტული პუნქტების სიცხადიდან გამომდინარე, გზას, რომლითაც სოციალური სახელმწიფო შენდება, თვალსაჩინო შედეგები აქვს.

სოციალური სახელმწიფოს სამი არქიტექტურის მახასიათებლები

	ლიბერალური	კონსერვატიული	სოციალ-დემოკრატიული
დეკომოდიფიკაცია	დაბალი	საშუალო	ძლიერი
სტრატეფიკაცია	საშუალო	ძლიერი	სუსტი
სიღარიბის დონე	მაღალი	საშუალო	დაბალი
ქალთა დასაქმების დონე	საშუალო	დაბალი	მაღალი
საჯარო სექტორში დასაქმება	დაბალი	საშუალო	მაღალი
გადასახადები	დაბალი	საშუალო	მაღალი
შენატანები	დაბალი	მაღალი	დაბალი

შედეგები განსაკუთრებით აშკარაა მაშინ, როდესაც სხვადასხვა ტიპს ერთმანეთს ადარებენ. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციის მქონე სკანდინავიის ქვეყნებში სიღარიბის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ლიბერალურ და კონსერვატიულ ქვეყნებში. ქალთა დასაქმების მაღალი დონით გამოირჩევა სოციალ-დემოკრატიული ტიპის ქვეყნები. ასეთი შედეგები მიიღწევა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური უზრუნველყოფის საშუალებებით, რომლებიც მრავალ სფეროში არა მხოლოდ ფულადი დახმარებების, არამედ მომსახურებების სახითაც გაიცემა. შესაბამისად, ამ ქვეყნებში საჯარო სექტორში დასაქმების დონე უფრო მაღალია, ვიდრე კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებში.

ბუნებრივია, ამგვარი სტრუქტურები ხარჯების გარეშე არ არსებობს. დაფინანსება ძირითადად გადასახადების ხარჯზე ხდება; დამხმარე როლს ასრულებს სოციალური უზრუნველყოფის შენატანები. ამიტომ საგადასახადო ტვირთი სოციალ-დემოკრატიულ ქვეყნებში უფრო მწვავედ იგრძნობა, ვიდრე ლიბერალურ და კონსერვატიულ ქვეყნებში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომიკურ საქმიანობას ზიანი ადგება, რადგან ლიბერალური და კონსერვატიული პოზიციების მრავალი წარმომადგენელი დამკვიდრებისთვის თავს არ ინუხებს.

ფაქტობრივად, ეკონომიკურ ზრდასა და ქვეყნის საგადასახადო ტვირთს შორის რაიმე თვალსაჩინო უარყოფითი კავშირი არ არსებობს. კერძოდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, საშუალო- თუ გრძელვადიან პერსპექტივაში, ბავშვის აღზრდასა და განათლებაზე, აგრეთვე უმუშევართა ინტენსიურ მომზადებასა და გადამზადებაზე გაწეული ხარჯები უფრო დიდ შედეგს იძლევა, ვიდრე გადასახადების შემცირება. მაღალი ხარისხის, ყველასთვის ხელმისაწვდომი სოციალური სერვისების არსებობა საგრძნობლად ამცირებს იმ ადამიანთა რაოდენობას, რომლებიც სახელმწიფოზე არიან დამოკიდებული. მაშასადამე, სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფო პრევენციული სოციალური სახელმწიფოა.

სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფო დანარჩენებზე ნინ დგას

გადასახადებზე დაფუძნებული დაფინანსება

სოციალური დანახარჯები გრძელვადიან შედეგებს იძლევა



- **პრევენციული სოციალური სახელმწიფო:**
 ცდილობს თავიდან აიცილოს სირთულეები, მაგალითად, კარგი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის მეშვეობით.
- **მაკორექტირებელი სოციალური სახელმწიფო:**
 თავს იზღვევს ცხოვრების მოულოდნელობებისაგან და ავსებს პრევენციულ სოციალურ სახელმწიფოს.

სურათი 4: პრევენციულ და მაკორექტირებელ („end-of-pipe“) სოციალურ სახელმწიფოებს შორის კავშირი

მთლიანობაში, სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფო იმას ნიშნავს, რომ სოციალურ სტრატაში მობილურობის ხარისხი უფრო მაღალია. გარდა ამისა, სკანდინავიის ქვეყნებში იმ ბავშვსაც კი, რომელიც ხელმოკლე ოჯახიდანაა, შეუძლია კარგი განათლების მიღება და თავისი პოტენციალის განვითარება, თუმცა, მაგალითად, გერმანიაში, ეს პოტენციალი შეიძლება გამოუყენებელი დარჩეს.

რაც მთავარია, დაბალი ხარისხის განათლება უმუშევრობის დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ეს, თავის მხრივ, მოგვიანებით ინვესს ხარჯებს არაადეკვატური საპენსიო უფლებების სახით. მაშასადამე, მთლიანად სოციალ-დემოკრატიული ტიპის სოციალურ სახელმწიფოს შეუძლია განამტკიცოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. თუკი სახელმწიფო ძლიერი არ იქნება, შეუძლებელია ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელიც ყველასთვის უზრუნველყოფს შესაძლებლობებს, ძირითად საქონელსა და მომსახურებებს, თავიდან აიცილებს შემოსავლების მნიშვნელოვან უთანასწორობას და განავითარებს დინამიკურ ეკონომიკას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 1980-იანი წლების შემდეგ ყველა ტიპის სოციალურმა სახელმწიფომ გაიარა ლიბერალიზაციის გზა. ეს ყველაზე ნაკლებად ეხება სოციალური დაცვის გადასახადებისა და მომსახურებების დონეს, მაგრამ მოიცავს პრივატიზაციის პროცესს, კომუნალური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის სფეროს (იხ. ჰოფენერი/პეტრინგი/ზაიკელი/ვერნერი 2001).

რას ნიშნავს ეს სოციალ-დემოკრატიულობისთვის?

- ლიბერალური და კონსერვატიული სოციალური სახელმწიფოები საკმარისი ხარისხით ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ მოქალაქეთა თანასწორ თავისუფლებასა და მონაწილეობას;
- სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფო ამ პრობლემებს უკეთ და უფრო საიმედოდ უმკლავდება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მას კარგად განვითარებული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა აქვს;
- სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფოს ტიპის ქვეყნებისთვის სოციალურ დახმარებებზე სახელმწიფო სახსრების ხარჯვა ეკონომიკური მარწეხი არ არის; პირიქით, ამ ქვეყნებისთვის უფრო დინამიკური ეკონომიკა დამახასიათებელი.

სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა არქიტექტურის მსგავსად, განვითარდა კაპიტალიზმის სხვადასხვა ვარიანტი: მაგალითად, **კოორდინირებული კაპიტალიზმი** და **არაკოორდინირებული კაპიტალიზმი**. ისინი ერთმანეთისაგან სანარმოთა დაფინანსებით, შრომითი ურთიერთობების ორგანიზებით და განათლებისა და მომზადების სისტემით, აგრეთვე სანარმოთა შორის ურთიერთობებით განსხვავდებიან (იხ. ნიგნი 2: ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია, თავი 3, განყოფილება 2).

პრევენციული სოციალური სახელმწიფო

მათიას პლაცეკი

„ბოლო პერიოდში გარკვეული არასასურველი მოვლენების შედეგად „ძველი“ სოციალური საკითხები, კერძოდ, სიღარიბე და უმუშევრობა, სულ უფრო საშუალო ერთობლიობას ქმნის. ჩვენ მოწმენი ვხდებით მასობრივი წარუმატებლობისა განათლებისა და მომზადების სფეროში; მატულობს ცუდად კვების შემთხვევების რაოდენობა, რაც იწვევს ცივილიზაციის შედეგად განვითარებულ ისეთ დაავადებებს, როგორებიცაა გაციხიმოვნება და დიაბეტი; იზრდება მავნე ჩვეებისა და არასასურველი ადრეული ფიზიკური დეგენერაციის დონე; შეინიშნება მიგრანტთა კონკრეტული ჯგუფების გარკვეული ნაწილის სოციალური იზოლაციის ტენდენცია; თვალსაჩინო ხდება მიზანსწრაფულობის დონის შემცირება და უმწეობისა და უიმედობის განცდის ზრდა. [...]

ამრიგად, ჩნდება მოჯადოებული სოციალური წრე, რომელიც მოიცავს სიღარიბეს, ხარვეზებს განათლების/მომზადების სფეროში, დასაქმების შესაძლებლობების დრამატულ კლებას, დახმარებას, როგორც ერთადერთ საარსებო წყაროს, და მოტივაციის დაკარგვას, რაც ამცირებს იმის შანსს, რომ ადამიანი დამოუკიდებელ ცხოვრებას დაუბრუნდეს. ფულადი სახსრების დროებითი ნაკლებობა ან დროებითი უმუშევრობა არ უნდა იყოს მთავარი საფრთხე, მაგრამ დღეს გერმანიაში მის წინაშე მრავალი ადამიანი დგას. „ერთხელ ღარიბი“ „მუდმივად ღარიბი“ არ ნიშნავს და არც „ერთხელ უმუშევარი“ – „მუდამ უმუშევარს“, თუმცა სწორედ ეს შიშია ფართოდ გავრცელებული გერმანიაში, ჩვენი საზოგადოების შუაგულში.

ცხადია, რომ დღევანდელი მაკორექტირებელი სოციალური სახელმწიფო ამგვარ შიშებს ვერ ფანტავს. სწორედ ეს იწვევს მისი რეპუტაციის შელახვას. ამიტომაც, რომ პრევენციული სოციალური სახელმწიფო თავიდანვე ძირითადად მაღალი ხარისხის განათლებას/მომზადებას და ჯანმრთელობის დაცვის პრევენციულ უფლებას ეყრდნობა. იგი ხელს უწყობს დასაქმების ალბათობის ზრდას და, ამის შედეგად, – სიღარიბის თავიდან აცილებას. ნებისმიერი, ვისაც მომავალ ათწლეულებში გერმანიაში პენსიის მიღება უნდა, უდავოდ დაინტერესებულია პრევენციული სოციალური სახელმწიფოს მოდელის განხორციელებით. პრევენციული სოციალური სახელმწიფო და კარგად ფუნქციონირებადი ეკონომიკა ერთი მედლის ორი მხარეა. ის, ვისაც განვითარებული ეკონომიკა სურს – ოცდამეერთე საუკუნის გარემოებათა გათვალისწინებით – იმავედროულად მხარს უჭერს სოციალურ სახელმწიფოს, რომელიც ადამიანთა შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაში სისტემატურ ინვესტირებას ახორციელებს. ... ამრიგად, [პრევენციული სოციალური სახელმწიფო] დამაჯერებლად ნიშნავს არა დაცვისა და მონაწილეობის უგულვებლყოფას, არამედ ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც მომავალში ყველას მისცემს დაცვითა და მონაწილეობით სარგებლობის საშუალებას. რა თქმა უნდა, პრევენციული სოციალური სახელმწიფო ამბიციური პროექტია, რომელიც ერთ ღამეში ვერ განხორციელდება. სწორედ ამ მიზეზით აღნიშნული ფუნდამენტური კურსის უწყევად გატარება სოციალური დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ოცდამეერთე საუკუნეში.“ (პლაცეკი 2007: 229-232)

5. სოციალური სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევები

ამ თავში:

- წარმოდგენილი და კლასიფიცირებულია სოციალური სახელმწიფოს მიმართ ხშირად გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები;
- განხილულია გლობალიზაციასთან, ეკონომიკასა და შრომაში სტრუქტურულ ცვლილებებთან და დემოგრაფიულ და სოციალურ გარდაქმნებთან დაკავშირებული გამოწვევები;
- ნაჩვენებია, რომ ეს გამოწვევები მოითხოვს სხვადასხვა არქიტექტურას და არა სოციალური სახელმწიფოს დემონტაჟს.

„იმ პერიოდებში, როდესაც უკვე შეუძლებელია განაწილებასთან დაკავშირებული კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება, როგორც ეს ძველ, იდილიურ ფედერალურ რესპუბლიკაში ხდებოდა – ძირითადად ზრდის პროდუქტების ამა თუ იმ გზით განაწილების მეშვეობით, და როდესაც ეს, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში მოსალოდნელი აღარ არის, უეცრად დღის წესრიგში სხვადასხვა სიმწვავეთ დგება სამართლიანობისა და თანასწორობის საკითხები“ (თირზე 2005: 13).

განაწილების ახალი საკითხები? რა შეიცვალა?

თუკი ვოლფგანგ თირზე არ ცდება, მაშინ ისმება კითხვა: როგორ შეიცვალა „ძველი, იდილიური ფედერალური რესპუბლიკა“? რატომ აღარ არის პრიორიტეტული განაწილების საკითხები, როდესაც საქმე ზრდას ეხება? რამ განაპირობა ის, რომ დღეს სოციალური პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანები მკვეთრად განსხვავდება ათეული წლების წინანდელი ამოცანებისაგან?

ოთხი სახის განვითარება: გლობალიზაცია, დემოგრაფიული, სოციალური და სტრუქტურული გარდაქმნები

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს ოთხი სახის განვითარებას: გლობალიზაციას, ეკონომიკასა და შრომაში სტრუქტურულ გარდაქმნებს, დემოგრაფიულ გარდაქმნას და სოციალურ გარდაქმნას. განვითარების ეს მიმართულებები ხშირად ხდება მთლიანად სოციალური სახელმწიფოს და არა მისი ინდივიდუალური ასპექტების კრიტიკის საფუძველი.

სოციალური სახელმწიფოს კრიტიკა: პოპულარულია, მაგრამ...

მაგალითად, მუდმივად ამტკიცებენ, რომ გერმანული სოციალური სახელმწიფო ძალზე დიდი და გულუხვია. ყოფილ პრეზიდენტს, რომან ჰერცოგს, მიაჩნდა, რომ მას მხარი უნდა დაეჭირა ახალი სოციალური

საბაზრო ეკონომიკის ინიციატივისთვის,⁷ რომელსაც ლითონის მრეწველობის დამსაქმებელთა ასოციაცია აფინანსებდა. მან განაცხადა: „მრავალი ადამიანისთვის უფრო კომფორტულია, სახელმწიფომ არჩინოს, ვიდრე ძალისხმევა გასწიოს რაღაცის მისაღწევად. ეს საშინელი უსამართლობა ყველას წინაშე, ვინც მუშაობს“ („Frankfurter Allgemeine Sonntagszeitung“, 2001 წლის 25 ნოემბერი).

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ფილოსოფოსმა პიტერ სლოტერდაიკმაც კი სავალდებულოდ მიიჩნია, მხარი დაეჭირა ნეოლიბერალური არგუმენტებისთვის: „თავისუფალი ბაზრის – ამ კლექტორატიული მონსტრის – დამკვირვებლები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ყურადღება მიექცეს მისგან მომდინარე საფრთხეებს: გადაჭარბებულ რეგულირებას, რაც ზღუდავს მენარმის ინიციატივას, გადაჭარბებულ დაბეგვრას, რაც წარმატების სასჯელად გვევლინება, და ჭარბ სესხებს, რომლებიც იმ საბიუჯეტო სიხისტის შედეგია, რომელიც გზას უხსნის სპეკულაციურ ქარაფშუტობას როგორც კერძო მეურნეობებში, ისე სახელმწიფო დონეზე.“

სახელმწიფო ბეჭემოთის წინააღმდეგ მისი რეცეპტი საზოგადოების „განახლებაა“: „ეს შეიძლება იყოს, სულ მცირე, რევოლუცია გულუხვობასთან მიმართებით. ამან შეიძლება გამოიწვიოს სავალდებულო დაბეგვრის გაუქმება და მისი სახალხო საჩუქრებად გარდაქმნა, რის შედეგადაც საზოგადოებრივი სექტორი არ უნდა გაღარიბდეს“ („Frankfurter Allgemeine Zeitung“, 2009 წლის 19 ივნისი).

როგორც მე-7 თავის 1-ლ განყოფილებაში (გადასახადები) და მე-4 თავში (სოციალური სახელმწიფოს მასალები, კონსტრუქცია და არქიტექტურა) არის ნაჩვენები, ასეთი მტკიცება უფრო დეტალურ შემონგებას უმნიშვნელოდ ეწინააღმდეგება. გერმანიის სოციალური სახელმწიფო და საგადასახადო რეჟიმი, საერთაშორისო საზომით, მხოლოდ საშუალო სიდიდისაა. მეორე, სოციალური სახელმწიფოს ზომას და ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობას ერთმანეთთან უარყოფითი დამოკიდებულება არ აქვს.

მესამე, 2007 წელს გერმანიაში გადასახადის გადამხდელთა მხოლოდ მეოთხედმა (24.4%-მა) გადაიხადა საშემოსავლო გადასახადის 79.7% (მათი წლიური შემოსავალი არანაკლებ 40 000 ევრო იყო), რაც იმის შედეგია, რომ 10.9 მილიონი, ანუ მეოთხედზე მეტი (28.5%) გადასახადის გადამხდელის მთლიანი შემოსავალი 10 000 ევროს არ აღემატებოდა. გადასახადის გადამხდელთა ნახევარზე მეტის წლიური შემოსავალი 22 500 ევროზე ნაკლები იყო და მათ მთელი საშემოსავლო გადასახადის 3.6% გადაიხადეს (Statistisches Bundesamt 2011a).

7 ამ საკითხის წინაისტორიისთვის იხ. Speth (2004).

...ძირითადად დაკონკრეტებული არ არის...

...ან არარეალურია

ეკონომიკა და სოციალური სახელმწიფო: მათ შორის უარყოფითი დამოკიდებულება არ არის

ართანაბარი დაფინანსება, რაც უკიდურესად არათანაბარი განაწილების შედეგია

სიმდიდრის
უთანასწორობა
გაიზარდა

იმ მოვლენის შედეგად, რომელსაც სლოტერდაიკი „გადაჭარბებულ დაბეგვრას“ უწოდებს, ბოლო წლებში გერმანიაში სიმდიდრის უთანასწორობა კიდევ უფრო გაიზარდა. 2007 წელს ზრდასრულ ადამიანთა მეოთხედზე მეტი (27%) არანაირ სიმდიდრეს არ ფლობდა ან ვალები ჰქონდა, ხოლო მოსახლეობის უმდიდრესი 10%-ის წმინდა სიმდიდრე 222 000 ევროს აღემატებოდა.

10% ფლობს 60%-ს;
70% ფლობს 9%-ს

გერმანელთა უმდიდრესი 10% მთელი სიმდიდრის 60%-ზე მეტის მფლობელია, მოსახლეობის ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე 70% კი – მთელი სიმდიდრის მხოლოდ 9%-ისა (ფრიკი და გრაბკა, 2009). ამ ფონზე იმის დაჯერება, რომ დღევანდელი „საფრთხეები“ გადაჭარბებული დაბეგვრის შედეგია და რომ მომავალ სოციალურ პოლიტიკას მონყალების ფორმა უნდა ჰქონდეს, რბილად რომ ვთქვათ, რეალობის ორიგინალური ხედვაა.

კრიტიკა
სერიოზულად
უნდა იქნეს
აღქმული

თუმცა ამგვარ გამანადგურებელ კრიტიკასთან ერთად ისეთი მოსაზრებებიც არსებობს, რომლებიც უფრო სერიოზულად უნდა იქნეს აღქმული. ეს კრიტიკა ეხება ბოლო ათწლეულებში მომხდარ სოციალურ, ეკონომიკურ და ცხოვრებისეულ ცვლილებებს, რომლებმაც სოციალური სახელმწიფოს ტრადიციული სტრუქტურები გამოწვევების წინაშე დააყენა. ვიდრე გავაკეთებდეთ ნაჩქარევ დასკვნას, რომ სოციალური სახელმწიფო უნდა დაიშალოს, კარგი იქნებოდა ამ შეცვლილი გარემოებების განხილვა. როგორც მე-7 თავში (სოციალური სახელმწიფოს ძირითადი სფეროები) არის ნაჩვენები, აღწერილი მოვლენები არა რადიკალურ, არამედ ფრთხილ გადანყვეტილებებს საჭიროებს:

„სოციალური სახელმწიფოს რესტრუქტურისა და მოდერნიზაცია მისი დაშლისა და დაგმობის ნაცვლად – ასეთია „კრეატიულ მემარცხენეთა“ პასუხი ახალ გამოწვევაზე. ამ გზაჯვარედინზე საკუთარი თავი სამაგალითო სიცხადით გამოავლინა ყველამ, ვინც დებატებში [გერმანიაში] განსხვავებულ ორიენტაციებსა და ძალებს წარმოადგენდა. მემარჯვენეებს, კონსერვატორებსა და ნეოლიბერალებს სურთ, გამოიყენონ ეს მომენტი და რადიკალურად დაასუსტონ სოციალური სახელმწიფო, საზოგადოების ნდობა დაუკარგონ მის მხარდამჭერებს, რათა დამანგრეველი ყუმბარა მათ ხელში აღმოჩნდეს. ... [გარდა ამისა,] სოციალური სახელმწიფოს არსებობას კიდევ ერთ საფრთხეს უქმნის პროტესტზე ორიენტირებულ მემარცხენეთა პოპულისტური განცხადებები მისი მოდერნიზაციის მცდელობის შესახებ. ისინი კვებავენ ილუზიას, რომ, თუკი ნება იქნებოდა, ყველაფერი ისე დარჩებოდა, როგორც იყო.“ (Gabriel 2008: 305-306)

დამატებითი
ლიტერატურა:
კრისტოფ
ბუთერვეგე (2005),
*Krise
und Zukunft des
Sozialstaats.*
ვისბადენი,
გვ. 75-114.

5.1. გლობალიზაცია

თომას რიქსენი

საჯარო დებატებში გლობალიზაცია განიხილება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად, რომელიც საფრთხეს უქმნის განვითარებული სოციალური სახელმწიფოს შენარჩუნებას. სოციალური პოლიტიკის შეზღუდვას მუდმივად ითხოვენ და ხშირად ამ მოთხოვნას ახორციელებენ კიდევ, თან საერთაშორისო კონკურენციაზე მიუთითებენ.

გლობალიზაცია არის მრავალდონიანი ცნება, რომელიც ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა პროცესს მოიცავს. არსებობს კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ეკონომიკური გლობალიზაცია. ეკონომიკურ გლობალიზაციას სამი რამ ამოძრავებს: სავაჭრო ბარიერების მოშლა, განვითარებადი ეკონომიკების ზრდა და ტექნოლოგიური ინოვაცია.

ეს გავრცელებული არგუმენტაცია, რომელსაც გაუთავებლად იმეორებენ საეჭვო ექსპერტები, უთუოდ ნაცნობია ჩვენი მკითხველების უმრავლესობისთვის. თუმცა, თავისთავად ცხადია, რომ გლობალიზაცია ნამდვილად არ უქმნის საფრთხეს სოციალურ სახელმწიფოს.

მზარდი საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისა და სოციალური სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თეორიული პერსპექტივების მთელი წყება არსებობს. სიმარტივისთვის აქ ორ ჯგუფს გამოვყოფთ: გლობალიზაციის ოპტიმისტებს და გლობალიზაციის პესიმისტებს. ქვემოთ ორივეა წარმოდგენილი. ამის შემდეგ მოკლედ აღვწერთ, თუ რა რეაგირება მოახდინა ზოგიერთმა მთავრობამ გლობალიზაციის გამოწვევაზე. ბოლოს განვიხილავთ ალტერნატიული პოლიტიკის ვერსიებს, კერძოდ, სოციალური პოლიტიკის გლობალიზაციას ან, სულ მცირე, ევროპიზაციას.

გლობალიზაციის ოპტიმისტები

ოპტიმისტები აცხადებენ, რომ სოციალურ სახელმწიფოს გლობალიზაცია საფრთხეს არ უქმნის. ისინი აღნიშნავენ, რომ სოციალური სახელმწიფოს ორგანიზება ეროვნული პოლიტიკის საკითხია და იგი ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტებისა და უმრავლესობის შეხედულებაზეა დამოკიდებული. საერთაშორისო კონკურენცია რომც ახდენდეს ზენოლას სოციალურ სახელმწიფოზე, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად დასუსტდება, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობას სოციალური სახელმწიფოს განვითარება სურს (Swank 2002).

„კომპენსაციის თეზისი“

მრავალი ადამიანი კიდევ უფრო შორს წავიდა. მათი განცხადებით, გლობალიზაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს სოციალური სახელმწიფოს გაფართოებას. ისინი აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს სწრაფად აღორძინებაში დაეხმარება და გაზრდის განაწილების ფარგლებს სოციალურ

დამატებითი

ლიტერატურა:

ნიგნი 2: ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია (2009), გვ. 19-36.

ჯოზეფ სტიგლიცი (2006),

Die Chancen der Globalisierung, მიუნხენი.

სოციალური სახელმწიფო დამოკიდებულია პოლიტიკურ და არა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე

გლობალიზაცია სოციალური სახელმწიფოს გაფართოებას იწვევს

კაპიტალიზმის
გარკვეული მრავალფეროვნება სოციალურ სახელმწიფოს ეფუძნება

სოციალური
სახელმწიფო
სტიმულს აძლევს
სპეციალიზაციას

სოციალური
პოლიტიკა,
როგორც ხარჯების
ფაქტორი

სახელმწიფოში. მათ ასევე მიაჩნიათ, რომ კარგად ფუნქციონირებადი სოციალური სახელმწიფოს გარეშე ბაზრის ლიბერალიზაცია თითქმის წარმოუდგენელია: ლიბერალიზაციისკენ სვლას ადამიანები მხოლოდ მაშინ უჭერენ მხარს, თუკი სჯერათ, რომ დაცული არიან საერთაშორისო ბაზრების რისკებისაგან. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციისა და სოციალური სახელმწიფოს გაფართოების პროცესები ერთმანეთს აძლიერებს (იხ. როდრიკი, 1998).

სოციალური სახელმწიფო – ინსტიტუციური შედარებითი უპირატესობა

გარკვეულწილად განსხვავებული ხედვა აქვთ მათ, ვინც საკუთარ მიდგომას „კაპიტალიზმის მრავალფეროვნებაზე“ აფუძნებს.⁸ ისინი ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა გლობალურ დონეზე შრომის დაყოფის ინტენსიფიკაციას განაპირობებს, რაც შესაძლებელს ხდის სპეციალიზაციის გაღრმავებას.

აქ ის იგულისხმება, რომ ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუციური სისტემა – რომელიც მოიცავს სოციალურ სახელმწიფოს – ხელს უწყობს ამ პროცესს და იმგვარად მუშაობს, რომ სტიმულს აძლევს სპეციალიზაციას შესაბამისი შედარებითი უპირატესობების ფარგლებში. მოსალოდნელია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური სახელმწიფო უკვე კარგადაა განვითარებული, საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსიფიკაციას მისი შემდგომი გაფართოება მოჰყვება; და პირიქით, „ანგლოსაქსურ“ (ეკონომიკური თვალსაზრისით) ქვეყნებში მან შეიძლება უკუურეაქცია გამოიწვიოს. ამ კუთხით გლობალიზაცია უცილობლად არ ემუქრება სოციალურ სახელმწიფოს.

შედარებითი უპირატესობის კლასიკური მაგალითია შალისა და ღვინის წარმოება. ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ღვინის წარმოება უფრო ადვილი პორტუგალიაშია, ხოლო შალის წარმოებას უპირატესობას შოტლანდიაში ანიჭებენ. თუ ეს ორი ქვეყანა ამ პროდუქტებზეა კონცენტრირებული, ვაჭრობაშია ჩართული და არ ცდილობს ორივე პროდუქტის ერთდროულად წარმოებას, ორივე სარგებელს იღებს.

გლობალიზაციის პესიმისტები

პესიმისტები, ოპტიმისტებისაგან განსხვავებით, აღნიშნავენ, რომ სოციალური პოლიტიკის ღონისძიებები მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო დონეზე მოქმედი კომპანიებისთვის, ვინაიდან მათ აქვთ საშუალება, აირჩიონ ქვეყანა პროდუქციის წარმოებისთვის. ისინი ისეთ ადგილებს ირჩევენ, სადაც შეძლებენ მინიმუმამდე შეამცირონ ხელფასებთან, გადასახადებთან და სხვა შენატანებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სოციალური სახელმწიფოს დასაფინანსებლად გამოიყენება. იგივე ითქმის კაპიტალის მფლობელებზე, რომლებსაც შეუძლიათ ინვესტირება იმ ქვეყნებში განახორციელონ, სადაც დაბალი გადასახადებია (იხ. შარპფი, 2000).

8 იხ. ნიგნი: ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია (2009), თავი 3, განყოფილება 2.

ვინაიდან სანარმოებისთვის, კაპიტალისა და მრავალი მაღალკვალიფიციური მუშაკისთვისაც კი დამახასიათებელია საერთაშორისო მობილურობა, მთავრობები ერთმანეთს ეჯიბრებიან ნაკლებად მძიმე გადასახადებისა და სოციალური უზრუნველყოფის სტანდარტების შემოღებაში. ამის შედეგად, გლობალიზაციის პესიმისტთა აზრით, ყველგან მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული „რბოლა ფსკერისკენ“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური სახელმწიფოს რღვევა. კონკურენციის ასეთი ზენოლის ფონზე სულაც არ არის აუცილებელი კაპიტალისა და კომპანიების ქვეყნიდან გატანა: საკმარისია იმით დაშინება, რომ ეს შეიძლება მოხდეს.

პესიმისტებს არ სჯერათ, რომ ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია თავისთავად განაპირობებს კონკურენციის ზენოლას, და ამას უფრო კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციას მიაწერენ. თუკი ოპტიმისტებს მიაჩნიათ, რომ საქმე მხოლოდ საქონლით ვაჭრობას ეხება, პესიმისტების რწმენით, სისტემური კონკურენციის განვითარება კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის შედეგია.

გლობალიზაციის პესიმისტები წინასწარმეტყველებენ, რომ გარკვეული დრო იქნება საჭირო, სანამ შედეგები თავს იჩენს. გადასახადებისთვის თავის არიდების შესაძლებლობიდან (რასაც ფაბრიკა-ქარხნების მობილურობა უწყობს ხელს) გამომდინარე, პირველი ნაბიჯია სოციალური სახელმწიფოს ხარჯების ტვირთის ნარმოების არამობილურ ფაქტორებზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუშაკებზე, გადატანა. კაპიტალიდან მიღებული შემოსავლები უფრო მსუბუქად იბეგრება, ვიდრე შრომითი შემოსავლები. ვინაიდან მდიდრები კაპიტალიდან ღარიბებთან შედარებით მეტ შემოსავალს იღებენ, დაბეგვრის ეფექტიანი პროგრესულობა მცირდება (იხ. მე-7 თავის 1-ლი განყოფილება გადასახადების შესახებ). დაფინანსება სულ უფრო უსამართლო ხდება და სოციალური სახელმწიფო თავის მიზნებს ვეღარ აღწევს. გრძელვადიან პერსპექტივაში, ამან შეიძლება სოციალური სახელმწიფოს დაშლა გამოიწვიოს.

არსებული გამოხმაურებები

ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, ნამდვილად იწვევს თუ არა გლობალიზაცია სოციალური სახელმწიფოს დაშლას. შედარებითი რაოდენობრივი კვლევებით თავდაპირველად დადგინდა, რომ 1990-იანი წლების შუა ხანებამდე სოციალური დანახარჯები და საგადასახადო შემოსავლები არ მცირდებოდა. თუმცა ეს კვლევები გააკრიტიკეს – მათ, სხვა ასპექტთა შორის, ინდიკატორების შერჩევის გზა დაუწინეს. აგრეგირებული ან შეჯამებული სოციალური დანახარჯები არ იძლევა ინდივიდუალურ შეღავათებზე რაიმეს თქმის საშუალებას. ადვილი შესაძლებელია, რომ მთელი დანახარჯები სტაბილური დარჩენილიყო, ხოლო შეღავათების მიმღებთა რაოდენობა გაზრდილიყო და ამას შეღავათების შემცირება გამოეწვია. ხარისხობრივი კვლევებით დადასტურდა, რომ განსახილველ პერიოდში მართლაც შეიკვეცა შეღავათები და შეიზღუდა მათი მიღების უფლების მქონე პირთა წრე. იგივე ითქმის საგადასახადო შემოსავლებზე. საგადასახადო შემოსავლების დონე მათ სტრუქტურაზე არაფერს გვეუბნება. ფაქტობრივად, მხოლოდ ემპირიული მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ საგადასახადო ტვირთმა კაპიტალიდან შრომაზე გადაინაცვლა. კრიტიკის ობიექტია ისიც, რომ კვლევა მხოლოდ 1990-იანი წლების შუა ხანებამდე არსებულ პერიოდს ითვალისწინებს.

სოციალური
პოლიტიკა
– „რბოლა
ფსკერისკენ“

გადამწყვეტი:
კაპიტალის
მოძრაობის
ლიბერალიზაცია

ხარჯების ტვირთის
ნარმოების
არამობილურ
ფაქტორებზე
გადატანა

სოციალური
სახელმწიფო
იშლება?
ცვალებადი
სურათი

დამატებითი
ლიტერატურა:
ფილიპ გენშელი
(2003),
*Globalisierung
als Problem,
als Lösung und als
Staffage*,
გამოცემაში:
გიუნტერ ჰელმანი,
კლაუს დიტერ
ვოლფი და მიჰაელ
ციურნი (რედ.),

Die neuen internationalen Beziehungen – Forschungsstand und Perspektiven in Deutschland, ბადენ-ბადენი, გვ. 429–464.

პერბერტ ობინგერი და პეტერ შტარკე (2007), Sozialpolitische Entwicklungstrends in OECD-Ländern 1980–2001: Konvergenz, Divergenz und Persistenz, გამოცემაში: Politische Vierteljahresschrift (Sonderheft 38), გვ. 470–495.

დამატებითი ლიტერატურა: მარიუს ბუზემაიერი და სხვები (2006), Politische Positionen zum Europäischen Wirtschafts- und Sozialmodell – eine Landkarte der Interessen, ფრიდრიხ ებერტის ფონდი (რედ.), ბონი.

კონკურენციის ზენოლის პრაქტიკული მოქმედება

შედარებით ბოლო დროის კვლევები, რომლებიც უფრო დიდ პერიოდს მოიცავს, უჩვენებს, რომ გლობალიზაციას მართლაც ფეხდაფეხ მოჰყვა სოციალური დანახარჯების შემცირება (იხ. ბუზემაიერი, 2009). შესაბამისად, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობებმა გლობალიზაციაზე პრაქტიკული რეაგირება სოციალური დახმარებების შემცირებით მოახდინეს. თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ერთადერთი რეაქციაა ეკონომიკური გლობალიზაციის გამონევაზე. ამ საკითხს მოკლედ ქვემოთ განვიხილავთ.

პრობლემის გადაჭრა: გლობალური და ევროპული სოციალური პოლიტიკა?

სოციალურ სახელმწიფოზე კონკურენციის ზენოლის ფონზე აქტუალური ხდება კითხვა: როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამ გამონევეს? ერთ-ერთი ინტუიციურად სავარაუდო გამოსავალი შეიძლება იყოს სოციალური სახელმწიფოს ინსტიტუტების მოქმედების საერთაშორისო დონეზე გავრცელება. ეკონომიკის გლობალიზაციაზე რეაგირება სოციალური პოლიტიკის გლობალიზაციით უნდა მოხდეს. თუკი ეს შესაძლებელი იქნება, მაშინ მობილური ფაბრიკა-ქარხნები წარმოების სხვა ქვეყანაში გადატანით სოციალური სახელმწიფოს ხარჯების თავიდან აცილებას ვეღარ მოახერხებენ. თუმცა დღეს პრობლემის ამ გზით გადაჭრა პოლიტიკური მოსაზრებების გამო თითქმის შეუძლებელია, რადგან სოციალურ სახელმწიფოებს შორის განსხვავებები საკმაოდ დიდია. გარდა ამისა, საკითხავია, დღევანდელ გარემოებებში იქნება თუ არა საერთაშორისო სოციალური პოლიტიკა სასურველი ნორმატიული თვალსაზრისით. სოციალურ სახელმწიფოსა და დემოკრატიას შორის არსებულმა მჭიდრო კავშირმა შესაძლოა საერთაშორისო დონეზე გადანეგეტილებების მიღების დემოკრატიზაცია გამოიწვიოს. ესეც უტოპიად რჩება.

ევროკავშირში⁹ სხვაგვარი სიტუაციაა. ევროკავშირი სოციალურ სახელმწიფოს ვერ შექმნის. ზენაციონალურ ინსტიტუტებს შეუძლიათ მიიღონ სავალდებულო გადანეგეტილებები შინაბაზრის განვითარების ფარგლებში („ნეგატიური ინტეგრაცია“), მაგრამ მათ ხელები შეკრული აქვთ „პოზიტიური ინტეგრაციის“ სფეროში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაზრის სოციალური პოლიტიკის რეგულირების სფეროში (იხ. შარპფი, 1999).

მიუხედავად ამისა, ნებაყოფლობით მაინც ხდება სხვადასხვა სოციალური პოლიტიკის კოორდინაცია. ამავდროულად, ევროკავშირს აქვს ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც შეიძლება ისეთი გზით განვითარდეს, რომ სავალდებულო დებულებებიც კი იქნეს შემოღებული. ეს არ მოითხოვს სოციალური პოლიტიკის სრულ ჰარმონიზაციას, რაც ევროპის სოციალური პოლიტიკის განსხვავებული ტრადიციების ფონზე არარეალისტურია. შესაძლებელია ევროპის დონეზე სავალდებულო მინიმალური სტანდარტები დადგინდეს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერს ასეთი სოციალური კავშირის მიზანს.

„ევროპის კავშირი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკური პასუხი გლობალიზაციაზე. [...] სოციალური კავშირი იმავე რანგში უნდა იქნეს აყვანილი, როგორშიც არის ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო კავშირი. [...] ჩვენი გვსურს არა სოციალური სისტემების სტანდარტიზაცია, არამედ სოციალური სტაბილურობის პაქტზე სხვა წევრ სახელმწიფოებთან შეთანხმების მიღწევა.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 26, 28)


9 საკითხი „ევროპის სოციალური პოლიტიკა“ განხილულია გამოცემაში: წიგნი 4, ევროპა და სოციალური დემოკრატია, სესილ შილდბერგი და სხვები (2010).

5.2. სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკასა და შრომაში

პირველ ათწლეულებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის ინდუსტრიული სექტორის სტაბილური ზრდა იყო დამახასიათებელი. 1970-იან წლებში ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა და მასთან ერთად იზრდებოდა ხელფასებიც. ხელფასების ზრდა იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა თავისი შემოსავლიდან უფრო ნაკლებს ხარჯავდა საცხოვრებელსა და საკვებზე და, ამდენად, უფრო მეტი თანხა რჩებოდა საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად.

1960-იან წლებში მრავალმა გერმანულმა (და სხვა ევროპულმა) ოჯახმა პირველად შეიძინა ისეთი საგნები, როგორებიცაა მაცივარი, სარეცხი მანქანა, ტოსტერი და ავტომობილი (ამ ეტაპს ზოგიერთი ექსპერტი „პირველადი შექენის“ პერიოდს უწოდებს). შემოსავლების ზრდა ინდუსტრიული სექტორის პროდუქციაზე მოთხოვნილების გაზრდას ნიშნავდა. ამ სფეროებში ასევე შესაძლებელი გახდა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც ფასების შემცირება და მოთხოვნილების კიდევ უფრო გაზრდა გამოიწვია. განვითარდა შრომის ნაყოფიერების, მოთხოვნილებისა და პროდუქციის ზრდის თვითგანმტკიცების პროცესი. ზრდას განაგრძობდა ინდუსტრიულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე იზრდებოდა შემოსავლები და მოთხოვნილება.

გარდა ამისა, ტრადიციულ სექტორებს (სოფლის მეურნეობა, სახელობო საქმე) და თანამედროვე ინდუსტრიულ სექტორს შორის პოზიტიური უკუკავშირი არსებობდა: თანამედროვე ინდუსტრიულ სექტორს მუშახელის ნაკლებობის პრობლემა ტრადიციულმა სექტორმა გადაუჭრა, ხოლო ტრადიციულმა სექტორმა წარმატებით გამოიყენა თანამედროვე სექტორის ინოვაციები.



სურათი 5: სამუშაო ძალა გერმანიაში ეკონომიკის სექტორების მიხედვით¹⁰

¹⁰ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორია 1990 წლამდე; 1950-დან 1959 წლამდე, ბერლინისა და ზაარის მიწის გარეშე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი ათწლეულები: ინდუსტრიული სექტორის სტაბილური ზრდა

1960-იანი წლები: პერიოდი, როდესაც აღამიანებმა პირველად შეიძინეს მრავალი საყოფაცხოვრებო ნივთი

დამატებითი ლიტერატურა: ბურკარტ ლუტცი (1989), *Der kurze Traum immerwährender Prosperität. Eine Neuinterpretation der industriell-kapitalistischen Entwicklung im Europa des 20. Jahrhunderts*, მაინის ფრანკურტი/ნიუ-იორკი.

შენიშვნა: მაგალითად, 1966 წელს მუშაკთა დაახლოებით 10% პირველად სექტორში იყო დასაქმებული, 49% – მეორეულ სექტორში, ხოლო 41% – მომსახურების სექტორში.

1970-იანი
წლებიდან
ინდუსტრიულ
სექტორში
დასაქმების
კლება
დაიწყო

1970-იან და 1980-იან წლებში სიტუაცია შეიცვალა. „პირველადი შექმნის“ ფაზა დასრულდა. მომხმარებელს რაოდენობაზე მეტად ხარისხი აინტერესებდა. ამის შედეგად მოთხოვნილების ზრდა შემცირდა, თუმცა ფასების ვარდნა კვლავ შესაძლებელი იყო შრომის ნაყოფიერების გაზრდის ხარჯზე. შესაბამისად, ამ სექტორში დასაქმების ზრდა შეწყდა – ჯერ სტაგნაცია განიცადა, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა კლება დაიწყო.

სულ უფრო
იზრდებოდა
სერვისების
სექტორის
მნიშვნელობა

გაიზარდა სერვისებზე მოთხოვნილებაც. ამ სექტორის მნიშვნელობამ 1970-იანი წლებიდან დაიწყო ზრდა, რაც დასაქმების ზრდაზედაც აისახა. თუმცა გერმანიაში ამ სექტორის განვითარება მაინც ჩამორჩებოდა ინდუსტრიული სექტორის უკუსვლას. სწორედ ამიტომ ეს სექტორი უფრო დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი. და ბოლოს, მსგავსი გადასვლა მოხდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც: სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიაზე. რა განსხვავებაა ტრანსფორმაციის ამ ორ პროცესს შორის?

სერვისები,
რომლებიც
ინტენსიურ
მუშაობას
მოითხოვს: შრომის
ნაყოფიერება
მხოლოდ
გარკვეულ
ნიშნულამდე
შეიძლება
გაიზარდოს

„სერვისები“ მრავლისმომცველი ცნებაა. ზოგიერთი სერვისი უშუალოდ კომპანიებს მიეწოდება, ხოლო ზოგიერთი ძირითადად კერძო მეურნეობებისთვისაა განკუთვნილი. არსებობს პროფესიული სერვისები და საბაზისო სერვისები. ამ უკანასკნელთა მიწოდება დაბალკვალიფიციურ პირებსაც შეუძლიათ. ამასთანავე, იმ სერვისებს, რომლებიც ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს, საერთო ის აქვთ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის პოტენციალი შეზღუდულია. თუმცა, მაგალითად, როდესაც ოფიციალურ ტებს, ექიმებს, აღმზრდელებს ან მასწავლებლებს ერთდროულად ბევრი სტუმრის, პაციენტისა თუ სტუდენტის მომსახურება უხდებათ, მაშინ მომსახურების ხარისხი ძალზე სწრაფად უარესდება.

აქედან გამომდინარე, სერვისები, რომლებიც ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს, შრომის ნაყოფიერების ზრდის მიმართ ისევე მგრძობიარე არ არის, როგორც ინდუსტრიულ სექტორში პროდუქციის წარმოება. ხელფასების ზრდა და, იმავდროულად, ფასების ვარდნა – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეგრეთ წოდებული „ოქროს ხანის“ ციკლის მახასიათებელი – ჩვეულებრივ, არ ხდება. თუკი მომსახურების სექტორში ხელფასები ისევე გაიზრდება, როგორც ინდუსტრიულში, მაშინ დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირთა დასაქმების ზრდა შემცირდება.

უფრო
უთანასწორო
ხელფასები – სამუშაოს
დაკარგვა?

ერთ-ერთი ალტერნატივაა ხელფასების უთანასწორობის ზრდა. მართლაც, ბოლო წლებში ეს სულ უფრო ხშირად ხდება. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამის გამართლება ძნელია. ის, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა ადვილად ვერ მიიღწევა, დასაქმებულის ბრალი არ

არის – ეს სამუშაოს ბუნებიდან გამომდინარეობს. განსაკუთრებით მომხიბლავად არც ხელფასების უთანასწორობის ზრდა გამოიყურება და არც სამუშაოს დაკარგვა.

მესამე ალტერნატივად შეიძლება განხილულ იქნეს უფრო პროფესიულ სერვისებზე კონცენტრირება. თუმცა ინდუსტრიული სამუშაოს მომსახურებით ერთიანად ჩანაცვლება მარტივი არ არის. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება და ზოგ შემთხვევაში მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. ანმყოსა და მომავლისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის ბაზარზე მომზადება და გადამზადება სულ უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

- თუმცა ამ ცვლილებებით გამონევენების წინაშე მხოლოდ განათლების/მომზადების პოლიტიკა არ დადგება (იხ. მე-7 თავის მე-5 განყოფილება განათლების/მომზადების შესახებ). წნეხის ქვეშ სოციალური პოლიტიკის ტრადიციული სფეროებიც მოექცევა. მომსახურების სექტორში მრავალი სამუშაო უბრალოდ ვერ უზრუნველყოფს „ნორმალურ დასაქმებას“, ტრადიციული გაგებით. „ნორმალური დასაქმება“ მუდმივ შრომით კონტრაქტს, სრულგანაკვეთიან დასაქმებაზე ორიენტირებულ, დადგენილ სამუშაო დროს, კოლექტიურ ხელშეკრულებაზე დაფუძნებულ ხელფასს ან სარგოს, სავალდებულო სოციალურ დაზღვევას და დასაქმებულის დამსაქმებელთან დამოკიდებულებას და მისდამი დაქვემდებარებას ემყარება. მისგან განსხვავებით, მომსახურების სექტორში დასაქმება ძირითადად არასრულ განაკვეთზე დასაქმებას, თვითდასაქმებას ან განსაზღვრული დროით დასაქმებას ნიშნავს.

ვინაიდან სოციალური დაცვის მრავალი სისტემა კვლავ მუდმივ და, შესაძლებლობის ფარგლებში, უწყვეტ კარიერულ განვითარებაზეა ორიენტირებული (მაგალითად, პენსია და უმუშევრობის დაზღვევა), უამრავი დასაქმებულისთვის სოციალური უზრუნველყოფისთვის საკმარისი უფლების მიღება სულ უფრო რთული ხდება.

კიდევ ერთ პრობლემას წარმოშობს ის, რომ მომსახურების სექტორში პროფკავშირული ორგანიზაციების დონე დაბალია, მუშათა საბჭოების რაოდენობა შედარებით მცირეა, მრავალი დამსაქმებელი კი არ არის დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი. შესაბამისად, კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების არეალი შეზღუდულია, ხოლო რეგულირებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა უფრო რთულია.

მამასადამე, სტრუქტურული ცვლილებები განაპირობებს განათლების/მომზადების სხვადასხვა (მთლიანობაში, უფრო მაღალ) მოთხოვნილებას და განსხვავებულ კარიერულ განვითარებას და თავისი ნვლილი შეაქვს არათანაბარი ხელფასების ტენდენციაში. განათლება/მომზადება, უმუშევრობა და საპენსიო პოლიტიკა სოციალური პოლიტიკის ის სფეროებია, რომლებზედაც ეს ცვლილებები ყველაზე მეტ გავლენას ახდენს.

ახალი მოთხოვნები მომზადებისა და გადამზადების მიმართ

დაფინანსების ტრადიციული სტრუქტურის და ახალი კარიერული განვითარების ფორმების ურთიერთდაპირისპირება

შედეგი: არაადეკვატური სოციალური დაზღვევა

პროფკავშირული ორგანიზაციების დაბალი დონე – კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების შეზღუდული არეალი

სტრუქტურული ცვლილებები ძირითადად განათლებაზე/მომზადებაზე, შრომასა და პენსიებზე ახდენს გავლენას

5.3. დემოგრაფიული გარდაქმნა

სასიხარულო
მიზეზი – სიცოცხ-
ლის ხანგრძლივობა
მაღალია

შობადობის დონის
შემცირება


შედეგი:
ხანდაზმულობის
პენსიის
კოეფიციენტის
ზრდა

დამატებითი
ლიტერატურა:
ერიკა შულცი
და ანკე ჰანემანი
(2007), *Bevölkerungs-
entwicklung in
Deutschland bis 2050:
Nur leichter Rückgang
der Einwohnerzahl?*,
DIW Wochenbericht
No. 47/2007, ტ. 74.

მოსახლეობის დაბერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყველას უნდა გვახარებდეს: დღეს ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ. ძველ ფედერალურ შტატებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1980-2002 წლებში საგრძნობლად გაიზარდა, კერძოდ, მამაკაცებისა – 69.9-დან 75.6 წლამდე და ქალებისა – 76.6-დან 81.3 წლამდე.

მეორე მიზეზია შობადობის დონის შემცირება, რაც განსაკუთრებით 1965-1975 წლებში შეინიშნებოდა. შემდგომ, 1990 წლამდე, შობადობის დონე უმნიშვნელოდ იზრდებოდა, ხოლო ამის შემდეგ, 2007 წლამდე, კვლავ იკლებდა. 2007 წელს გერმანიაში ერთ ქალზე 1.37 ბავშვი მოდიოდა.

ეს ორი მოვლენა ერთობლივად იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა და პენსიაზე მყოფ პირთა შორის თანაფარდობა მომდევნო ათწლეულებში განუწყვეტილად შემცირდება.



სურათი 6: ხანდაზმულობის პენსიის კოეფიციენტის დინამიკა, 1960-2020

შენიშვნა: გერმანიაში 1965 წელს 20-დან 59 წლამდე ასაკის ყოველ 100 ადამიანზე 35 ხანდაზმული (60 წელს გადაცილებული) მოდიოდა. 2010 წელს 60 წელს გადაცილებულთა რაოდენობა 45-მდე გაიზარდა.

ამის საზომი – ეგრეთ წოდებული ხანდაზმულობის პენსიის კოეფიციენტი – აღწერს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასა და პენსიონერთა შორის თანაფარდობას.

ხანდაზმულობის პენსიის კოეფიციენტი აღწერს 60 წელს გადაცილებულთა და 20-დან 59 წლამდე ასაკის პირთა შორის თანაფარდობას.

თუ ამ კოეფიციენტს ციფრებით გამოვსახავთ, 2005 წელს ყოველ 100 ეკონომიკურად აქტიურ ადამიანზე 44 პენსიონერი მო-

დიოდა, 2020 წელს კი პენსიონერი 53 იქნება. შენატანებზე დაფუძნებული (pay-as-you-go) საპენსიო სქემის მაგალითზე დაფინანსების პრობლემა აშკარაა: პენსიონერთა მზარდი რაოდენობის ფონზე ხანდაზმულობის პენსია ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა დღევანდელი შენატანებით უნდა დაფინანსდეს. საჯარო დებატებში ხშირად მიუთითებენ, რომ ამ ვითარების შესაძლო შედეგებია დასაქმებულთა შენატანების გაზრდა, პენსიების შემცირება ან ვალის ზრდა.

რეალურად რამდენად დიდია პრობლემა, რომელიც ამ ცვლილებებს იწვევს? თუკი ხანდაზმულობის პენსიის კოეფიციენტს პროცენტულად გამოვსახავთ, 15 წლის განმავლობაში, 2005-დან 2020 წლამდე, ყოველწლიურ 1.4%-ზე ზრდა დაახლოებით 20% იქნება. ისევე 15 წლის განმავლობაში, 1993-დან 2008 წლამდე, გერმანიაში საშუალო ეკონომიკური ზრდა 1.5% იყო.

თუკი მომდევნო 15 წლისთვის ზრდის კოეფიციენტი არ შეიცვლება, მაშინ პენსიების შემცირების თავიდან აცილება ზრდით მიღებული მოგების საპენსიო დაზღვევაში ინვესტირებით მოხერხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ალტერნატივის განხორციელება დაუჯერებელია, ეს მონაცემები ნათლად მიუთითებს პრობლემის მასშტაბზე. რა თქმა უნდა, რეფორმა აუცილებელია. თუმცა შენატანებზე დაფუძნებული საპენსიო სქემით გამოწვეული გარდაუვალი კრიზისის საფრთხე გადაჭარბებულად გამოიყურება.

მოსახლეობის დაბერება გავლენას მხოლოდ სახელმწიფო საპენსიო სისტემაზე არ ახდენს. საპენსიო პერიოდის გახანგრძლივების შედეგად ჯანდაცვის სისტემის ხარჯებიც იზრდება. საპენსიო სისტემის მსგავსად, ჯანდაცვის სისტემა ძირითადად ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა შენატანებით ფინანსდება. მოსახლეობის დაბერების კიდევ ერთი მოსალოდნელი შედეგი იქნება ჯანმრთელობის დაზღვევის ზრდა.

პროგნოზების მიხედვით, გერმანიაში დემოგრაფიული განვითარება პიკს დაახლოებით 2040 წელს მიაღწევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ დროისთვის ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა და პენსიონერთა შორის თანაფარდობა ყველაზე არახელსაყრელი იქნება. აქ აღწერილი მოვლენების შედეგად მომდევნო ათწლეულებში საპენსიო და ჯანმრთელობის დაზღვევის დაფინანსება შეზღუდვების წინაშე აღმოჩნდება.

თუკი მზარდი ეროვნული შემოსავლის ნაწილი სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში იქნება ინვესტირებული და, იმავდროულად, შენატანებს მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი გადაიხდის, მაშინ ეს პრობლემები გადაიჭრება. მე-7 თავის მე-3 (პენსია) და მე-4 (ჯანდაცვა) განყოფილებებში უფრო დეტალურადაა განხილული მოსახლეობის დაბერების პრობლემაზე შესაძლო რეაგირების საკითხები.

2005:
44 პენსიონერი
ყოველ –100
მუშაკზე
2020 –
დაახლოებით 53

რამდენად დიდია
პრობლემა?

შეჯამება:
რეფორმა
აუცილებელია –
თუმცა კრიზისის
ძალზე
დრამატულად
აფასებენ

ჯანდაცვის
სისტემის და
მზრუნველობის
სისტემის
გამონვევები

განვითარება
პიკს 2040 წელს
მიაღწევს

გადანყვეტა: მზარდი
ეროვნული შემოსავ-
ლის სოციალური
უზრუნველყოფის
სისტემაში ინვესტი-
რება – დეტალები
იხ. 73 და 74 თავებში

5.4. სოციალური გარდაქმნა

განსხვავებული ცხოვრებისეული გეგმები: მეტი თავისუფლება და თვითგამორკვევა


დამატებითი ლიტერატურა:
ულრიხ ბეკი და ელიზაბეტ ბეკ-გერნსჰაიმი (რედ.) (1994), *Risikante Freiheiten. Individualisierung in modernen Gesellschaften*, მაინის ფრანკფურტი.

დამატებითი ლიტერატურა:
თომას მაიერი [ზიგენი] (1992), *Modernisierung der Privatheit: Differenzierungs- und Individualisierungsprozesse des Familienzusammenlebens*, ოპლადენი.

ბოლო ათწლეულებში ეკონომიკურ სტრუქტურასა და ასაკობრივ სტრუქტურასთან ერთად ადამიანის ღირებულებებიც შეიცვალა. ცხოვრების წესი და ცხოვრებისეული გეგმები განსხვავდება 50 თუ 100 წლის წინანდელი წესისა და გეგმებისაგან. ცხოვრება სულ უფრო ნაკლებად ექვემდებარება სოციალურ შეთანხმებებს. გაიზარდა ინდივიდუალური თავისუფლებისა და თვითგამორკვევის ხარისხი. პიროვნული თავისუფლების ზრდის შედეგად სხვადასხვა ცვლილება ხდება და მათ ძირითადად ხალხით იღებენ.

ამის ნათელი მაგალითია შინამეურნეობის (ოჯახის) ზომის ცვლილება. მეოცე საუკუნის დასაწყისში ოჯახში ხუთი ან მეტი წევრი ნორმად მიიჩნეოდა, მარტოხელა ადამიანი კი გამონაკლისი იყო. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში სიტუაცია შეიცვალა: დღეს ოჯახების დაახლოებით 40% ერთწევრიანია, ხოლო ოთხზე მეტი წევრი ოჯახების 4%-შიც კი არ არის (იხ. სურათი 7).

თუმცა ეს მონაცემები არ ასახავს იმ უპირატესობას, რომელსაც „საკუთარ ოთხ კედელში ცხოვრებას“ ანიჭებენ (ფაქტობრივად, მოვლენათა განვითარება სანინალმდებგოზე მიუთითებს: 1972 წელს ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობდა 25 წლის ახალგაზრდების დაახლოებით 20%, 2003 წელს კი ეს მაჩვენებელი 30%-მდე გაიზარდა – იხ. მაიერი [ზიგენი], 2006). ამის მიზეზია შობადობის კლება, აგრეთვე ისეთი ტრადიციული ინსტიტუტების რღვევა, როგორიც არის ქორწინება.



წყარო: Statistisches Bundesamt (2012b)

სურათი 7: შინამეურნეობის (ოჯახის) ზომა გერმანიაში, 1900-2010

შენიშვნა: 1900 წელს გერმანელთა დაახლოებით 45%-ის ოჯახი ხუთი ან მეტი ნევრისაგან შედგებოდა, ოჯახების 17% ოთხსულიანი იყო, ასევე 17% – სამსულიანი, 15% – ორსულიანი, ხოლო ოჯახების 7%-ს მარტოხელები შეადგენდნენ. დღეს ადამიანთა თითქმის 40% მარტო ცხოვრობს.

მაგალითად, 1960 წლიდან ქორწინებების რაოდენობა მუდმივად მცირდება. სულ უფრო მეტი წყვილი – მათ შორის, ბავშვიანი – რჩება დაუქორწინებელი: ისინი „ცოდვაში ცხოვრობენ“, რაც ადრე დამამცირებლად მიიჩნეოდა. გარდა ამისა, იმავე პერიოდში მუდმივად იზრდება განქორწინებების რაოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ნაკლები ქორწინება გაფორმდა.

ქორწინება და განქორწინება 1960-2010 წლებში

წელი	ქორწინება (1000 სულ მოსახლეზე)	განქორწინება (1000 სულ მოსახლეზე)
1960	9.4	1.0
1970	7.4	1.3
1980	6.3	1.8
1990	6.5	1.9
1995	5.3	2.1
2000	5.1	2.4
2005	4.7	2.4
2010	4.7	2.3

წყარო: Statistisches Bundesamt (2012c)

გერმანული სოციალური სახელმწიფო, რომელიც მრავალ სფეროში ჯერ კიდევ ორიენტირებულია ოჯახის ტრადიციულ მოდელზე, სადაც ოჯახის მარჩენალი მამაკაცია, ამ ცვლილებებთან ადაპტაციას საჭიროებს. ეს ეხება, მაგალითად, პენსიებს. იმის გათვალისწინებით, რომ პენსიის დონე და შენატანები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, საპენსიო სისტემა არ არის იმგვარად მოწყობილი, რომ გაუძლოს იმ ქალების მზარდ რაოდენობას, რომლებიც მარტო ცხოვრობენ და შრომით საქმიანობას აღარ ეწევიან. გარდა ამისა, სულ უფრო მეტი მარტოხელა დედა დგება სიღარიბის საფრთხის წინაშე.

1996 წელს ბავშვიანი ოჯახების 14%-ში მშობელი მარტოხელა იყო. 2009 წელს ეს მაჩვენებელი 19%-მდე გაიზარდა. მარტოხელა მამა მხოლოდ 10%-ია. 1996 – 2009 წლებში მარტოხელა მამების ხვედრითი წილი 13%-დან 10%-მდე შემცირდა. მარტოხელა მშობლების 31%-ისთვის ისეთი ტრანსფერები, როგორცაა ჰარც IV დახმარება ან საშემოსავლო დახმარება, ოჯახის შემოსავ-

*ქორწინებების
რაოდენობის
შემცირება*

*პრობლემა: ოჯახის
მარჩენალი
მამაკაცია*

*მარტოხელა
მშობლების
წინაშე მწვავედ
დგას სიღარიბის
საფრთხე*

ლის ძირითადი წყაროა (Statistisches Bundesamt 2010a).

სიღარიბის ზღვარზე მყოფთა ხვედრითი წილი არის იმ პირთა წილი, რომელთა შემოსავალი მედიანური შემოსავლის არანაკლებ 60%-ია. მედიანური შემოსავალი (რომელიც განსხვავდება საშუალო შემოსავლისაგან) ნიშნავს შემდეგს: მოსახლეობის ნახევრის შემოსავალი ამ გამოანგარიშებულ რაოდენობაზე მეტია, ხოლო მეორე ნახევრისა – ნაკლები.

ოჯახური ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის შეთავსება – დეტალურად განხილულია 7.5 თავში


ხანდაზმულები უფრო მეტად დგანან სიღარიბის საფრთხის წინაშე – განსაკუთრებით ქალები

ხანდაზმულობით გამოწვეული სიღარიბის რისკი

სიტუაციის გამოსწორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნა და ბავშვთა აღზრდა. ეს საკითხი მე-7 თავის მე-5 განყოფილებაში (განათლება/მომზადება) არის განხილული.

სოციალური გარდაქმნა ასევე გავლენას ახდენს ხანდაზმულთა შემოსავლებზე. მარტოხელა ხანდაზმულები მოსახლეობის სხვა ფენებთან შედარებით სიღარიბის განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დგანან. 2002 წელს 65-დან 74 წლამდე ასაკის ადამიანთა 26.8% მედიანური შემოსავლის 60%-ზე ნაკლებს იღებდა – მარტოხელა ქალებისთვის ეს მაჩვენებელი 29.3% იყო (DIW 2004). მაშასადამე, მარტოხელა ქალები შემოსავლების კუთხით უარეს მდგომარეობაში არიან.

ხანდაზმული წყვილების შინამეურნეობათა შემოსავალი მთლიანი მოსახლეობის საშუალო შემოსავლის ტოლია. ხანდაზმულობით გამოწვეული სიღარიბის დასაძლევად მინიმალური პენსიების გადასახადებით დაფინანსებული ზრდა შეიძლება ეფექტიანი არ აღმოჩნდეს. ეს საკითხი დეტალურად მე-7 თავის მე-3 განყოფილებაშია განხილული.



წყარო: Familienreport 2011

სურათი 8: სიღარიბის ზღვარზე მყოფთა ხვედრითი წილი ოჯახის სტრუქტურისა და 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობის მიხედვით 2010 წელს

შენიშვნა: სიღარიბის ზღვარზე მყოფ, ოჯახში ორ ზრდასრულთან მცხოვრებ ბავშვთა ხვედრითი წილი 10.5%-ია. თუ ორ ან მეტ ბავშვს მხოლოდ ერთი ადამიანი ზრდის, მაშინ ეს მაჩვენებელი 62%-ს აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი 100 ბავშვიდან 62-ს მედიანურზე 60%-ით ნაკლები შემოსავალი აქვს.

რას ნიშნავს ეს სოციალ-დემოკრატიულობისთვის?

- გლობალიზაცია, სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკასა და შრომაში, დემოგრაფიული განვითარება და სოციალური გარდაქმნა პრობლემებს უქმნის ტრადიციულ გერმანულ სოციალურ სახელმწიფოს, მაგრამ ეს არ არის გადაუჭრელი პრობლემები.
- პრობლემები ძირითადად იმის გამო წარმოიშობა, რომ გერმანული სოციალური სახელმწიფო კვლავ ორიენტირებულია კონსერვატიული ოჯახის მოდელზე, რომელიც ოჯახის მარჩენალ მამაკაცს ეფუძნება, ხოლო შეღავათების დაფინანსება და ანაზღაურება დასაქმების სტატუსთანაა დაკავშირებული.
- ზოგიერთი გამოწვევა მოითხოვს კონკრეტულ პასუხს, რომელიც მომდევნო თავებში იქნება აღწერილი. მთლიანობაში, ეს პასუხები იმ მიმართულებაზე მიუთითებს, რომელმაც სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფოს წარმატება უნდა უზრუნველყოს. ამისთვის საჭიროა შეღავათებისა და მოქალაქეებს შორის უფრო მჭიდრო კავშირი და დასაქმების სტატუსზე ნაკლები ორიენტაცია, ამასთანავე, ძირითადად გადასახადებზე და არა შენატანებზე დაფუძნებული დაფინანსება.

6. პარტიების სოციალურ-პოლიტიკური პროზიციები

ტობიას გომბერტი

ამ თავში გერმანიის პარლამენტში წარმოდგენილი ხუთი პოლიტიკური პარტიის პროგრამები:

- შედარებულია სოციალური პოლიტიკის დებულებების თვალსაზრისით;
- კატეგორიებად არის დაყოფილი სოციალური სახელმწიფოს სამი მოდელის მიხედვით;
- და გამოკვლევულია მათი სამართლიანობის საბაზისო ცნებების კონტექსტში.

პარტიული
პროგრამები:
სამომავლო
დაპირებები

პარტიულ პროგრამებში მრავლადაა სამომავლო დაპირებები. ისინი შეიცავენ მომავლის კონკრეტულ ხედვას, რომლის განხორციელებისთვისაც ყოველი პარტია იღვწის და რომელთანაც ის გაიგივებულია საზოგადოების თვალში. ამას შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ პარტია შეძლებს დამაჯერებლად წარმოადგინოს სასურველი მომავალი წარსულის ანალიზის საფუძველზე და სიცოცხლისუნარიანი სამომავლო გზა. მაშასადამე, პარტიული პროგრამები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა პარტიის ორიენტაციაზე.

რა არის ნიშნული?

სოციალური პოლიტიკა ზუსტ განმარტებას მოითხოვს. კონსერვატიული და ლიბერალური პარტიები ცდილობენ ის ვიწრო პოლიტიკურ კონტექსტში წარმოადგინონ და მიაჩნიათ, რომ სოციალური პოლიტიკა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გაჭირვებაში მოხვედრილი ადამიანების დაცვის მექანიზმია. ხოლო მემარცხენე-ცენტრისტული პარტიებისთვის სოციალური პოლიტიკა ყოვლისმომცველი ცნებაა, რომელიც საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილებით თანასწორი შესაძლებლობების შექმნას გულისხმობს. გარდა ამისა, სოციალური დემოკრატიის თეორიის თვალსაზრისით (იხ. მაიერი [დორტმუნდი], 2005 და „სოციალური დემოკრატიის კურსის“ 1-ლი ნიგნი), პარტიების სოციალურ-პოლიტიკური პოზიციების განმარტებისთვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული ცნებებისა და სტანდარტების განსაზღვრა. დასაწყისისთვის მოკლედ უნდა იქნეს განხილული შეფასების წესი, რომლის საფუძველზედაც შეგვეძლება შევისწავლოთ სოციალური სახელმწიფოს კონცეფციის კავშირი შესაბამის პარტიასთან, ანუ ის, თუ როგორ აპირებს ეს პარტია სოციალური სახელმწიფოს განვითარებას.

ნიშნული: სოციალური სახელმწიფოს ტიპები – დეტალური მე-4 თავში

ამ შემთხვევაში ნიშნულად გამოიყენება ესპინ-ანდერსენის მიერ აღწერილი კაპიტალიზმის სამი ტიპი, სოციალური სახელმწიფოს ორგანიზების სპეციფიკითა და სამართლიანობის გავრცელებული ცნებებით:

- კონტინენტური (ევროპული), კონსერვატიული ტიპის;
- ანგლოსაქსური, ლიბერალური ტიპის;
- სკანდინავიური, სოციალ-დემოკრატიული ტიპის.

კაპიტალიზმის ტიპების უფრო დეტალური ახსნა და მათი სამართლიანობის საბაზისო ცნებები ამ წიგნის მე-4 თავშია მოცემული.

პარტიული პროგრამების შემდგომი შესწავლისას, ამ მოდელზე დაყრდნობით, ჩვენ გამოვიკვლევთ, რამდენად მიჰყვებიან პარტიები „კონტინენტური ევროპული კონსერვატიული სოციალური სახელმწიფოს“ გზას, როგორც ეს დღემდე ხდება გერმანიაში, თუ ისინი ახდენენ მის რევიზიას ან მის სხვაგვარად განვითარებას აპირებენ, და სოციალური სამართლიანობის რომელი კონცეფციის განხორციელება სურთ.

6.1. ძირითადი პრინციპები გერმანიისთვის – ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის (ქდკ)¹¹ პროგრამა

2007 წელს ქდკ-მ ახალი პროგრამა მიიღო. მას „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ მომავლის წარმატებულ მოდელად მიაჩნია. „ქდკ არის სოციალური საბაზრო ეკონომიკის პარტია. ... ქდკ უარყოფს სოციალისტურ და სხვა სახის კოლექტივიზმს. თუმცა ეს ასევე ეხება შეუზღუდავ კაპიტალიზმს, რომელიც მხოლოდ ბაზარს ეყრდნობა და ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი სოციალური საკითხების მოგვარების აუცილებლობას არ აღიარებს. სოციალური საბაზრო ეკონომიკა ჩვენს მოდელად რჩება გაერთიანებულ გერმანიაშიც და გლობალიზაციის ეპოქაშიც“ (იხ. გვ. 46-47).¹²

აქედან გამომდინარე, ის სოციალურ სახელმწიფოს „სოციალურ საბაზრო ეკონომიკასთან“ აიგივებს. სოციალური სახელმწიფო ფუნქციონირებს, როგორც ბაზრის მაკორექტირებელი – საბაზრო ეკონომიკა სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში გადააყვავს: „სოციალურ სახელმწიფოს დიდი მიღწევები აქვს. იგი კვლავ განუყოფელია. ქდკ-მ სოციალური უზრუნველყოფის მტკიცე სისტემა შექმნა. რისკებისაგან დაცვის სოლიდარული მექანიზმების არსებობა ადამიანთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მათ მოიტანეს საყოველთაო კეთილდღეობა, სოციალური მშვიდობა და მონაწილეობა. თუმცა მომავალში ისინი თავიანთ ამოცანებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებენ, თუკი მათი განვითარება და რეფორმირება მოხდება. მიზანი არის სოციალური სახელმწიფოს გააქტიურება, რომელიც ინდივიდთა მტკიცე მოტივირებას ახდენს და მათ ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომელშიც ისინი შესაძლებლობების შესაბამისად ინიციატივას იჩენენ და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ“ (გვ. 60). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქდკ-ის ძირითადი კონცეფცია არის სოციალური საბაზრო ეკონომიკა და არა სოციალური სახელმწიფო.

11 Christlich Demokratische Union Deutschlands – გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი
12 ტექსტში მოცემული გვერდების ნომრები აღნიშნავს პროგრამის შესაბამის გვერდს, თუკი კონკრეტულად არ არის მითითებული სხვა გამოცემები.

სამართლიანობის
რომელი გზა და
რომელი ცნება?

„სოციალური
საბაზრო
ეკონომიკა“,
როგორც მას ქდკ
განმარტავს

ქდკ-ის ძირითადი
კონცეფცია არის
სოციალური
საბაზრო
ეკონომიკა და
არა სოციალური
სახელმწიფო

„კოლექტივიზმის“ უარყოფა ასახულია სუბსიდიარობის პრინციპში (ამ ცნების ქრისტიანული საფუძვლისთვის იხ.: სტეგმანი/ლენგჰორსტი 2005: 610-611): „თავისუფლება შესაძლებელს ხდის და მოითხოვს დამოუკიდებელ თვითგამორკვევას. ამიტომ საზოგადოებაში ცხოვრება სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად უნდა იქნეს ორგანიზებული: ის, რისი გაკეთებაც ადამიანებს შეუძლიათ უკეთესად ან კარგად, მარტო, ოჯახში ან სხვებთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობით, მათ ამოცანად უნდა დარჩეს. სახელმწიფომ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იკისრონ კონკრეტული ამოცანების შესრულება, თუკი მათი შესრულება ინდივიდებს ან უფრო მცირე თემებს არ შეუძლიათ. სუბსიდიარობის ფუნდამენტური პრინციპი ხორციელდება ასევე მცირე და დიდ თემებს შორის, ნებაყოფლობით გაერთიანებებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. სუბსიდიარობა მოითხოვს, რომ უფრო დიდმა წარმონაქმნმა (მათ შორის, სახელმწიფო დონეზე) განახორციელოს ქმედება, თუკი ინდივიდებისთვის ან მცირე წარმონაქმნებისთვის სოციალურ-პოლიტიკური მოთხოვნის დაკმაყოფილება დიდი ტვირთია“ (გვ. 7).

სუბსიდიარობის პრინციპი ხორციელდება ისეთი საზოგადოების ხედვის ფარგლებში, სადაც სოციალური საბაზრო ეკონომიკა დომინირებს: „სოციალური საბაზრო ეკონომიკა კონკურენციას ემყარება. სოციალური საბაზრო ეკონომიკის პოლიტიკის ჩამოყალიბებას განაპირობებს „მარეგულირებელი პოლიტიკა“ (Ordnungspolitik) [სათანადო ჩარჩოს შექმნა ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველსაყოფად: ავტორის შენიშვნა]. სოციალური საბაზრო ეკონომიკა საწარმოებს ანიჭებს თავისუფლებას, რომელიც მათ განვითარებისთვის სჭირდებათ, და ამის მეშვეობით ადამიანებს საქონლისა და მომსახურების ფართო არჩევანით უზრუნველყოფს. ეს ყველას აძლევს საშუალებას, ჩაერთოს ბაზარში და პასუხისმგებელი იყოს საკუთარი თავისთვის. ამისთვის საჭიროა სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს კონკურენტული გარემო. ეს ითვალისწინებს საქმიანობისა და კონტრაქტის გაფორმების თავისუფლებას, სავაჭრო ბარიერებისაგან და ძლიერი კომპანიების მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბებისაგან დაცვას და ბაზრის გამჭვირვალობის ხელშეწყობას. სოციალური საბაზრო ეკონომიკისთვის საკუთრების დაცვა არის იმის წინაპირობა, რომ მან წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფაში და ამის მეშვეობით შეასრულოს თავისი სოციალური ვალდებულებები“ (გვ. 49).

ამგვარად, სოციალური საბაზრო ეკონომიკა შრომითი წვლილის შესაბამის სამართლიანობაზეა ორიენტირებული და მკაფიოდ გამოყოფს შედეგებს შორის განსხვავებას, რაც სოციალური კეთილდღეობის მამოძრავებელ ძალად მიაჩნია (იხ. მაგ., გვ. 20, 48). ყურადღების ცენტრში არის – და რჩება – ინდივიდი და არა სახელმწიფო.

შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნებებზე დაყრდნობით ქდკ-ს სურს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ორი მიმართულებით გარდაქმნას: პირველი, ის გააცალკე-

ოს დასაქმებისაგან (გვ.60-61), და მეორე, გააძლიეროს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საბაზისო უზრუნველყოფასთან ერთად (გვ. 60-62).

ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მუშაკებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი სარგებელი მათი საფულის ზომის შესაბამისად. ამ სარგებელში დამსაქმებელთა წვლილი არის მისი განცალკევება მუშაკთა არასახელფასო ხარჯებისაგან.

ამ გზით ქვე ცდილობს კონტინენტური (ევროპული) კონსერვატიული სოციალური სახელმწიფო ლიბერალური სოციალური სახელმწიფოს მოდელზე გადაიყვანოს.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი ძირითადად ლიბერალიზმზეა ორიენტირებული, თუმცა კვლავ შენარჩუნებულია გარკვეული მარეგულირებელი კომპონენტები, რომლებიც ქრისტიანულ ღირებულებებს ეფუძნება.

ქვე-ის წინადადებები ცვლილებებისთვის:

- **შრომა/ეკონომიკა:** (დამსაქმებლების მიერ გასანევი) მუშაკთა არასახელფასო ხარჯების ტვირთის შემსუბუქება სოციალური დაზღვევის შენატანების შემცირების და დასაქმებულთა ნებაყოფლობითი დამატებითი დაზღვევის მეშვეობით.
- **ჯანდაცვა:** მაგალითად, საპრემიო სქემების დანერგვა.
- **განათლება/მომზადება:** მკაცრი ორიენტირება შრომითი წვლილის შესაბამის სამართლიანობაზე.
- **გადასახადები:** საგადასახადო ტვირთის (ხელფასის დაბეგვრის) შემცირება, სოციალური უზრუნველყოფის მეტი დაფინანსება საერთო საგადასახადო შემოსავლებით.

6.2. თავისუფალ დემოკრატია პარტიის (თდპ) „კარლსრუეს თეზისები“

იოჰენ დამი

2012 წლის 22 აპრილს კარლსრუეში თდპ-მ მიიღო ახალი პროგრამა სახელწოდებით „პასუხისმგებლობა თავისუფლებისთვის. თდპ-ის კარლსრუეს თავისუფლების თეზისები ღია სამოქალაქო საზოგადოებისთვის“.

თდპ-ის ახალი პროგრამა იწყება „ტეგების ღრუბლით“ (tag cloud), რომელიც პროგრამის საკვანძო იდეების გრაფიკული გამოსახულებაა. სულ 42 იდეაა მოცემული. „სამართლიანობა“, „სოლიდარობა“ და „სოციალური სახელმწიფო“ მათ შორის არ არის.

სოციალურ სახელმწიფოს თდპ პირველად „დაბეგვრის სამართლიანობის“ კონტექსტში ახსენებს. ის იხსენიება „იმიტომ, რომ ჩვენ ვფიქრობთ მათზე, ვინც საკუთარი შრომით ქმნის ლიბერალური სოციალური სახელ-

*რეფორმის მიზანი:
ლიბერალური
სოციალური
სახელმწიფო
ქრისტიანული
ღირებულებების
წინააღმდეგ*

*პარტიის ახალი,
2012 წლის
პროგრამა*

*„ტეგების
ღრუბელი“:
მთავარი იდეები
ნახსენები არ არის*

მნიფოს საფუძველს“ (გვ. 8). ამ გამოცემაში წარმოდგენილი სოციალური სახელმნიფოს მოდელების (ლიბერალური, კონსერვატიული და სოციალ-დემოკრატიული) თვალსაზრისით, თდშ საკუთარ თავს ლიბერალური სო-ციალური სახელმნიფოს მოდელის მხარდამჭერად აცხადებს.

სოციალური
სახელმნიფოს
ცნება 49-ე
თეზისში (101-დან)

49-ე თეზისში (101-დან) თდშ სოციალური სახელმნიფოს მისეულ ცნე-ბას უფრო დეტალურად აღწერს. შესაბამისი განყოფილება შემდეგნაი-რად არის დასათაურებული: „იმედისმომცემი სოციალური სახელმნიფო: შენარჩუნების ნაცვლად, მონაწილეობის შესაძლებლობები“. თდშ-ისთვის „იმედისმომცემი სოციალური სახელმნიფო“ არის „აქტიურობის ხელშემ-წყობი, წინსვლისკენ მსწრაფი სოციალური სახელმნიფო“.

იმედისმომცემი
სოციალური
სახელმნიფო

თდშ აგრძელებს: „იმედისმომცემი სოციალური სახელმნიფო აშენებს ხიდებს შრომის სამყაროში და ანგრევს ბარიერებს უმუშევრობასა და შრომის ბაზარს შორის. ამით იგი ნდობას უცხადებს ინდივიდს და არ ცდი-ლობს მის მაგივრად გადანყვეტილებების მიღებას“ (გვ. 57). ლიბერალები სოციალური სახელმნიფოს ცნებისთვის მათ მიერ მიცემულ განმარტებას უშუალოდ დაბალი გადასახადებისაკენ მონოდების კონტექსტში სვამენ და იქვე აცხადებენ: „მონდომება ყველას უნდა დაუფასდეს“ (გვ. 57).

ძირითადი
პრინციპია
სოციალური
საბაზრო
ეკონომიკა

თდშ-ისთვის, ქდკ-ის მგავსად, ძირითადი პრინციპია სოციალური საბაზ-რო ეკონომიკა და არა სოციალური სახელმნიფო. თდშ-ს მიაჩნია, რომ სო-ციალური საბაზრო ეკონომიკა, სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებულ ლიბერალურ სახელმნიფოსთან და დემოკრატიასთან ერთად, ერთ-ერთია სამი „თავისუფლების ელემენტიდან“. ამ კონტექსტში ლიბერალები სო-ციალურ სახელმნიფოს არ ახსენებენ (გვ. 6). პარტია ერთგან აღიარებს, რომ კერძო საკუთრების დაცვა „პირველი რიგის“ ძირითადი უფლებაა (გვ. 66), მაგრამ ძირითადი სოციალური უფლებები პროგრამაში არ გვხვდება.

ნათლად ჩანს, რომ თდშ-ის ახალ პროგრამაში გარკვეული ზღვარია გავლე-ბული სოციალურ სახელმნიფოსა და პროგრამაში მოცემულ გამონათქვა-მებს შორის, როგორცაა, მაგალითად, განცხადება „ჩვენი მიზანია ყველა მოქალაქის რეალური მონაწილეობა საზოგადოების ცხოვრებაში, მიუხედა-ვად ინდივიდუალური გარემოებებისა“, ან აღიარება იმისა, რომ „სოციალური თავისუფლება ასევე მატერიალურ თავისუფლებას გულისხმობს“ (გვ. 26).

თუმცა, მთლიანობაში, „კარლსრუეს თეზისებში“ სოციალური სახელ-მნიფო (სოციალური) საბაზრო ეკონომიკის დაცვის მექანიზმად უფროა გამოყვანილი, ვიდრე დამოუკიდებელ ინსტიტუტად. მაგალითად, საარსე-ბო მინიმუმის უზრუნველყოფას ერთ ადგილას „სოციალურ და ცივილურ მიღწევას“ უწოდებენ, თუმცა განყოფილების დასასრულს მის ეკონომი-კურ სარგებლიანობაზე მიუთითებენ (გვ. 56). ყველგან საუბარია იმაზე, რომ „ლიბერალები იღვწიან შესაძლებლობებისაკენ, სოციალური წარმო-მავლობის მიუხედავად“. ამის მიზეზს ცხადყოფს მომდევნო წინადადება: „ყოველი განახლებული დანაპირები აღმასვლის შესახებ ლეგიტიმურს ხდის საბაზრო ეკონომიკის წესრიგს“ (გვ. 57).

კერძოდ, თდბ მხარს უჭერს საბაზისო დაზღვევას, რომელსაც იგი „მოქალაქის შემოსავალს“ უწოდებს და რომელიც ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის სახით განხორციელდება (გვ. 56). აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რამდენად მაღალი უნდა იყოს ეს შემოსავალი, არადა აღნიშნული საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული მონაწილეობის შესაძლებლობებთან.¹³ სოციალური უზრუნველყოფის სხვადასხვა სფეროში (ხანდაზმულობის პენსია, მზრუნველობა) თდბ მეტ დაფინანსებულ სქემას მოითხოვს – 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგაც კი (იხ. გვ. 58-60). პარტია აცხადებს: „მომავალში ყოველ თაობას მოუწევს უზრუნველყოფის თვითდაფინანსების გაზრდა“ (გვ. 58). თანამდევნი რისკები – ინფლაციისა და ფინანსური ბაზრის რისკების ჩათვლით – უნდა „შემცირდეს უზრუნველყოფის სახეობათა შეთანხმებული კომბინაციით“ (გვ. 58-59).

ამრიგად, თდბ-ის სოციალური სახელმწიფოს ცნება შეიძლება მიეკუთვნოს ლიბერალური სოციალური სახელმწიფოს მოდელს, რომლისთვისაც დამახასიათებელია სოციალური რისკებისაგან დაცვა საბაზისო დონეზე. პროგრამაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თდბ-ის თვალთახედვით, უნდა შემცირდეს თუ არა გერმანიაში არსებული სოციალური უზრუნველყოფის დონე. ამ მიმართულებაზე მიუთითებს სულ მცირე ისეთი ფორმულირებები, როგორცაა „ვადაგასული გადაწყვეტილებები“ (გვ. 58), „უკვე შეუძლებელი“ (გვ. 58) ან „სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გადატვირთვა“ (გვ. 18).

თდბ-ის წინადადებები ცვლილებებისთვის:

- **შრომა/ეკონომიკა:** მოქალაქის შემოსავლის შემოღება.
- **ჯანდაცვა:** მომსახურების მიმწოდებლებს შორის მეტი კონკურენცია, მზრუნველობის მეტი დაფინანსება.
- **განათლება:** სახელმწიფო აქტი განათლების ფედერალური სისტემის გადასინჯვის შესახებ, სასკოლო რეფორმის უარყოფა; უფრო აქტიური ინდივიდუალური მხარდაჭერა.
- **გადასახადები:** მიზანი: მარტივი, უფრო დაბალი, სამართლიანი გადასახადები; უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი; ფედერალური და „ლანდის“ გადასახადების გამიჯვნა.

*მთავარი
მოთხოვნა:
მოქალაქის
შემოსავალი
(Bürgergeld)*

*რეფორმის მიზანი:
ლიბერალური
სოციალური
სახელმწიფო*

13 საბაზისო დაზღვევის შესახებ იხ. ასევე მე-7 თავის მე-2 განყოფილება და ბიბლიოგრაფია.

6.3. ჰამბურგის პროგრამა – გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის¹⁴ ძირითადი პრინციპების პროგრამა

სოციალური
სახელმწიფო,
როგორც
მონაწილეობის
პირობა

გსდპ-მ ჰამბურგის პროგრამა 2007 წელს მიიღო. ის პარტიის წინანდელი პროგრამის გაგრძელებაა. ჰამბურგის პროგრამაში სოციალური სახელმწიფო სხვადასხვა ფორმის მონაწილეობის ძირითად პირობად განიხილება: „სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის მიზანია ყველა ადამიანის მონაწილეობა ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებში. ამის მიღწევა შეიძლება კარგი განათლებით/მომზადებით, ღირსეული ცხოვრების უზრუნველმყოფი დასაქმებით და ჯანმრთელობის დაცვით, ასევე კეთილდღეობის სამართლიანი განაწილებით. სოციალური სახელმწიფოს ხარისხი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის განკუთვნილი ტრანსფერების დონით, არამედ რეალური შესაძლებლობების მიხედვით, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველასთვის თავიდანვე და მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ (გვ. 58).

„დემოკრატიული სოციალიზმი ... [აქედან გამომდინარე] ჩვენთვის რჩება თავისუფალი, სამართლიანი და სოლიდარული საზოგადოების სიმბოლოდ. მისი განხორციელება ჩვენი მიმდინარე ამოცანაა. სოციალური დემოკრატია ჩვენი სამოქმედო პრინციპია“ (გვ. 16-17).

სოციალური
სახელმწიფო,
როგორც
დემოკრატიული
საზოგადოების
ღერძი

ამრიგად, სოციალური სახელმწიფო დემოკრატიული საზოგადოების ღერძია. იგი უზრუნველყოფს, რომ მონაწილეობა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. იმისთვის, რომ სახელმწიფომ თავისი ვალდებულებების შესრულება შეძლოს, აუცილებელია მკაფიოდ განიმარტოს სახელმწიფოს, ბაზარსა და მოქალაქეებს შორის ამოცანების ფუნდამენტური განაწილება. ამოცანათა ასეთი დაყოფა გსდპ-ს მკაფიოდ განასხვავებს ქდკ-ისა და თდპ-ისაგან.

მარეგულირებელი
სახელმწიფო
და ბაზრის
უარყოფითი
მხარეები

მარეგულირებელი სახელმწიფოს საჭიროება და შეზღუდვები ორი ასპექტითაა განხილული: პირველი, არარეგულირებელი ან არასაკმარისად რეგულირებული ბაზრის უარყოფითი მხარეების შესწავლა; მეორე, სწრაფვა დემოკრატიული სოციალიზმისაკენ (იხ. გვ. 16-17), რომლის უზრუნველყოფაც შესაძლებელია მხოლოდ აქტიური და დემოკრატიული საზოგადოებით, სადაც სახელმწიფოს მარეგულირებლის ფუნქცია აქვს. საბოლოოდ, როგორც უარყოფითი მხარეები, ისე მიზანი მკაფიოდ გამოკვეთს ხარვეზებს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, და სოციალური პოლიტიკის ამოცანას, რომელიც გსდპ-ის პროგრამაშია ჩართული.

14 SPD – Sozialdemokratische Partei Deutschlands (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია)

მაშასადამე, სოციალური სახელმწიფო არის მექანიზმი, რომელსაც შეუძლია ყველასთვის უზრუნველყოს ფართო სამოქალაქო, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები. ამიტომ ეს მექანიზმი მუდამ უნდა ეფუძნებოდეს შრომითი ურთიერთობებისა და ეკონომიკის განვითარებას, ასევე საბაზისო ღირებულებათა რეალიზების პირობების სრულყოფას – ეს აზრი ჰამბურგის პროგრამაში ყველგან იკითხება.

*სოციალური
სახელმწიფო
– ძირითადი
უფლებების
დაცვის მექანიზმი*

აქედან გამომდინარე, დღეს საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევები ამოსავალ წერტილად მიაჩნიათ: „ჩვენი შრომაზე დაფუძნებული საზოგადოება უდიდეს ცვლილებებს განიცდის. ინოვაციათა ტემპი იზრდება და დასაქმების ფორმები მრავალფეროვანი ხდება. კვალიფიკაცია და ცოდნა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ჩნდება ახალი, შემოქმედებითი ტიპის საქმიანობები. ტრადიციული „ნორმალური დასაქმება“ – მუდმივი და რეგულირებული სამუშაო საათებით – საგულისხმოდ მცირდება. მრავალი ადამიანის შრომით ცხოვრებაში ერთმანეთს ენაცვლება დაქირავებით დასაქმება, უმოქმედობა, „ოჯახში შრომა“ და თვითდასაქმება“ (გვ. 9).

*ამოსავალი
წერტილი:
საზოგადოების
წინაშე მდგარი
გამოწვევები*

„ამ ცვლილებებმა, რომლებიც ხშირად იძულებითი ხასიათისაა, შეიძლება ააფორიასოს და ააღელვოს ადამიანები. ბევრს ეშინია, ჩამორჩენილთა, უგულებელყოფილთა ან თუნდაც დავინყებულთა (მათ შორის, მთავრობის მხრიდან) შორის არ აღმოჩნდეს. დაბალი კვალიფიკაციის ან ახალგაზრდობის ასაკს გადაცილებული ადამიანები ხშირად გარიყული არიან შრომის ბაზრიდან. დიდი ხანია, რაც ქალებს, თუნდაც საუკეთესო კვალიფიკაციის მქონეთ, თანაბრად არ მიუწვდებათ ხელი კარიერის განვითარებაზე და დასაქმებაზე, რომელიც სათანადოდ უზრუნველყოფდა მათ საარსებო წყაროთი. მათ, ვინც შრომით საქმიანობაშია ჩაბმული, მიაჩნიათ, რომ მზარდი ზენოლა, მკაცრი კონკურენცია და მუდმივი მზადყოფნის მოთხოვნა სულ უფრო მეტად ემუქრება მათი ცხოვრების ხარისხს“ (გვ. 9).

ჰამბურგის პროგრამაში აღნიშნულია, რომ ცვალებად ეკონომიკასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ასევე შესაძლებლობები ინდივიდებისთვის უფრო მოქნილი ხდება და ეს მოქნილობა კიდევ უფრო გაიზრდება. თუ ასეთ პირობებში თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა სამართლიანი საზოგადოების ყველა წევრისთვის უნდა იქნეს რეალიზებული, მაშინ სოციალური სახელმწიფოს მექანიზმებიც უნდა შეიცვალოს. ადაპტაციის ეს მიმართულება პროგრამაში „პრევენციული სოციალური სახელმწიფოს“ ცნების სახით არის ჩართული:

*პრევენციული
სოციალური
სახელმწიფო*

„სოციალურ სახელმწიფოში სოლიდარობა ორგანიზებულია ძლიერთა და სუსტთა, ახალგაზრდათა და ხანდაზმულთა, ჯანმრთელთა და ავადმყოფთა, დასაქმებულთა და უმუშევართა, ქმედობაუნარიანთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთა შორის. სოციალური სახელმწიფოს საფუძველი ჩამოყალიბებულია – და ეს მომავალშიც ასე იქნება – სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სოციალური უზრუნველყოფითა და მონაწილეობით, სოციალური

დახმარებების მიღების კანონიერი უფლებებით და მუშაკთა უფლებებით. ... როდესაც დასაქმების ფორმები უფრო მოქნილი და ხშირად უფრო არასაიმედო ხდება, სოციალური სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს: უსაფრთხოების გარანტირება ტრანსფორმაციის დროს. ... პრევენციული სოციალური პოლიტიკა ხელს უწყობს დასაქმებას, რომელიც ადამიანებს საარსებო წყაროთი უზრუნველყოფს, ეხმარება ბავშვების გაზრდაში და უპირატესობას ჯანდაცვის პროფილაქტიკას ანიჭებს. იგი განაპირობებს დემოგრაფიულ გარდაქმნას და ხელს უწყობს ქალთა და ხანდაზმულთა დასაქმების მაღალი დონის მიღწევას. იგი ხელს უშლის ადამიანთა გარიყვას და აადვილებს შრომის ბაზარზე ინტეგრაციას. იგი არავის ათავისუფლებს საკუთარი ცხოვრებისთვის პასუხისმგებლობისაგან. პრევენციული სოციალური სახელმწიფო განათლებას/მომზადებას სოციალური პოლიტიკის ძირითად ელემენტად განიხილავს. პრევენციული სოციალური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყველა ადამიანის სოციალური ინტეგრაციის მიღწევა. ამ მიზნით პრევენციული სოციალური პოლიტიკა ერთმანეთთან აკავშირებს ისეთ ამოცანებს, როგორებიცაა ეკონომიკური, ფინანსური და შრომის ბაზრის პოლიტიკა, განათლების/მომზადების და ჯანდაცვის პოლიტიკა, ოჯახის და თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკა და იმიგრანტთა ინტეგრირება.“ (გვ. 56)

გსდპ-ის
რეფორმისტული
წინადადებები

ამრიგად, „მაკორექტირებელი და პრევენციული სოციალური სახელმწიფო“ – გერმანული კონსერვატიული სოციალური სახელმწიფოსაგან განსხვავებით – სტატუსის შენარჩუნებაზე ორიენტირებული არ არის. იგი უფრო ცდილობს, საზოგადოების ყველა წევრი უზრუნველყოს შესაძლებლობებითა და ხელმისაწვდომობით, რაც უნდა განხორციელდეს ფინანსური დაცვის მეშვეობით, ადამიანის ღირსების შენარჩუნებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰამბურგის პროგრამა მიზნად ისახავს სოციალური სახელმწიფოს განვითარებას სკანდინავიური ტიპის სოციალ-დემოკრატიულ სოციალურ სახელმწიფომდე. თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ გარდაქმნის კონკრეტული გზის საფუძველზე, რომელიც კოორდინირებულად განვითარებს სოციალური სახელმწიფოს არსებულ მექანიზმებს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია რამდენიმე საკვანძო საკითხი:

- გსდპ კვლავ ისწრაფვის იმისკენ, რომ სოციალური უზრუნველყოფა სოციალური დაზღვევის გზით, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის პარიტეტის დაცვის საფუძველზე დაფინანსდეს (გვ. 58). თუმცა ამას უნდა დაემატოს გადასახადების საშუალებით გაზრდილი დაფინანსება. ამით გსდპ მკვეთრად განსხვავდება ქდკ-ისა და თდპ-ისაგან. ამასთანავე, იგი მოითხოვს სოციალური დაზღვევის გაფართოებას და შემოსავლის ყველა ფორმის ჩართვას – ანუ ორიენტაცია მოქალაქის სტატუსზე და არა დასაქმების სტატუსზე (გვ. 58).
- ჯანდაცვისა და მოვლა-მზრუნველობის სფეროში გსდპ მხარს უჭერს სოლიდარულ „მოქალაქეთა“ დაზღვევას (გვ. 58), რომელიც მოიცავს შემოსავლის ყველა ფორმას სათანადო გაანგარიშების მიხედვით (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი საჯარო მოხელეებსა და თვითდასაქმებულებზედაც ვრცელდება).

- ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალურ სერვისებს. ამ თვალსაზრისით უნდა გაფართოვდეს საინტეგრაციო პროექტები, საბავშვო ბაღებისა და სკოლების ქსელები, ასევე ჯანმრთელობის დაცვითა და სპორტით უზრუნველყოფა და ურბანული განვითარების მასშტაბები (გვ. 59).
- ოჯახის პოლიტიკის სფეროში ხაზი ესმება ორივე მშობლის თანაბარ პასუხისმგებლობას „მოვლისა და ზრუნვის“ პროცესში (გვ. 65), ასევე განათლებას, როგორც ცენტრალურ და განსაჯერებლად მიმართულებას, ემანსიპაციის, სოციალური მობილურობისა და თანაბარი შანსების უზრუნველსაყოფად (გვ. 60). ამ კონტექსტში მთელ ქვეყანაში უნდა იქნეს შემოღებული ეგრეთ წოდებული „გახანგრძლივებული სკოლები“ და ამ პროცესში უნდა ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი (მუსიკალური და სახელოვნებო სკოლები, სპორტული კლუბები და სხვ.), რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ თავიანთი ინტერესების განვითარება, მათი მშობლების ჯიბის სისქის მიუხედავად.
- გსდპ-ს სურს ევროპის კავშირი ჩაანაცვლოს ევროპის სოციალური კავშირით, რომელიც ფიქსირებულ სოციალურ სტანდარტებზე იქნება დაფუძნებული. ამასთანავე, ეს სოციალური სტანდარტები უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ქვეყნის განვითარების გზას და არსებულ წინაპირობებს (გვ. 28).

ამრიგად, გსდპ მხარს უჭერს მაკორექტირებელ და, იმავდროულად, პრევენციულ სოციალურ სახელმწიფოს, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში თანაბარი შანსებისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. კონტინენტური (ევროპული) კონსერვატიული სოციალური სახელმწიფო სკანდინავიური ტიპის სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფოს მიმართულებით უნდა განვითარდეს.

გსდპ-ის წინადადებები ცვლილებებისთვის:

- **შრომა/ეკონომიკა:** სოციალური დაცვის მოქნილი სისტემის მქონე დასაქმების დაზღვევის¹⁵ შემოღება; სოლიდარული დაზღვევის სისტემაში ყველა მოქალაქის ჩართვა.
- **ჯანდაცვა:** „მოქალაქეთა დაზღვევის“ შემოღება; საზოგადო ინტერესის მქონე მუნიციპალური მომსახურებების გაუმჯობესება.
- **განათლება/მომზადება:** არაშერჩევითი (სრულყოფილი) განათლების უფრო ხანგრძლივი ფაზები, მეტი სოციალური მობილურობა და სხვ.
- **გადასახადები:** სოციალური დაზღვევის გაფართოება გადასახადებზე დაფუძნებული დაფინანსების გაზრდით, გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით; ყველა სახის შემოსავლის ჩართვა.

15 განხილულია ქვეთავში „დასაქმების დაზღვევა“ (იხ. გვ. 99).

6.4. „მომავალი მწვანეა“ – „კავშირი 90/მწვანეების“¹⁶ ძირითადი პრინციპების პროგრამა

მთავარი
საკითხი: მზის
ენერგეტიკაზე
ორიენტირებული
სოციალური და
ეკოლოგიური
საბაზრო
ეკონომიკა

პარტიამ „კავშირი 90/მწვანეები“ თავისი პროგრამა 2002 წელს წარმოადგინა. აქ განხილულ პარტიულ პროგრამებს შორის მას ყველაზე დიდი მოცულობა აქვს. მთავარი საკითხია ეკონომიკის მზის ენერგეტიკაზე ორიენტირებულ სოციალურ და ეკოლოგიურ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნა. მომავლის უმთავრეს პრობლემად ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაცია აღიარებული. თუმცა საჭირო გარდაქმნები წარმოდგენილია პროექტის სახით, რომელიც გარემოს დაცვის პოლიტიკასთან ერთად სოციალური პოლიტიკის შედეგებისა და პირობების ფართო სპექტრს მოიცავს.

ლიბერალური,
მაგრამ არა
საბაზრო
ლიბერალური
იდეები

სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით „კავშირი 90/მწვანეები“ სხვა პარტიებისაგან ლიბერალური, მაგრამ არა საბაზრო ლიბერალური იდეებით გამოირჩევა: „არსებული სოციალური საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ზედმეტადაა ორიენტირებული სანარმოთა მოგებაზე, მოლოდინს არ ამართლებს და მისი სასწრაფოდ გარდაქმნა საჭირო. არ შეიძლება სოციალური პოლიტიკა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციით შემოიფარგლოს. ყველა სოციალური ჯგუფის თავისუფლების, მოქალაქეთა თვითგამორკვევის და სუბსიდიარობის პრინციპის დაცვის გარეშე სოციალური სოლიდარობა შეუვალ ბიუროკრატიად იქცევა. ჩვენ მხარს ვუჭერთ სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო რესურსების გამოყენებით განმტკიცებას, მაგრამ, იმავდროულად, უნდა შეიზღუდოს სახელმწიფოს ზეგავლენა. ამით განვსხვავდებით ჩვენ სახელმწიფო სოციალისტური, კონსერვატიული და საბაზრო ლიბერალური პოლიტიკური მოდელებისაგან“ (გვ. 43). მაგალითად, „კავშირი 90/მწვანეები“ მოითხოვს „მმართველობის ჩარჩოს“ შემუშავებას, რომელმაც ეკოლოგიური, სოციალური და კულტურული ინტერესების დაცვა უნდა უზრუნველყოს (გვ. 46).

ეს დაკავშირებულია ლიბერალური, მაგრამ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სოციალური სახელმწიფოს ცნებასთან: „სოციალური პოლიტიკა და თვითგამორკვევა. ჩვენი სოციალური სახელმწიფოს კონცეფცია პოლიტიკის შექმნის ცენტრში ადამიანს აყენებს. სამართლიან და სოციალურ სამოქალაქო საზოგადოებაში სახელმწიფო აყალიბებს სქემას, რომელიც ყველას აძლევს საკუთარი შესაძლებლობებისა და ნიჭის განვითარების შანსს“ (გვ. 62).

საყოველთაო
„სამართლიანი
მონაწილეობა“

ამ ხედვით „კავშირი 90/მწვანეები“ რამდენადმე დაშორებულია მისი პოლიტიკური მტრებისაგან. ის, ერთი მხრივ, მხარს უჭერს ლიბერალურ

16 Bündnis 90/Die Grünen – „კავშირი 90/მწვანეები“

იდებს, სამოქალაქო საზოგადოებას და არასახელმწიფო სუბიექტებს, მეორე მხრივ, მოითხოვს სახელმწიფოს მხარდაჭერას და ამ ორ განსხვავებულ ტრადიციას აქცევს ერთ ვრცელ ცნებაში, რომელსაც „სამართლიან მონაწილეობას“ უწოდებს: „სოციალური სამართლიანობისა და სოლიდარობის ჩვენეული ცნება ტრადიციულ გადანაწილების პოლიტიკაზე უფრო შორს მიდის. ჩვენ პოლიტიკის პრიორიტეტული მიზანია სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის თავიდან აცილება და ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ჩვენ მიზნად ვისახავთ სამართლიანი მონაწილეობის დამკვიდრებას, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური სფეროების, კერძოდ, განათლების/მომზადების, შრომისა და პოლიტიკური მონაწილეობის, ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომობას“ (გვ. 61).

„სამართლიანი მონაწილეობის“ განხორციელებისთვის პარტიის „კავშირი 90/მწვანეები“ პროგრამაში ბევრი ღონისძიება და მექანიზმია აღწერილი. ამ გამოცემის ფორმატი ყველას განხილვის საშუალებას არ გვაძლევს; ამიტომ მხოლოდ ძირითად საკითხებს შევხებით:

- სოციალური დახმარება – რომელიც პარტიის პროგრამის მიღებისას ჯერ კიდევ არსებობდა – უნდა გაუქმდეს და მოთხოვნების შესაბამისი, ძირითადად ერთიანი საბაზისო დაცვით უნდა შეიცვალოს. საბაზისო დაცვამ, სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით, დახმარების მიმღები პირები სათანადო მატერიალური რესურსებით უნდა უზრუნველყოს (გვ. 64, 66). ღონისძიებები სახელმწიფოს სუბიექტებთან და სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან (ასოციაციები, სამეზობლო პროექტები და სხვ.) თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს (გვ. 65).
- ქდე-ისა და თდპ-ისაგან განსხვავებით, „კავშირი 90/მწვანეები“ მხარს უჭერს შრომის გაფართოებულ კონცეფციას: „მომავლის ეკოლოგიური/სოციალური საბაზრო ეკონომიკა უნდა აღიარებდეს და აფასებდეს შრომის ყველა ფორმას და უნდა ქმნიდეს წინაპირობებს სქესთა შორის სამართლიანი განაწილებისთვის. ოჯახში შრომა, ბავშვის გაზრდისთვის განუწილი შრომა, საზოგადოებრივი შრომა და სამეზობლო დახმარება სოციალური ნიშნით შექმნილი საზოგადოების საფუძველია. მათ გარეშე სოლიდარობა და სოციალური ქსელები წარმატებული ვერ იქნება“ (გვ. 67). შრომის ეს ფართო კონცეფცია გავლენას ახდენს სოციალურ პოლიტიკაზე: ფაქტობრივად, იგი მოთხოვს, რომ სოციალურმა სახელმწიფომ აქტიურად აშენოს ახალი სოციალური სფეროები: „გარდა ამისა, უნდა შეიქმნას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, სოციალური და ეკოლოგიური თვალსაზრისით გონივრული სამუშაო ადგილები, რომლებიც ღირსეული ცხოვრებისთვის საჭირო საარსებო საშუალებებს უზრუნველყოფს. ჩვენ მონადინებული ვართ, კიდევ უფრო განვავითაროთ ის სანყისი ნაბიჯები, რომლებიც ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა ადგილობრივი ეკონომიკის სფეროებში. იგი მოითხოვს დასაქმების სამართლიანი ხელმისაწვდომობის

პარტიის „კავშირი 90/მწვანეები“ რეფორმისტული წინადადებები

ორგანიზებას, ინტელექტუალური შრომითი ცხოვრების მოდელების განვითარებას, უწყვეტი სწავლების ორგანიზებას ყველასთვის, ქალთა დისკრიმინაციისა და არახელსაყრელი მდგომარეობის სისტემატურ შემცირებას და ხანდაზმულთა და იმიგრანტთა ინტეგრირებას, ნაცვლად გარიყვისა“ (გვ. 68).

- „მწვანეები“ – გსდპ-ის მსგავსად – მხარს უჭერენ შენატანებით დაფინანსებულ მოქალაქეთა დაზღვევას ავადმყოფობის, მოვლა-მზრუნველობისა და ხანდაზმულობის სფეროებში (გვ. 80). შემოსავლის ყველა ფორმა და ყველა ადამიანი მუდმივად უნდა იყოს ჩართული მოქალაქეთა დაზღვევის ამ სექტორში (გვ. 80). ამჟამად განიხილება დაფინანსების მექანიზმები და თანამშრომლობის მოდელები, თუმცა არ ხდება სისტემატური ახსნა იმისა, თუ როგორ იმუშავებს ისინი.
- პარტიის „კავშირი 90/მწვანეები“ პროგრამა განსაკუთრებით იმით გამოირჩევა, რომ იგი ითვალისწინებს როგორც დაფინანსების სისტემას, ისე ხარისხის უზრუნველყოფას მოქალაქეთა პერსპექტივიდან გამომდინარე, კერძოდ, მათ მოთხოვნებს ხელმისაწვდომობაზე (გვ. 87) და განათლების/მომზადების სისტემაზე, რომელიც სოციალური მობილურობის შესაფერისი იქნება (გვ. 72).

მთლიანობაში, „მწვანეები“ შესამჩნევად იხრებიან სკანდინავიური ტიპის სოციალ-დემოკრატიული სოციალური სახელმწიფოსაკენ, მაგრამ, იმავედროულად, მხარს უჭერენ სოციალური სახელმწიფოს ლიბერალური მოდელისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ ასპექტს – თუმცა ნაკლები ინტენსივობით.

„მწვანეების“ წინადადებები ცვლილებებისთვის:

- **შრომა/ეკონომიკა:** მოთხოვნილების შესაბამისი, ძირითადად ერთიანი საბაზისო დაცვის შემოღება; შრომის ცნების გაფართოება და შრომის სხვა ფორმების აღიარება.
- **ჯანდაცვა:** შენატანებით დაფინანსებული მოქალაქეთა დაზღვევის შემოღება, რომელსაც დაემატება კაპიტალდაბანდებების მექანიზმები.
- **განათლება/მომზადება:** პირადი უსუსისმგებლობის განმტკიცება, განხანგრძლივებული სკოლები, საჯარო სექტორში მომზადების გაფართოება.
- **გადასახადები:** გადახდა შესაძლებლობის მიხედვით; შემოსავლის ყველა ფორმის ჩართვა.

6.5. პარტია „მემარცხენეების“ პროგრამა

იოჰენ დამი

პარტია „მემარცხენეები“ (Die Linke) ორი პარტიის – „შრომა და სოციალური სამართლიანობა – საარჩევნო ალტერნატივა“ (Wahlalternative Arbeit und Soziale Gerechtigkeit - WASG) და „დემოკრატიული სოციალიზმის პარტია“ (Partei des Demokratischen Sozialismus - PDS) – გაერთიანების შედეგად შეიქმნა. მან პირველი რეალური პარტიული პროგრამა 2011 წელს მიიღო. მისი შემუშავება პარტიულ კონფერენციაზე, ერფურტში, 2011 წლის 23 ოქტომბერს დასრულდა, ხოლო შემდეგ იგი წევრების კენჭისყრით იქნა მიღებული.

„მემარცხენეების“ პროგრამა ხუთი განყოფილებისაგან შედგება. პირველში – რომელიც პრეამბულას მოსდევს – პარტია განიხილავს მისი წარმოშობის ისტორიას და, მაშასადამე, მის წარსულს – „სოციალისტური ერთობის პარტიას“ (SED). მე-2 განყოფილებაში წარმოდგენილია „კაპიტალიზმის კრიზისი“, ხოლო მე-3 განყოფილებაში – „დემოკრატიული სოციალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში“. მე-5 განყოფილება სტრატეგიულ საკითხებს მოიცავს. მე-4 განყოფილებაში აღწერილია „მემარცხენე ფრთის რეფორმის პროექტი – ნაბიჯები საზოგადოების რეფორმირებისაკენ“. მასში არის ქვეთავი „სოციალური უზრუნველყოფა დემოკრატიულ სოციალურ სახელმწიფოში“ (გვ. 42).

სოციალური სახელმწიფოს მოდელში „მემარცხენეები“ ხაზგასმით მიუთითებენ სოციალურსა და დემოკრატიულს შორის კავშირზე: „ყველა ქალსა და მამაკაცს სჭირდება სოციალური უზრუნველყოფა, რათა დამოუკიდებლად იცხოვროს და სოციალურ ურთიერთობათა დემოკრატიულად განვითარების უფლების სრულად განხორციელება შეძლოს“ (გვ. 42). ის, რასაც „მემარცხენეები“ სოციალური სახელმწიფოსაგან მოელიან, შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

„ჩვენ გვსურს აქტიური სოციალური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც სოლიდარობის საფუძველზე დაიცავს ადამიანს ცხოვრებისეული გაუთვალისწინებელი შემთხვევებისაგან, როგორებიცაა ჯანმრთელობის გაუარესება, უბედური შემთხვევა, მოვლის საჭიროება და უნარშეზღუდულობა, ასევე შრომისუუნარობა და უმუშევრობა, დაიცავს მას სიღარიბისაგან და უზრუნველყოფს ღირსეულ, დამოუკიდებელ ცხოვრებას ხანდაზმულობისას“ (გვ. 42).

ამ მიზნების მისაღწევად „მემარცხენეებს“, სხვა ასპექტებთან ერთად, სურთ კონსტიტუციით დაფუძნდეს საბაზისო სოციალური უფლებები და საზოგადო ინტერესის მქონე მომსახურებები ორგანიზებულ იქნეს იმ სახელმწიფო სანარმოებში, რომლებიც მოგებაზე არ არის ორიენტირებული (გვ. 42). ისინი მოითხოვენ მოქალაქეთა დაზღვევას და „სოლიდარობაზე დაფუძნებულ საპენსიო დაზღვევას, სადაც პარიტეტულ საფუძველზე დაფინანსებულ სავალდებულო სქემებში ყველა ქალი და მამაკაცი იქნება ჩართული“.

პირველი
რეალური, 2011
წლის პარტიული
პროგრამა

კავშირი
სოციალურ
სახელმწიფოსა
და დემოკრატია
შორის

საბაზისო
სოციალური
უფლებების
კონსტიტუციით
დაფუძნება

მთავარი საკითხი:
უმუშევრობასთან
ბრძოლა

რაიმე
ალტერნატივა
მოცემული არ არის

ძირითადად
სოციალ-
დემოკრატიული
სოციალური
სახელმწიფოს
მოდელი

პარტიას მთავარ საკითხად უმუშევრობასთან ბრძოლა მიაჩნია. მის წინაშე შემდეგი ამოცანა დგას: „უმუშევრობის შემთხვევაშიც კი სოციალურმა დახმარებებმა დაახლოებით წინანდელი ცხოვრების დონე უნდა უზრუნველყოს“ (გვ. 43-44). პარტია მოითხოვს, რომ „ჰარც IV დახმარება გაუქმდეს“ (გვ. 44). თუმცა რაიმე ალტერნატივა მოცემული არ არის.

ამრიგად, „მემარცხენეები“ მოითხოვენ „წინანდელი ხელფასის შესაბამის უმუშევრობის შემწეობას, მაგრამ სულ მცირე სანქციებისაგან თავისუფალი მინიმალური დაცვით, რომელიც ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს“. ისინი განმარტავენ, რომ „პარტიის ზოგიერთი ფრაქცია“ „უპირობო საბაზისო შემოსავალს“ უჭერს მხარს. პროგრამაში დეტალები მოცემული არ არის. მასში უბრალოდ ნათქვამია: „ჩვენ გვსურს გავაგრძელოთ ეს დისკუსია“ (გვ. 44).

ამგვარი ჭოჭმანი „მემარცხენეების“ პროგრამაში ბევრგან გვხვდება. იგი შეზავებულია ისეთი გამონათქვამებით, როგორებიცაა „ჩვენ გვსურს“ და „ჩვენ მოვითხოვთ“, ან ფრაზით „უნდა იყოს“, მაგალითად, „საცხოვრებელი ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი ხანგრძლივად“. მიზნის ეს ძალზე აბსტრაქტული ფორმულირებები პრიორიტეტების მიხედვით დალაგებული არ არის და ზოგჯერ არც ერთმანეთთანაა დაკავშირებული. პროგრამა დეტალიზებას ძირითადად მაშინ მიმართავს, როდესაც რაიმეს არ ეთანხმება. შედარებისთვის – კონსტრუქციული ასპექტი, რომელიც პარტიის საკუთარ ხედვას მოითხოვს, ხშირად ბუნდოვნადაა გამოხატული.

„მემარცხენეების“ სოციალური სახელმწიფოს მოდელი შეიძლება უფრო სოციალ-დემოკრატიულ სოციალურ სახელმწიფოს მიეკუთვნოს. მისი დახასიათება შესაძლებელია ესპინ-ანდერსენის სოციალური სახელმწიფოს ტიპოლოგიით, თუმცა იმ პირობით, რომ პარტია მხარს დაუჭერს სისტემის ფუნდამენტურ ცვლილებას, როგორც ამას პროგრამაში აცხადებს: „ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიბრძვით პოლიტიკური ცვლილებებისთვის, რომლებიც გზას გაუკაფავს საზოგადოების ფუნდამენტურ ტრანსფორმირებას, რომელიც დაძლევს კაპიტალიზმს“ (გვ. 4). ეს წარმოშობს კითხვებს, რომლებიც სოციალური პოლიტიკის სფეროს სცილდება.

„მემარცხენეების“ წინადადებები ცვლილებებისთვის:

- **შრომა:** სანქციებისაგან თავისუფალი მინიმალური დაცვა (საბაზისო შემოსავალი); მინიმალური პენსია, რომელიც სიღარიბისაგან დაცვას უზრუნველყოფს.
- **ჯანდაცვა:** მოქალაქეთა დაზღვევის შემოღება.
- **განათლება:** უფასო განათლება საზღვარგარეთ.
- **გადასახადები:** შეღავათები დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონეთათვის, მეტი ტვირთის დაკისრება მაღალშემოსავლიანებისთვის, ასევე ძალიან მდიდრებისთვის, მემკვიდრეობისთვის, კაპიტალ-დაბანდებებისა და კომპანიების მოგებისთვის; გადანაწილება ზემოდან ქვემოთ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო მომსახურებების გაუმჯობესება და დაცვა.

6.6. შეჯამება

გერმანიის პარლამენტში წარმოდგენილი ხუთი პოლიტიკური პარტიის პროგრამები არის „განზრახვათა დეკლარაცია“ იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით სურთ ამ პარტიებს გერმანიის საზოგადოებისა და სოციალური სახელმწიფოს განვითარება მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

მთლიანობაში, შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ (რა თქმა უნდა, ეს ჩვენი პირადი მოსაზრებაა): პარტიების სოციალურ-პოლიტიკურ პოზიციებს შორის შეიძლება გაივლოს საოცრად მკაფიო გამყოფი ხაზი და მის ერთ მხარეს დაჯგუფდნენ ქდკ და თდპ, ხოლო მეორე მხარეს – გსდპ, „კავშირი 90/მწვანეები“ და „მემარცხენეები“.

ქდკ და თდპ – მცირედი განსხვავებით – ლიბერალური და განსაკუთრებით შრომითი წვლილის შესაბამის სამართლიანობაზე ორიენტირებული სოციალური სახელმწიფოს მოდელისაკენ ისწრაფვიან. შემაკავშირებელი ფაქტორია ანგლოსაქსური (ეკონომიკურად) ლიბერალური სოციალური სახელმწიფო. ქდკ ნაწილობრივ განსხვავდება იმით, რომ უფრო ძლიერ არის კონცენტრირებული სოციალური სახელმწიფოს დახმარებაზე სუბსიდიარობის პრინციპის თვალსაზრისით. გსდპ, „მწვანეები“ და „მემარცხენეები“ უფრო მეტად ორიენტირებული არიან მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანობისა და შანსების თანასწორობის ნაზავზე, რომელიც ფართო ძირითად უფლებებში უნდა განხორციელდეს და სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს გარანტირებული. თუმცა ერთმანეთისაგან საგულისხმოდ განსხვავდება მათი კონცეფციები ამ საბაზისო მოთხოვნათა გამოყენების შესახებ:

- პარტია „კავშირი 90/მწვანეები“, სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის ელემენტებთან ერთად, გამოკვეთს ლიბერალურ ასპექტებს და სამოქალაქო საზოგადოების ელემენტებს.
- პარტია „მემარცხენეები“, ძირითადი სოციალური უფლებების უზრუნველყოფი სოციალური სახელმწიფოს ელემენტებთან ერთად, აქტიურად განიხილავს კაპიტალიზმის ჩანაცვლების და საზოგადოების გარდაქმნის საკითხს.
- გსდპ აანალიზებს ცვალებადი ეკონომიკის გამოწვევებს და ისწრაფვის იმ რეფორმების განხორციელებისაკენ, რომლებიც ორიენტირებულია სკანდინავიური ტიპის სოციალ-დემოკრატიულ სოციალურ სახელმწიფოზე, რომელიც იმავდროულად შეძლებს მოქნილი ეკონომიკის პირობებში შექმნას სოციალური სახელმწიფო, რომელიც იქნება როგორც მაკორექტირებელი, ისე პრევენციული. გათვალისწინებული უნდა იქნეს სამოქალაქო საზოგადოების, ოჯახისა და სახელმწიფოს ელემენტები და მათი შემდგომი განვითარება პარიტეტულ სანყისებზე უნდა მოხდეს.


მკაფიო გამყოფი ხაზი სოციალური სახელმწიფოს ცნებებთან მიმართებით

7. სოციალური სახელმწიფოს ძირითადი სფეროები

წინა თავებში ჩვენ სოციალური პოლიტიკისადმი სოციალური დემოკრატიის მიდგომა, აგრეთვე ძირითადი კითხვები და ცნებები განვიხილეთ. ახლა სოციალური სახელმწიფოს კონკრეტულ სფეროებზე გადავალთ. ამ თავში ერთმანეთს შევადარებთ გერმანული სოციალური სახელმწიფოს და სხვა, ნიმუშად აღებული ქვეყნების სისტემებს; ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა გადასახადები, უმუშევრობა, პენსია, ჯანდაცვა და განათლება/მომზადება. აქცენტს გავაკეთებთ იმაზე, თუ როგორ აღწევს გერმანული სოციალური სახელმწიფო სამართლიანობას სხვადასხვა მიმართულებით და რა დასკვნები უნდა იქნეს აქედან გამოტანილი.

ჩვენ მიერ განსახილველ ქვეყნებში ცხოვრების ხარჯი, ცხადია, სხვადასხვაა. შესაბამისი მონაცემების უკეთ გაგების მიზნით მე-9 სურათზე ამ ქვეყნებში არსებული ფასების დონეების შედარებას გთავაზობთ. ფასების დონე არის თანაფარდობა მსყიდველობითი უნარის საშუალო პარიტეტსა და ევროკავშირის წევრი 27 სახელმწიფოს გაცვლით კურსს შორის. თუ ფასების დონე 100-ს აღემატება, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ცხოვრება შედარებით ძვირია; თუ ფასების დონე 100-ზე ნაკლებია, ე. ი. ცხოვრების ხარჯი შედარებით ნორმალურია. ყველა თანხა ევროშია გადაყვანილი.

კერძო მეურნეობების მთლიანი მოხმარების ფასების დონე, არაპირდაპირი გადასახადების ჩათვლით, 2010



წყარო: ევროსტატი

სურათი 9: კერძო მეურნეობების ფასების დონე, 2010

შენიშვნა: ცხოვრების ხარჯი ყველაზე მაღალია დანიაში ოთხ სხვა სახელმწიფოსთან შედარებით – მისი მაჩვენებელი ევროპის 27 ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის დაახლოებით 142%-ია: ანუ ის, რასაც ევროპის ამ ქვეყნებში საშუალოდ 1 ევროდ იყიდი, დანიაში 1.42 ევრო ღირს. გერმანიაში შესაბამისი მაჩვენებელი მხოლოდ 1.04 ევროს (104.3%-ს) შეადგენს.

7.1. გადასახადები

თომას რიქსენი

ამ თავში:

- წარმოდგენილია დაბეგვრის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპები;
- განხილულია სხვადასხვა სახის გადასახადები და მათი განაწილებითი ეფექტები;
- მოცემულია სოციალური სახელმწიფოს სამი მოდელის გადასახადების სტრუქტურა და ისინი შედარებულია ეკონომიკური ეფექტიანობისა და განაწილებითი ეფექტის თვალსაზრისით.

გადასახადებსა და შენატანებს სოციალური სახელმწიფოსთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგი სამი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, სოციალური სახელმწიფო დამოკიდებულია მათზე, როგორც შემოსავლის წყაროზე, რომლითაც სოციალური პოლიტიკის პროგრამები ფინანსდება. ეს არის დაბეგვრის ფისკალური მიზანი, რომელიც აუცილებელია პოლიტიკის ყველა სხვა სფეროსთვის. მეორე, შენატანების ოდენობა და გადასახადების სტრუქტურა გავლენას ახდენს შემოსავლის, ქონებისა და სიმდიდრის განაწილებაზე (გადანაწილების მიზანი). და მესამე, გადასახადები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც გადამხდელებში ამა თუ იმ ქცევის წესის დამკვიდრების საშუალება. ამის ერთ-ერთი მაგალითია თამბაქოსა და ალკოჰოლის დაბეგვრა, რასაც ხშირად ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებით ამართლებენ.

გადასახადებს, მოსაკრებლებსა და შენატანებს შორის განსხვავება

გადასახადი, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არის სავალდებულო გადასახდელი, რომლის სანაცვლოდაც პირდაპირ არ მიიღება რაიმე მომსახურება (იხ. გერმანიის საგადასახადო კოდექსი, §3, (1)). ეს არ ეხება სხვა შენატანებს, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნოს გადასახადებს უფრო ფართო გაგებით და რომლებიც საჯარო მომსახურებების დასაფინანსებლად გადაიხდება. მოსაკრებელი კონკრეტულ მიზანთანაა დაკავშირებული და ინდივიდუალურად იკრიბება. მისი ერთ-ერთი მაგალითია ნაგვის გატანის მოსაკრებელი. შენატანიც კონკრეტულ მიზანს უკავშირდება, მაგრამ ის არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად იკრიბება. მაგალითად, უმუშევრობის დაზღვევა უმუშევრობის რისკისაგან იცავს მუშაკებს, როგორც პირთა ჯგუფს. იგივე შეიძლება ითქვას სოციალური დაზღვევის სხვა სახეობებზე.

პირველ რიგში, განვმარტავთ დაბეგვრის ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპებს და ერთმანეთისაგან განვასხვავებთ სხვადასხვა სახის გადასახადებს. კერძოდ, განვიხილავთ სამი ტიპის საგადასახადო სისტემას და მათ სოციალური პოლიტიკის პერსპექტივიდან შევადარებთ.

დაბეგვრის
სამი მიზანი:
შემოსავალი,
გადანაწილება და
წარმართვა

დამატებითი
ლიტერატურა:
სტეფან პომბურგი
(2000), *Allgemeine
Steuerlehre*,
მიუნხენი.

ჯოელ სლემროდი
და ჯონ ბაკიჯა
(2004), *Taxing
Ourselves.
A Citizen's
Guide to the Great
Debate over Tax
Reform*, კემბრიჯი.

7.1.1. დაბეგვრის პრინციპები:

სამართლიანობა და ეკონომიკური ეფექტიანობა

სახელმწიფოები თავიანთი საგადასახადო სისტემების ჩამოყალიბებისას რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობენ. ამ მიზნებს შორისაა სამართლიანობა და ეკონომიკური ეფექტიანობა, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვს სოციალურ სახელმწიფოსთან და მის შესახებ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობასთან.¹⁷ ორივე მიზანი თავისთავად მისაღებია, მაგრამ შესაძლებელია ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს. პოლიტიკური უთანხმოების საგანი შეიძლება იყოს სწორედ ის, თუ რომელია მათგან უპირატესი.

რას ნიშნავს სამართლიანი დაბეგვრა?

საგადასახადო სისტემა სამართლიანი უნდა იყოს. თუმცა, რა იგულისხმება სამართლიან დაბეგვრაში, სადავო საკითხია. დიდი ხანია, რაც პოლიტიკური ეკონომისტები და ფილოსოფოსები ორ პრინციპზე დავობენ. ესენია: დაბეგვრა შრომითი წვლილის მიხედვით და ეკვივალენტობა. ამ პრინციპების გამოკვლევა დაგვეხმარება, კონსტრუქციულად ვიფიქროთ დაბეგვრის სამართლიანობაზე.

შრომითი წვლილის შესაბამისი დაბეგვრა

პრინციპი, რომ გადასახადის გადამხდელები ინდივიდუალური შრომითი წვლილის შესაბამისად უნდა დაიბეგრონ, ჯერ კიდევ ადამ სმიტის ნაშრომებშია მოცემული. მაგრამ როგორც კი ამ პრინციპის პრაქტიკაში დაწერგვას მოვისურვებთ, მაშინვე ჩნდება კითხვა: როგორ განვსაზღვროთ ეს შრომითი წვლილი? (ამ თემაზე დისკუსიისთვის იხილეთ მე-3 თავი). სიმარტივისთვის, ზოგადად, ივარაუდება, რომ შრომითი წვლილის გამომხატველია პირადი შემოსავალი.

შრომითი წვლილის მიხედვით დაბეგვრის პრინციპიდან ორი რამ გამომდინარეობს. პირველი: ერთი და იმავე შემოსავლის მქონე გადამხდელებმა ერთი და იმავე ოდენობის საგადასახადო უნდა გადაიხადონ (ჰორიზონტალური სამართლიანობა). მეორე: მეტი შემოსავლის მქონე პირის

ცერა თითის წესი სხვადასხვა საგადასახადო რეგულაციის განაწილებით ეფექტის შესახებ

რეგრესული გადასახადის ოდენობა შემოსავლის ზრდის პროპორციულად მცირდება. რეგრესული გადასახადი შემოსავალსა და ქონებას ქვემოდან ზემოთ ანაწილებს. სამართლიანობიდან გამომდინარე, ასეთ გადასახადზე უარი უნდა ვთქვათ. გადასახადი პროპორციულია, თუ ყველა ერთნაირი პროპორციით იბეგრება, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა. შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება აბსოლუტური გადასახადი. გადანაწილებითი ეფექტი უფრო მცირეა, ვიდრე პროგრესული საგადასახადო სკალის შემთხვევაში. გადასახადი პროგრესულია, თუ მაღალი შემოსავლის მიმღები პროცენტულად უფრო მეტს იხდის, ვიდრე ის, ვინც დაბალ შემოსავალს იღებს. შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება გადასახადი და გადანაწილებითი ეფექტიც მეტია.

¹⁷ საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი კიდევ ორი ძალზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომელთა განხილვას აქ არ ვაპირებთ, არის აღსრულების უნარი, ანუ ადმინისტრირების უნარი, და სიმარტივე, ანუ გამჭვირვალობა.

დაბეგვრის
ორი პრინციპი:
სამართლიანობა
და ეკონომიკური
ეფექტიანობა

შრომითი წვლილის
შესაბამისი
სამართლიანობა და
ეკვივალენტობის
პრინციპი

შრომითი წვლილის
შესაბამისი
დაბეგვრა

ვერტიკალური და
ჰორიზონტალური
სამართლიანი
დაბეგვრა

საგადასახადო ტვირთი უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე იმისი, ვისაც ნაკლები შემოსავალი აქვს (ვერტიკალური სამართლიანობა).

რომელ საგადასახადო სისტემას შეუძლია ამ ორი მოთხოვნის დაკმაყოფილება, სადავო საკითხია. რეგრესული გადასახადი აღნიშნულ პრინციპს აშკარად ეწინააღმდეგება. თუმცა, ლიბერტარიანელების აზრით, დაბეგვრა შრომითი წვლილის თანაზომიერია, თუ ასაკრეფი გადასახადი პროპორციულია. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, კირშპოფი, მაგალითად, ყველანაირი შემოსავლის გადასახადის ფიქსირებული განაკვეთით – 25%-ით – დაბეგვრას გვთავაზობს.

არგუმენტები პროგრესიული დაბეგვრის სასარგებლოდ

მაგრამ, შეიძლება ითქვას, ვერტიკალური სამართლიანობა მოითხოვს, რომ გადასახადი შემოსავლის ზრდასთან ერთად გაიზარდოს. ამის ერთ-ერთი საფუძველია მოსაზრება, რომ შემოსავლის მეოთხედის გადახდა იმ გადასახადის გადამხდელისთვის, რომელიც წელიწადში 100000 ევროს შოულობს, უფრო ნაკლები დანაკარგი იქნება, ვიდრე იმისთვის, ვისი წლიური შემოსავალიც 20000 ევროა: ანუ თუ პირველი კატეგორია 25000 ევროს გადახდით დაკარგავს მეორე მანქანის ყოლის ან მესამედ დასვენების შესაძლებლობას, მეორე კატეგორია 5000 ევროს გადახდის შედეგად საერთოდ ვერ წავა დასასვენებლად ან ვეღარ იყიდის ჯანსაღ საკვებს. მათ, ვისთვისაც მისაღებია ეს არგუმენტი – რომელსაც ეკონომისტები სარგებლიანობის კლებად ზღვარს უწოდებენ – მიაჩნიათ, რომ საგადასახადო სისტემა პროგრესიული უნდა იყოს. ამ მოსაზრებას გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც იზიარებს.

სარგებლიანობის ზღვარი არის ეკონომიკური ცნება, რომელიც აღნიშნავს ბოლო მოხმარებული ნივთით მიღებული სარგებლის სიდიდეს. ნივთების უმრავლესობის შემთხვევაში, რაც უფრო მეტ საქონელს მოიხმარს პირი, მით უფრო შემცირდება მისთვის აღნიშნული საქონლის სარგებლიანობა (მაგალითად, ღვინის მეათე ჭიქა ისეთივე სიამოვნებას მოგანიჭებთ, როგორსაც მეცხრე?) (იხ. Das Politiklexikon 2011: 131)

„კომპანიებმა და კერძო მეურნეობებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში, იმის მიხედვით, თუ როგორია მათი გადახდისუნარიანობა. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მრავალნაცად და შემონმებულ პროგრესიულ საშემოსავლო გადასახადს.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 46)

ეკვივალენტობის პრინციპი

საგადასახადო სამართლიანობის მეორე პრინციპი, რომელიც ხშირად შრომითი წვლილის შესაბამისი დაბეგვრის პრინციპის საპირისპიროდ მიაჩნიათ, არის ეკვივალენტობის პრინციპი. ამ იდეის თანახმად, გადახდილი გადასახადის ოდენობა იმ მომსახურებების პროპორციული უნდა იყოს, რომლებიც მის სანაცვლოდ სახელმწიფოსაგან მიიღება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადასახადი სახელმწიფო სერვისის მიღების საფასურია.

რომელი
საგადასახადო
სისტემა
დააკმაყოფილებს
ამ მოთხოვნებს?

სარგებლიანობის
ზღვრის
შემცირება:
ერთერთი
არგუმენტი
პროგრესიული
დაბეგვრის
სასარგებლოდ

ეკვივალენტობის
პრინციპი:
გარიგების
სამართლიანობის
პრინციპი

ამიტომ ეკვივალენტობის პრინციპს გარკვეულწილად გარიგების სამართლიანობის პრინციპი უდევს საფუძვლად.

პრობლემა:
ზუსტი
„ღირებულების“
განსაზღვრა

მაგრამ ხშირად შეუძლებელია ზუსტად განსაზღვრა იმისა, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს კონკრეტულმა პირმა გარკვეული სახელმწიფო მომსახურებისთვის. ვინაიდან გადასახადებით დაფინანსებულ მომსახურებას, ვინრო გაგებით, სახელმწიფო სერვისის დამახასიათებელი ნიშნები აქვს,¹⁸ საბაზრო მექანიზმი აქ ველარ მოქმედებს და ზუსტი ღირებულების განსაზღვრაც შეუძლებელი ხდება. თუმცა ეს შესაძლებელია მოსაკრებლის ან საფასურის შემთხვევაში. მოსაკრებლები სწორედ ეკვივალენტობის პრინციპის შესაბამისად დგინდება. იგივე ითქმის – ოლონდ უფრო მსუბუქად – შენატანებზე. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დაზღვევისა და საპენსიო დაზღვევის შემთხვევებში არ არსებობს ზუსტი ეკვივალენტობა გადახდილ შენატანებსა და მიღებულ სარგებელს შორის თანაფარდობის თვალსაზრისით – ისიც კი არ არის მკაფიო, როდის დგება სადაზღვევო შემთხვევა და რამდენ ხანს გრძელდება იგი – სარგებლის ოდენობა შენატანებზეა დამოკიდებული.

რას იღებს
აღამიანი
გადასახადების
სანაცვლოდ:
„ცივილიზებული
საზოგადოებას“

მართალია, ეკვივალენტობის პრინციპი ზუსტად არ მიესადაგება გადასახადებს, იგი გარკვეულწილად მაინც გამოდგება იმაზე მსჯელობისას, თუ რას ნიშნავს სამართლიანი საგადასახადო სისტემა. რამდენი უნდა გადაიხადოს ამა თუ იმ პირმა, ზუსტად ვერ განისაზღვრება, მაგრამ ისედაც აშკარაა, რომ გადასახადის გადამხდელები მთლიანობაში გადახდილი გადასახადების სანაცვლოდ იღებენ კონკრეტულ სარგებელს, კერძოდ, სახელმწიფო სერვისების ერთობლიობას. აქ იგულისხმება სამართლის უზენაესობა, შიგა და გარე უსაფრთხოება, სოციალური უზრუნველყოფა, სკოლები, გზები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ:

„გადასახადები არის საფასური, რომელსაც ჩვენ ვიხდით იმისთვის, რომ გვექონდეს ცივილიზებული საზოგადოება.“ (ოლივერ ვენდელ ჰოლმსი უმცროსი, 1927 წ., აშშ-ის უზენაესი სასამართლო)

პროგრესიული
დაბეგვრის
დასაბუთება:
ვისაც მეტი აქვს,
მეტ სარგებელს
იღებს სამართლის
უზენაესობისაგან

არგუმენტი ეკვივალენტობის პრინციპის მიხედვით პროგრესიული დაბეგვრის სასარგებლოდ

თუ ამ მოსაზრებას ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ ეკვივალენტობის პრინციპი შესაძლოა არც ეწინააღმდეგებოდეს შრომითი წვლილის მიხედვით დაბეგვრის პრინციპს. პროგრესიული დაბეგვრის სასარგებლოდ შემდეგი არგუმენტის მოყვანა შეიძლება: გადასახადები აუცილებელია სამართლის უზენაესობის დამკვიდრებისა და შენარჩუნებისთვის, რომელიც იძლევა კერძო საკუთრების გარანტიას და, ვინრო გაგებით, განსაზღვრავს, რა უნდა იქნეს მიჩნეული კერძო საკუთრებად. ამიტომ გამართლებულია, უფრო მეტად მოეთხოვოს ამ ყველაფრის დაფინანსებაში მონაწილეობა იმ პირს, რომელიც მეტ ქონებასა და შემოსავალს ფლობს და, აქედან გამომდინარე, უფრო მეტ სარგებელს იღებს სამარ-

18 იხ. წიგნი 2: ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია (2009), თავი 7, განყოფილება 3.

თლის უზენაესობისა და კერძო საკუთრების სისტემისაგან, ვიდრე ის, ვინც ნაკლები ქონებისა და შემოსავლის მფლობელია.¹⁹

ეკონომიკური ეფექტიანობა

საგადასახადო სისტემის სამართლიანობასთან დაკავშირებული პრინციპების გარდა, საჭიროა საგადასახადო სისტემა ისე მოეწყოს, რომ იგი რაც შეიძლება ნაკლებად უშლიდეს ხელს ეკონომიკურ საქმიანობას. ამას საგადასახადო ნეიტრალობას უწოდებენ. აქედან გამომდინარე, ნეიტრალობა მთავარი მიზანია, რადგან იგი იძლევა რესურსების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას და, ამდენად, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. პრობლემა ის არის, რომ ყოველი გადასახადი ხელს უშლის ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს გადანყვეტილებების მიღებაში. ერთადერთი გამონაკლისია ეგრეთ წოდებული სულადობრივი გადასახადი, რომლის თანახმად, ყველა მოქალაქე ზუსტად ერთი და იმავე ოდენობის თანხას იხდის. მართალია, სულადობრივი გადასახადი არსად არ იკრიფება და არც პოლიტიკურად გონივრულად ან სასურველად არ მიაჩნიათ, რადგან უკვე განხილულ სამართლიანობის მოსაზრებებს ეწინააღმდეგება, იგი ნეიტრალობის ცნების უკეთ შეცნობაში გვეხმარება. ეს გადასახადი სრულიად ნეიტრალურად იქნება მიჩნეული იმ შემთხვევაში, თუ ყველა ზუსტად ერთი და იმავე ოდენობის თანხას გადაიხდის, იმის მიუხედავად, რას აკეთებს და საერთოდ აქვს თუ არა შემოსავალი. ამ პირობებში ჩნდება მოტივაცია, რომ პირმა გაიუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ვითარება იცვლება, თუ გადასახადი შემოსავლის მატებასთან ერთად მატულობს. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის მოტივაცია კლებულობს. რაც უფრო პროგრესიულია საგადასახადო სკალა, მით უფრო ნაკლებია პირის მოტივაცია, რომ უკეთ იმუშაოს.

არის თუ არა ეფექტიანობისა და სამართლიანობის მიზნები ურთიერთსაწინააღმდეგო?

აქედან გამომდინარე, საგადასახადო სკალა, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული, რადგან საგადასახადო ტვირთს პროგრესიულად ანაწილებს, შეიძლება ეკონომიკური ზრდის დამამუხრუჭებელი აღმოჩნდეს. ამდენად, ეფექტიანობისა და სამართლიანობის მიზნები ურთიერთსაწინააღმდეგოა. რაც უფრო მეტად თმობს სამართლიანობას, მით მეტია ეკონომიკური ზრდა, და პირიქით. როგორ დამყარდება ბალანსი ამ ორ მიზანს შორის, საზოგადოების ღირებულებებზეა დამოკიდებული. ეს საგადასახადო პოლიტიკის შესახებ დებატების მთავარი თემაა.

როგორც დავინახავთ, სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვაგვარი კომპრომისი აირჩია. გარდა ამისა, ჩნდება კითხვა: რეალურად როგორია ეფექტიანობასა და სამართლიანობას შორის თანაფარდობა და შეიძლება თუ არა მასზე სხვა ფაქტორებმა მოახდინოს გავლენა, ისე, რომ, საბოლოო ჯამში, ამ ორი მიზნის დაპირისპირება ისეთი მწვავე არ იყოს, როგორიც თავიდან ჩანს?

*ნეიტრალობა:
ეკონომიკურ
საქმიანობას ხელი
არ ეშლება*

*როგორ
დამყარდება
ბალანსი
ეკონომიკურ
ზრდასა და
სამართლიანობას
შორის?*

*რამდენად მწვავეა
რეალურად
მიზნების
დაპირისპირება?*

19 იხ. წიგნი 2: ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია (2009), თავი 7, განყოფილება 2.

7.1.2. სხვადასხვა სახის გადასახადები

რეალურ ცხოვრებაში სახელმწიფო სხვადასხვა ნივთსა და საქმიანობას ბეგრავს. აქედან გამომდინარე, არსებობს სხვადასხვა სახის გადასახადები.

პირდაპირი გადასახადები

პირდაპირი გადასახადები უშუალოდაა დაკავშირებული გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებთან. ამიტომ ამ გადასახადებით შემოსავალი და ქონება იბეგრება. პირდაპირი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, მემკვიდრეობის გადასახადი და ქონების გადასახადი. გერმანიაში და სხვა მრავალ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის მიმართ პროგრესიული საგადასახადო სკალა გამოიყენება. ამ გადასახადის გადამხდელები ფიზიკური პირები და კომპანიები (კერძო სამართლის იურიდიული პირები) არიან. მისგან განსხვავებით, მოგების გადასახადი, რომლითაც იურიდიული პირების – მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების – მოგება იბეგრება, ფიქსირებული განაკვეთიანი გადასახადია. გერმანიაში ეს გადასახადი 25%-მდე შემცირდა (თუმცა მუნიციპალიტეტებში დამატებით იკრიფება ვაჭრობის გადასახადი).

გადასახადებით ან შენატანებით დაფინანსებული სოციალური დაზღვევა

ფართო გაგებით, სოციალური დაზღვევის შენატანებიც ერთგვარი პირდაპირი გადასახადებია. ისინი ფიქსირებული განაკვეთით გადაიხდება. ვინაიდან ხშირად შენატანის ზედა ზღვარი წესდება, მაღალი შემოსავალი შესაბამისი სოციალური დახმარებების დაფინანსებას არაფერს მატებს. ამიტომ სოციალური დაზღვევა, თავისი არსით, რეგრესულია. თუმცა საპენსიო უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის დაზღვევის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო სუბსიდიები, რომლებიც გადასახადებით (უფრო ვიწრო გაგებით) იგება. სწორედ სოციალური დაზღვევის დაფინანსების რეგრესული ტენდენცია უდევს საფუძვლად გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოთხოვნას, რომ გაიზარდოს გადასახადში მონაწილეობა (იხ. ჰამბურგის პროგრამა 2007: 58).

არაპირდაპირი გადასახადები

არაპირდაპირი გადასახადების შემთხვევაში, პირიქით, გადახდისუნარიანობის გათვალისწინება – თუკი საერთოდ გაითვალისწინება იგი – არაპირდაპირი გზით ხდება. საგადასახადო ტვირთი იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ იყენებთ თქვენს შემოსავალს. გერმანიაში ყველაზე ცნობილი და ფისკალურად ყველაზე მნიშვნელოვანი არაპირდაპირი გადასახადია დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). დღგ-ის განაკვეთი ფიქსირებულია და 19%-ს შეადგენს, თუმცა მრავალი ძირითადი მოხმარების საგნის შემთხვევაში გადასახადის განაკვეთი 7%-მდეა შემცირებული. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დაბალშემოსავლიანმა პირმა თავისი შემოსავალი მეტწილად ძირითადი მოხმარების საგნებსა და მომსახურებაში უნდა დახარჯოს, აშკარაა, რომ დღგ რეგრესულია.

საგადასახადო ტვირთი წარმოების ფაქტორების მიხედვით

და ბოლოს, შეიძლება დაისვას კითხვა: წარმოების რომელი ფაქტორები იბეგრება გადასახადით? მაგალითად, კაპიტალზე საგადასახადო ტვირთი განსხვავდება შრომითი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე საგადასახადო ტვირთისაგან.

პირდაპირი გადასახადები შემოსავალთან და კეთილდღეობასთან არის დაკავშირებული

სოციალური დაზღვევის შენატანები, ფართო გაგებით, გადასახადებია

არაპირდაპირი გადასახადები შემოსავლის გამოყენებას ეხება მაგალითი: დღგ

რა პროპორციით იბეგრება კაპიტალი და შრომა?

7.1.3. სხვადასხვა (სამი ტიპის) საგადასახადო მონყობის მქონე სახელმწიფოები

აღნიშნული ცნებების გამოყენებით შეგვიძლია გავანალიზოთ არსებული საგადასახადო სისტემები. სხვადასხვა ტიპის სოციალურ სახელმწიფოებს (იხ. თავი 3) შორის განსხვავებები მათ საგადასახადო პოლიტიკაშიც არის ასახული. ანგლოსაქსური, კონტინენტური და სკანდინავიური ტიპის სოციალური სახელმწიფოები განსხვავდებიან მთლიანი საგადასახადო ტვირთით და იმის მიხედვით, თუ რამდენად ეყრდნობიან სხვადასხვა სახის გადასახადებს (გადასახადების სტრუქტურა). მათ ერთმანეთისაგან მიღწეული განაწილებითი ეფექტიც განსხვავებს (იხ. Wagschal 2001).

ანგლოსაქსური საგადასახადო მონყობა: აშშ

აშშ-ში, რომელსაც ვუთითებთ, როგორც ანგლოსაქსური საგადასახადო მონყობის მქონე სახელმწიფოს მაგალითს, მთლიანი საგადასახადო ტვირთი საკმაოდ დაბალია. შემოსავლები მეტწილად პირდაპირი გადასახადებით მიიღება.

საშემოსავლო გადასახადი ნაკლებად პროგრესიულია. არაპირდაპირი გადასახადები და სოციალური შენატანები დაბალია.

კონტინენტური საგადასახადო მონყობა: გერმანია

კონტინენტური საგადასახადო მონყობის მქონე სახელმწიფოში – მაგალითად, გერმანიაში – მთლიანი საგადასახადო ტვირთი საშუალო სიდიდისაა. მთლიან შემოსავლებში პირდაპირი გადასახადების წილი მცირეა, რადგან სოციალური შენატანების – სოციალური დაზღვევის შენატანების – წილია დიდი. აქედან გამომდინარე, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება გადასახადის მთლიანი კოეფიციენტი და გადასახადის კოეფიციენტი, რომლებიც ზომავს ვინრო გაგებით გადასახადების წილს მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ).

ტრადიციულად, გადასახადების ნომინალური განაკვეთები საკმაოდ მაღალია. თუმცა დასაბეგრი ბაზა ძალიან შეზღუდულია. 2000 წლის საგადასახადო რეფორმის შედეგად საშემოსავლო და მოგების გადასახადების განაკვეთები შემცირდა (თუმცა გაფართოვდა დასაბეგრი ბაზა). საგადასახადო რეფორმის ბოლო ეტაპით გათვალისწინებული ცვლილებები 2005 წელს ამოქმედდა. ამის შემდეგ საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი 42%-ია. 1998 წელს ის 53% იყო. აქედან გამომდინარე, გერმანია სულაც არ არის მაღალგადასახადებიანი ქვეყანა. თუმცა სოციალური უზრუნველყოფის შენატანები, საერთაშორისო ფონზე, საკმაოდ მაღალია, რამაც შეიძლება პრობის ბაზარზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

სკანდინავიური საგადასახადო მონყობა: დანია

სკანდინავიურ საგადასახადო სისტემაში მთლიანი საგადასახადო ტვირთი მაღალია. ასევე მაღალია საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი მოხმარების საგნებზე. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის საგადასახადო რეფორმის შედეგად საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი 59%-იდან 51.5%-მდე შემცირდა, საერთაშორისო სტანდარტებით, და-

სხვადასხვა (სამი ტიპის) საგადასახადო მონყობის მქონე სახელმწიფოები – სოციალური სახელმწიფოების ანალოგურად

დაბალი მთლიანი საგადასახადო ტვირთი, მეტწილად პირდაპირი გადასახადები

საშუალო სიდიდის მთლიანი საგადასახადო ტვირთი, სოციალური შენატანების დიდი წილი

დამატებითი ლიტერატურა:
*გერდ გროზინგერი (2007),
Hochsteuerland Deutschland?
Langleibiger Mythos, problematische Folgen,
გამოცემაში:
Intervention
4 (1): გვ. 28-39.*

მაღალი მთლიანი საგადასახადო ტვირთი, მაღალი

ნიური საშემოსავლო გადასახადი მაინც გამოკვეთილად პროგრესიულ გადასახადად არის მიჩნეული. ვინაიდან სოციალური დახმარებების დიდი ნაწილი სწორედ საგადასახადო სისტემის მეშვეობით ფინანსდება, სოციალური უზრუნველყოფის შენატანები დაბალია.²⁰

სხვადასხვა (სამი ტიპის) საგადასახადო მოწყობის მქონე სახელმწიფოები: მონაცემები

	აშშ	გერმანია	დანია	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საშუალო
მთლიანი საგადასახადო ტვირთი	24.1%	37.3%	48.1%	33.8%
გადასახადის კოეფიციენტი	17.6%	22.9%	47.1%	24.6%
საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი	35% 265.334 € ²¹ -სი	42.0% 52.151 € ²² -სი	51.5% 51.000 € ²³ -სი	
საწყისი განაკვეთი	10% ²⁴	15%	5.48% ²⁵	
დაუბეგრავი მინიმუმი	5.913 €	7.663 €	0 € ²⁶	
გადასახადის ნომინალური განაკვეთი კორპორაციებისთვის ²⁷	39.88%	29.83%	25%	
გადასახადის ეფექტიანი ზღვრული განაკვეთი კორპორაციებისთვის (2008)	36%	27.3%	18.6%	
დღგ	მონაცემი არ არის ²⁷	19%	25%	

წყაროები: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2011), გერმანიის ფინანსთა ფედერალური სამინისტრო (2011), Chen/Mintz (2008)

20 იხ. ნიგნი 2: ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია (2009), თავი 7, განყოფილება 2.
 21 ფედერალური გადასახადი. გადასახადი არსებობს „ლანდის“ დონეზე და გამოკლება-დია ფედერალურ დონეზე.
 22 2007 წლიდან არსებობს ეგრეთ წოდებული სიმდიდრის გადასახადი, რომლის თანახმად, როდესაც შემოსავალი 250 001 ევროზე მეტია, გადასახადის ზღვრული განაკვეთი 45%-მდე იზრდება.
 23 საშემოსავლო გადასახადის ზღვარი შემოსავლის მიხედვით იცვლება. 2009 წლამდე გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი 59% იყო.
 24 ფედერალური გადასახადი. გადასახადი „ლანდის“ დონეზედაც არსებობს.
 25 ცენტრალური გადასახადი. გადასახადი მუნიციპალურ დონეზედაც არსებობს.
 26 არსებობს გადასახადის კრედიტი 283 ევროს ოდენობით.
 27 შეიცავს ბიზნესის გადასახადს, ვაჭრობის გადასახადს და სხვა შესაბამის გადასახადებს ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე.
 28 „ლანდის“ დონეზე ცვლადი, შედარებით დაბალი დღგ.

რას ნიშნავს ეს მონაცემები და გადასახადის განაკვეთები?

გადასახადებისა და შენატანების კოეფიციენტი არის ყველა გადასახადისა და შენატანის წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

გადასახადის კოეფიციენტი არის ყველა გადასახადის – ამ სიტყვის ვიწრო გაგებით – წილი მთლიან შიდა პროდუქტში.


საშემოსავლო გადასახადის **მაქსიმალური განაკვეთი** არის გადასახადის ყველაზე მაღალი განაკვეთი, რომელიც გადაიხდება დასაბეგრი შემოსავლის გარკვეული დონიდან. **საწყისი განაკვეთი** არის გადასახადის განაკვეთი, რომელიც გადაიხდება დაუბეგრავ მინიმუმზე მეტ შემოსავალზე. ამ განაკვეთებს ერთად **გადასახადის ზღვრული განაკვეთები** ეწოდება. ესენია გადასახადის განაკვეთები ყოველი დამატებით გამომუშავებული ევროსთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ განაკვეთებით შემოსავლის მხოლოდ ის ნაწილი იბეგრება, რომელიც განსაზღვრულ დონეს აღემატება. შემოსავლის სხვა ნაწილები უფრო დაბალი განაკვეთებით იბეგრება, ხოლო საწყისი განაკვეთის შემთხვევაში საერთოდ არ იბეგრება. **გადასახადის საშუალო განაკვეთი** განსხვავდება გადასახადის ზღვრული განაკვეთისაგან. ეს არის განაკვეთი, რომელიც გადაიხდება საშუალოდ. თუ საგადასახადო სკალა პროგრესიულია, გადასახადის საშუალო განაკვეთი გადასახადის ზღვრულ განაკვეთზე დაბალი იქნება.

გადასახადის ნომინალური განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც გადაიხდება გარკვეულ დასაბეგრ ბაზაზე. ის განსხვავდება **გადასახადის ფაქტობრივი განაკვეთისაგან**, რომელიც მიუთითებს, შემოსავლის რა ნაწილია გადასახდელი, თუ დასაბეგრი ბაზა უფრო მცირეა, ვიდრე შემოსავალი. ასეთი შემთხვევაა, მაგალითად, როცა დასაბეგრი შემოსავალი დაუბეგრავი მინიმუმით ან გამოსაქვითი თანხებით მცირდება.

მსჯელობისთვის

გერმანიაში მეუღლეთა საგადასახადო შეფასება ერთობლივად ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი შემოსავლები ჯამდება, ორზე იყოფა და შემდეგ მიესადაგება შესაბამისი გადასახადის განაკვეთი. რა განაწილებითი ეფექტი აქვს ამ მეთოდს? რა შედეგათს ანიჭებს იგი დაბალშემოსავლიან მეუღლეს დასაქმების თვალსაზრისით? სამართლიანია თუ არა დაქორწინებული წყვილისთვის ასეთი საგადასახადო შედეგათის არსებობა (ანუ გადასახადის გაყოფა)?

მე-10 სურათზე ნაჩვენებია ქვეყნებს შორის გადასახადების სტრუქტურის კუთხით არსებული განსხვავებები. კერძოდ, აღნიშნულია პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების და სოციალური დაზღვევის შენატანების წილი მთლიან სახელმწიფო შემოსავლებში. ქონების გადასახადი, რომელიც პირდაპირ გადასახადად არის მიჩნეული, სურათზე ცალკეა მოცემული.




სურათი 10: გადასახადების სტრუქტურა 2009 წელს

საგადასახადო ტვირთი კაპიტალსა და შრომაზე

თუ შევფასებთ, როგორ არის განაწილებული საგადასახადო ტვირთი წარმოების ეკონომიკურ ფაქტორებს შორის, აშკარა გახდება, რომ საგადასახადო ტვირთი კაპიტალზე და კიდევ ორ ფაქტორზე – შრომასა და მოხმარებაზე – ანგლოსაქსური ტიპის სოციალურ სახელმწიფოებში მეტ-ნაკლებად თანაბარია. საქმე სხვაგვარადაა სკანდინავიურ მოდელში, სადაც საგადასახადო ტვირთი შრომასა და მოხმარებაზე დაახლოებით 50%-ით მაღალია, ვიდრე კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალზე. აქედან გამომდინარე, კაპიტალზე საგადასახადო ტვირთი კარგად განვითარებული სოციალური სახელმწიფოს ხარჯების ფონზე არათანაზომიერად დაბალია. შრომაზე საგადასახადო ტვირთი მაღალია კონტინენტური ტიპის სოციალურ სახელმწიფოებშიც. თუმცა კონტინენტურ სოციალურ სახელმწიფოთა უმრავლესობაში კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადსა და შრომით შემოსავალზე გადასახადს შორის განსხვავება უფრო მცირეა, ვიდრე გერმანიაში.

გერმანია: მნიშვნელოვანი უთანასწორობა კაპიტალის დაბეგვრასა და შრომის დაბეგვრას შორის



სურათი 11: გადასახადის კოეფიციენტები კაპიტალზე, აგრეთვე შრომასა და მოხმარებაზე (საშუალო მაჩვენებლები, 1990-2000)

7.1.4. რამდენად წარმატებულები არიან სხვადასხვა (სამი ტიპის) საგადასახადო მოწყობის მქონე სახელმწიფოები?

როგორია სხვადასხვა საგადასახადო სისტემის შედეგები სოციალური პოლიტიკის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით? ახლა განვიხილავთ განაწილებით ეფექტებს და შემდეგ თვალს გადავავლებთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს.


განაწილებითი ეფექტი ანგლოსაქსური ტიპის სოციალურ სახელმწიფოში
მიუხედავად იმისა, რომ ანგლოსაქსური ტიპის სოციალური სახელმწიფო ეყრდნობა პირდაპირ გადასახადებს, რომლებიც, თავის მხრივ, პროგრესიულია, ხოლო მოგების გადასახადის შემთხვევაში – სულ მცირე, პროპორციულია, საშემოსავლო გადასახადის სკალა შედარებით ერთგვაროვანი (ანუ ფიქსირებული) გახლავთ. თუმცა კაპიტალსა და საინვესტიციო შემოსავალზე საგადასახადო ტვირთი მაღალია. თავიდან ეს შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ სინამდვილეში ასეთი ვითარება შეესაბამება ლიბერალურ იდეოლოგიას, რომელიც უფრო პირად მიღწევებზეა ორიენტირებული და არა სტატუსზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადის მთლიანი კოეფიციენტი დაბალია და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მწირი რესურსები რჩება სოციალური პოლიტიკის ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ანგლოსაქსური ტიპის სოციალური სახელმწიფოსთვის შედარებით არათანაბარი განაწილებაა დამახასიათებელი.

განაწილებითი ეფექტი სკანდინავიური ტიპის სოციალურ სახელმწიფოში
სკანდინავიური ტიპის სოციალური სახელმწიფო ძირითადად ეყრდნობა პირდაპირ გადასახადებს, რომლებიც მკვეთრად პროგრესიულია და მიზნად ისახავს მკაფიო განაწილებითი ეფექტის მიღწევას. თუმცა კაპიტალზე საგადასახადო ტვირთი შრომითი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალთან შედარებით უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. დანიაში არსებობს ეგრეთ წოდებული „ორმაგი საშემოსავლო გადასახადი“, რომლის თანახმად, კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება პროპორციული და უფრო დაბალი განაკვეთით, ვიდრე შრომითი შემოსავალი. კაპიტალიდან შემოსავალი უმთავრესად პროგრესიული საშემოსავლო გადასახადით მიიღება. გარდა ამისა, რეგრესული არაპირდაპირი გადასახადების წილი დიდია. ქონების გადასახადი საშუალო სიდიდისაა. თუმცა გადასახადის მთლიანი კოეფიციენტი მაღალია, რაც შესაძლებელს ხდის ძალზე კარგად განვითარებული სოციალური სახელმწიფოს დაფინანსებას, რომელიც ხარჯების თვალსაზრისით გამოკვეთილად განაწილებით პროგრამებს ეყრდნობა (იხ. თავი 4). ამდენად, მთლიანობაში, ამ ტიპის ქვეყნები შემოსავლების თანასწორობით გამოირჩევა.

*მოლოდინი:
შედარებით დიდი
უთანანორობა
განაწილებაში*

*მოლოდინი:
შედარებით
თანაბარი
განაწილება*

განაწილებითი ეფექტი კონტინენტური ტიპის სოციალურ სახელმწიფოში
კონტინენტური ტიპის სოციალური სახელმწიფო თანაბრად ეყრდნობა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს. საშემოსავლო გადასახადის სკალა პროგრესიულია და, აქედან გამომდინარე, გადანაწილებითი ეფექტი აქვს. არაპირდაპირი გადასახადებისთვის რეგრესული ტენდენციაა დამახასიათებელი, მაგრამ ეს მაინც ვერ ამცირებს გადანაწილებით ეფექტს; ამ ეფექტს ვერც ფიქსირებულგანაკვეთიანი სოციალური უზრუნველყოფის შენატანები ანეიტრალებს. თუმცა ქონების გადასახადი, საერთაშორისო ფონზე, ძალიან დაბალია; ასევე დაბალია კაპიტალზე საგადასახადო ტვირთი შრომითი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალთან შედარებით. გადასახადის მთლიანი კოეფიციენტი საშუალო სიდიდისაა. ამგვარად დაფინანსებული სოციალური სახელმწიფო უფრო სტატუსის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული და არა გადანაწილებაზე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის ქვეყნებში უთანასწორობა საშუალო დონეზეა. ამ კუთხით ისინი დაახლოებით აშშ-სა და დანიას შორის არიან. როგორც ჩანს, აღნიშნულ სამ ქვეყანაში ფაქტობრივი განაწილებითი ეფექტი არსებულ მოლოდინებს შეესაბამება.



სურათი 12: განაწილებითი ეფექტები, 2000-იანი წლების ბოლო²⁹


შენიშვნა: დანიაში შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებელი, ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, 0.37-ია. გადასახადებისა და ტრანსფერების გათვალისწინებით, ის 0.24-მდე ჩამოდის. ამდენად, უთანასწორობა, რომელიც ისედაც დაბალია, კიდევ 35%-ით მცირდება.

29 ჯინის კოეფიციენტი თანასწორობის საზომია. ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა შეიძლება იყოს 0-დან 1-მდე, სადაც 0 ნიშნავს აბსოლუტურ თანასწორობას, ხოლო 1 ნიშნავს აბსოლუტურ უთანასწორობას (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა შემოსავალი მხოლოდ ერთ პირთან მიდის).

დანიაში შემოსავლების განაწილება „უფრო თანასწორია“, ვიდრე გერმანიაში. ამასთანავე, იქ არსებული გადასახადებისა და ტრანსფერების სისტემის მეშვეობით შემოსავლების უთანასწორობა კიდევ უფრო მცირდება ზემოაღნიშნულ ორ სხვა ქვეყანასთან შედარებით. თუ ჯინის კოეფიციენტი პირველადი განაწილების (ეს არის საბაზრო შემოსავლების განაწილება გადასახადებისა და ტრანსფერების გადახდამდე) შემდეგ, გადასახადებისა და ტრანსფერების გადახდის შედეგად დანიაში 35%-ით მცირდება, გერმანიაში იგი 28.5%-ით იკლებს, ხოლო აშშ-ში – მხოლოდ 18%-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ გადასახადის მაღალ კოეფიციენტზე დაფუძნებული საგადასახადო პოლიტიკა, პროგრესიული საგადასახადო სისტემითა და ხარჯების გადანაწილების პოლიტიკით, განაწილების მიზნებს ამ ღონისძიებების მეშვეობით აღწევს.

ინვესტ თუ არა მეტი თანასწორობა ეკონომიკური ზრდის შემცირებას?

ამდენად, ჩნდება კითხვა: განაწილების ამოცანების შესასრულებლად უნდა თქვან თუ არა მთავრობებმა უარი ეკონომიკურ ზრდაზე, გამომდინარე იმ თეორიიდან, რომ სამართლიანობისა და ეფექტიანობის მიზნები ურთიერთსაწინააღმდეგოა?



წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2011ა), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2011-12)

სურათი 13: გადასახადის კოეფიციენტები და ეკონომიკური ზრდა (1997-2009)

შენიშვნა: 1997-2009 წლებში შვედეთში, რომლის გადასახადის საშუალო კოეფიციენტი 49%-ია, ეკონომიკური ზრდა დაახლოებით 2.4% იყო, ხოლო იაპონიაში, რომლის გადასახადის კოეფიციენტი დაახლოებით 27%-ია, ეკონომიკურმა ზრდამ მხოლოდ 0.4% შეადგინა.

კვლევები
უჩვენებს:
პირდაპირი
კავშირი არ
არსებობს

ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს: რა თანხები იხარჯება?

დამატებითი
ლიტერატურა:
სტეფენ განგჰოფი
(2004),
*Wer regiert
in der
Steuerpolitik?
Einkommen-
steuerreform
zwischen
internationalem
Wettbewerb
und
nationalen
Verteilungs-
konflikten,
მაინის
ფრანკფურტი.*

გადასახადის კოეფიციენტისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთ-დამოკიდებულება

როგორც მე-13 სურათზეა ნაჩვენები, გადასახადის კოეფიციენტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი არ არსებობს. დაბალი თუ მაღალი ეკონომიკური ზრდა დაბალგადასახადებიან სახელმწიფოებშიც არის და მაღალგადასახადებიანშიც. ის, რომ ეფექტიანობისა და სამართლიანობის მიზნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ემპირიულად არ დასტურდება.

მაგრამ ვერ დავასკვნით, რომ გადასახადები საერთოდ არ ახდენს გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. აქ, გადასახადის განაკვეთის გარდა, სხვა ფაქტორებიც არის გასათვალისწინებელი. ეკონომიკურ ზრდაზე საგადასახადო და სოციალური უზრუნველყოფის შენატანების სისტემების ზეგავლენა შეიძლება იმაზედაც იყოს დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენება საგადასახადო შემოსავლები და აქვს თუ არა ამგვარად მიწოდებულ სოციალურ სერვისებს დადებითი და შედეგიანი გვერდითი ეფექტები (იხ. თავი 4).

კიდევ ერთი ასხნა იმისა, რომ მაღალგადასახადებიან სკანდინავიურ სახელმწიფოებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები შედარებით მაღალია, შეიძლება ის იყოს, რომ ამ ქვეყნებში კაპიტალზე საგადასახადო ტვირთი დაბალია და ეკონომიკურ ზრდას საინვესტიციო კლიმატიც უწყობს ხელს.

ორმაგი საშემოსავლო გადასახადი და საერთაშორისო საგადასახადო კონკურენცია

იმისთვის, რომ სახელმწიფოს ხელს აძლევდეს დაბალი გადასახადები კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალზე, მაგალითად, სანარმოო მოგებაზე, ორი მიზეზი არსებობს. ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი იქმნება, რაც ეკონომიკურ ზრდაზე დადებით ეფექტს ახდენს. მეორე მიზეზი საგადასახადო კონკურენციაა: დაბალი საგადასახადო ტვირთი მოიზიდავს მობილურ კაპიტალს სხვა ქვეყნებიდან.

სწორედ ამიტომ შემოიღეს სკანდინავიურმა სახელმწიფოებმა **ორმაგი საშემოსავლო გადასახადი**, რომლის თანახმად, გადასახადის განაკვეთი კაპიტალზე უფრო დაბალია, ვიდრე შრომითი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე. თუმცა მრავალ ადამიანს მიაჩნია, რომ სხვადასხვა შემოსავლისადმი ამგვარი არათანასწორი დამოკიდებულება უსამართლობაა, რადგან იგი არღვევს იმ პრინციპს, რომ დაბეგვრა გადახდისუნარიანობის მიხედვით უნდა მოხდეს. კაპიტალიდან მიღებული შემოსავალიც, საბოლოო ჯამში, ინდივიდუალური გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია. ამიტომ საჭიროა, საგადასახადო კონკურენცია საერთაშორისო დონეზე დარეგულირდეს, რათა სოციალური სახელმწიფოც იქნეს შენარჩუნებულ და კაპიტალიდან შემოსავლების მიმღებმა პირებმაც სამართლიანად გაინაწილონ ხარჯები (იხ. მე-5 თავის 1-ლი განყოფილება გლობალიზაციის შესახებ).

რას ნიშნავს ეს სოციალ-დემოკრატიისთვის?

- სოციალური დანახარჯები იმ პრინციპის შესაბამისად უნდა დაფინანსდეს, რომ ძლიერ მხრებს უფრო მეტის ზიდვა შეუძლია, ვიდრე სუსტს.
- პროგრესიული საშემოსავლო გადასახადი და ქონების გადასახადი ამ პრინციპს შეესაბამება. მათგან განსხვავებით, არაპირდაპირი გადასახადები, მაგალითად, დღგ, და შენატანების სისტემა ხშირად რეგრესულია. მათი ტვირთი სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე არათანაზომიერად მაღალია.
- თუმცა განანილებითი ეფექტი დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად პროგრესიულია შემოსავალი, არამედ იმაზედაც, თუ რაში იხარჯება ფული და რამდენია ეს ხარჯი.
- სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები თავიანთი საგადასახადო და სოციალური სისტემებით შემოსავლის შედარებით თანაბარ განანილებას აღწევენ და ეკონომიკის დინამიკასაც ინარჩუნებენ.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაფინანსებაში კაპიტალის მონაწილეობა გაუმჯობესდება, თუ მავნე საგადასახადო კონკურენცია საერთაშორისო თანამშრომლობის გზით თავიდან იქნება აცილებული.

სუზანე ული
და თომას რიქსენი
(2011),
*Unternehmens-
besteuerung
europäisch
harmonisieren!
Was zur
Eindämmung
des Steuerwett-
bewerbs
in der EU nötig ist,
Gutachten für
die
Friedrich-Ebert-
Stiftung,*
ბონი.

7.2. შრომა

ამ თავში:

- აღწერილია უმუშევრობის დაზღვევის გერმანული სისტემა და ის შედარებულია დანიურ და ბრიტანულ მოდელებთან;
- სამი სადაზღვევო სისტემა შეფასებულია სამართლიანობის სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით;
- განმარტებულია რეფორმის ღონისძიებები, როგორცაა „პროფესიული დაზღვევა“.

უმუშევრობა არ ნიშნავს მხოლოდ სამსახურიდან მიღებული შემოსავლის დაკარგვას და, აქედან გამომდინარე, – მატერიალურ ზარალს. უმუშევრობასთან ერთად ჩნდება საკუთარი თავის მიმართ ეჭვი და მომავლის შიში. ხანგრძლივი უმუშევრობის დროს სოციალური სტატუსის დაკარგვამ შეიძლება ადამიანს ჯანმრთელობა შეურყიოს და ფსიქოლოგიური პრობლემები შეუქმნას.

უმუშევრობის დაზღვევის სათავეებთან

უმუშევრობით გამოწვეული სიღარიბისა და სიდუხჭირის პრობლემა მე-19 საუკუნეში სულ უფრო მწვავედ დგებოდა. მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა, ქალაქებში მიგრაცია და ამ პროცესის კვალდაკვალ

უმუშევრობა
შემოსავლის
დაკარგვაზე მეტს
ნიშნავს

ინდუსტრიალიზა-
ციამ გაამწვავა
უმუშევრობის
პრობლემა

სოფლისთვის დამახასიათებელი ნათესაური და მეზობლური ურთიერთობების შესუსტება იმაზე მეტყველებდა, რომ შემოსავლის დაკარგვა უფრო მეტად ასოცირდებოდა სიღატაკესთან, ვიდრე ინდუსტრიულიზაციამდე. მე-19 საუკუნეში, ლიბერალური სულისკვეთებით გამსჭვალულ ეპოქაში, ჯანმრთელ ადამიანებს, რომლებიც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, ზარმაცებსა და უქნარებს უწოდებდნენ და მათი დახმარების შესაძლებლობას მხოლოდ ღარიბთა თავშესაფრებში ხედავდნენ. ამას თან ახლდა დისკრიმინაცია და სანქციები: თუკი ადამიანი უპოვრის სტატუსს მიიღებდა, სამოქალაქო უფლებებს კარგავდა და აღარც ხმის მიცემა შეეძლო.

მე-19 საუკუნის ბოლოს არაერთ ევროპულ სახელმწიფოში საქმე იქამდე მივიდა, რომ მუშები პარტიებში ერთიანდებოდნენ. სოციალური დაზღვევის გაჩენა ქვეყნების უმეტესობაში იყო მუშათა კლასის რეაქცია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ზენოლაზე. იგი ნელ-ნელა ანაცვლებდა ღარიბებზე ტრადიციულ მზრუნველობას.

უმუშევრობის დაზღვევის სისტემის დაფუძნება დიდ ბრიტანეთში

ასე დაიწყო უმუშევრობის სახელმწიფო დაზღვევის ისტორია. 1911 წელს დიდი ბრიტანეთი გახდა პირველი სახელმწიფო, სადაც ქვეყნის მასშტაბით სავალდებულო დაზღვევა შემოიღეს. თავიდან სადაზღვევო თანხის ოდენობა საარსებო მინიმუმს უტოლდებოდა. სადაზღვევო სისტემით ბოროტად სარგებლობის თავიდან აცილება სადაზღვევო თანხის სიმცირის, დაზღვევის ხანგრძლივობის შეზღუდვის, ლოდინის პერიოდის და სამსახურის ძებნის ვალდებულების საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

გერმანია

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ჯანმრთელობის დაზღვევის (1883) და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის (1884) სახელმწიფო სისტემის დაფუძნების საკითხში მსოფლიო ფლაგმანის როლს ასრულებდა, აქ უმუშევრობის სავალდებულო დაზღვევა მხოლოდ 1927 წელს შემოიღეს. მანამდე მხოლოდ დიდ ქალაქებში არსებობდა პროფკავშირების მიერ ორგანიზებული ადგილობრივი სადაზღვევო სისტემები, რომლებსაც ფინანსურად მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფდნენ.

ღარიბთა მზრუნველობის ნაცვლად ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის დაზღვევის შემოღების შედეგად უმუშევრები აღარ იყვნენ იძულებული, ნებისმიერ სამუშაოზე დათანხმებულიყვნენ. გერმანელი დამსაქმებლები არ იყვნენ დაინტერესებული პროფკავშირების მიერ მართული უმუშევრობის საყოველთაო დაზღვევით და ისეთი სისტემის შექმნა სურდათ, რომელსაც თავად გაუწევდნენ ორგანიზებას დასაქმებულებთან ერთად. ახალდაფუძნებული სადაზღვევო სისტემის (იგი 1927 წელს ჩამოყალიბდა) მართვის ვალდებულება სახელმწიფოს, პროფკავშირებსა და დამსაქმებლებს დაეკისრა.

მუშათა კლასის ზენოლამ საფუძველი ჩაუყარა სოციალურ დაზღვევას

პირველი უმუშევრობის დაზღვევა (1911)

გერმანია: უმუშევრობის დაზღვევა შედარებით გვიან (1927) იქნა შემოღებული

დანია

სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის მოდელი ყველა ქვეყანაში არ დაუმკვიდრებიათ. დანიაში უმუშევრობის დაზღვევა დღემდე არ არის სავალდებულო. უმუშევრობის დაზღვევის ადმინისტრირებას პროფკავშირები ახდენენ; შესაბამისად, იმისთვის, რომ პირს ჰქონდეს უმუშევრობის შემწეობის მიღების უფლება, იგი ამა თუ იმ პროფკავშირის მიერ შექმნილი უმუშევრობის დაზღვევის ფონდის წევრი უნდა იყოს. დანიაში დასაქმებულთა 75–80%-ს აქვს უმუშევრობის დაზღვევა და პროფკავშირებსაც თითქმის ამდენივე წევრი ჰყავთ.

უმუშევრობის დაზღვევის სისტემები ერთმანეთისაგან მხოლოდ მმართველებით არ განსხვავდება. ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვა მრავალ მახასიათებელსაც ეხება. მათი დანახვა ცხადი ხდება, თუკი გერმანიის, დანიისა და გაერთიანებული სამეფოს სადაზღვევო სისტემებს შევადარებთ.

უმუშევრობის შემწეობის ოდენობა

ყველაზე ხშირად შედარების ობიექტია უმუშევრობის შემწეობის ოდენობა და მისი მიღების ხანგრძლივობა. გერმანიაში უმუშევრობის შემწეობა უმუშევრებისთვის ბავშვების ყოლის შემთხვევაში ადრინდელი წმინდა შემოსავლის 67%-ს შეადგენს, ყველა სხვა შემთხვევაში კი – 60%-ს, თუმცა მხოლოდ შენატანის ზედა ზღვრამდე (2012 წელს მთლიანი თვიური შემოსავალი დასავლეთ გერმანიაში 5600 ევრო იყო, აღმოსავლეთ გერმანიაში – 4800, რაც წლიურად, შესაბამისად, 67 200 და 57 600 ევროს შეადგენდა).

აქედან გამომდინარე, უმუშევრობის შემწეობის მაქსიმალური ოდენობა მარტოხელებისთვის შეიძლება იყოს დაახლოებით 1760 ევრო (დასავლეთ გერმანიაში) ან 1580 ევრო (აღმოსავლეთ გერმანიაში). დაოჯახებული პირებისთვის, რომელთაც შვილები ჰყავთ (სახელფასო ბეგრის მე-3 კლასი) უმუშევრობის შემწეობა შეიძლება შეადგენდეს არაუმეტეს 2300 ევროს (დასავლეთში) ან 2038 ევროს (აღმოსავლეთში).³⁰

ამისგან განსხვავებით, დანიაში უმუშევრობის შემწეობა ადრინდელი მთლიანი შემოსავლის 90%-ს შეადგენს, თუმცა თვიური ზედა ზღვარია დაახლოებით 2100 ევრო (დაახლოებით 530 ევრო კვირაში). ამასთანავე, უმუშევრობის შემწეობა იბეგრება. ის უმუშევრები, რომელთაც დაბალი შემოსავალი ჰქონდათ, დანიაში უფრო მეტ დახმარებას იღებენ, ვიდრე გერმანიაში, მაღალშემოსავლიანები კი ზარალდებიან.

გაერთიანებულ სამეფოში არსებობს ერთიანი საგადასახადო განაკვეთი, რომელიც 2012 წლისთვის კვირაში 67.50 ფუნტს (დაახლოებით 80 ევროს) შეადგენდა (25 წლამდე ასაკის პირთათვის განაკვეთია 53.45 ფუნტი, ანუ

დანია: ნებაყოფლობითი დაზღვევა პროფკავშირების მეშვეობით

75–80% პროფკავშირების წევრია, მაშასადამე, დაზღვეულია

ოდენობის ცვალებადობა: დანია – 90%, გერმანია – 65–67%

გაერთიანებული სამეფო: 67.50 ფუნტი კვირაში

30 უმუშევრობის შემწეობის ოდენობის გამოთვლა შესაძლებელია ვებგვერდზე: www.pub.arbeitsagentur.de/selbst.php

დაახლოებით 64 ევრო კვირაში). შესაძლებელია ბინის ქირის დასაფარად დამატებითი თანხის მოთხოვნა. დიდ ბრიტანეთში უმუშევრობის შემწეობა როგორც ოდენობით, ისე კონცეპტუალურად (ერთიანი საგადასახადო განაკვეთი) შეესაბამება გერმანიაში არსებულ საბაზისო სოციალურ დახმარებას, როგორცაა უმუშევრობის დაზღვევა II („ALG II“), თუმცა კონსერვატორებისა და ლიბერალების კოალიციური ხელისუფლება ბრიტანული სოციალური დაცვის სისტემის ფუნდამენტურ ცვლილებას გეგმავს. შრომისუნარიან, დაბალი შემოსავლის მქონე პირთათვის ეგრეთ წოდებულმა „უნივერსალურმა კრედიტმა“ უნდა ჩაანაცვლოს სოციალური დახმარებების უდიდესი ნაწილი და საგადასახადო კრედიტები. ამ „უნივერსალური“ სოციალური დახმარების ზუსტი ოდენობა ჯერჯერობით ისევე გაურკვეველია. ახალი სისტემის მიხედვით დახმარებების გაცემა 2013 წლის ოქტომბერში უნდა დაიწყოს. ეს სისტემა საბაზისო შემოსავალს გვახსენებს, მაგრამ დახმარება უპირობოდ არ გაიცემა – პირობები განსხვავდება ადამიანთა ჯგუფების მიხედვით, როგორებიცაა სამუშაოს მაძიებლები, შრომის ბაზრის პროგრამების მონაწილენი და სხვა. „უნივერსალური კრედიტის“ ძირითადი მიზანი ის არის, რომ მუშაობის დაწყება ფინანსურად უფრო მომხიბლავი გახდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დახმარების გარკვეული ნაწილის მიღების უფლება პირს დასაქმების შემთხვევაშიც ექნება.

უმუშევრობის შემწეობის მიღების ხანგრძლივობა

დახმარების მიღების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული განსხვავებები უფრო მეტია, ვიდრე მის ოდენობასთან დაკავშირებული. გერმანიაში უმუშევრობის შემწეობის მიღების ხანგრძლივობა ასაკსა და შენატანების პერიოდზეა დამოკიდებული. 50 წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს, რომელიც სულ მცირე ბოლო 2 წლის განმავლობაში მუშაობისას სოციალური დაზღვევის გადასახადს იხდიდა, უმუშევრობის შემწეობა ერთი წლით ეძლევა. თუ დასაქმების პერიოდი უფრო მცირე იყო, დახმარების მიღების ვადა 6 თვიდან (დასაქმების პერიოდი: ერთი წელი) 10 თვემდე (დასაქმების პერიოდი: 20 თვე) მერყეობს. 50 წელს გადაცილებულებს შეუძლიათ 2 წლამდე სამუშაო გამოცდილების შემთხვევაში მიიღონ დახმარება (58 წელს გადაცილებულებს მოეთხოვებათ სულ მცირე 4 წლის სამუშაო გამოცდილება. ამასთანავე, მათ ამ ხნის განმავლობაში სოციალური დაზღვევის გადასახადი უნდა ჰქონდეთ გადახდილი.

გაერთიანებულ სამეფოში უმუშევრობის პირველადი შემწეობა არაუმეტეს 6 თვის ვადით გაიცემა. ამის შემდეგ პირს დახმარება მისი მიღების საჭიროების შემოწმების საფუძველზე ეძლევა. დახმარების ზედა ზღვარი იგივეა, რაც უმუშევრობის პირველადი შემწეობისა, თუმცა მისი გაცემის პირობები უფრო მკაცრია. მხედველობაში მიიღება დანაზოგიც, რომელიც, გერმანული ALG II-ის მსგავსად, შეიძლება სხვა შეღავათებს შეზღუდული სახით ითვალისწინებდეს ან საერთოდ არ ითვალისწინებდეს. დანიაში უმუშევრობის შემწეობა ოთხ წლამდე ვადით გაიცემოდა. ამასთანავე, პირველი წლის გასვლის შემდეგ დახმარების მიღებას უნდა წარმოედგინა იმის

დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ ამ პერიოდში ის აქტიურად იყო ჩაბმული სამსახურის ძებნის პროცესში, ანდა მონაწილეობდა მომზადებისა თუ გადამზადების ღონისძიებებში. დანიის ლიბერალურ-კონსერვატიულმა მთავრობამ 2010 წელს დახმარების მიღების ვადა ორ წლამდე შეამცირა.

დაფინანსება

ზემოაღნიშნულ სამ ქვეყანაში უმუშევრობის შემწეობის დაფინანსების გზებიც სხვადასხვაგვარია. მაგალითად, გერმანიაში მუშაკთა ხელფასის 3% უმუშევართა დახმარების ფონდში ირიცხება: ნახევარს დასაქმებული იხდის, ნახევარს – დამსაქმებელი, თუმცა მხოლოდ შენატანის ზედა ზღვრამდე – 5600 (ან 4800) ევრომდე.

დანიის 2012 წელს სრულ განაკვეთზე მომუშავე პირისთვის ყოველთვიური გადასახადი იყო დაახლოებით 63 ევრო (467.5 კრონა დანიის უდიდეს სადაზღვევო ფონდში – Dansk Metal-ში – ირიცხებოდა), გარდა პენსიაზე ადრე გასვლის შემთხვევისთვის გადასახდელი ნებაყოფლობითი შენატანისა, რომელიც თვეში დაახლოებით 60 ევროა. გაერთიანებულ სამეფოში უმუშევართა დახმარების ფონდში სპეციალური გადარიცხვები არ ხორციელდება. მთლიანი ხელფასის 23.8% ერთიანი საგადასახადო განაკვეთით, სოციალური („ეროვნული“) დაზღვევის გადასახადის სახით გადაიხდება (11%-ს დასაქმებული იხდის, 12.8%-ს – დამსაქმებელი). ამ სახსრებიდან უმუშევრობის შემწეობასთან ერთად ფინანსდება სახელმწიფო პენსია, ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახური, ფულადი შემწეობა დედებისთვის და შრომისუუნარობის დახმარება. გაერთიანებულ სამეფოშიც არსებობს ზედა ზღვარი – დაახლოებით 4500 ევრო და შემცირებული განაკვეთი – 13.8% (1% – დასაქმებულისთვის, 12.8% – დამსაქმებლისთვის).

ოდენობა, ხანგრძლივობა და სამართლიანობა


როგორც გერმანიაში, ისე დანიაში უმუშევრობის შემწეობა პროცენტულად ადრინდელ შემოსავალთან არის დაკავშირებული. შენატანები გერმანიაშიც მთლიანი ხელფასის პროცენტული ნაწილია. ამ მიდგომაში ნათლად ჩანს პროპორციულობის პრინციპი (ისევე, როგორც ეკვივალენტობის პრინციპი): ვინც უმუშევრობის დაზღვევის მეტი გადასახადი გადაიხდა, უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში მეტი დახმარება უნდა მიიღოს.

დანიის ეს პრინციპი შეზღუდული სახისაა: შენატანები ერთიანი საგადასახადო განაკვეთით გადაიხდება. ამასთანავე, დახმარება ადრინდელ შემოსავალზეა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში შესამჩნევია მოთხოვნის სამართლიანობის პრინციპი. უმუშევრებს აქვთ შესაძლებლობა, მოძებნონ ახალი სამსახური და ამასობაში უწინდელზე დიდი პერიოდის განმავლობაში (თუმცა ეს პერიოდი ფინანსური კრიზისის გამო ორ წლამდე შემცირდა) შეინარჩუნონ ცხოვრების პირობები, თუმცა შეკვეცილი სახით. ეს რეგულაცია ფხვდაფხვ მისდევს თანდათანობით დერეგულირებად შრომის ბაზარს, სადაც უმუშევრობისაგან დაცვის მექანიზმი ფაქტობრივად

დაფინანსებასთან დაკავშირებული ძირითადი განსხვავებები

პროპორციულობის პრინციპი: დანია, გერმანია

აღარ არსებობს. ამასთანავე, აღწერილმა რეგულაციებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ საერთაშორისო მასშტაბით ძალიან მაღალია იმ ადამიანების ხვედრითი წილი, რომლებიც საკუთარი ნებით მიდიან სამსახურიდან და სამუშაოს სხვაგან ეძებენ.



სურათი 14: ქვეყნების შედარება ჩანაცვლების წმინდა განაკვეთების მიხედვით

თანასწორობის პრინციპი: გაერთიანებული სამეფო (დაბალი დონე)

გაერთიანებულ სამეფოში დანიისაგან სრულიად განსხვავებული პრინციპი მოქმედებს: აქ შენატანები შემოსავალზეა დამოკიდებული, მაგრამ დახმარება ერთიანი საგადასახადო განაკვეთით გაიცემა. ამრიგად, აქ სოლიდარობის იდეა უფრო ძლიერია, ვიდრე გერმანიასა და დანიასი („ძლიერი მხრების“ პატრონი მეტ თანხას იხდის, მაგრამ მეტი შეღავათით არ სარგებლობს); და მინც, დახმარებების გაცემის დონე უფრო დაბალია, ზოგჯერ – მნიშვნელოვნად დაბალი. ამგვარად, ეს სოლიდარობის შედარებით სუსტი ფორმაა. ამასთანავე, ახალი „უნივერსალური კრედიტი“ მრავალ სოციალურ დახმარებას ჩანაცვლებს. ამრიგად, პროპორციულობის იდეა ვერ განხორციელდა; მოთხოვნილების შესაბამისი შეღავათების უზრუნველყოფაც ჩანასახოვან დონეზეა.

ეს სამი სხვადასხვა მიდგომა ბადებს კითხვას: სამართლიანობის რომელი პრინციპია უკეთესი უმუშევრობის შემწეობის ოდენობის და მისი მიღების ხანგრძლივობის იდეალური განსაზღვრისთვის? როგორც ეგრეთ წოდებული ჰარცის რეფორმების გატარების პერიოდში მიმდინარე დებატებმა დაგვანახა, ადამიანთა უმრავლესობა ასე ფიქრობს: ვინც უფრო დიდხანს იხდის გადასახადს, მან უფრო მეტი დახმარებაც უნდა მიიღოს. თუმცა ამას დაზღვევის ლოგიკასთან საერთო არაფერი აქვს. მაგალითად, თუკი თქვენ მეზობელს მასთან სტუმრობის დროს ჰოლოში პალტოს ჩაცმისას მოუხერხებელი მოძრაობით ძვირფას ლარნაკს გაუტეხავთ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ამას ნამდვილად არ აგინაზღაურებთ, მაშინაც კი, თუ დიდხანს იხდით სადაზღვევო თანხას. თუ სადაზღვევო ლოგიკას გავითვალისწინებთ, უმუშევრობის დაზღვევის შემთხვევაშიც სამართლიანი იქნებოდა ისეთი წესი, რომელიც ადრინდელ შემოსავალს საპროცენტო განაკვეთით ჩაანაცვლებდა. ამრიგად, გვრჩება შენატანების სტრუქტურის საკითხი. ვინაიდან უმუშევრები უმეტეს შემთხვევაში ნებაყოფლობით არ ხდებიან – ხოლო სამსახურიდან საკუთარი ნებით წამოსვლის შემთხვევისთვის განსაზღვრულია სამთვიანი წყვეტის პერიოდი – უმუშევრობა განიხილება გაუთვალისწინებელ მოვლენად, რომელსაც უნდა დაუპირისპირდეს მთელი საზოგადოება კოლექტიური სოლიდარობის საფუძველზე. ამ პერსპექტივიდან, ერთიან საგადასახადო განაკვეთზე უფრო სამართლიანი ჩანს შემოსავალზე დამოკიდებული შენატანები, როგორც გერმანიაშია. სოლიდარული დაფინანსების პრაქტიკის გადახედვა გერმანულ სისტემაში გადასახადის საზომი ზღვრების საშუალებით ხდება – სწორედ აღნიშნული ზღვრების მიხედვით გამოირიცხება სოლიდარული დაფინანსებიდან მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის უმუშევრად დარჩენის რისკი საკმაოდ დაბალია.

რაც შეეხება უმუშევრობის შემწეობის მიღების ხანგრძლივობას, ჯერჯერობით არ არსებობს იმის მიზეზი, რომ შემოღებულ იქნეს შენატანების პერიოდების შესაბამისი გრადაცია დასაქმების მინიმალური პერიოდის გაუთვალისწინებლად, რათა არ შეიქმნას დახმარების ბოროტად გამოყენების საცდური. კიდევ რომელი არგუმენტები და კრიტიკიუმიები მეტყველებს შეღავათების მიღების უფლების შეზღუდვის სასარგებლოდ?

გერმანიაში ადამიანის უმუშევრად დარჩენის შემთხვევისთვის შემოსავლის დონე მთელი ცხოვრების განმავლობაში დიდხანს იყო გარანტირებული: პირველი წლის გასვლის შემდეგ დახმარების ოდენობა მცირდებოდა, მაგრამ ეს მაინც შემოსავლის შესაბამისი უმუშევრობის შემწეობა იყო, რომელიც პირს განუსაზღვრელი დროით (თუმცა მისი მიღების საჭიროების შემონმების საფუძველზე) ეძლეოდა. უმუშევრობის შემწეობისა და საშემოსავლო დახმარების გაერთიანებამ, რის შედეგადაც წარმოიშვა უმუშევრობის II შემწეობა (ALG II), საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 12 თვის გასვლის შემდეგ მხოლოდ საბაზისო სოციალური დახმარება (ALG II ან „ჰარც IV“) გაიცემა. ხანდაზმულებს 2006 წლის თებერვლიდან ეძლეოდათ დამატებითი 8-თვიანი ვადა, რომელიც 2007 წელს სხვადასხვა ასაკობრი-

კიდევ რა?

ვი ჯგუფის მიხედვით დაიყო და 12 თვემდე (საბოლოო ჯამში კი – 24 თვემდე) გაიზარდა. ეს არ შეესაბამება თანასწორობის პრინციპს, მაგრამ, სამაგიეროდ, თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს ეფუძნება. შრომის ბაზარზე ხანდაზმულ უმუშევართა შანსები, როგორც წესი, საგრძნობლად დაბალია. მაშასადამე, დაბალი შანსების (რაც ხანდაზმული უმუშევრების ბრალი არ არის) საკომპენსაციოდ მათთვის დახმარების მიღების ვადის გახანგრძლივება გამართლებულია. კითხვაზე „რა ხნის განმავლობაში უნდა გაიცეს შემოსავლის შეუსაბამო უმუშევრობის შემწეობა?“ პასუხის გაცემა, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, რთულია. „Agenda 2010“-ის ფარგლებში ამ ვადის ერთი წლით შემოფარგვლამ მრავალი ადამიანის უკმაყოფილება გამოიწვია. მას უნოდეს ფინანსური დამოკლეს მახვილი, რომლის შედეგადაც დაზარალებული ერთწლიანი უმუშევრობის შემდეგ იძულებული ხდება, დანაზოგი (ხანდაზმულობის პერიოდისთვის გადანახული თანხა) დახარჯოს, ან ის სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

ორი
მნიშვნელოვანი
შეკითხვა

მწირი ფინანსური რესურსების ფონზე შესაძლოა საჭირო გახდეს შეზღუდვების დაწესება. ერთი მხრივ, მხარდამჭერი დებატები – რომელთა შესაბამისად, არცთუ ისე ცოცხა უმუშევარია განებივრებული სოციალური უზრუნველყოფით – შეიძლება ზოგადად უარყოფილ იქნეს. ჰარცის რეფორმების გატარების შედეგად უმუშევართა ხვედრითი წილი შემცირდა, მაგრამ ამ პროცესს თან ახლდა არასაიმედო დასაქმების მასობრივი ზრდა. ხანგრძლივად უმუშევართა რაოდენობაც მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, თუმცა ამ რეფორმებს ფინანსურად „მომხიბლავად“ წარმოადგენდნენ. ჩნდება ორი შეკითხვა, რომლებიც მთელ საზოგადოებას ეხება: პირველი – რა ვადა უნდა მიეცეთ სამუშაოს მაძიებლებს ახალი სამსახურის საპოვნელად, ისე, რომ ნებისმიერ ვაკანსიაზე არ მოუხდეთ დათანხმება? შემოსავლის შესაბამისი შეღავათების მიღების უფლების თანდათანობითი ყოველწლიური შეზღუდვა ორი-სამი წლის განმავლობაში შეიძლება ადამიანთა უმრავლესობას, დღევანდელი რეგულაციებისაგან განსხვავებით, სამართლიანად მოეჩვენოს და ეს შეღავათები შესაძლოა დაფინანსდეს, მაგალითად, გადასახადის საზომი ზღვრების გაუქმების შემთხვევაშიც; მეორე – რა ოდენობის იქნება საბაზისო სოციალური დახმარება მათთვის, ვინც ვერ ახერხებს მოცემულ ვადაში ახალი სამუშაო ადგილის პოვნას? ეს კითხვა ეხება ALG II-ის ოდენობას, რომელიც, ბევრის აზრით, ძალიან მცირეა.

გადახდის
პირობები

უფლებები და მოვალეობები

მაშასადამე, პირები, რომელთაც საკმარისი შენატანები აქვთ, დღეს უმუშევრობის დახმარებას გაერთიანებულ სამეფოში დამატებით ექვსი თვის განმავლობაში იღებენ (იმავე დონის უმუშევრობის შემწეობის მიღების შემდეგ), გერმანიაში – ერთი წლის განმავლობაში (დახმარების მიმღები 50 წლამდე ასაკის უნდა იყოს), ხოლო დანიაში – ორი წლის განმავლობაში. ეს მონაცემები არ ითვალისწინებს იმას, რომ ყველა ქვეყანაში უმუშევრობის შემწეობის მიღება დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე, რომელთა

შესახებაც უკვე რამდენიმე წელია, რაც დისკუსია მიმდინარეობს. ეს დისკუსია „უფლებებისა და მოვალეობების“ ან „გააქტიურების ფაზაში მყოფი შრომის ბაზრის პოლიტიკის“ სახელითაა ცნობილი. უმუშევრობის შემწეობის მიღების ძირითადი პირობა ყველა ქვეყანაში სამსახურის აქტიური ძიებაა. თუ ძებნა უშედეგო აღმოჩნდება, შესაძლებელია უმუშევრებს სხვადასხვა ვადაში დამატებითი ზომების მიღების ვალდებულება დაეკისროთ. დანიაში ეს ვადა ერთი წელია, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში – 18 თვე (ახალგაზრდა უმუშევართათვის ვადა ერთი წლით შემოიფარგლება). გერმანიაში კონკრეტული პერიოდი დადგენილი არ არის, თუმცა პირის მიერ უმუშევრობის შემწეობის მიღების უფლების ვადის ამონურვის (ანუ ერთი წლის გასვლის) შემდეგ პირობები მკაცრდება.

შრომით საბაზრო ურთიერთობებში ხელახალი ჩართვა

სამივე ქვეყანაში უმუშევრებს შესაძლებელია დაეკისროთ იმ სპეციალურ პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება, რომლებიც ხელს შეუწყობს შრომით საბაზრო ურთიერთობებში მათ ხელახალ ჩართვას. ვადა, რომლის განმავლობაშიც უმუშევარმა პირდაპირი იძულების გარეშე ახალი სამსახური უნდა იპოვოს, გერმანიაში 12 თვეა, ხოლო დანიაში – 18 თვე. თუ ძებნა უშედეგოა, დასაქმების სამსახურს შეუძლია სამუშაოს მაძიებელი დაავალდებულოს, რომ მან პროგრამებში მიიღოს მონაწილეობა, რაც გაზრდის მის შანსებს სამსახურის ძებნისას („გააქტიურება“). თუმცა ამ პროგრამების შინაარსი ზემოაღნიშნულ სამ ქვეყანაში საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

გაერთიანებულ სამეფოში ლეიბორისტული პარტიის მმართველობის პერიოდში ასეთ პროგრამებს „New Deal“ („ახალი შეთანხმება“) ეწოდებოდა. რეფორმირების შემდეგ ისინი ცნობილია სახელწოდებით „Work Programme“ („სამუშაო პროგრამა“). ასევე გათვალისწინებულია, რომ უმუშევრებმა დასაქმების სამსახურთან უნდა გააფორმონ ხელშეკრულება, რომელშიც ისინი გარკვეული მოვალეობების შესრულებას თანხმდებიან. თუ უმუშევრები ამ მოვალეობებს არ შეასრულებენ, მათ უმუშევრობის შემწეობა ან, სავარაუდოდ, 2013 წლიდან „უნივერსალური კრედიტი“ შეუშეშდება.

დანიაში ამგვარი პროგრამების მთავარი ამოცანაა განათლება/მომზადება. ეს თავისთავად გულისხმობს ინტენსიურ და გრძელვადიან შეთავაზებებს: მაგალითად, შესაძლებელია ხანმოკლე მოსამზადებელი კურსების გავლა; სახელმწიფო განათლების/მომზადების „სტანდარტული“ სისტემის ფარგლებში მომზადებასაც აფინანსებს. მიუხედავად იმისა, რომ აქაც არსებობს სუბსიდირებული დასაქმება, ის მაინც შემდგომი მომზადების ღონისძიებებთან უნდა იყოს დაკავშირებული. დასაშვებია ასევე დროებით იმ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დაკავება, რომელსაც სასწავლო შევსება აქვს აღებული. უარი ითქვა შრომის ბაზრის პროგრამის ფარგლებში დაბალანაზღაურებადი დასაქმების სექტორის სპეციალურ ხელშეწყობაზე. პროგრამები ინდივიდუალურად, სავალდებულო გააქტიურების გეგმების ფარგლებში შეირჩევა. გააქტიურების გეგმებში მონა-

*რეინტეგრაციის
პროგრამების
სხვადასხვა
ორიენტაცია*

*გაერთიანებული
სამეფოს
„New Deal“*

*დანია:
განათლება/
მომზადება
მთავარი
ამოცანა*

წილობა კი სულაც არ არის ნებაყოფლობითი; პირიქით, ეს უმუშევრობის შემწეობის მიღების ვადის გახანგრძლივების პირობაა.

დასაქმების სააგენტოსა და სამუშაოს მაძიებელთა შორის ასეთი ხელშეკრულებები გერმანიაშიც არსებობს. ჰარცის რეფორმების ფარგლებში სცადეს უმუშევარ მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების ხელახალი განსაზღვრა. ამისთვის გაიზარდა შეთავაზებების დიაპაზონი და უფლებებიც გაფართოვდა. იმავდროულად, მოქალაქეებზე უფრო მეტი წნეხი ხორციელდებოდა, რათა ამ შეთავაზებებში გარკვეულიყვნენ. შესაძლებელია მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებებში მონაწილეობა/კურსების გავლა, თუმცა ისინი აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის პრიორიტეტებს არ განეკუთვნება. უფრო მნიშვნელოვანია ისეთი საშუალებები, როგორებიცაა, მაგალითად, ფულადი დანამატი დასაქმებისთვის, ფულადი დანამატი თვითდასაქმებულთათვის ან ეგრეთ წოდებული „1-ევროიანი სამსახური“ ხანგრძლივად უმუშევართათვის – ესე იგი, დასაქმების შესაძლებლობები, რომლებსაც საზოგადოებისთვის სარგებელი მოაქვს და რომელთა მეშვეობითაც უმუშევრებს შრომის ბაზარზე დაბრუნება შეუძლიათ (ამ მიზნით უმუშევრობის შემწეობას ერიცხება დამატებითი თანხა, რომლის მიხედვითაც გაჩნდა სახელწოდება „1-ევროიანი სამსახური“).

აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის განსახორციელებლად განეული ხარჯები 2009 წელს

ერთი უმუშევრის განათლებაზე/ მომზადებაზე განეული ხარჯები (ევროში)	დანია	გერმანია	გაერთიანებული სამეფო	ევროკავშირის წევრი 15 ქვეყანა
	15.819,97	10.353,49	2.336,58	7.801,28

წყარო: ევროსტატი; ავტორის გაანგარიშება.

მომზადებასა და გადამზადებაზე განეული ხარჯები

მიუხედავად იმისა, რომ მომზადებასა და გადამზადებაზე გერმანიის მიერ განეული ხარჯები ევროკავშირის წევრი 15 ქვეყნის საშუალო დანახარჯზე მეტია და გაერთიანებული სამეფოს მიერ ამ მიზნით გაღებულ ხარჯებს საგრძნობლად აღემატება, ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩება დანიის მიერ განეულ ხარჯებს. ერთი შეხედვით, ამას არანაირი კავშირი არ აქვს სამართლიანობის საკითხთან. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ უმუშევართა ხვედრით წილს განათლების დონის მიხედვით, სამართლიანობის პრობლემა თვალსაჩინო გახდება. დასავლეთ ევროპის არცერთ ქვეყანაში არ არის უმუშევრობის რისკი განათლებასთან ისე მჭიდროდ დაკავშირებული, როგორც გერმანიაში.

უმუშევართა ხვედრითი წილი განათლების დონის მიხედვით 2010 წელს

	საშუალოზე დაბალი	საშუალოზე მაღალი	კოლეჯი/ უნივერსიტეტი
გერმანია	15.1	7.0	3.2
დანია	11.3	6.9	4.8
გაერთიანებული სამეფო	4.1	8.3	4.1
ევროკავშირის წევრი 15 ქვეყანა	16.1	8.6	5.5

წყარო: ევროსტატო

გერმანიაში უმუშევრობის რისკი არათანაბრადაა განაწილებული. 2010 წლის მონაცემების მიხედვით, ვითარება სათანადოდ არ ფასდება, რადგან ფინანსურმა და საბაზრო კრიზისმა, აგრეთვე მისმა თანმხლებმა ეკონომიკურმა კრიზისმა ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის შრომის ბაზარს უფრო დიდი ზიანი მიაყენა, ვიდრე გერმანიისას. 2007 წელს (კრიზისის წინა წელს) დაბალი კვალიფიკაციის მქონე უმუშევართა ხვედრითი წილი დანიაში მხოლოდ 4.2%-ს შეადგენდა, გაერთიანებულ სამეფოში – 6%-ს, გერმანიაში კი ის 17.7% იყო! ეკონომიკურმა პრობლემებმა დასავლეთის ყველა ქვეყანაში ნაკლებად კვალიფიციური მუშახელი უფრო დააზარალა, ვიდრე მაღალკვალიფიციური. განათლების დაბალი დონე ადამიანის უმუშევრად დარჩენის რისკს ზრდის, ხოლო უმუშევრობა, თავის მხრივ, ხანდაზმულობისას არასაკმარისი შემოსავლების რისკთანაა დაკავშირებული, ეს კი მთლიანად ეწინააღმდეგება თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს.

მაშასადამე, თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ უმუშევარ მოქალაქეებს, რომელთა შანსებიც შრომის ბაზარზე ყველაზე დაბალია. ის, რომ საზოგადოება ცდილობს დარწმუნდეს, რომ დახმარებები ბოროტად არ გამოიყენება, ლოგიკურია და შეესატყვისება „სტიმულირებისა და მოთხოვნის“ პრინციპს. სტიმულირებისა და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულება შესაძლოა სხვადასხვანაირი იყოს, როგორც ეს სამი ქვეყნის მაგალითზე ჩანს.

გაერთიანებულ სამეფოში აქცენტი ძირითადად მოთხოვნაზე კეთდება. ვალდებულებები და დახმარებების შემცირების საფრთხე დანიაშიც არსებობს, მაგრამ ის, რასაც პირს სთავაზობენ, საგრძნობლად მაღალი ხარისხისაა. გარდა ამისა, განათლების/მომზადების პრიორიტეტულობა

გერმანია:
უმუშევრობის
რისკი
განსაკუთრებით
არათანაბრადაა
განაწილებული

„სტიმულირება
და მოთხოვნა“ –
სხვადასხვა გზა

პრევენციული:
უმუშევრობის
დაზღვევა

იმას გულისხმობს, რომ შრომის ბაზარზე უმუშევართა შანსები მუდმივად იზრდება. გერმანიაში ბოლო წლების რეფორმების შედეგად მეტი ყურადღება დაეთმო მოთხოვნას, თუმცა სტიმულირების გაუმჯობესებაც სცადეს. აღსანიშნავია, რომ უმუშევართა განათლების/მომზადების სფეროში მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამწყვეტი ნაბიჯი ჯერ არ გადადგმულა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა გერმანიაში უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში.

არა მხოლოდ
შრომა, არამედ
გარდამავალი
პერიოდებიც უნდა
მოიცვას – სამი
ელემენტი

დასაქმების დაზღვევის იდეა

მომზადებასა და გადამზადებაზე ყურადღება მხოლოდ სამსახურის დაკარგვის დროს არ უნდა მახვილდებოდეს. ისინი დასაქმებულობის პერიოდშიც დიდ როლს უნდა ასრულებდეს, რათა მუშაკმა შეინარჩუნოს საჭირო უნარები და შეეცადოს, რომ სამსახურიდან პირველ რიგში გათავისუფლებულთა შორის არ მოხვდეს. ამ მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა უმუშევრობის დაზღვევის დასაქმების დაზღვევად გარდაქმნა.

დაზღვეული უნდა იქნეს არა მხოლოდ უმუშევრობით, არამედ ასევე სახიფათო გარდამავალი პერიოდებით გამონვეული საშემოსავლო რისკები. ამას შრომაც იმსახურებს და მსგავსი გარდამავალი პერიოდებიც. რაც შეეხება საპენსიო დაზღვევას, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სამად გაყოფა დღეს დამკვიდრებული მიდგომაა, მაგრამ უმუშევრობის დაზღვევის გაფართოება და სამიმართულებიან დასაქმების დაზღვევად გარდაქმნა შრომის თანამედროვე, მოულოდნელობებით აღსავსე სამყაროსთვის უფრო შესაფერისი იქნებოდა.

პირველი:
საყოველთაო
საბაზისო
უზრუნველყოფა

პირველი, შემოდებული უნდა იქნეს საყოველთაო საბაზისო უზრუნველყოფა (დეტალები იხ. ქვემოთ), რომელიც მნიშვნელოვნად შეესაბამება ALG II-ს, მაგრამ სიღარიბის მიმართ უფრო მედეგია. მისი საყოველთაოობა იმას გულისხმობს, რომ ის უპირობოდ ხელმისაწვდომია ყველა შრომისუნარიანი პირისთვის და ითვალისწინებს დახმარების სტანდარტულ ოდენობას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გადასახადებიდან უნდა დაფინანსდეს.

მეორე: ხელფასთან
დაკავშირებული
შემოსავლის
შენარჩუნება

მეორე, არანებაყოფლობითი უმუშევრობის შემთხვევაში შენარჩუნებული უნდა იქნეს ხელფასთან დაკავშირებული შემოსავალი, რომელიც მნიშვნელოვნად შეესაბამება ALG I-ს, თუმცა მისი დანიშნულება ძირითად ფუნქციამდგა შემცირებული და გათვალისწინებულია ყველა შრომისუნარიანი პირი, მათი დასაქმების სტატუსის მიუხედავად.

მესამე, უნდა არსებობდეს ბიოგრაფიაზე ორიენტირებული შრომის ბაზრის პოლიტიკა, რომელიც სცილდება დღევანდელი აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის ფარგლებს და სამ ფუნქციას ასრულებს: პირველი – შრომის ბაზრის რეგულირება, რაც სახელმწიფო (ან სხვაგვარი საჯარო) დაფინანსებით ხორციელდება (მაგალითად, კონსულტირება და ხელშეწყობა უმუშევართა შრომით საბაზრო ურთიერთობებში ხელახალი ჩართვის და დასაქმებელთათვის ვაკანსიების შევსებაში დახმარების განწესის მიზნით). მომხმარებელს სამსახურში მონაცობაში დახმარებასთან ერთად სთავაზობენ შრომის ბაზრის მომსახურებას, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სამსახურებრივი კარიერის მდგრადობას და, მეორე მხრივ, პერსონალის გადახალისებას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებში. მეორე – დასაქმების ხელშეწყობა, რომელიც შემდგომი მომზადების, სახელფასო დანამატების ან გარდამავალი დასაქმების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით ავსებს სამუშაო ადგილების შექმნის ან შენარჩუნების უნარის მქონე მაკროეკონომიკურ დასაქმების პოლიტიკას. მესამე – პროფესიული ცხოვრების განვითარების პოლიტიკა, რომელიც პროფესიული განვითარების საშუალებების და დამატებითი კერძო ან კოლექტიური სახელშეკრულებო უზრუნველყოფის (როგორებიცაა შემდგომი მომზადების ხელშეწყობი ფონდები, ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურებისა და სწავლებისთვის გათვალისწინებული მხარდაჭერა) საფუძველზე უსაფრთხოს ხდის შრომის სამყაროში და სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის სარისკო გადაადგილებებს.

საბაზისო შემოსავლის იდეა

პოლიტიკური დებატების დროს ხშირად თავს იჩენს საბაზისო შემოსავლის იდეა, რომელთან დაკავშირებითაც რამდენიმე მიდგომა არსებობს. საბაზისო შემოსავალი გარანტირებული მინიმალური შემოსავლის ერთ-ერთი ფორმაა. საშემოსავლო დახმარებისაგან განსხვავებით, ამ იდეის თანახმად, ყველა მოქალაქეს ექნება საბაზისო შემოსავალი, დასაქმებიდან ან სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების მიუხედავად.

იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საბაზისო შემოსავალი, წინადადებების მთელი წყება არსებობს. განსხვავებები უკავშირდება საბაზისო შემოსავლის ოდენობას, მისი დაფინანსების სახეს, საბაზისო შემოსავლით სხვა სოციალური დახმარებების ჩანაცვლების დონეს და სხვა მრავალ დეტალს.

ერთმანეთისაგან განსხვავდება ის მოსაზრებებიც, რომლებსაც აღნიშნული წინადადებები ეფუძნება. ასე, მაგალითად, ნეოლიბერალური შეხედულებების ძირითადი არსი ისაა, რომ საარსებო მინიმუმზე დაბა-

მესამე:
ბიოგრაფიაზე
ორიენტირება

დამატებითი
ლიტერატურა:
გიუნტერ შმიდტი
(2008),
Von der
Arbeitslosen- zur
Beschäftigungs-
versicherung,
ფრიდრიხ ებერტის
ფონდი (რედ.),
ბონი.

ხშირად
განიხილება:
საბაზისო
შემოსავლის იდეა

ლი საბაზისო შემოსავლის ან ნეგატიური საშემოსავლო გადასახადის მეშვეობით უფრო მომხიბვლელი უნდა გახდეს დაბალანაზღაურებად სფეროში მუშაობა და უნდა შემცირდეს დამსაქმებლის მიერ გასანევი არასახელფასო ხარჯები.

სხვა წინადადებები ითვალისწინებს საკმაოდ მაღალ საბაზისო შემოსავალს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დასაქმებულთა დამოუკიდებლობის ზრდას და შრომის გადანაწილებას უნდა ემსახურებოდეს. ამ მოდელში ფაქტობრივად შესაძლებელია, რომ მოქალაქე არცერთ შემოსავლიან სამსახურს არ დათანხმდეს. ერთიანმა საზოგადოებრივმა არასრულგანაკვეთიანმა მოდელმა, რომელსაც აქვს უნარი, დაიცვას დასაქმებულის უფლებები, ბაზრის სიძლიერიდან საზოგადოების განთავისუფლებამდე უნდა მიგვიყვანოს. შემოთავაზებულია ისეთი ვარიანტებიც, რომლებიც ამ ორ უკიდურესობას შორის მერყეობს.

კითხვაზე „რას ფიქრობთ საბაზისო შემოსავლის იდეაზე?“ თავდაპირველად შეიძლება ასე გვიპასუხონ: „რა ტიპის საბაზისო შემოსავალს გულისხმობთ?“ ყველა შემთხვევაში საბაზისო შემოსავალს, რომელიც საარსებო მინიმუმზე მეტია, გრძელვადიანი შედეგები ექნებოდა სოციალური პოლიტიკის სხვა პროგრამებისთვის, საგადასახადო სისტემაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები შრომის ბაზრის პოლიტიკაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია მასობრივი ცვლილებები განხორციელდეს ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის უმთავრეს სფეროებში და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივ წყობაში. ასეთი ცვლილებები საზოგადოების ფართო კონსენსუსს მოითხოვს. საბაზისო შემოსავალთან დაკავშირებით უამრავი სხვადასხვა წინადადების არსებობა ადასტურებს, რომ დღესდღეობით ამგვარი კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელია.

სოციალ-დემოკრატიებისთვის ეს ნიშნავს:

- აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის გაძლიერებას;
- მომზადებისა და გადამზადების სფეროს ფინანსურ გაძლიერებას და მისი ხარისხის ამაღლებას;
- უმუშევრობის დაზღვევის დასაქმების დაზღვევად გარდაქმნას.

დამატებითი
ლიტერატურა:
ბიორნ ვაგნერი
(2009),
Das
Grundeinkommen
in der
deutschen Debatte.
Leitbilder,
Motive
und Interessen,
ფრიდრიხ ებერტის
ფონდი (რედ.),
ბონი.

შტეფან ლესენიხი
(2009),
Das
Grundeinkommen
in der
gesellschaftspo-
litischen
Debatte,
ფრიდრიხ ებერტის
ფონდი (რედ.),
ბონი.

7.3. პენსია

ამ თავში:

- აღწერილია გერმანიის საპენსიო დაზღვევის სისტემა და იგი შედარებულია დანიის, შვედეთისა და გაერთიანებული სამეფოს მოდელებთან;
- ოთხი სადაზღვევო სისტემა შეფასებულია სამართლიანობის სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით;
- განმარტებულია რეფორმის ღონისძიებები, როგორცაა დაგროვებითი საპენსიო სისტემა;
- განხილულია რეფორმის ვარიანტები შენატანებზე დაფუძნებული საპენსიო სისტემისთვის.

საპენსიო დაზღვევა, უმუშევრობის დაზღვევის მსგავსად, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი ელემენტია. ის ქმნის ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობის ხარჯების ყველაზე დიდ ნაწილს. ამ ქვეყნებში საპენსიო დაზღვევა უმუშევრობის დაზღვევაზე ადრე შემოიღეს.

საპენსიო დაზღვევის სათავეებთან

1889 წელს გერმანიამ სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შემოღებაში პიონერის როლი შეასრულა. 1920-იან წლებამდე სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სისტემა ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობაში დაფუძნდა. გერმანიის მაშინდელი საპენსიო დაზღვევის დღევანდელთან შედარება არ შეიძლება.

პირველ რიგში, განსხვავება საპენსიო ასაკსა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას ეხება. პენსიაზე გასვლის ასაკი ადრე 70 წელი იყო. ამ ასაკს 1871–1880 წლებში დაბადებული ყოველი 100 ადამიანიდან 18-ც კი ვერ აღწევდა. იმ პერიოდში 15 წლის მოზარდის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 42.3 წელი იყო. მაშასადამე, საპენსიო სისტემით დასაქმებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობდა.

მეორე განსხვავება ის არის, რომ მაშინდელი საპენსიო სისტემა დღევანდელივით შენატანებს კი არ ეფუძნებოდა, არამედ ძირითადად დაგროვებითი იყო. ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ 1920-იანი წლების დიდი ინფლაციის პერიოდში საპენსიო სისტემა პრაქტიკულად დაიშალა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალის მარაგი გერმანიის საპენსიო სისტემის მოკლე ისტორიის განმავლობაში უკვე მეორედ განადგურდა.

1957 წლის რეფორმა გერმანიაში

1957 წლამდე ჯერ კიდევ ძველი საპენსიო სისტემის ძირითადი სტრუქტურა იყო შენარჩუნებული. ამასთანავე, ომის შემდეგ პენსიებზე მოთხოვნილების დიდი ნაწილი ფედერალური ბიუჯეტიდან უნდა დაკმაყოფილებულიყო. 1957 წლის საპენსიო რეფორმის შემდეგ შემოიღეს შენატანებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც დღემდე არსებობს. ამიტომ პენსიონერების

გერმანია: პირველი საპენსიო დაზღვევა (1889)

ერთ-ერთი მთავარი განსხვავება დღევანდელი დაზღვევისგან: სიცოცხლის ხანგრძლივობა

თადაპირველი პენსიები დაგროვებითი იყო: კოლაფსი 1920-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1957 წლიდან შენატანებზე დაფუძნებული სისტემა (თაობათაშორისი ხელშეკრულება)

დამატებითი
ლიტერატურა:
ელენ მ. იმერგუტი,
კარენ მ. ანდერსონი
და იზაბელ შულცე
(რედ.),
*The Handbook of
West European
Pension Politics,*
ოქსფორდი.

სავალდებულო
საპენსიო დაზღვევის
თანდათანობითი
გაფართოება

2001 წლიდან
დამატებითი,
„რისტერის“ პენსია

მდგრადობის
ფაქტორები 2004
წლიდან

მოთხოვნები დასაქმებულთა მიერ განხორციელებული შენატანების საფუძველზე კმაყოფილება (თაობათაშორისი ხელშეკრულება).

1957 წლის რეფორმის მეორე ძირითადი საკითხი გახლდათ პენსიის ოდენობის საერთო შემოსავლის დონეზე მორგება. პენსიის სიდიდე დამოკიდებული იყო ხელფასის ცვალებადობაზე: თავდაპირველად – მთლიან ხელფასზე, ხოლო 1992 წლიდან, ხარჯების ზრდიდან გამომდინარე, – მხოლოდ წმინდა ხელფასზე. პენსიონერთა შემოსავალზე დადებითი გავლენა მოახდინა ეკონომიკის ზრდამ, რასაც ხელფასების მატება მოჰყვა.

თაობათაშორისი ხელშეკრულება: გერმანიის კანონით რეგულირებადი საპენსიო დაზღვევის ძირითადი პრინციპის პოლიტიკური სახელწოდება, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობის დასაქმებული ნაწილი (როგორც წესი, ეს დაქირავებული მუშაკები არიან) საკუთარ თავზე იღებს იმ ნაწილის საპენსიო თანხების გადახდას, რომელიც აღარ მუშაობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მუშაობის პერიოდში განხორციელებული საპენსიო შენატანები კაპიტალად კი არ გროვდება, რომლიდანაც მოგვიანებით პენსიები გადაიხდებოდა, არამედ საპენსიო შენატანები მათ განმარტოვებულ პირს პენსიის მიღების უფლებას აძლევს. (Das Politiklexikon 2011: 121)

1960-იანი წლების ბოლომდე საერთო საპენსიო დაზღვევა ნაბიჯ-ნაბიჯ ფართოვდებოდა. მან დაქირავებული მუშაკები და დამოუკიდებელი ხელოსნები მოიცვა. 1972 წლიდან კი უკვე დიასახლისებმა და თვითდასაქმებულებმაც შეძლეს ნებაყოფლობითი შენატანების განხორციელება და მოგვიანებით პენსიის მოთხოვნა. ბოლო წლებში სადაზღვევო სისტემის გარდაქმნის მიზნით სხვა ღონისძიებებიც განხორციელდა. 2003 წლიდან არსებობს საბაზისო დაზღვევა იმ ხანდაზმულთათვის, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი პენსია. ასეთ შემთხვევაში საბაზისო დაზღვევა ცვლის ადრინდელ საშემოსავლო დახმარებას.

2012 წლის 1 იანვრიდან ის თვეში 374 ევროს შეადგენს. სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ე. წ. „რისტერის პენსიის“ (კერძო საპენსიო უზრუნველყოფის ფორმა) სახით 2001 წლიდან არსებობს ასევე კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. 2011 წლის ბოლოსთვის 15 მილიონზე მეტი რისტერის ხელშეკრულება იყო დადებული. შენატანებზე დაფუძნებული სახელმწიფო საპენსიო დაზღვევა გერმანიის ხანდაზმული მოსახლეობის უმრავლესობისთვის დღემდე საპენსიო უზრუნველყოფის ძირითად ფორმად რჩება.

2004 წლიდან პენსიის სიდიდის განმსაზღვრელ ფორმულაში ჩართულ იქნა მდგრადობის ფაქტორი, რომელიც პენსიონერთა და შენატანების განმარტოვებულთა რაოდენობას ითვალისწინებს და მოცემული დემოგრაფიული ვითარების ფონზე პენსიის მცირე ზრდას განაპირობებს. იმ შემთხვევაში, თუ მდგრადობის ფაქტორი პენსიის შემცირებას გამოიწვევს, ამოქმედდება საპენსიო გარანტიის წესი („Rentengarantie“). ბუღალტრული

გამოთვლებით განპირობებული შემცირება ითვალისწინებს სავარაუდო ზრდას გარკვეული დროის შემდეგ. ე. წ. სტანდარტული ანუ საშუალო დონის პენსიონერი (პირი, რომელსაც 45 წლის განმავლობაში საშუალო შემოსავალი ჰქონდა და პენსიაზე 2011 წლის 1 ივლისს გავიდა) დასავლეთ გერმანიაში 1236.15 ევროს იღებდა, ხოლო აღმოსავლეთ გერმანიაში – 1096.65 ევროს. 2010 წლის 31 დეკემბრისთვის კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის პენსიის საშუალო განაკვეთი დასავლეთ გერმანიაში მამაკაცისთვის 963 ევროს შეადგენდა, ხოლო ქალისთვის – 502 ევროს. აღმოსავლეთ გერმანიაში ეს მაჩვენებელი მამაკაცისთვის 1010 ევრო იყო, ქალისთვის კი – 703 ევრო. აღმოსავლეთ გერმანიაში პენსიის შედარებით მაღალი საშუალო განაკვეთი ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის უფრო ხანგრძლივი სამუშაო სტაჟით არის განპირობებული. იმის გამო, რომ დასავლეთ გერმანიაში დასაქმებულთა უმრავლესობას სანარმოო პენსია აქვს, პენსიის ოდენობა იქ უფრო მეტია, ვიდრე აღმოსავლეთ გერმანიაში.

მაშასადამე, გერმანიაში საპენსიო დაზღვევის პირველი ელემენტი სახელმწიფო საბაზისო დაზღვევა არსებობს ასევე შემოსავალზე დამოკიდებული, სავალდებულო სახელმწიფო საპენსიო დაზღვევა. რაც შეეხება მესამე სისტემას, ეს არის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო დაზღვევა და სანარმოო დაზღვევა. ქვეყნების უმრავლესობაში ხანდაზმულობის პენსია ამ სამ სისტემას ეყრდნობა: პირველია საბაზისო დაზღვევა, რომელიც არ არის დამოკიდებული ადრინდელ შემოსავალზე, მეორე – შემოსავალზე დამოკიდებული სავალდებულო საპენსიო დაზღვევა, ხოლო მესამე – ნებაყოფლობითი კერძო დაზღვევა. აღნიშნული სამი სისტემის მოწყობა და ფარდობითი მნიშვნელობა ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება.

„ეროვნული პენსია“ და სანარმოო პენსია დანიაში

დანიაში პენსიონერების შემოსავლის ძირითადი წყაროა ე. წ. „ეროვნული პენსია“ („*folkepension*“). ეს საბაზისო პენსია მთლიანად გადასახადებით ფინანსდება. 2012 წელს იგი თვეში 5713 კრონას (დაახლოებით 765 ევროს) შეადგენდა. ამ პენსიის მიღების უფლება აქვს დანიის მოქალაქეს, რომელიც 16-დან 67 წლამდე სულ მცირე სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა დანიაში. უცხოელებს დანიაში გატარებული უნდა ჰქონდეთ არანაკლებ 10 წელი, მათ შორის, ბოლო ხუთი წელი საპენსიო ასაკამდე. დანიაში გატარებული 1 წელი პირს საბაზისო პენსიის ერთი მეოთხედის მიღების უფლებას აძლევს, ამ ქვეყანაში 40 წლის განმავლობაში ცხოვრების შემდეგ კი იგი სრულ ეროვნულ პენსიას მიიღებს. იმ პენსიონერებისთვის, რომელთაც არ აქვთ სხვა საპენსიო შემოსავალი, ეროვნულ პენსიასთან ერთად არსებობს ფულადი დანამატი, რომელიც ამ პირებს მისი მიღების საჭიროების შემომწმების საფუძველზე ეძლევათ. ამ დანამატის მაქსიმალური ოდენობა მარტოხელებისთვის 2012 წელს 5933 კრონა (დაახლოებით 795 ევრო) იყო.

*ხანდაზმულობის
პენსიის სამი ლერძი*

*პირველი ელემენტი:
გადასახადებით
დაფინანსებული
საბაზისო პენსია*

მეორე ელემენტი:
„ATP-პენსია“
(დაფინანსებული)

სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის მეორე ელემენტი ე. წ. „ATP-პენსია“. იგი ნამუშევარი წლების და კვირის განმავლობაში ნამუშევარი საათების მიხედვით გამოიანგარიშება. 2012 წელს ამ პენსიის მაქსიმალური ოდენობა წელიწადში 24 800 კრონა (თვეში დაახლოებით 277 ევრო) იყო. საპენსიო შენატანის თანხის (რომელიც გრადაციას განიცდის კვირის განმავლობაში ნამუშევარი დროის მიხედვით და სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირისთვის თვეში დაახლოებით 36 ევროს შეადგენს) ერთ მესამედს დასაქმებული იხდის, ხოლო ორ მესამედს – დამსაქმებელი. ამ თანხებს კერძო სანარმო ATP განკარგავს. აღნიშნულ პროცესზე კანონით გათვალისწინებული მეთვალყურეობა ხორციელდება. ATP-პენსია დაგროვებითი საპენსიო სისტემაა.

მესამე ელემენტი:
სანარმო პენსიები
(დასაქმებულთა
90%)

შემოსავალზე დამოკიდებული საპენსიო სისტემა დანიაში ძირითადად სანარმო პენსიებს მოიცავს. სანარმო პენსიას დასაქმებულთა დაახლოებით 90% იღებს. რაკი სანარმო პენსია ამ ბოლო დროს თითქმის ყველა კოლექტიური ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, ის სავალდებულო დაზღვევას უტოლდება. საპენსიო შენატანის თანხის (ეს არის საშუალოდ მთლიანი ხელფასის დაახლოებით 15%, რომლის ერთ მესამედს დასაქმებული იხდის, ორ მესამედს კი – დამსაქმებელი) დაბანდება ძირითადად სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ ფონდში ხდება.

პირველი
ელემენტი:
საგადასახადო
შემოსავლებით
დაფინანსებული
საბაზისო პენსია

შვედური საპენსიო სისტემა

შვედეთშიც არსებობს საბაზისო პენსია, რომელიც საერთო საგადასახადო შემოსავლებით ფინანსდება. მისი მიღებისთვის აუცილებელია ამ ქვეყანაში ცხოვრება. მარტოხელა ადამიანს, რომელმაც შვედეთში სულ მცირე 40 წელი გაატარა და საპენსიო თანხას სხვა სახელმწიფო საპენსიო სქემებიდან (იხ. ქვემოთ) არ იღებდა, 2012 წელს ჰქონდა უფლება, მიეღო სრული, „გარანტირებული“ პენსია თვეში 7810 კრონის (დაახლოებით 880 ევროს) ოდენობით, ასევე მოეთხოვა ბინის ქირის დასაფარი თანხა. კერძო თუ სანარმო საპენსიო დაზღვევიდან მიღებული შემოსავლები არ ზღუდავს უფლებას გარანტირებულ პენსიაზე, თუმცა ეს პენსია იბეგრება.

მეორე ელემენტი:
შემოსავალზე
დამოკიდებული
შენატანები

შვედური საპენსიო დაზღვევის მეორე ელემენტი შენატანებით დაფინანსებული, შემოსავალზე დამოკიდებული პენსია. საპენსიო შენატანის თანხის (რომლის ოდენობა დაახლოებით 18.5%-ია) 7%-ს საპენსიო ფონდში დასაქმებული იხდის, ხოლო დანარჩენს – დამსაქმებელი. არსებობს საპენსიო შენატანის ზედა ზღვარი (2012 წელს იგი წელიწადში 409 500 შვედურ კრონას, ანუ დაახლოებით 46 000 ევროს, შეადგენდა). ამ თანხის ზევით დასაქმებული არაფერს არ იხდის, ხოლო დამსაქმებელი საპენსიო შენატანის მხოლოდ 50%-ს ანაზღაურებს. თუ შემოსავალი საპენსიო შენატანის ზედა ზღვარს აჭარბებს, პირს პენსია არ ეკუთვნის. მოგვიანებით პენსიის მიღების უფლება წარმოიშობა იმ ფულადი შენატანის საფუძველზე, რომლის ოდენობა ხელფასისა და ინფლაციის დინამიკაზე დამოკიდებული. პენსიის სიდიდის განმსაზღვრელ ფორმულაში გათვალისწინებულია საპენსიო შენატანის განმახორციელებელი პირისა და პენსიის მიმღების მიმართება. პენსიონერთა რაოდენობის ზრდა ავტომატურად იწვევს პენ-

სიის შემცირებას. 2011 წელს შემოსავალზე დამოკიდებული სახელმწიფო პენსიის საშუალო განაკვეთი თვეში 1250 ევროს შეადგენდა.

შვედეთში კანონით რეგულირებადი საპენსიო დაზღვევის მესამე ელემენტია ე. წ. საპრემიო პენსია. საპენსიო შენატანის თანხის (რომლის ოდენობა 18.5%-ია) 2.5% სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ დაგროვებით საპენსიო ფონდში ირიცხება. დასაქმებულებს აქვთ ფონდის არჩევის თავისუფლება. გერმანული რისტერის პენსიისაგან განსხვავებით, შვედეთში დასაქმებულები ვალდებული არიან, თანხის მცირე ნაწილი დაგროვებით საპენსიო სისტემაში დააბანდონ.

პენსიები გაერთიანებულ სამეფოში

ბრიტანული საპენსიო სისტემა ორ ნაწილად გაყოფილ პირველ სისტემას მოიცავს. საბაზისო დაზღვევის პირველი ნაწილი არის სახელმწიფო საბაზისო პენსია („basic state pension“). მისი მიღების უფლება აქვს დიდი ბრიტანეთის ყველა მოქალაქეს, რომელიც სულ მცირე 10 წლის განმავლობაში იხდიდა საპენსიო შენატანის თანხას. 2012-2013 წლებში სრული საბაზისო პენსია კვირაში 107.45 ფუნტს (თვეში 525 ევროს) შეადგენდა და მას მხოლოდ ის იღებდა, ვინც საპენსიო შენატანის თანხას გარკვეული ხნის (მამაკაცი – 44 წლის, ხოლო ქალი – 39 წლის) განმავლობაში იხდიდა. 1945 წლის შემდეგ დაბადებული მამაკაცისთვის და 1950 წლის შემდეგ დაბადებული ქალისთვის სრული საბაზისო პენსიის მისაღებად სავალდებულო შენატანების განხორციელების პერიოდი 30 წლამდეა შემცირებული. მას, ვისაც თანხა საკმარისი დროის განმავლობაში არ გადაუხდია, ეძლევა პენსიონერთათვის განკუთვნილი საშემოსავლო დახმარება მისი მიღების საჭიროების შემომწმების საფუძველზე. ამ საბაზისო დაზღვევის მეორე ნაწილს საპენსიო კრედიტი („pension credit“) ეწოდება. იგი მარტოხელა პენსიონერთათვის კვირაში 137.35 ფუნტის, ხოლო წყვილისთვის – 209.7 ფუნტის შემოსავალს ითვალისწინებს (2011-2012). ეს კრედიტი თვითრად, შესაბამისად, დაახლოებით 673 და 1028 ევროს შეადგენს.

შემოსავალზე დამოკიდებული პენსია, ანუ მეორე საპენსიო სისტემა, მოიცავს სახელმწიფო შენატანებით დაფინანსებულ პენსიებს ან სანარმოო თუ კერძო პენსიებს. სახელმწიფო დაზღვევა, ე. წ. „მეორე სახელმწიფო პენსია“, ფინანსდება სოციალური უზრუნველყოფის შენატანებიდან, თუ წლიური შემოსავალი 5304 ფუნტს (დაახლოებით 6500 ევროს) აღემატება, როგორც ეს იყო 2011-2012 წლებში. პენსიის ოდენობა მუშაობის მთელი პერიოდის (ეს პერიოდი დღესდღეობით 49 წელია, თუმცა საპენსიო ასაკის 67 წლამდე გაზრდასთან ერთად ნელ-ნელა იზრდება და 1960 წლის შემდეგ დაბადებულთათვის 51 წელს შეადგენს) განმავლობაში მიღებული შემოსავლის მიხედვით გამოიანგარიშება. თუ პირის შემოსავალი 14 400 ფუნტს (დაახლოებით 17 650 ევროს) შეადგენს, მას უფლება აქვს, ერთიანი განაკვეთით წელიწადში 3638 ფუნტის (დაახლოებით 4460 ევროს) ოდენობის პენსია მიიღოს. თუ შემოსავლის წილი 14 400 და 32 592 ფუნტს (დაახლოებით 17 650 და 40 000 ევროს) შორის მერყეობს, იგი დამატებით

*მესამე ელემენტი:
დაგროვებითი
პენსია
(სავალდებულო)*

*პირველი სისტემა:
საბაზისო
სახელმწიფო
პენსია*

*მეორე სისტემა:
შენატანები
(ნებაყოფლობითი)*

10%-ს მიიღებს, ხოლო თუ შემოსავალი 14 400 ფუნტსა და ზედა ზღვარს – 42 475 ფუნტს (დაახლოებით 17 650 და 52 000 ევროს) – შორისაა – 10-20%-ს. პენსია მცირდება იმ წლების რაოდენობის შესაბამისად, რომლებიც აკლია შენატანების განხორციელების შესაძლო 49-წლიან პერიოდს.

დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები, რომელთა შემოსავალიც 14 400 ფუნტზე ნაკლებია, „მეორე სახელმწიფო პენსიის“ ერთიანი განაკვეთით უფრო მოგებულები რჩებიან. მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებისთვის კი სახელმწიფო პენსია ნაკლებად მიმზიდველია.

ალტერნატივა:
კერძო ან
საწარმოო პენსია

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის ეს, მეორე სისტემა სავალდებულო არ არის. მის მაგივრად შესაძლებელია კერძო ან საწარმოო პენსიის („contracting out“) არჩევა. ამ შემთხვევაში სოციალური დაზღვევის შენატანები მცირდება და სახელმწიფო ამის გადაფარვას სხვა საგადასახადო სუბსიდიებით ახერხებს. საპენსიო ფონდის „contracting out“-ი, რომელიც არ იძლევა მყარი პენსიის მიღების გარანტიას („defined contribution“), 2012 წლიდან გაუქმებულია.

საპენსიო სისტემები და სამართლიანობის პრინციპები

საპენსიო დაზღვევის პირველი სისტემა, ანუ საბაზისო დაზღვევა, მოთხოვნის შესაბამისი სამართლიანობის პრინციპს შეესატყვისება, რადგან საქმე ეხება საბაზისო მატერიალურ დაზღვევას იმ პირთათვის, რომლებსაც პენსია არ ეკუთვნით ან, თუ ეკუთვნით, – არასაკმარისი ოდენობით. ქვეყნებს შორის განსხვავება, პირველ რიგში, იმაში უნდა ვეძიოთ, აძლევენ თუ არა ისინი ყველა პენსიონერს ერთი და იმავე ოდენობის პენსიას (დანია), ან ითვალისწინებს თუ არა საბაზისო დაზღვევა პენსიის მიღების საჭიროების შემოწმებას. ეს სისტემა მხოლოდ იმ პენსიონერებს მოიცავს, რომლებიც ძალიან მცირე საპენსიო თანხას იღებენ (გაერთიანებული სამეფო, გერმანია და შვედეთი). მეორე განსხვავება იმაში მდგომარეობს, თუ როგორია საბაზისო დაზღვევის დონე: დანიასა და შვედეთში ეს თვეში დაახლოებით 400 500 ევროა, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე გერმანიაში, თუმცა გასათვალისწინებელია ამ სამ ქვეყანაში არსებული შედარებით მაღალი ცხოვრების ხარჯი. და მინც, საბაზისო დაზღვევა აქ შედარებით მაღალ დონეზეა. გერმანიაში, შვედეთსა და დანიაში ის არ აისახება იმ პენსიონერთა წილში, რომელთა პენსია საშუალო შემოსავლის 60%-ზე ნაკლებია. გერმანიაში ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია, რადგან პენსიონერთა დღევანდელ თაობას უმეტესად უწყვეტი სამუშაო სტაჟი აქვს. თუმცა მომავალში სულ უფრო გაიზრდება საპენსიო ასაკს მიღწეულ იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში დაუსაქმებლები იყვნენ ან რომლებსაც არ აქვთ ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება და ამიტომ ვერ იღებენ საკმარისი ოდენობის საპენსიო თანხას. მოსახლეობის ზრდასთან ერთად ხანდაზმულთათვის საბაზისო დაზღვევის დონის მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდება. აქედან ჩანს, რომ ე. წ. „სიღარიბის სხვაობა“ – სხვაობა ღარიბთა შემოსავალსა და სიღარიბის ზღვარს შორის – გერმანიაში გაცილებით მაღალია, ვიდრე დანიასა და

პირველი სისტემა:
მოთხოვნის
შესაბამისი
სამართლიანობა

შვედეთში. ბოლო წლებში შრომის ბაზარზე რეგულარულად და არარეგულარულად დასაქმებულთა შორის მზარდი ნაპრალი პენსიონერთა მომავალ თაობას იმის საშიშროებას უქმნის, რომ ის ორ ნაწილად გაიყოს: ღარიბებად, რომელთა საბაზისო დაზღვევის დონე დაბალი იქნება, და მდიდრებად, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ პენსიასთან ერთად კერძო საპენსიო უზრუნველყოფითაც ისარგებლებენ.

სიღარიბის ზღვარზე მყოფთა ხვედრითი წილი არის იმ პირთა წილი, რომელთა განკარგულებაში არსებული შემოსავალი ეროვნული მედიანური შემოსავლის 60%-ზე ნაკლებია. **სიღარიბის სხვაობა** გვიჩვენებს, რამდენად ახლოსაა ადამიანი სიღარიბის ზღვართან. მაშასადამე, სიღარიბის სხვაობა მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია სხვაობა ღარიბთა შემოსავალსა და სიღარიბის ზღვარს შორის.

სიღარიბის ზღვარზე მყოფთა ხვედრითი წილი და სიღარიბის სხვაობა 2010 წელს

ევროკავშირის წევრი 15 სახელმწიფო	17.9%	16.0%
დანია	18.4%	11.7%
გერმანია	14.8%	16.6%
შვედეთი	15.9%	10.7%
გაერთიანებული სამეფო	22.3%	19.2%

საბაზისო საპენსიო დაზღვევა ყველა ქვეყანაში საერთო საგადასახადო შემოსავლებით ფინანსდება. აქედან გამომდინარე, საბაზისო დაზღვევას შედარებით ძლიერი გადანაწილების უნარი აქვს, რადგან მაღალშემოსავლიანი მოქალაქეები მუშაობის პერიოდში მეტ გადასახადებს იხდიან, თუმცა შეღავათებს ვერ იღებენ (გერმანია, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო) ან, თუ იღებენ, – იმავე ოდენობით (დანია), რა თანხასაც იღებენ პენსიონერები, რომელთაც ადრე დაბალი შემოსავალი ჰქონდათ. ამასთანავე, ამ შემთხვევაში შეინიშნება თაობათაშორისი გადანაწილება: პენსიონერთა საბაზისო დაზღვევა ფინანსდება გადასახადებით, რომელთაც უმეტესად ისინი იხდიან, ვინც ჯერ კიდევ დასაქმებულია.

საპენსიო დაზღვევის მეორე სისტემა არის შემოსავალზე დამოკიდებული პენსია. ამ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროპორციულობის პრინციპს. შეღავათის ოდენობა იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს, თუ რამდენ ხანს იმუშავა პირმა და რა შემოსავალი ჰქონდა მას. ხანდაზმულთა დაზღვევის ეს ნაწილი გერმანიასა და შვედეთში სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული შენატანებზე დაფუძნებული სისტემისაგან შედგება (დასაქმებულები გადასახადებს პენსიონერთა დღევანდელი თაობისთვის იხდიან). დანიაში პირველი ადგილი უკავია კერძო ფირმების მიერ მარ-


*მეორე სისტემა:
პროპორციულობა*

თულ (და სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ) დაგროვებით საპენსიო სქემას, აგრეთვე თითქმის სავალდებულო სანარმოო პენსიას. გაერთიანებულ სამეფოში კი შესაძლებელია არჩევანი სახელმწიფო „pay-as-you-ვი“ საპენსიო სქემასა და სანარმოს მიერ დაფინანსებულ საპენსიო სქემას შორის გაკეთდეს.

ბუნებრივია, რომ სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფს შორის გადანაწილება ამ საპენსიო სისტემაში გაცილებით მცირე დოზითაა, ვიდრე საბაზისო საპენსიო დაზღვევის შემთხვევაში. გარდა ამისა, სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის დროს პირს პენსია ენიშნება იმ პერიოდისთვისაც, როდესაც მას შემოსავალი არ ჰქონდა, თუ ეს პერიოდი „საზოგადოებრივი თვალსაზრისით“ გამართლებული იყო. ასე, მაგალითად, 2005 წლიდან გერმანიაში 17 წლის ასაკიდან სკოლასა და უნივერსიტეტში სწავლის პერიოდის გათვალისწინებაც დაიწყო. ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებს დღემდე ემატება 36-თვიანი დეკრეტული შვებულება, რაც ყველა დაზღვეულის საშუალო შემოსავლის ხარჯზე ხდება. მოვლისა და მზრუნველობის ფონდი ადამიანს იმ პერიოდებისთვის, როდესაც მას განსაკუთრებულ შემთხვევებში მოვლა და მზრუნველობა ესაჭიროება, სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის თანხებს უხდის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საპენსიო დაზღვევას შესწევს უნარი, ის საქმიანობებიც აანაზღაუროს, რომლებიც შრომის ბაზარზე არ ანაზღაურდება. ამასთანავე, არსებობს პენსიები ისეთი გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის, როგორებიცაა შესაძლებლობის შეზღუდვა და მარჩენალის გარდაცვალება.

პენსიის
ოდენობების
შედარება

გავლენა, რომელიც აღწერილ ოთხ ქვეყანაში პირველი და მეორე საპენსიო სისტემების განსხვავებულმა ვარიანტებმა მოახდინა ადრინდელ შემოსავალთან შედარებით პენსიის ოდენობაზე, მე-15 სურათზეა ნაჩვენები.



სურათი 15: პენსიის ოდენობა ადრინდელ შემოსავალთან შედარებით

შენიშვნა: დანიაში (მწვანე სვეტი) პენსიონერებს, რომლებიც მუშაობის პერიოდში საშუალო ხელფასის ნახევარს იღებდნენ, ეძლევათ წმინდა პენსია ბოლო წმინდა ხელფასის დაახლოებით 132%-ის ოდენობით. თუ პენსიონერებს საშუალო ხელფასი ჰქონდათ, ისინი აიღებენ წმინდა პენსიას ბოლო წმინდა ხელფასის დაახლოებით 90%-ის ოდენობით, საშუალო ხელფასის გაორმაგების შემთხვევაში კი – 80%-ის ოდენობით.

ამ სურათზე ნაჩვენებია, რა ოდენობის პენსია აქვს ოთხ ქვეყანაში სამ სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფს. ამასთანავე, მოცემული არ არის საპენსიო თანხის აბსოლუტური ოდენობა – პენსია წარმოდგენილია მუშაობის პერიოდში მიღებული შემოსავლის პროცენტის, ანუ ადრინდელი შემოსავლის ჩანაცვლების წმინდა განაკვეთის, სახით. მაგალითად, ნათლად იკვეთება ის ფაქტი, რომ დანიაში სამივე საშემოსავლო ჯგუფისთვის ადრინდელ შემოსავალთან შედარებით პენსიის ოდენობა უფრო მეტია, ვიდრე დანარჩენ სამ ქვეყანაში. ამასთანავე, სამი განსხვავებული შემოსავლის მქონე ჯგუფის შედარება ბევრ ინფორმაციას იძლევა. ჩანს, რომ გერმანიაში (და დაქვითვებით – შვედეთში) თანხების გადანაწილება საპენსიო სისტემის ფარგლებში არ ხდება: სამივე საშემოსავლო ჯგუფი ადრინდელი შემოსავლის დაახლოებით 57%-ს იღებს. ეს შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის პრინციპია. დანიაში და გაერთიანებულ სამეფოშიც კი დაბალანაზღაურებადი მოქალაქეებისთვის ჩანაცვლების წმინდა განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე მათთვის, ვისაც საშუალო ან კარგი ანაზღაურება აქვს. ორივე ქვეყანაში თანხების გადანაწილება საპენსიო სისტემის ფარგლებში ხდება. დაბალანაზღაურებადი პირები უფრო ნაკლებ პენსიას იღებენ, ვიდრე ისინი, ვისაც საშუალო ან მაღალი ანაზღაურება აქვს, მაგრამ შედარება გვიჩვენებს, რომ მათ ადრინდელი შემოსავლის უმეტესი ნაწილი უბრუნდებათ. ამას შეიძლება მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობისა და შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის პრინციპების სოლიდარული ნაზავი ვუნდოდოთ.

დაბალანაზღაურებადი მოქალაქეებისთვის პირობების გაუმჯობესება გერმანულ საპენსიო სისტემაში, როგორც ჩანს, აუცილებელია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხანდაზმულობით გამოწვეული სიღარიბე, მით უმეტეს, რომ მომავალში ერთმანეთს გადაკვეთს ორი ტენდენცია: პირველი – გერმანიაში ხანდაზმულთა საბაზისო საპენსიო დაზღვევის დაბალი დონე და მეორე – წყვეტილი სამუშაო სტაჟის მქონე პენსიონერთა მზარდი რაოდენობა, რომელთაც შემოსავალზე დამოკიდებული პენსიისთვის ძალიან დაბალი ანაზღაურება ჰქონდათ. ამ კატეგორიის პირთა უკეთესი უზრუნველყოფა მიღწეული უნდა იქნეს უმთავრესად პენსიის მინიმალური ოდენობის რეფორმირებით და არა შემოსავალზე დამოკიდებული, შენატანებით დაფინანსებული, „pay-as-you-go“ სისტემის კომპონენტის მეშვეობით.

ბოლო წლების დებატები მეორე საპენსიო სისტემის მონყობას ეხებოდა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხს, თუ როგორ ან რა დოზით უნდა შეცვალოს ან შეაგსოს დაგროვებითა პენსიამ შენატანებით დაფინანსებული პენსია.

პენსიის ოდენობები: გერმანიაში დაბალანაზღაურებადი მოქალაქეები შედარებით ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში არიან

უფრო მაღალი მინიმალური პენსიით შესაძლებელია ხანდაზმულობით გამოწვეული სიღარიბის თავიდან აცილება

დებატები: როგორია დაგროვებითი პენსიის ფარგლები

დაგროვებითი საპენსიო სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები

„მაშასადამე, დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ მარტივ და ნათელ თეზისს, რომ ყველა სოციალური ხარჯი მიმდინარე პერიოდის ეროვნული შემოსავლებიდან უნდა დაიფაროს. არ არსებობს და არც არასოდეს არსებულა სხვა წყარო, რომლიდანაც შესაძლებელი იქნებოდა, ედინა სოციალური ხარჯებისთვის საჭირო ფულს. არ არსებობს ფონდების კრებული, არ არსებობს შემოსავლების ნაწილის ერთი პერიოდიდან მეორეზე გადავადება, არ არსებობს „დაზოგვა“ კერძო ეკონომიკური თვალსაზრისით; სხვა არაფერი არსებობს, გარდა მიმდინარე პერიოდის ეროვნული შემოსავლებისა, როგორც სოციალური ხარჯების წყაროსი. ... დაგროვებითი და შენატანებზე დაფუძნებული სისტემები თავისი არსით არცთუ ისე ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან.“ (მაკენროთი 1952: 41)

„მაკენროთის თეზისის“ სახელით ცნობილი პოპულარული ციტატა დღემდე სადავოა. მისი აზრით, პენსიონერი მხოლოდ მაშინ იქნება მომხმარებელი, თუ ამჟამინდელი დასაქმებული უარს იტყვის მოხმარებაზე, დაფინანსების არსებული მოდელისაგან დამოუკიდებლად. დაგროვებითი პენსიის შემთხვევაშიც კი მომავალი პენსიონერები იმაზე არიან დამოკიდებული, რომ ახალგაზრდა თაობამ იყიდოს მათი ფასიანი ქაღალდები, რათა პენსიონერებმა მიღებული შემოსავლით იცხოვრონ. სხვა შემთხვევაში ფასიანი ქაღალდებს (აქციებს, ობლიგაციებს და სხვ.) მყიდველი არ ეყოლებოდათ და არც რაიმე ღირებულება ექნებოდათ. მაშასადამე, დაგროვებითი პენსიის ოდენობაც იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ამჟამინდელი დასაქმებულის დემოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობა. საქმე სხვაგვარად არც შენატანებზე დაფუძნებულ სისტემაშია: პენსიონერთა დღევანდელი თაობის პენსიის სიდიდე აქაც მათ თანამედროვე დასაქმებულებზეა დამოკიდებული.

თუ შენატანების განმახორციელებელთა რაოდენობა ან მათი ხელფასი (ან ორივე ერთად) დაიკლებს, შემცირდება დაგროვებითი საპენსიო სექტორის შემოსავლები და, აქედან გამომდინარე, პენსიებიც.

ზოგიერთი ეკონომიკური თეორია გვიჩვენებს, რომ მაინც შესაძლებელია მომავალ ეკონომიკურ ზრდაზე დადებითი გავლენის მოხდენა დაზოგვის (ანუ კაპიტალის შექმნის) გზით. ამგვარად ხანდაზმულთა ფასიანი ქაღალდებიც უფრო მეტ ღირებულებას შეიძენდა. სწორედ ეს ფაქტია ხანდაზმულების დაგროვებითი საპენსიო სისტემის მხარდამჭერთათვის არგუმენტი ამ სისტემის გასაფართოებლად. პენსიის შენატანებით დაფინანსების შემთხვევაში არაფრის დაზოგვა არ ხდება, რადგან ახალგაზრდა თაობის მიერ გადახდილი თანხები ტრანსფერის სახით პირდაპირ ხანდაზმულებისთვის ირიცხება. თუმცა სხვა ანალიზები გვიჩვენებს, რომ დაგროვილი მზარდი კაპიტალი, რომელიც მომავალ თაობებს რჩება, იმ თაობისთვის შემოსავლების დაკარგვით მიიღება, რომელმაც ეს კაპიტალი შექმნა. ამასთანავე, მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო ტენდენციის პირობებში, რომელიც გასულ ათწლეულში ფართოდ გავრცელებულ დაგროვებით საპენსიო სისტემას და მასთან დაკავშირებულ საპენსიო ფონდების ზრდას გულისხმობს, იკლოს გონივრული და უსაფრთხო კაპიტალდაბანდებების რაოდენობამ (სხვათა შორის, ესეც ერთ-ერთი ასპექტია, რომელსაც სახელმწიფო ვალდების მასიური დაფარვის მომხრეები არ ითვალისწინებენ!). საერთო ჯამში, საკითხავია, აქვს თუ არა დადებითი მხარეები დაგროვებით საპენსიო სისტემას და, თუ აქვს, – რა დოზით.

გარდა დაგროვებითი საპენსიო სისტემის საერთო ეკონომიკური ეფექტების შესახებ აზრთა სხვადასხვაობისა, არსებობს მასთან დაკავშირებული ინდივიდუალური რისკები. ბოლო წლების ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა თვალნათლივ აჩვენა, რომ არსებობს უამრავი რისკი: ფასების დაცემა (საბაზრო ფასების რისკი); მოვალის მიერ გადახდის შეუძლებლობა (გადაუხდელობის რისკი); მზარდი ინფლაცია, რომელიც კაპიტალდაბანდების რეალურ ღირებულებას ამცირებს (ინფლაციის რისკი); უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში – ასევე გაცვლითი კურსების რისკი. ამ რისკებს მაღალი პროცენტული დანარიცხების მოლოდინი უპირისპირდება. საერთაშორისო საინვესტიციო ფონდებმა გასული 20 წლის განმავლობაში, ფინანსური კრიზისის დადგომამდე, საშუალოდ 6.5%-იანი ნომინალური პროცენტული დანარიცხი მოიტანეს (ბრაიერი, 2000).

ნომინალური პროცენტული დანარიცხი:

შენატანის თანხის ოდენობა უპირისპირდება საპენსიო თანხის რაოდენობას. მაშასადამე, 4.1%-იანი დანარიცხი იმას ნიშნავს, რომ პირი ყოველ გადახდით 100 ევროზე პენსიის სახით 104.1 ევროს მიიღებს. ამასთანავე, მხედველობაში არ მიიღება ფასების ცვალებადობა (ასე რომ ყოფილიყო, პროცენტული დანარიცხი რეალური ან ეფექტიანი იქნებოდა). ნომინალური პროცენტული დანარიცხის მითითება კაპიტალდაბანდებიდან მიღებული პროცენტული დანარიცხის გამოთვლისას აპრობირებული მეთოდია.

შენატანებით დაფინანსებული პენსიის პროცენტული დანარიცხი ძირითადად შეესაბამება ხელფასის ცვალებადობას. ეს იმის შედეგია, რომ პენსიები დასაქმებულთა მიერ განხორციელებული შენატანებით ფინანსდება. თუ დასაქმებულთა რაოდენობა ან ხელფასი მოიმატებს, შესაძლებელი გახდება პენსიის გაზრდა – პენსიონერები გაცილებით მეტ თანხას მიიღებენ, ვიდრე მუშაობის პერიოდში გადაიხადეს.

თუ დასაქმებულთა რაოდენობა დაიკლებს, რეალური ხელფასიც შემცირდება. თუ პენსიონერთა რაოდენობა გაიზრდება, პენსია დაიკლებს. გერმანიის საპენსიო დაზღვევის ფონდების ანგარიშები გვიჩვენებს, რომ 2008 წელს პენსიის ნომინალური პროცენტული დანარიცხი მარტოხელა მამაკაცისთვის დაახლოებით 3.5%-ს შეადგენდა, ხოლო ქალისა და დაოჯახებული მამაკაცისთვის – დაახლოებით 4.1%-ს (შენატანების პერიოდი – 45 წელი, საშუალო შემოსავლითა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით). 2020, 2030 და 2040 წლებში პენსიის პროცენტული დანარიცხები უფრო ნაკლები იქნება, კერძოდ, მარტოხელა მამაკაცისთვის – დაახლოებით 2.8%, ქალისა და დაოჯახებული მამაკაცისთვის კი – 3.3% (გერმანიის საპენსიო დაზღვევის ფონდი 2009).

აქედან გამომდინარე, არსებობს იმისი ალბათობა, რომ დაგროვებითი პენსიის პროცენტული დანარიცხი უფრო მეტი იყოს, ვიდრე შენატანებზე დაფუძნებული პენსიისა. რაკი საქმე ალბათობას ეხება, იმისი საფრთხეც არსებობს, რომ პენსიამ დაიკლოს. საფონდო ბირჟებსაც გააუფმებით აქვთ ისეთი პერიოდები, როდესაც პროცენტული დანარიცხები მცირეა. უარეს

პროცენტული
დანარიცხები
„pay-as-you-go“
სისტემაში

დაგროვებითი
პენსიების
პროცენტული
დანარიცხები

რამდენია
შენატანებზე
დაფუძნებული
პენსია?

შემთხვევაში შესაძლებელია დანაზოგები მთლიანად გაუფასურდეს. რა თქმა უნდა, ამისგან თავის დასაცავად არსებობს სადაზღვევო სამსახურები. თუმცა პრემიები ამ სადაზღვევო სამსახურებისთვის საგრძნობლად ამცირებს დაგროვებული კაპიტალის პროცენტული დანარიცხების დადებით მხარეებს. მისი ალტერნატივა იქნებოდა სახელმწიფო გარანტიები – შესაძლებელია, ეს ყოფილიყო შენატანებზე დაფუძნებული „pay-as-you-go“ საპენსიო სისტემა, რადგან სახელმწიფოს პენსიონერები, წესით, დასაქმებულთა გადასახადების საფუძველზე უნდა დაეფინანსებინა.

მაშასადამე, ჩნდება კითხვა: ამართლებს თუ არა პროცენტული დანარიცხით მიღებული მოგების იმედი მასთან დაკავშირებულ რისკზე წასვლას? – თანაც მთელი საზოგადოების მასშტაბით, რადგან საქმე ეხება არა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს საპენსიო დანაზოგის გაკეთების სტრატეგიებთან მიმართებით, არამედ სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის კონსტრუქციას და მიმზიდველ სტრუქტურას. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უეჭველად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა წვლილი უნდა შეიტანოს დაგროვებითა პენსიამ საერთო საპენსიო სისტემაში. შვედეთში დაგროვებით საპენსიო სისტემაში საპენსიო შენატანების 2.5%-ის ინვესტირება ხდება. ანუ წილი შედარებით მცირეა. გერმანიაშიც, სადაც მთლიანი შემოსავლის 4%-ის დაბანდებაა საჭირო იმისთვის, რომ პირმა სახელმწიფო მხარდაჭერით ისარგებლოს, ეს ოდენობა, ერთი შეხედვით, მისაღებია.

პრობლემატური:
ნებაყოფლობითი

თუმცა დაგროვებითი საპენსიო სისტემის ნებაყოფლობითობა პრობლემაა, რადგან დამატებითი დანაზოგის გაკეთება ფაქტობრივად იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც მაღალი შემოსავალი აქვთ და, აქედან გამომდინარე, წმინდა ხელფასის 4%-ზე უარის თქმა არ უჭირთ.

ძირითადად საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ, ნებაყოფლობით, 4%-იან საპენსიო შენატანს, რომლითაც სარგებელს, პირველ რიგში, ის ადამიანები იღებენ, რომელთათვისაც დამატებითი შენატანის განხორციელება პრობლემა არ არის. მაშასადამე, სახელმწიფო მხარდაჭერით ისინი სარგებლობენ, ვისაც საშუალო ან კარგი ანაზღაურება აქვს.

რისტერის დაგროვებითი პენსიის მიზანი კანონით გათვალისწინებული საპენსიო დაზღვევის დამავალი დონის კომპენსირება იყო. თანასწორი დამოკიდებულების პრინციპით თითქოს თავდაპირველად ნებადართულია, რომ ეს სისტემა სავალდებულო იყოს. რისკის გათვალისწინებით მართებული იქნებოდა, დაგროვებული კაპიტალი 4%-ზე მეტით აღარ გაზრდილიყო. ამ არგუმენტს, უპირველეს ყოვლისა, კავშირი აქვს თაობათაშორისი სამართლიანობის პრინციპთან, რადგან დაგროვებითი პენსიის კრიზისის შედეგები სოლიდარულ საზოგადოებაში გადასახადის გადამხდელებმა უნდა გაინაწილონ. ამ დროს შენატანების განმახორციელებელ თაობას ორმაგი ტვირთი ეკისრება.

თუმცა ჩნდება პრინციპული კითხვა: რამდენ ხანს უნდა იარსებოს რისტერის პენსიამ დღევანდელი ფორმით? კვლევებმა აჩვენა, რომ რისტერის პენსიის პროცენტული დანარიცხი უკიდურესად მცირეა. მაგალითად, 2001 წელს დადებული ხელშეკრულებებით დაზღვეულმა ქალებმა 78.4 წლის (მამაკაცებმა – 76.8 წლის) ასაკს უნდა მიაღწიონ, რომ გადახდილი თანხა დაიბრუნონ. 2.5%-იანი პროცენტული დანარიცხის მისაღებად ქალებს 90 წლის (მამაკაცებს – 85.8 წლის) ასაკის მიღწევა სჭირდებათ. 5%-იან პროცენტულ დანარიცხს კი ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ ქალები 127.9 წელს (მამაკაცები – 105.5 წელს) იცოცხლებენ, რაც არარეალურია. 2011 წელს დადებული ხელშეკრულებებით სიტუაცია გაუარესდა. დაგროვებითი საპენსიო სისტემის თეორიული უპირატესობა რისტერის ხელშეკრულებების სისტემის დღევანდელი კონსტრუქციის ფარგლებში არ არსებობს.

თუ შენატანებზე დაფუძნებული პენსიის მიხედვით ვიმსჯელებთ და მას ხანდაზმულთა ძირითად სადაზღვევო სისტემად განვიხილავთ, გაჩნდება კითხვა: რა ღონისძიებები არსებობს აღწერილ დემოგრაფიულ ვითარებაზე რეაგირებისთვის? (იხ. თავი 5.3. დემოგრაფიული გარდაქმნა). ასეთი ღონისძიებების განხორციელება 2012 წლიდან 2029 წლამდე საპენსიო ასაკის 67 წლამდე გაზრდის დაგეგმვით და მდგრადობის ფაქტორის შემოტანით დაიწყო.

ფაქტობრივი და კანონით დადგენილი საპენსიო ასაკი, 2004 – 2009

	მამაკაცები		ქალები	
	ფაქტობრივი	კანონით დადგენილი	ფაქტობრივი	კანონით დადგენილი
შვედეთი	66	65	63,6	65
დანია	64,4	65	61,9	65
დიდი ბრიტანეთი	64,3	65	62,1	60
გერმანია	61,8	65	60,5	65
ეთგო – საშუალო მაჩვენებელი	63,9	64,4	62,5	63,0

წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

დამატებითი ლიტერატურა:
კორნელია ჰაგენი და აქსელ კლაინ-ლაინი (2011), Zehn Jahre Riester-Rente: Kein Grund zum Feiern, DIW Wochenbericht 47/2011.

როგორ შეიძლება გაძლიერდეს შენატანებზე დაფუძნებული სისტემა?

დემოგრაფიული გარდაქმნის შედეგები, უპირველეს ყოვლისა, ხელფასების ზრდაზე ორიენტირებული ეროვნული ეკონომიკის ღონისძიებებით უნდა განეიტრალებინა. აქ ორი ამოსავალი წერტილია: ერთი მხრივ, შენატანების განმარტორციელებელთა რაოდენობის ზრდა და, მეორე მხრივ, ხელფასების მატება.

მეორე ამოსავალი წერტილია ხელფასების მატება. ამის მიღწევა პროდუქტიულობის გაზრდითაა შესაძლებელი. ამ პერსპექტივიდან, დემოგრაფიული გარდაქმნის შედეგების გასანეიტრალებლად ეფექტიანი იქნება განათლების, მომზადებისა და გადამზადების სისტემაში თანხების ინვესტირება. 2000 წლიდან ხელფასის კვოტამ (ეს არის დაქირავებული შრომიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის წილი, წარმოდგენილი ეროვნული შემოსავლის პროცენტის სახით) გერმანიაში, მზარდი პროდუქტიულობის მიუხედავად, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე დაიკლო. ამის მიზეზი არ ყოფილა საგადასახადო ტვირთის შემცირება, რასაც ზოგიერთები ჯერ კიდევ ამტკიცებენ. წმინდა კვოტა (ანუ წმინდა ხელფასის წილი მთლიან ხელფასთან მიმართებით) დაახლოებით 67%-ს შეადგენდა. გადასახადებისა და შენატანების წილი 33%-ის ფარგლებში მერყეობდა. სამაგიეროდ, საგრძნობლად გაიზარდა სანარმოო და ქონებრივი შემოსავლების წილი.



სურათი 16: ხელფასის კვოტა და წმინდა კვოტა გერმანიაში

შენიშვნა: წმინდა კვოტა 1999 წელს დაახლოებით 66%-ს შეადგენდა, 2011 წელს კი – 66.4%-ს. იმავე პერიოდში ეროვნულ შემოსავალთან მიმართებით ხელფასის წილი 71%-დან 67%-მდე შემცირდა. საგადასახადო ტვირთი თითქმის იგივე დარჩა, ხელფასებმა კი სხვა შემოსავლის (ქონებრივი და სანარმოო შემოსავლები) ზრდასთან შედარებით იკლო.

მაშასადამე, ხელფასების ზრდა შენატანებზე დაფუძნებული გერმანული საპენსიო სისტემის გასაძლიერებლად იქნებოდა საჭირო. ევროპის მასშტაბით შედარება გვიჩვენებს, რომ ხელფასები განსაკუთრებით მომსახურების სფეროშია დაბალი. შესაძლებელია მინიმალური ხელფასები იყოს სხვადასხვა სექტორში ხელფასების დინამიკის რღვევის თავიდან აცილების და მომავალი პენსიების გარანტირების ხელშეწყობის ერთ-ერთი საშუალება.

სხვა ალტერნატივა ის არის, რომ კანონით გათვალისწინებული საპენსიო დაზღვევის დასაფინანსებლად მძლავრად იქნეს მოზიდული მზარდი ქონებრივი და სანარმოო შემოსავლები, მით უმეტეს, რომ ბოლო წლებში ისინი ძალიან გაიზარდა. გადასახადებით დაფინანსება გამოიწვევდა მინიმალური პენსიის გაზრდას, ისე, რომ, შესაძლებელი გახდებოდა პენსიის შემოსავალზე დამოკიდებული კლებადი ნაწილის კომპენსირება განსაკუთრებით მათთვის, ვისაც საშუალო ან დაბალი ანაზღაურება აქვს.

საპენსიო ასაკის გაზრდასთან ერთად აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ადამიანებს მისცემს საშუალებას, გაუძღონ ხანგრძლივ დასაქმებას. სამუშაო პირობები მრავალ სფეროში კანონით გათვალისწინებულ გაზრდილ საპენსიო ასაკს უნდა მოერგოს (შრომის სამყაროს ჰუმანიზაცია).

*ქონებრივი
და სანარმოო
შემოსავლების
მოზიდვა*

*შრომის სამყაროს
ჰუმანიზაცია*

სოციალ-დემოკრატებისთვის ეს ნიშნავს:

- მინიმალური პენსიის გადასახადებით (მაგალითად, სანარმოო და ქონების შემოსავლების დაბეგვრით) დაფინანსებულ ზრდას ხანდაზმულთა დაცვის უზრუნველსაყოფად;
- იმ პირთა წრის გაფართოებას, რომლებიც შენატანებზე დაფუძნებული, კანონით გათვალისწინებული საპენსიო სისტემის გადამხდელები არიან;
- სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სისტემას (სავალდებულო „რისტერის“ პენსიას), ისე, რომ არ გაიზარდოს უწინდელი წილი და რისტერის პენსია უფრო მკაცრად დარეგულირდეს ან გაუქმდეს;
- ქალთა დასაქმების ხელშეწყობას, მათ შორის, ოჯახური ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის უკეთესი შეთავსების მეშვეობით;
- პროდუქტიულობის ხელშეწყობას მომზადებისა და გადამზადების სისტემის, კვლევისა და მეცნიერების მხარდაჭერით;
- შრომის სამყაროს ჰუმანიზაციას.

7.4. ჯანდაცვა

დიანა ოგნიანოვა და ალექსანდრე პეტრინგი

ამ თავში:

- წარმოდგენილია გერმანიის, ჰოლანდიისა და დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სისტემები;
- აღწერილია ჯანდაცვის სამი სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები;
- განხილულია რეფორმის ვარიანტები გერმანიის ჯანდაცვის სისტემისთვის, განსაკუთრებით – დაფინანსების თვალსაზრისით.

ორი მოდელი: სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი და სოციალურ დაზღვევაზე დაფუძნებული სისტემები

ევროპაში დროთა განმავლობაში ჯანდაცვის სხვადასხვა მოდელი ჩამოყალიბდა. ძირითადად არსებობს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი, გადასახადებით დაფინანსებული სისტემები (როგორცაა გაერთიანებული სამეფოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სამსახური (NHS)) და სოციალურ დაზღვევაზე დაფუძნებული სისტემები (როგორცაა გერმანიისა და ნიდერლანდის სისტემები).³¹

ჯანდაცვის მოდელის ორგანიზების ფორმები და მახასიათებლები

<p>ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სამსახური</p>	<ul style="list-style-type: none"> • მთელი მოსახლეობის უფასო მომსახურება სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ სამედიცინო დაწესებულებებში • ძირითადად გადასახადებით დაფინანსება • უმთავრესად საჯარო მომსახურების მიმწოდებელი
<p>სოციალური დაზღვევის მოდელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მრავლისმომცველი სავალდებულო დაზღვევა • მეტწილად დამსაქმებლისა და დასაქმებულის შემოსავალზე დამოკიდებული შენატანებით დაფინანსება • ჯანმრთელობის დაზღვევის კერძო და საჯარო სამსახურები • საჯარო და კერძო მომსახურების მიმწოდებლები

გერმანიის ჯანდაცვის სისტემა

გერმანიის ჯანდაცვის მოდელი 1883 წლით თარიღდება. მუშაკთა ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ კანონით შემოღებულ იქნა ერთიანი სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევა იმ მუშაკებისთვის, რომელთა შემოსავალიც არ აღემატებოდა დადგენილ ზღვრულ ოდენობას. ყველა, ვინც სავალდებულო დაზღვევას ექვემდებარებოდა, მისი პროფესიისთვის განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზღვევის კანონით გათვალისწინებული სქემის მონაწილე გახდა.

³¹ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს შერეული სისტემებიც, როდესაც, მაგალითად, დაფინანსება ხდება გადასახადებითაც და სოციალური დაზღვევის შენატანებითაც.

1883: კანონი მუშაკთა ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ

ჯანმრთელობის დაზღვევის ამჟამინდელი სოციალური სისტემა დეცენტრალიზებული და ფედერალურია. ამ სისტემისთვის დამახასიათებელია ის, რომ სხვადასხვა არასახელმწიფო (კორპორაციულ) დაწესებულებას ძლიერი პოზიცია უკავია. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის მთავარი სუბიექტები არიან ექიმთა და სტომატოლოგთა ასოციაციები, როგორც მომსახურების მიმწოდებლები, და ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდები და მათი გაერთიანებები, როგორც მომსახურების შემძენნი.

*სტრუქტურა:
დეცენტრალი-
ზებული და
ფედერალური –
არასახელმწიფო
დაწესებულებათა
ძლიერი პოზიცია*

ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების სექტორში ყველაზე მეტი გავლენა კორპორაციულ დაწესებულებებს აქვთ (ბუსე/რიზბერგი, 2005). ექიმთა ასოციაციები მათ ტერიტორიულ ერთეულში – მინაზე („ლანდ-ში“) მოქმედ ფონდებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს ასანაზღაურებელ თანხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი თავიანთ წევრებზე ფედერალური, მაგრამ მათ რეგიონზე მორგებული მარეგულირებელი აქტების შესაბამისად აწინააღმდეგებენ. ზოგადი პროფილის (პრაქტიკოსი) ექიმებისა და სპეციალიზებული ექიმების ანაზღაურება ფაქტობრივად განეულ სამედიცინო მომსახურებაზე დამოკიდებული. ამასთანავე, დაწესებულია ანაზღაურების ზედა ზღვარი, განეული მომსახურების მიუხედავად.

*ამბულატორიული
მომსახურება*

სტაციონარული მომსახურებისთვის ორმაგი დაფინანსებაა გათვალისწინებული. ინვესტიციების დაგეგმვას ფედერალური მინები ახორციელებენ, ხოლო შემდეგ მათ თანადაფინანსებას ფედერალური მთავრობა ახდენს. ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებს კი ეკისრებათ პასუხისმგებლობა მიმდინარე ხარჯებისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფარვისთვის. გერმანიაში 2004 წელს შემოიღეს ავადმყოფთა დიაგნოზის მიხედვით დაჯგუფების (DRG) ავსტრალიური სისტემა, რის შემდეგაც საავადმყოფოს ხარჯები ძირითადად ამ სისტემის წესებით გამოიანგარიშება (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 2006).

*სტაციონარული
მომსახურება*

კანონით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზღვევა

გერმანიის ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა ჯანმრთელობის დაზღვევის კანონით გათვალისწინებულ და კერძო ფონდებს მოიცავს. კანონით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზღვევა (GKV) ძირითადად სადაზღვევო შენატანებით ფინანსდება. 2005 წლამდე შენატანები დამსაქმებლისაგან და დასაქმებულისაგან თანაბრად იკრიფებოდა. მაგრამ იმავე წელს დასაქმებულებისა და პენსიონერებისთვის დაწესდა დამატებითი შენატანი 0.9%-ის ოდენობით. თანადაზღვეულები არიან ბავშვები და ის მეუღლეები, რომლებსაც შემოსავალი არ აქვთ; მათი დაზღვევა უფასოა, რის შედეგადაც GKV-ის ფარგლებში გადანაწილება ოჯახების სასარგებლოდ ხდება.

*ჯანმრთელობის
დაზღვევის
ფონდების გაყოფა*

კანონით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზღვევა მოსახლეობის დაახლოებით 86%-ს მოიცავს. ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდის წევრობა სავალდებულოა ფიზიკურად მომუშავეთათვის და იმ მოხელეთათვის, რომელთა წლიური შემოსავალიც დადგენილ ოდენობას (სავალდებუ-

*კანონით გათვალის-
წინებული ჯანმრთე-
ლობის დაზღვევა
მოსახლეობის
86%-ს მოიცავს*

ლო სადაზღვევო ზღვარს) აღემატება. 2012 წელს ეს ზღვარი – მთლიანი შემოსავალი თვეში 4237,50 ევროს შეადგენდა.

ჯანმრთელობის
დაზღვევის
ფონდების
თავისუფალი
არჩევა

ამჟამად დაახლოებით 145 კანონით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდი მოქმედებს (2012 წლის მარტის მდგომარეობით). 1996 წლიდან მოყოლებული, თითქმის ყველა დაზღვეულს შეუძლია თავისი ფონდის არჩევა. ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებს ნევრთა განსხვავებული სტრუქტურა აქვთ, რომელიც დამოკიდებულია მიღებული შენატანების ოდენობასა და ავადობაზე.

„Morbi-RSA“

აღნიშნული განსხვავებების დასაბალანსებლად, მრავალი მოსამზადებელი ეტაპის გავლის შემდეგ შემოღებულ იქნა ავადობის რისკზე დაფუძნებული კომპენსაცია („Morbi-RSA“). მის საფუძველზე ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდები თითოეული დაზღვეულისთვის იღებენ საბაზისო თანხას ფიქსირებული განაკვეთით, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე საშუალო ხარჯის შესაბამისია. ეს განაკვეთი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ასაკის მატება-კლების შესაბამისად და სქესის გათვალისწინებით. გარდა ამისა, განსაზღვრულია დანამატი ქრონიკული ან მძიმე დაავადების მქონე დაზღვეულისთვის, რადგან ამ შემთხვევაში ზემოხსენებული საშუალო ხარჯი იზრდება.

2009 წლიდან:
სავალდებულო
ჯანმრთელობის
დაზღვევა

რეფორმირებულმა რისკზე დაფუძნებულმა კომპენსაციამ არსებული სისტემის ფარგლებში რესურსების გადანაწილებისას სამიზნე უფრო ზუსტად უნდა განსაზღვროს და უნდა შეამციროს განსაკუთრებით მაღალი რისკის ავადმყოფების დისკრიმინაციის შესაძლებლობა. ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებისთვის ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტები – ოღონდ თუ მათი დაავადება 80 დაავადების დასახელებისაგან შემდგარ ჩამონათვალში ირიცხება – მომეტებულ ფინანსურ რისკს აღარ ქმნიან.

დასაქმებულები, რომელთა შემოსავალიც სავალდებულო სადაზღვევო ზღვარს აჭარბებს ზედიზედ სამი კალენდარული წლის განმავლობაში და, თვითდასაქმებულები არ არიან ვალდებული, GKV-ის მომხმარებლები გახდნენ. მათ უფლება აქვთ, ნებაყოფლობით განახორციელონ GKV-ის შენატანები ან ჯანმრთელობის კერძო დაზღვევით ისარგებლონ. 2007 წლის ჯანდაცვის რეფორმის შედეგად, 2009 წლის იანვრიდან გერმანიაში მცხოვრები ყველა პირი ვალდებულია ჰქონდეს ჯანმრთელობის დაზღვევა.

ავადობის რისკზე დაფუძნებული კომპენსაცია („Morbi-RSA“) მიზნად ისახავს ზარალის შემცირებას იმ ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებისთვის, რომლებიც ხარჯიანი დაავადებების მქონე დაზღვეულთა განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევიან. „Morbi-RSA“ წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან „morbidity“ და „ავადობას“ ნიშნავს. ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებში კომპენსაციის ძველი მოდელი (რომელიც 2002 წლამდე მოქმედებდა) ასაკს, სქესსა და შრომისუუნარობას ითვალისწინებდა. 2002 წლიდან მხედველობაში მიიღება ასევე ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისთვის განკუთვნილ სპეციალურ პროგრამებში ჩართულობა. რისკზე დაფუძნებული კომპენსაციის ახალი მოდელი ითვალისწინებს 80 დასახელების ხარჯიან ქრონიკულ და მძიმე დაავადებას, რომელთათვისაც აღნიშნული ფონდები დანამატებს იღებენ.

გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის/ქრისტიან-სოციალური კავშირის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის კოალიციამ 2007 წელს მიიღო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში კონკურენციის გაძლიერების შესახებ (GKV-WSG), რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემოთავაზების („მოქალაქეთა დაზღვევა“) და ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მიდგომის („ჯანმრთელობის პრემია“; ის ასევე ცნობილია სულადობრივი საფასურის სახელით) კომპრომისული ვარიანტია.³²

ჯანდაცვის ახალ ფონდში თავს იყრის დაზღვეულ მშრომელთა ძირითადი ჯგუფის – დაქირავებული მუშაკების და მათი დამქირავებლების შენატანები. გარდა ამისა, არსებობს საგადასახადო სუბსიდიები, რომლებიც წელიწადში თითქმის 14 მილიარდი ევროთი უნდა გაიზარდოს. ვინაიდან საგადასახადო სისტემა, შენატანების აკრეფისაგან განსხვავებით, თავისი არსით, პროგრესულია, ამ საგადასახადო სუბსიდიების მეშვეობით განაწილება უფრო სამართლიანი ხდება და ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდების დაფინანსების ბაზისიც ფართოვდება (გრესი/ვასემი, 2008; იხ. აგრეთვე თავი 7.1. გადასახადები).

2009 წლამდე ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებში შენატანები პირდაპირ დაზღვეულებისაგან ან დამსაქმებლებისაგან გროვდებოდა. ჯანდაცვის ფონდი GKV-ის შენატანებს ცენტრალიზებულად კრეფს.³³ ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდები ჯანდაცვის ფონდიდან თითოეული დაზღვეულისთვის იღებენ ასიგნებას ფიქსირებული განაკვეთით, დანამატებისა და დაქვითვების გათვალისწინებით, რომელთა ოდენობაც ასაკის, სქესისა და რისკის მიხედვით განისაზღვრება. ამგვარად, 1994 წელს შემოღებული რისკზე დაფუძნებული კომპენსაცია ჯანდაცვის ფონდში იქნა ინტეგრირებული და მნიშვნელოვნად განვითარდა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ შემოთავაზებული „**მოქალაქეთა დაზღვევა**“ ჯანდაცვის სისტემის შენატანებით დაფინანსების შენარჩუნებას გულისხმობს, მაგრამ უფრო ფართო ფინანსური ბაზისის გამოყენებას გეთავაზობს. სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევა (GKV) გაგრძელდება ყველა მოქალაქეზე, ანუ მოსახლეობის ისეთ ჯგუფებზედაც, როგორებიც არიან თვითდასაქმებულები და საჯარო მოხელეები. გაუქმდება სავალდებულო სადაზღვევო ზღვარი. შენატანების ბაზისი გაფართოვდება – იგი მოიცავს შემოსავლის სხვა ფორმებს, კერძოდ, იჯაროდან, პროცენტიდან და კაპიტალიდან მიღებულ შემოსავლებს. გაიზრდება შენატანის ზედა ზღვარი. „მოქალაქეთა დაზღვევის“ მიმწოდებლები იქნებიან ჯანმრთელობის დაზღვევის როგორც კანონით გათვალისწინებული, ისე კერძო ფონდები. ადამიანები თავისუფლად გააკეთებენ არჩევანს. დაზღვეულთა შორის განსხვავებები რისკზე დაფუძნებული კომპენსაციის მეშვეობით განეიტრალებათ.

გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის/ქრისტიან-სოციალური კავშირის მიერ შემოთავაზებული „**ჯანმრთელობის პრემია**“ მოდელი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას გულისხმობს – კანონით გათვალისწინებული და კერძო დაზღვევები ერთმანეთისაგან განცალკევებული დარჩება. ცვლილებები მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებს შეეხება. კერძოდ, ყველა დაზღვეული თავის ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდში შენატანს ერთიანი ფიქსირებული განაკვეთით გადაიხდის. დაბალშემოსავლიან პირთა ჯანმრთელობის პრემია საგადასახადო შემოსავლებიდან დაფინანსდება. ამ მოდელის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის შენატანების შრომითი ხარჯისაგან გამოცალკეება და სოციალური კომპენსაციების სახელმწიფო საგადასახადო და სატრანსფერო სისტემისთვის გადაცემა.

ჯანდაცვის ფონდი:
კომპრომისი მოქალაქეთა დაზღვევა-სა და ჯანმრთელობის პრემიასთან მიმართებით

საგადასახადო
სუბსიდიები: უფრო
სამართლიანი
განაწილება

32 იხ. თავი 6. პარტიების სოციალურ-პოლიტიკური პოზიციები.

33 თუმცა გარდამავალ პერიოდში შენატანები ჯერ კიდევ ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებში გადაიხდება, ისინი კი ამ თანხებს ჯანდაცვის ფონდს გადასცემენ.

შენატანის
განაკვეთს
ცენტრალური
მთავრობა ადგენს

შენატანის განაკვეთს ყოველწლიურად მთავრობა ადგენს. 2012 წლის მარტისთვის მისი ოდენობა იყო 15.5%, რომლიდანაც 14.9% სავალდებულო დაზღვევის შენატანებით დასაბეგრ შემოსავალზე გადაიხდება. შენატანის გადახდის ვალდებულება წარმოეშობა პირს, რომლის შემოსავალი თვეში 3825 ევროს შეადგენს (2012 წლის მარტის მდგომარეობით). თუ დაზღვეულის შემოსავალი ამ თანხას აღემატება, შენატანის ოდენობის გამოთვლისას ქარბი თანხა მხედველობაში არ მიიღება.

დასაშვებია
შეზღუდული
ოდენობის
დამატებითი
შენატანები

თუ კანონით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდის ასიგნება საკმარისი არ არის, მას შეუძლია დაზღვეულებისაგან დამატებითი შენატანები მოიზიდოს. 2011 წლიდან დამატებითი შენატანი შემოსავალზე დამოკიდებული აღარ არის და არ აქვს ფიქსირებული ზღვრები. თუ საშუალო დამატებითი შენატანი აღემატება დაზღვეულის იმ შემოსავლის 2%-ს, რომელიც შენატანებით იბეგრება, მაშინ ეს შენატანი გადასახადებით კომპენსირდება. შენატანების გარკვეული ნაწილის ანაზღაურება წარმატებულ ფონდებს შეუძლიათ.

GKV: ერთი და
იმავე მომსახურების
მიღების
უფლება

სადაზღვევო სტატუსის, შენატანის ოდენობისა და დაზღვევის ხანგრძლივობის მიუხედავად, GKV-ის სქემის მონაწილეებს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც თანადაზღვეულები არიან, საჭიროების შემთხვევაში ერთი და იმავე ჯანდაცვის მომსახურების მიღების უფლება აქვთ.

მოსახლეობის
11% ჯანმრთელობის
კერძო
დაზღვევით
სარგებლობს

ჯანმრთელობის კერძო დაზღვევა

მოსახლეობის დაახლოებით 11% ჯანმრთელობის კერძო დაზღვევით სარგებლობს (2011 წლის ნოემბრის მდგომარეობით). ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის (PKV) შემთხვევაში სადაზღვევო პრემია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების მოცულობის, პირის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის, სქესის და მის მიერ დაზღვევაზე განაცხადის გაკეთების მომენტისთვის არსებული ასაკის მიხედვით გამოიანგარიშება. ამის შესაბამისად, ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ტარიფები ინდივიდუალური სადაზღვევო რისკების გათვალისწინებით არის დადგენილი.

GKV-ისაგან განსხვავებით, რომელიც შენატანების (pay-as-you-go) პრინციპის შესაბამისად მოქმედებს (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სადაზღვევო მომსახურებები იმავე წელს მიღებული შენატანების თანხებით ფინანსდება), ჯანმრთელობის დაზღვევის კერძო ფონდები ვალდებული არიან, შექმნან ფინანსური რეზერვები ხანდაზმულთათვის (კაპიტალის დაგროვება). 2009 წლიდან დაზღვეულს კერძო სადაზღვევო ფონდის შეცვლის შემთხვევაში შეუძლია გადაიტანოს ეს რეზერვი ახალ პროვაიდერთან, საბაზისო ტარიფის დონემდე.

უკეთესი
უზრუნველყოფა:
უკეთესი
„რისკების“ შედეგი

უფრო ფართო მომსახურების შეთავაზებისას PKV-ის ტარიფები ხშირად მეტად ხელმისაწვდომია, ვიდრე GKV-ის შენატანი, განსაკუთრებით შედარებით ახალგაზრდა და ჯანმრთელი დაზღვეულებისთვის, აგრეთვე კარგი ანაზღაურების მქონე მარტოხელებისთვის. ამის ძირითადი მიზეზი კანონით გათვალისწინებული და კერძო დაზღვევების სტრუქტურაში არსებული არათანაბარი სოციალური გადახანტილებაა.

რაკი ჯანმრთელობის კერძო დაზღვევით მოსარგებლებებს უმეტესად სა-შუალოზე მაღალი შემოსავალი და ავადმყოფობის ნაკლები რისკი აქვთ, PKV კანონით გათვალისწინებულ, სოლიდარობის პრინციპით დაფინანსე-ბულ დაზღვევას მაღალ შემოსავლებს და „კარგ“ რისკებს ართმევს. კერ-ძო დაზღვევის მფლობელები – საჯარო მოხელეები, თვითდასაქმებულები და მაღალშემოსავლიანი მოქალაქეები – იმდენად მოგებიანი არიან, რომ სადაზღვევო სისტემას თავისუფლად შეუძლია ისინი ნორმალურ ფასად უზ-რუნველყოს სამედიცინო მომსახურებით და ყველა ხარჯი დაუფაროს. ეს მომსახურების მიმწოდებლებში წარმოშობს სტიმულს, რომ კერძო პაციენ-ტებს უკეთესი მომსახურება შესთავაზონ (ვალენდიკი, 2009).

GKV-ისაგან განსხვავებით, როდესაც შემოსავლის არმქონე ოჯახის წევრები ძირითადად თანადაზღვეულები არიან (შენატანებს არ იხდიან), PKV-ის შემ-თხვევაში ერთ დაზღვეულზე ერთი სადაზღვევო პრემია მოდის. PKV-ის მომ-ხმარებელს არ აქვს უფლება, იმ დროს დაუბრუნდეს GKV-ს, როცა მოუნდება. დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ წარმოიშობა მისი დაზღვევის ვალდებულება (მაგ.: კერძო ბიზნესის მიტოვებისა და დაქირავებულ სამსა-ხურში გადასვლის შემდეგ), თუკი მისი ასაკი 55 წელს არ აღემატება, ხოლო შემოსავალი GKV-ის სავალდებულო სადაზღვევო ზღვრის ქვემოთაა.

2009 წლიდან კერძო მზღვეველები ვალდებული არიან, მომხმარებლებს შესთავაზონ საბაზისო ტარიფი, რომელიც, თავისი მომსახურების სპექ-ტრით, GKV-ის არჩევანის მსგავსია და GKV-ის საშუალო შენატანზე მაღა-ლი არ არის (2012 წელს იგი თვეში დაახლოებით 592 ევროს შეადგენდა). PKV-ის მომხმარებლებს და იმ პირებს, რომლებიც GKV-ით ნებაყოფლო-ბით სარგებლობენ, შეუძლიათ გადავიდნენ საბაზისო ტარიფზე, ოღონდ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას. განვერების პირველადი შენატანი მხოლოდ დაზღვეულის ასაკსა და სქესზეა დამოკიდებული.

ნიდერლანდის ჯანდაცვის სისტემა

ჰოლანდიის ჯანდაცვის სისტემა გერმანიის სისტემის მსგავსია. ორივე სოციალური დაზღვევის სისტემაა, რომელიც ძირითადად შემოსავალზე დამოკიდებულ შენატანებს, მზღვეველის თავისუფლად არჩევის უფლე-ბას, კერძო დაზღვევის პროვაიდერების ფართო არჩევანს და მრავლის-მომცველ (თუმცა ხშირად ბუნდოვნად ჩამოყალიბებულ) მომსახურების პაკეტებს ეფუძნება. სისტემების მსგავსება მარტივად შეიძლება აიხსნას: ჰოლანდიაში 1941 წელს დაფუძნებული ჯანდაცვის სისტემა ძირითადად გერმანიის სისტემით იყო შთაგონებული (გრესი და სხვები, 2006). ბოლოს მისი საფუძვლიანი რეფორმა 2006 წელს განხორციელდა.

ჰოლანდიის ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა, თავის მხრივ, სამი სისტემისაგან შედგება. პირველი (მოვლასა და მზრუნველობაზე ორიენ-ტირებული და გრძელვადიანი დაზღვევა) და მესამე (დამატებითი კერძო დაზღვევა) სისტემები 2006 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის სფერო-ში განხორციელებული საფუძვლიანი რეფორმის შედეგად ძალიან არ შეცვლილა. რეფორმა ძირითადად მეორე სისტემას შეეხო. რეფორმამდე მეორე სისტემა სავალდებულო (კანონით გათვალისწინებულ) სოციალურ

PKV-ის შემთხვევაში ოჯახის წევრები ცალკე უნდა იქნენ დაზღვეულნი

2009 წლიდან: საბაზისო ტარიფის შეთავაზების ვალდებულება

გერმანიის სისტემის მსგავსი

ჯანდაცვის სისტემა: სამი ლერძი

დაზღვევას და კერძო დაზღვევის სრულ პაკეტს მოიცავდა. დასაქმებულები და თვითდასაქმებულები, რომელთა შემოსავალიც დადგენილ ზღვარს აჭარბებდა, ვალდებული იყვნენ, უარი ეთქვათ სავალდებულო სოციალურ დაზღვევაზე და ყოვლისმომცველი კერძო დაზღვევა აერჩიათ.

1996 წლიდან:
კონკურენტ-
უნარიანი
სქემა სოციალური
და კერძო
ფონდებისთვის

რეფორმის შემდეგ ჯანმრთელობის დაზღვევის ერთიანი სისტემა ჩამოყალიბდა. მანამდე სოციალური და კერძო სადაზღვევო სამსახურები ერთმანეთს ერთიან სადაზღვევო სისტემაში უწევდნენ კონკურენციას.

ყველა სადაზღვევო ფონდისთვის ერთი და იგივე პირობებია: მათ ეკისრებათ ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება, არ აქვთ დაზღვევის მიღების მსურველისთვის უარის თქმის და რისკების შემცველი სადაზღვევო პრემიების გაზრდის უფლება. ისინი ავადობის რისკზე დაფუძნებული კომპენსაციის სქემაში არიან ჩართული. ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებს შეუძლიათ დაზღვეულებს სხვადასხვა ტარიფი შესთავაზონ. მოქმედებს საყოველთაო დაზღვევის ვალდებულება.

უპირატესად
შენატანებით
დაფინანსება

სისტემა შემოსავალზე დამოკიდებული (დამსაქმებელი) და მისგან დამოუკიდებელი (დასაქმებული, წლიურად დაახლოებით 1100 ევრო) შენატანებით ფინანსდება. ამ თანხის ერთ ნაწილს სახელმწიფო იხდის, რადგან ის აფინანსებს შენატანებს ბავშვებისა და მოზარდებისთვის, აგრეთვე ჯანმრთელობის დაზღვევის დანამატს დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისთვის.

თავიდან რეფორმამ მნიშვნელოვნად შეუნყო ხელი ადამიანთა მიერ დაზღვევის პროვაიდერების ინტენსიურ ცვლას. ამ რეფორმის შედეგად პროვაიდერი ნიდერლანდის მცხოვრებთა დაახლოებით ერთმა მეხუთედმა შეიცვალა. ახალი პროვაიდერის არჩევის დროს ნიდერლანდის მოქალაქეებმა მეტი ყურადღება მიაქციეს დაზღვევის უსაფრთხოებას. მომხმარებლები იშვიათად ირჩევენ იმ ტარიფებს, რომლებშიც დაზღვეულის წილი საკმაოდ მაღალი იყო. მოსახლეობის დაახლოებით 95% დამატებითი კერძო დაზღვევით სარგებლობს, რადგან მისი დაზღვევა მხოლოდ საბაზისო უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

რეფორმის მოდელი
გერმანიისთვის

გერმანიის ჯანდაცვის სისტემის საშუალო- და გრძელვადიანი განვითარების მოდელად უნდა განვიხილოთ ჯანმრთელობის დაზღვევის კონკურენტული სისტემა, რომელიც შლის საზღვრებს კანონით გათვალისწინებულ დაზღვევასა და კერძო დაზღვევას შორის.

ცენტრალურ
ადმინისტრირებას
ჯანმრთელობის
დაცვის ეროვნული
სამსახური (NHS)
აბორციელებს

გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის სისტემა

გაერთიანებულ სამეფოში ჯანმრთელობის დაცვას, ტრადიციულად, სახელმწიფო უზრუნველყოფს. ჯანდაცვის სისტემის ამოცანების უმეტეს ნაწილს გეგმავს, მართავს და არეგულირებს 1948 წელს დაარსებული ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სამსახური (NHS). იგი მეტწილად გადასახადებით ფინანსდება. სამსახურს სახელმწიფო მართავს. მისი წევრობა სავალდებულოა ყველა მოქალაქისთვის.

ჯანდაცვის სისტემით სარგებლობის უფლება აქვს დიდი ბრიტანეთის ყველა მცხოვრებს, ეროვნებისა და შემოსავლის მიუხედავად. ყველასთვის ხელმისაწვდომი საბაზისო მომსახურება ზოგადი პროფილის და სპეციალიზებული ექიმების კონსულტაციებს, ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას და მზრუნველობის დანესებულებებში მოთავსებას მოიცავს.

ჯანდაცვის სისტემა ფინანსდება ძირითადად საგადასახადო შემოსავლებით, აგრეთვე დამატებითი კერძო გადასახადებით – უმეტესად მედიკამენტებისა და სტომატოლოგის მომსახურებისთვის. დაფინანსების წყაროა ასევე ეროვნული (სოციალური) დაზღვევის შენატანები, რომლებსაც თვითდასაქმებულები, დაქირავებული მუშაკები და დასაქმებულები იხდიან. პაციენტისთვის მკურნალობა, როგორც წესი, უფასოა.

მომსახურების ორგანიზებაში მთავარ როლს ეგრეთ წოდებული პირველადი ზრუნვის სატრასტო სამსახურები – Primary Care Trusts (PCT) ასრულებენ. ოჯახის ექიმთა 151 ქსელი მომსახურებას უწევს დაახლოებით 340 000 ადამიანს. სატრასტო სამსახურები პასუხისმგებელი არიან თავიანთ რეგიონში ჯანდაცვის მომსახურებებზე არსებული მოთხოვნილებების დაგეგმვისა და შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფისთვის. ისინი ჯანდაცვის მომსახურებებისთვის ბიუჯეტის 75%-ზე მეტს იღებენ და შეუძლიათ მიწოდების ხელშეკრულებები გააფორმონ მუნიციპალურ მზრუნველობის დანესებულებებთან, NHS Trust-თან, აგრეთვე მეზობელი რაიონების დანესებულებებთან, კერძო პროვაიდერებთან და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან.

საბაზისო მომსახურებას ოჯახის ექიმები უზრუნველყოფენ. ესენი არიან უმეტესად თვითდასაქმებული ექიმები, რომლებიც „კარის გუშაგის“ (Gatekeeper) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.³⁴ საავადმყოფოები ანაზღაურებას იღებენ როგორც განუხლები მომსახურებისთვის, ისე კონტრაქტის საფუძველზე. ერთიანი ბიუჯეტი შეზღუდულია და მას ცენტრალიზებული წესით აკონტროლებენ ცენტრალური მთავრობა და ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთი ირლანდიის ჯანდაცვის სამინისტროები.

პაციენტებს არჩევანის თავისუფლება შეზღუდული აქვთ. ექიმის არჩევა შესაძლებელია მხოლოდ საცხოვრებელი რაიონის ფარგლებში. მაგალითად, პაციენტს, თავის ოჯახის ექიმთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, შეუძლია მკურნალობა ჩამონათვალში მითითებულ საავადმყოფოში გააგრძელოს. ამის მიზანია, უზრუნველყოფილი იყოს თავისუფალი არჩევანი, ასევე შემცირდეს ლოდინის პერიოდი.

გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი პრობლემაა არასაკმარისი დაფინანსება და ამასთან დაკავშირებული გაზრდილი ლოდინის პერიოდი. გაერთიანებული სამეფო ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით შედარებით ნაკლებ თანხებს ხარჯავს. 2010 წელს გერმანიამ ჯანდაცვაზე მშპ-ის დაახლოებით 11.6% დახარჯა, გაერთიანებულმა სამეფომ კი – 9.6% (ეკონომიკური

ჯანდაცვის სისტემით სარგებლობის უფლება დიდი ბრიტანეთის ყველა მცხოვრებს აქვს

ოჯახის ექიმთა ქსელები

ოჯახის ექიმები: საბაზისო მომსახურება და გადამისამართება

შეზღუდული არჩევანის თავისუფლება პაციენტებისათვის

გაერთიანებული სამეფო: ჯანდაცვისთვის შედარებით მცირე თანხები გამოყოფილი

34 ოჯახის ექიმი არის პირველი, ვისაც უკავშირდებიან. მას ევალება პაციენტის სპეციალისტთან გაგზავნა.

რეფორმის
პროგრამა,
რომელმაც
ხარვეზები უნდა
აღმოფხვრას

თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საშუალო მაჩვენებელზე – 9.5%-ზე – ოდნავ მეტი) (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 2012). მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის და მომსახურების ხელმისაწვდომობის რეგლამენტირების შედეგად სტაციონარული მკურნალობის სფეროში მომსახურების დეფიციტი წარმოიქმნება.

2000 წელს მიღებულ იქნა „ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სამსახურის გეგმა – ინვესტიციების გეგმა. რეფორმის გეგმა“ („The NHS Plan – A Plan for Investment. A Plan for Reform“), რომლითაც დაიწყო ძირეული რეფორმის განხორციელება. ის, სხვა ასპექტებთან ერთად, საავადმყოფოებში სანოლების, მთავარი ექიმების, ოჯახის ექიმებისა და მედიცინის ფაკულტეტზე სასწავლო ადგილების რაოდენობის ზრდას ითვალისწინებდა. ამის შემდეგ გაფართოვდა კიბოთი დაავადებულ პაციენტთა უზრუნველყოფის პროგრამა და შესაძლებელი გახდა NHS-ის ჯანმრთელობის დაცვის ჩეკებით ხანდაზმულთა უკეთესი სოციალური უზრუნველყოფა. 2008-2009 წლებში გაერთიანებულ სამეფოში ჯანდაცვაზე განხორციელებული ხარჯების ხვედრითი წილი საგრძნობლად გაიზარდა – მშპ-ის 8.8%-დან 9.8%-მდე (2010: 9.6%), თუმცა გერმანიისა და ნიდერლანდის მიერ განხორციელებულ ხარჯებს მკვეთრად ჩამორჩება (იხ. სურათი 132-ე გვერდზე).

2012 წელს გაერთიანებული სამეფოს ლიბერალურ-კონსერვატიულმა მთავრობამ მოიწონა რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა ხარჯების შემცირებას, აგრეთვე მომსახურების სახელმწიფო და კერძო მიმწოდებლებს შორის კონკურენციის ხელშეწყობას. მომავალში პაციენტებს საშუალება ექნებათ, თავისუფლად აირჩიონ თავიანთი ოჯახის ექიმი. ოჯახის ექიმები აღარ იქნებიან დაკავშირებული რეგიონის მეზობელ შინამეურნეობებთან. მოხდება ადმინისტრაციის რესტრუქტურირება. გაუქმდება პირველადი ზრუნვის სატრასტო სამსახურები და ჯანდაცვის ათი სტრატეგიული განყოფილება. ოჯახის ექიმები ეგრეთ წოდებულ კონსორციუმებში გაერთიანდებიან. კონსორციუმებს გამოეყოფათ სახსრები, რომლებიც ოჯახის ექიმების მიერ წარმართული მკურნალობის შედეგებზე იქნება დამოკიდებული. ოჯახის ექიმებმა თავიანთი პაციენტების სამკურნალოდ საუკეთესო გზები უნდა მოძებნონ და უნდა აუნაზღაურონ მომსახურება შესაბამის პროვაიდერებს. სამომავლოდ საავადმყოფოები თავისუფლად მიიღებენ კერძო პაციენტებს და კონკურენციას გაუნევენ კერძო პროვაიდერებს, რათა მოიპოვონ ოჯახის ექიმთა მომსახურების კონტრაქტები.

მთავარი მიზანი:
ეფექტიანობა,
თანაბარი
შანსები და
მოთხოვნილების
შესაბამისი
სამართლიანობა

ჯანდაცვის სისტემების შედარება

სხვადასხვა სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად ხშირად მიუთითებენ ჯანდაცვის პოლიტიკის ამოცანებზე. ჯანდაცვის სისტემის ზოგად პოტენციალთან და ჯანდაცვის უზრუნველყოფის მაღალ ხარისხთან ერთად, ეს სისტემა ძირითადად იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თანაბარი შანსები ჯანდაცვის მომსახურებების ხელმისაწვდომობის და მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობის თვალსაზრისით. უკვე დიდი ხანია, მეოცე საუკუნის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად მიჩნეულია ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა შემოსავლისა და სოციალური წარმოშობის მიუხედავად.

სამედიცინო-ტექნიკური პროგრესის წყალობით დღეს საკმაოდ ბევრ დაავადებას უფრო წარმატებულად მკურნალობენ, ვიდრე ათეული წლების წინ. ეს მზარდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის საკითხებს გვერდს ვერ ავუვლით.

ევროპის ჯანდაცვის მომსახურების მომხმარებელთა ინდექსი

2005 წლიდან ევროპული ჯანდაცვის სისტემების ყოველწლიურ შედარებას ახორციელებს საკონსულტაციო ფირმა „Health Consumer Powerhouse (HCP)“ მის მიერ შემოღებული ევროპის ჯანდაცვის მომსახურების მომხმარებელთა ინდექსის (EHCI) მიხედვით. მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პოლიტიკურ დონეზე. საჯაროდ ხელმისაწვდომი სტატისტიკის (სხვადასხვა ქვეყნის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის), საკანონმდებლო ტექსტების, დოკუმენტების, ინტერვიუების, გამოკითხვების საფუძველზე და ექსპერტთა ჯგუფებზე დაყრდნობით შედგენილი ინდექსი განსაზღვრავს, რამდენადაა ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის მომსახურება მომხმარებელზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლის თვალსაზრისი კვლევის ცენტრალური ნაწილია.

ევროპის ჯანდაცვის მომსახურების მომხმარებელთა ინდექსის მიხედვით 2012 წელს ევროპულ ჯანდაცვის სისტემებში ხუთი საკვანძო სფერო გამოიყო: პაციენტთა უფლებები და მათი ინფორმირებულობა; მკურნალობის ლოდინის პერიოდი; სამედიცინო შედეგები; ჯანდაცვის პროფილაქტიკა/ჯანდაცვის მომსახურების მოცულობა და დაფარვის ზონა; მედიკამენტები. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, 42 შედეგის ინდიკატორს მოიცავს.

ევროპის ჯანდაცვის მომსახურების მომხმარებელთა ინდექსი, 2012

	გერმანია	ნიდერლანდი	გაერთიანებული სამეფო
პაციენტთა უფლებები და მათი ინფორმირებულობა	117	170	160
მკურნალობის ლოდინის პერიოდი	200	200	133
სამედიცინო შედეგები	200	263	133
ჯანდაცვის პროფილაქტიკა/ჯანდაცვის მომსახურების მოცულობა და დაფარვის ზონა	111	163	146
მედიკამენტები	76	76	81
სულ	704	872	721
რანგირება	14	1	12

წყარო: Health Consumer Powerhouse (2012)

ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის საკითხები

„Health Consumer Powerhouse (HCP)“

ხუთი საკვანძო სფერო

გერმანია:
მე-14 ადგილი
გამოკვლეულ 34
ქვეყანას შორის

2012 წლის ევროპის ჯანდაცვის მომსახურების მომხმარებელთა ინდექსის თანახმად, ევროპის მასშტაბით გამოკვლეულ 34 ქვეყანას შორის გერმანიას მე-14 ადგილი უკავია. ეს შესამჩნევად დამავალ ტენდენციაზე მიუთითებს: 2009 წელს მას მე-6 ადგილი ეკავა, 2007 წელს – მე-5, ხოლო 2005 წელს – მე-3.

დადებითი:
ხელმისაწვდო-
ობა და
მომსახურების
ფართო სპექტრი

2008 წელს HCP-მ გერმანიაში განსაკუთრებულ მიღწევად მიიჩნია მკურნალობის ლოდინის პერიოდის არარსებობა, სპეციალიზებული ექიმის უპრობლემო ხელმისაწვდომობა და მომსახურების ფართო სპექტრი. ასევე დადებითად შეფასდა ის ფაქტი, რომ გერმანიაში პაციენტს ნებისმიერ დროს შეუძლია ერთი ექიმის დიაგნოზის მეორესთან გადამონმება. შედარებით კარგი მონაცემები აქვს გერმანიას სამედიცინო შედეგების მხრივაც. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბავშვთა სიკვდილიანობა, კიბოთი დაავადებულ პაციენტთა სიცოცხლის გადარჩენის მაჩვენებელი (5 წელი) და გულის შეტევის დროს სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

უარყოფითი:
პაციენტთა
უფლებები და მათი
ინფორმირებულობა

თუმცა 2008 წელს, ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, გერმანიამ საკმაოდ ცუდი შედეგები აჩვენა პაციენტთა უფლებების და მათი ინფორმირებულობის მხრივ. დაბალი ქულების მინიჭება იმან გამოიწვია, რომ გერმანიაში არ არსებობს კანონი, რომელიც პაციენტის უფლებებს დაიცავდა. არ არსებობს არც ექიმებისა და კლინიკების ხარისხის შედარების გამჭვირვალე სისტემა.

ევროპის ჯანდაცვის მომსახურების მომხმარებელთა ინდექსის რანგირებაში ეს აშკარა ვარდნა 2012 წელს ნაწილობრივ ცხრა ახალი ინდიკატორის შემოღებითაა გამოწვეული. მიუხედავად ყველაფრისა, ნათელია, რომ 2009 წელს გერმანიას ჯერ კიდევ უმაღლესი დონის ჯანდაცვის სისტემა ჰქონდა, 2012 წლის EHCI-ის მონაცემების მიხედვით კი, მისმა დონემ საშუალომდე დაინია. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გერმანია გაერთიანებულ სამეფოს ჩამორჩება. საოცრად დაბალი მაჩვენებლები აქვს გერმანიას გულის დაავადებათა მკურნალობის და საავადმყოფოში შექნილი ინფექციების თვალსაზრისით. HCP ამ ფაქტს პატარა, არასპეციალიზებული საავადმყოფოების სიმრავლით ხსნის. სისტემა ნელ-ნელა უარესდება ჯანდაცვის მომსახურების მოცულობისა და დაფარვის ზონის მხრივ. ძალიან ნელა ინერგება ელექტრონული ჯანმრთელობის სისტემა (E-Health) (ჯანდაცვის სისტემაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება). საყურადღებოა ჯანდაცვის პროფილაქტიკის საკითხიც. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული პრევენციული სოციალური სახელმწიფოს იდეასთან და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, აგრეთვე განათლების საკითხებთან (იხ. თავი 7.5).

საუკეთესო:
ნიდერლანდი

EHCI-ს მიხედვით, ნიდერლანდის ჯანდაცვის სისტემა საუკეთესოა იმ მხრივ, რომ ის განსაკუთრებულადაა ორიენტირებული მომხმარებელზე. ამ ქვეყანას 2006 და 2007 წლებში მეორე ადგილი ეკავა, ხოლო 2009 წელს – პირველი. 2012 წლის რანგირების მიხედვით ნიდერლანდი ისევ ლიდერობდა. მას დანია, ისლანდია, ლუქსემბურგი და ბელგია მოსდევდნენ. როგორც ჩანს, ჰოლანდიის ჯანდაცვის სისტემას, რომლის ძირითადი მახასიათებლებია ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი სადაზღვევო სამსახურების სიმრავლე და გადამწყვეტილების მიღების პროცესში პაციენტთა ორგანიზაციების დიდი

როლი, სუსტი მხარეები არ აქვს. მისი გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მკურნალობის ლოდინის პერიოდის კუთხით. ნიდერლანდის ჯანდაცვის სისტემის მიერ საუკეთესო შედეგების მიღწევა ევროკავშირში ჯანდაცვის სფეროში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი თანხის გამოყოფამ განაპირობა.

გაერთიანებულ სამეფოს, როგორც ყოველთვის, შუალედური ადგილი უკავია, თუმცა შესამჩნევია აღმავლობის ტენდენციაც. 2012 წელს მან პირველად გაუსწრო გერმანიას. 2006 წელს გაერთიანებულ სამეფოს მე-15 ადგილი ეკავა, 2007 წელს – მე-17, 2008 წელს – მე-13, 2009 წელს – მე-14, 2012 წელს კი – მე-12. ამ ქვეყანას დანიისა და ნორვეგიის შემდეგ ყველაზე კარგი მაჩვენებელი აქვს პაციენტთა უფლებების და მათი ინფორმირებულობის მხრივ, E-Health-ის ჩათვლით. დიდი ინვესტიციების განხორციელების შედეგად შეინიშნება წინსვლა ჯანდაცვის მომსახურების მოცულობის და დაფარვის ზონის კუთხით. გაუმჯობესდა ჯანდაცვის მომსახურებების ხელმისაწვდომობა, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის ლოდინის პერიოდის არსებობა ჯანდაცვის სისტემის დამახასიათებელ პრობლემად რჩება. სამედიცინო შედეგები მაღალგანვითარებული ქვეყნისთვის დამაკმაყოფილებლად ვერ იქნება მიჩნეული.

რა თქმა უნდა, ჯანდაცვის სისტემების შედარებისა და ზოგადი შეფასებისთვის აღნიშნული ინდიკატორების „ნარმომადგენლობითი უნარი“ სადავოდ მიაჩნიათ. ინდიკატორთა შექმნისთვის აუცილებელი მონაცემები ძირითადად გამოკითხვების, ინტერვიუების შედეგად და ექსპერტთა ჯგუფებისგან მოიპოვება. აქედან გამომდინარე, ეს მონაცემები ისე ზუსტი ვერ იქნება, როგორც, მაგალითად, ჯანდაცვის სტატისტიკის მონაცემები. გერმანიის დაღმასვლა შესაძლოა ჯანდაცვის სისტემების შეფასებისას კულტურულ განსხვავებებთან იყოს დაკავშირებული.

თუმცა ეს და სხვა კვლევები მიუთითებს, რომ გერმანიაში, ჯანდაცვის სისტემის ზოგადად მაღალი პოტენციალის მიუხედავად, გარკვეული სფეროები მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. 2006 წელს, განმეორებით კი 2009 წელს, აშშ-ის თანამეგობრობის ფონდმა გამოიკვლია, რას ფიქრობენ ოჯახის ექიმები მათი ყოველდღიური საქმიანობის ცალკეული ასპექტების შესახებ და როგორ აფასებენ ისინი ზოგადად ჯანდაცვის სისტემას სხვა ქვეყნების სისტემებთან შედარების საფუძველზე. გერმანიაში გამოკითხული ოჯახის ექიმების 82%-ის აზრით, საჭიროა ძირეული ცვლილებები, 73% კი დარწმუნებულია, რომ სამედიცინო მომსახურების გაუარესება ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგია. დანარჩენ ქვეყნებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 41%-ია (კოხი და სხვები, 2011).

გერმანიაში დაფინანსების პრობლემის შესახებ სერიოზული დებატები მიმდინარეობს. მისი მიზეზია მზარდი ზენოლა ფინანსებზე როგორც ხარჯების, ისე შემოსავლების თვალსაზრისით. ხარჯების ზრდა დაკავშირებულია სამედიცინო პროგრესთან და დაბერებული მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებასთან, მიიღოს უფრო მეტი და უკეთესი მომსახურება, თუმცა მას მომსახურებაში არსებული ხარვეზებიც განაპირობებს (ვალენძიკი, 2009). გერმანია ჯანდაცვისთვის სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტ თანხას გამოყოფს.

გაერთიანებულ
სამეფოს
შუალედური
ადგილი უკავია

გერმანია:
გარკვეული
სფეროები
მნიშვნელოვან
გაუმჯობესებას
საჭიროებს

დებატები:
დაფინანსების
საკითხები

დამატებითი
ლიტერატურა:
ფრიდრიხ ებერტის
ფონდი (რედ.)
(2009c),
Zukunft des
Gesundheitssystems.
Solidarisch finanzierte
Versorgungssysteme
für eine alternde
Gesellschaft,
ბონი.

ფასების შესაძლო
„აფეთქება“


ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხები, 2010

	გერმანია	ნიდერლანდი	გაერთიანებული სამეფო
ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხები, მშპ-ის პროცენტი	11.6	12.0	9.6
ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხები ერთ სულ მოსახლეზე*	4.338	5.066	3.443

შენიშვნა: * აშშ დოლარში, შეფერებულია ფასების სხვადასხვა დონის გავლენასთან (მსყიდველობითი უნარის პარიტეტი) // წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2011)

ამ კონტექსტში ხშირად საუბრობენ „ჯანდაცვის სისტემაში ფასების აფეთქებაზე“. შენატანის განაკვეთების ცვლილება გვიჩვენებს, რომ ზრდა მცირე იყო: 13.6%-დან (1998 წელი) 15.5%-მდე (2012 წელი) (იხ. სურათი 17).

თუ ჯანდაცვაზე განეული (სახელმწიფო) ხარჯების ცვლილებას მშპ-ის პროცენტულ ნაწილად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იგი განსაკუთრებით შემცირდა 2003-2008 წლებში. ეს იმ რეფორმასთან იყო დაკავშირებული, რომელიც მიზნად ისახავდა ფასების შემცირებას და რომელმაც „შემოსავალზე ორიენტირებული ხარჯების პოლიტიკა“ წარმოშვა (ბუსე/რიზბერგი, 2005). 2008-2009 წლებში სახელმწიფო ხარჯები დაახლოებით 1%-ით გაიზარდა და 2010 წლისთვის მშპ-ის დაახლოებით 8.9% შეადგინა.



წყაროები: გერმანიის ჯანდაცვის ფედერალური სამინისტრო (2011) და www.gbe-bund.de, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2008e)

სურათი 17: ჯანდაცვაზე განეული სახელმწიფო ხარჯების და ჯანდაცვის შენატანის განაკვეთების დინამიკა

გერმანიის ჯანდაცვის სისტემას შემოსავლების მხრივ სერიოზული პრობლემები აქვს. შენატანების საძირკველი თანდათანობით ინგრევა: მაღალანაზღაურებად მოქალაქეს შეუძლია კერძო დაზღვევის სისტემაში გადავიდეს და, შესაბამისად, დატოვოს „სოლიდარული საზოგადოება“ (იგულისხმება სოლიდარობა რისკებთან და შემოსავლებთან მიმართებით), როგორც არის GKV.

შენატანებით დასაბეგრი შემოსავლები ძალიან დაბალი ტემპით იზრდება. 1992 წლიდან თანდათან კლებულობს როგორც დასაქმებულთა წილი მთლიან მოსახლეობაში, ისე დაქირავებულ მუშაკთა ხვედრითი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში (ბუსე/რიზბერგი, 2005). ამავდროულად იზრდება შემოსავლის სხვა ფორმების მნიშვნელობა, რომლებიც განსხვავდება დაქირავებით დასაქმებისაგან (ასეთია კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი). შემოსავლების ზრდამ GKV-ის შენატანების განსაზღვრის საფუძველი არაპროპორციულად დააზარალა. მას ზიანი მიაყენა ბოლო 15 წლის განმავლობაში არსებულმა ხელფასების სტაგნაციამ და ატიპური დასაქმების ფორმების ზრდამ. GKV-ის შენატანის ზედა ზღვარს რეგრესული განაწილებითი ეფექტი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ GKV-ის სქემის მონაწილეები, რომელთა შემოსავალიც შენატანის ზედა ზღვარს აჭარბებს, თავიანთი შემოსავლის შედარებით დაბალ პროცენტს იხდიან.

თუ ჯანდაცვის მომსახურება მომავალშიც ყველა მოქალაქისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მაშინ უფრო ფართომასშტაბიან, სოლიდარულ დაფინანსებაზე უნდა ვიზრუნოთ. თეორიულად, იგი გადასახადებზე დაფუძნებული დაფინანსების გაზრდით (ჯანმრთელობის პრემიის მოდელის მსგავსად) ან მოქალაქეთა დაზღვევის მეშვეობით მიიღწევა. რეალური გადანაწილებითი ეფექტი ორივე მოდელის შემთხვევაში საგადასახადო სუბსიდირების სისტემასა და შენატანის ზედა ზღვარზე დამოკიდებული. რაკი სუბსიდირების სისტემა მხოლოდ დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს ეხება, ჯანმრთელობის პრემიის მოდელში, მოქალაქეთა დაზღვევის მოდელისაგან განსხვავებით, მოსალოდნელია საშუალო შემოსავლის მქონე პირთა ბიუჯეტის დატვირთვა მაღალშემოსავლიანთა ბიუჯეტის სასარგებლოდ.

„ავადმყოფებს, მათი წარმოშობის, ასაკისა და სქესის მიუხედავად, ერთი და იგივე უფლებები აქვთ როგორც მომსახურების მიღების, ისე სამედიცინო პროგრესში მონაწილეობის მხრივ. ჩვენ არ გვინდა ორდონიანი მედიცინა. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვსურს, რომ ყველა იყოს ჩართული სოლიდარობაზე დაფუძნებულ მოქალაქეთა დაზღვევის სისტემაში.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 58)

გერმანიის ჯანდაცვის სისტემის სოლიდარული და სამართლიანი დაფინანსებისთვის აუცილებელია გაუქმდეს ჯანმრთელობის დაზღვევის კანონით გათვალისწინებულ და კერძო დაზღვევებად დაყოფა. ნიდერლანდის მაგალითმა გვიჩვენა, რომ ჯანმრთელობის „სოციალური“ და კერძო სადაზღვევო სისტემების გაერთიანებას შეუძლია სადაზღვევო სამსახურებს შორის არსებული კონკურენცია დაზღვეულთა სასარგებლოდ წარმართოს.

**დამატებითი
ლიტერატურა:**
ჰაგენ კიუნი და
სებასტიან ქლინკე
(2007),
*Perspektiven
einer solidarischen
Krankenversicherung.*

რობერტ ჰაკე და
ვოლფგანგ
შრიოდერი (2009),
*Im Haißischbecken.
Die Zukunft
des »experimentellen
Regierens«: das
Beispiel der Gesund-
heitsreform 2007,
გამოცემაში:
Berliner Republik
2/2009, გვ. 56–63.*

შტეფან გრესი
(2009),
Mit gleichen
Rahmenbedingungen
zu einem fairen
Wettbewerb im
Gesundheitssystem:
zur Notwendigkeit
einer einheitlichen
Wettbewerbsordnung
auf dem deutschen
Krankenversicherungsmarkt, WISO direkt,
ფრიდრიხ ებერტის
ფონდი (რედ.),
ბონი.

რაციონალური რეფორმის საფუძველი იქნება დაფინანსების გაზრდა და ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო დაზღვევის შემოღება ერთიანი ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის ფარგლებში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებთან ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება, რისკებისაგან თავისუფალი შენატანები და ავადობის რისკზე დაფუძნებული კომპენსაცია.

სოციალ-დემოკრატებისთვის ეს ნიშნავს შემდეგს:

- ჯანდაცვის სფეროში სოციალური დემოკრატიის სახელმძღვანელო პრინციპებია: ეფექტიანობა, მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა და სოლიდარობა (რისკებთან და შემოსავალთან მიმართებით);
- მაღალი საგადასახადო სუბსიდიები ან მოქალაქეთა დაზღვევის შემოღება შესაძლებელს გახდის ჯანდაცვის სისტემის უფრო ფართომასშტაბიან, სამართლიან დაფინანსებას;
- ჯანმრთელობის დაზღვევის (კანონით გათვალისწინებულ და კერძო) ფონდებს შორის ჯანსაღი კონკურენცია სხვადასხვა რისკის გათანაბრებას, სავალდებულო სადაზღვევო ზღვრის გაუქმებას და ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებთან ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებას მოითხოვს;
- პრევენციული წინადადებები და ღონისძიებები უნდა გაფართოვდეს.

7.5. განათლება/მომზადება

მარიუს რ. ბუზემაიერი

ამ თავში:

- გერმანიის განათლების/მომზადების სისტემა შედარებულია შვედეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების განათლების/მომზადების სისტემებთან;
- განათლების/მომზადების სამი სისტემა შეფასებულია სამართლიანობის სხვადასხვა პარამეტრის და შედეგების მიხედვით;
- მიმოხილულია გერმანიის განათლების სისტემის ხარვეზების მიზეზები და რეფორმის ვარიანტები;
- განხილულია განათლების/მომზადების თანაბარ შესაძლებლობებსა და სოციალურ დემოკრატიას შორის ძირითადი კავშირები.

გერმანია:
სოციალური და
განათლების/მომზადების პოლიტიკა
დიდხანს იყო
განცალკევებული

დიდი ხნის განმავლობაში განათლების/მომზადების და სოციალური პოლიტიკის საკითხები გერმანიაში ცალ-ცალკე განიხილებოდა. ასეთი დაყოფა შეიძლება მივანეროთ როგორც კონსერვატიული სოციალური სახელმწიფოს პოლიტიკურ მემკვიდრეობას, ისე ორი პოლიტიკური სფეროს სხვადასხვა ინსტიტუციურ მიდგომას. გერმანიის განათლების/მომზადების ფედერალურ

სისტემაში განათლება/მომზადება, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული ერთეულების – მინების („ლანდების“) და მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობის სფეროში შედის. ფედერალური მთავრობის კომპეტენცია მხოლოდ უმაღლესი განათლების პოლიტიკაზე, კომპანიის ბაზაზე პროფესიულ სწავლებასა და სასწავლო სუბსიდიებზე ვრცელდება. შრომის ასეთი დაყოფა კიდევ უფრო გაძლიერდა ფედერალური სისტემის 2006 წლის რეფორმის შემდეგ. სოციალური პოლიტიკისთვის პასუხისმგებლობა ფედერალურ მთავრობასა და სოციალურ პარტნიორებს ეკისრებათ. ამიტომ წარსულში განათლების/მომზადების სისტემა გერმანიაში, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სოციალური სახელმწიფოს ნაწილად არ მიიჩნეოდა.

ანგლოსაქსურ ქვეყნებში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, განათლების/მომზადების სისტემა საწყის ეტაპზე იღებდა სოციალური პოლიტიკის ფუნქციებს. საეჭვოა, რომ სუსტმა სოციალურმა სახელმწიფომ სოციალური უზრუნველყოფის სფეროში სხვა ვარიანტები დაუშვას (ბუზე-მაიერი, 2006, 2007). რაც შეეხება სკანდინავიური სახელმწიფოების კომპლექსურ სოციალურ პოლიტიკას, იქ განათლება ყოველთვის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იყო.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს გერმანიაშიც აქტუალური გახდა საკითხი, თუ რა ზომით შეუძლია და უნდა შეიტანოს თავისი წვლილი „განათლება/მომზადებამ, როგორც სოციალურმა პოლიტიკამ“ თანაბარი შესაძლებლობების და შედეგების თანასწორობის უზრუნველყოფაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ, პრევენციული სოციალური სახელმწიფოს (იხ. მე-4 და მე-6 თავები) პერსპექტივაში, განათლება სოციალური პოლიტიკის ძირითადი ასპექტია.

„პრევენციული სოციალური სახელმწიფო განათლებას/მომზადებას სოციალური პოლიტიკის ძირითად ელემენტად განიხილავს.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 56)

გერმანიის განათლების/მომზადების სისტემა – ადრეული ეტაპი

გერმანია, უფრო ზუსტად – პრუსია, წამყვან როლს ასრულებდა განათლების/მომზადების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, ისევე, როგორც სოციალური დაზღვევის შემოღებაში. 1717 წელს პრუსია გახდა პირველი ქვეყანა, სადაც სავალდებულო ზოგადი განათლება შემოიღეს. გერმანიის თავისებური (საერთაშორისო ფონზე), მრავალპარუსიანი სასკოლო სტრუქტურა სათავეს იმავე პერიოდში იღებს.

გერმანიის თავისებური, მრავალპარუსიანი სასკოლო სისტემა

იმის მიხედვით, თუ რომელ მიწაზე ცხოვრობენ, გერმანიაში ბავშვები ოთხი ან ექვსი (ბერლინი, ბრანდენბურგი და მეკლენბურგი-დასავლეთი პომერანია) წლიდან სხვადასხვა სახის საშუალო სკოლაში მიდიან. უფრო გვიანდელ ეტაპზე ჰაუპტშულედან (საშუალო სკოლის ყველაზე დაბალი საფეხური) რეალშულეში (მომდევნო საფეხური, რომელიც უკეთეს ნიშნებს მოითხოვს) ან გიმნაზიაში (ყველაზე მაღალი საფეხური) გადასვლა, ჩვეულებრივ, ნაკლებად არის შესაძლებელი. ავსტრიისა და შვეიცარიის გარდა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 30 ქვეყნიდან არცერთში არ იყოფა მოსწავლეთა საგანმანათლებლო გზები ცხოვრების ასეთ ადრეულ ეტაპზე. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მეორე მსოფლიო

საერთაშორისო დონეზე: სოციალური და განათლების/მომზადების პოლიტიკა ერთად განიხილება

დებატები გერმანიაში დაიწყო

1717: სავალდებულო ზოგადი განათლება პრუსიაში – სტრუქტურა, რომელიც დღემდე არსებობს

სისტემის თავისებურება: ბავშვები სხვადასხვა სახის სკოლებში ადრეული ასაკიდან მიდიან

ომის შემდეგ იარუსებიან სასკოლო სისტემაზე სხვა ქვეყნებზე გადავიდნენ, მაგრამ ადრე თუ გვიან იგი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემით შეცვალეს (მაგალითად, შედეგთა 1958 წელს).

ნახევარდღიანი სწავლება

გერმანიაში სწავლება, ზოგადად, ნახევარდღიანია. 2009 წელს სრულდღიან სკოლაში, საშუალოდ, მოსწავლეთა მხოლოდ 26.9% სწავლობდა. თუმცა მიწებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია – შესაბამისი მაჩვენებელი ბავარიაში მხოლოდ 4%-ს შეადგენს, ხოლო საქსონიაში 72.7%-ია. სრულდღიანი სწავლების მიმართულებით დადებითი ძვრები ბოლო წლებში შეიმჩნევა. 2003 წელს, „ნითელ-მწვანე“ სრულდღიანი სწავლების პროგრამის შემოღებამდე, ეს მაჩვენებელი 10.8%-ს არ აღემატებოდა (KMK 2011: 12, 39).

ორმაგი სწავლება კომპანიის ბაზაზე

დიდი ხნის განმავლობაში კომპანიის ბაზაზე ორმაგი სწავლების მოდელი გერმანიაში ფლაგმანის როლს ასრულებდა. იგი უზრუნველყოფდა სკოლას, მომზადებასა და პროფესიულ სწავლებას შორის დაუყოვნებელ გადაადგილებას, ახალგაზრდობის უმუშევრობის დაბალ დონეს და „პრაქტიკაზე ორიენტირებული“, დაბალი კვალიფიკაციის ახალგაზრდების შრომის ბაზარზე ინტეგრაციას. ახალგაზრდების საბაზისო მომზადებაში ასე ინტენსიურად კომპანიები არცერთ ქვეყანაში არ მონაწილეობდნენ.

უკვე რამდენიმე წელია, რაც კომპანიის ბაზაზე ორმაგი სწავლება სულ უფრო მეტი წნეხის ქვეშ ექცევა. პროფკავშირები, უპირველეს ყოვლისა, მომზადების სისტემაში შეგირდობის სტრუქტურულ ხარვეზებს აკრიტიკებენ, ხოლო დამსაქმებლები „მომზადებისთვის ვარგისი“ ახალგაზრდების ნაკლებობას უჩივიან. ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დროს ორმაგმა სწავლებამ აჩვენა, რომ ის განათლების კარგად ჩამოყალიბებული ფორმაა. ახალგაზრდობის უმუშევრობა დაბალ დონეზე შენარჩუნებული. მიუხედავად ამისა, რჩება სტრუქტურული ნაკლოვანებები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ახალგაზრდების უმეტესობა უპირატესობას მაინც ორმაგ სწავლებას ანიჭებს. ამას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. პირველ რიგში, ეს იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტებში უფრო ნაკლები ახალგაზრდა სწავლობს. ეს, თავისთავად, პრობლემა არ არის, თუ ეს ახალგაზრდები მომზადების შემდეგ ღირსეულ სამსახურს იპოვიან, მაგრამ მომზადებიდან შრომის ბაზარზე გადასვლა სულ უფრო რთულდება. გარდა ამისა, ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის კვლავ რთულია პროფესიული განათლების მიღების შემდეგ უნივერსიტეტში მოხვედრა.

კარგად განვითარებული ორმაგი სწავლების სისტემის მეორე უარყოფითი შედეგი ის არის, რომ სწავლების ვარიანტები მეტად მგრძობიარეა ეკონომიკური რყევებისა და სტრუქტურული ცვლილებების მიმართ. უკვე დიდი ხანია, ეს ამ მოდელის სუსტ მხარედ არის მიჩნეული.

1970-იან და 1980-იან წლებში ამის ნაწილობრივ კომპენსირება ხელოსნობის ხარჯზე ხერხდებოდა: ეკონომიკური ვარდნის შემთხვევაში სახელოსნოებს მეტი შეგირდი ჰყავდათ, რომლებიც სიტუაციის გამოსწორების შემდეგ სამუშაოდ ინდუსტრიულ ან მომსახურების სექტორში გადადიოდნენ. მაგრამ ეკონომიკაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების (ე. წ. სერვისულ

სწავლება
ძირითადად
ნახევარდღიანია

დიდხანს კომპანიის
ბაზაზე ორმაგი
სწავლების მოდელი
ფლაგმანის როლს
ასრულებდა

კრიტიკა
ყველა
მხრიდან

ხელმისაწვდომობის
პრობლემა

ეკონომიკური
ცვლილებების
წყალობით

და ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლა, ინტერნაციონალიზაცია და ხარჯების ზრდა) შედეგად ეს მექანიზმი ისე კარგად ვერ მუშაობს, როგორც ადრე (იაუ-დასი და სხვები, 2004). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებები იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდების მომზადება და საკვალიფიკაციო შესაძლებლობები ადრინდელზე მეტად არის დამოკიდებული საჭირო მომზადების არჩევანის არსებობაზე.

უმაღლესი განათლების სისტემა

გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემა სახელმწიფო უნივერსიტეტებს და მონიწივე ტექნიკურ კოლეჯებს მოიცავს. 2009-2010 სასწავლო წლის ზამთრის სემესტრში სტუდენტთა დაახლოებით 4.5% უმაღლეს განათლებას კერძო კოლეჯებში იღებდა (Statistisches Bundesamt 2010b).³⁵ მას შემდეგ, რაც რამდენიმე მინაზე სწავლის საფასური შემოიღეს, ყველა მინაზე, სადაც ხელისუფლებაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო (ქვემო საქსონიისა და ბავარიის გარდა), იგი ისევ გააუქმეს. გერმანიის უმაღლესი განათლების დანესებულებების სტუდენტთა დაახლოებით 18.4% იღებს დახმარებას განათლების ხელშეწყობის შესახებ ფედერალური კანონის (BAföG) ფარგლებში (19. BAföG-Bericht 2012: 9).³⁶ 2011 წელს გერმანიაში პირველკურსელთა ხვედრითი წილი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის 55% იყო (Statistisches Bundesamt 2011b).

სკოლამდელი განათლება

ბოლო წლებში სულ უფრო მეტად აღიარებენ, რომ სკოლამდელი პერიოდი მნიშვნელოვანია მომავალი წარმატებული განათლების საფუძვლის მოსამზადებლად. გერმანიაში სკოლამდელი განათლების სფეროში არსებითი ნაკლოვანებები შეიმჩნევა. მაგალითად, სრულდღიანი და სკოლამდელი აღზრდის დანესებულებები ნაკლებად ხელმისაწვდომია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. რაც შეეხება 5 წლის ბავშვებს, გერმანია საერთაშორისო ფონზე საკმაოდ კარგად გამოიყურება საბავშვო ბაღების ტრადიციის ხარჯზე, რომლებშიც უამრავი ბავშვი დადის. თუმცა, მთლიანობაში, სკოლამდელი განათლება გერმანიაში საკმაოდ დაბალ დონეზეა. ეს გამოიხატება, მაგალითად, იმით, რომ აქ მასწავლებლებს სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალიან დაბალი ანაზღაურება აქვთ და რომ ამ სფეროში, საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, უმაღლესი განათლების მიღება ნაკლებად არის შესაძლებელი.

შემდგომი განათლება

ყველასთვის ხელმისაწვდომი შემდგომი განათლების საერთო სისტემა გერმანიაში სუსტად არის განვითარებული. გერმანიაში განათლებას წარმოებისაგან მოუწყვეტლად მუშა-მოსამსახურეთა დაახლოებით 38% იღებდა (2008). სკანდინავიის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ბევრად მაღალია: ფინეთში – 44%, ხოლო შვედეთში – თითქმის 61% (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2011d: 373). დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული იყო აზრი, რომ გერმანიაში შემდგომი მომზადების სუსტი მხარეები ძლიერი, საბაზისო ორმაგი სწავლების სისტემის ხარჯზე კომპენსირდებოდა. ამავდროულად, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ეს აზრი აღარ დომინირებს.

35 ნებისმიერ შემთხვევაში, მათ დიდ უმრავლესობას სახელმწიფო აფინანსებდა.

36 ეს არის იმ სტუდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც დახმარებას იღებენ.

დამატებითი

ლიტერატურა:

კრისტოფ შაინე
და სხვები (2008),
*Studiengebühren
aus Sicht
von Studienber-
echtigten,
HIS,
ჰანოვერი.*

სკოლამდელი

განათლება

ჯერ კიდევ

ჩანასახის დონეზეა

შემდგომი

განათლების

ხარვეზები

„ჩვენ გვსურს, მოსწავლე საზოგადოებისთვის შევქმნათ შემდგომი მომზადების სქემა, რომელიც ჩვენი განათლებისა და მომზადების სისტემის მეოთხე საყრდენი იქნება. ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროდ დარჩება. გვინდა, შემდგომი მომზადება გადავიყვანოთ მყარ საფუძველზე, როგორც ფინანსურად, ისე შევბუღების უფლების თვალსაზრისით. ამისთვის გვსურს სოციალური პარტნიორობისა და კომპანიების ჩართვა.“ (ჰამბურგის პროგრამა 2007: 66)

გერმანიის შედარება სხვა ქვეყნებთან

მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) შედეგებით გამოწვეულმა შოკმა გამოაღვიძა საზოგადოებრივი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ადგილზე იდგა გერმანია საერთაშორისო მასშტაბით. ამიტომ ქვემოთ გერმანიის განათლების/მომზადების სისტემას შევადარებთ (სხვადასხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლის მიხედვით) ორი სხვა ქვეყნის განათლების/მომზადების სისტემებს, რომელთა მაგალითებიც ხშირად მოჰყავთ რეფორმის შესახებ გამართულ დებატებში: ამერიკის შეერთებული შტატების და PISA-ს გამარჯვებულის, ფინეთის.

განათლების/მომზადების სისტემა ფინეთში

სკოლამდელ განათლებას ფინეთში მყარი საფუძველი აქვს. ნებისმიერ ბავშვს, რომელსაც არ მიუღწევია სასკოლო ასაკისთვის, შეუძლია მიიღოს ყოველდღიური მზრუნველობა. ფინეთში სამ წლამდე ასაკის ბავშვების 28.6% სკოლამდელი მზრუნველობის სისტემაშია ჩართული (2008). გერმანიაში მათი ხვედრითი წილი მხოლოდ 17.8%-ს შეადგენს. სხვა სკანდინავიურ ქვეყნებში კიდევ უფრო უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ფინეთში. მაგალითად, დანიაში შესაბამისი მაჩვენებელი 65.7%-ია (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2011e: 3).

შეიძინა წლის ასაკში იწყება 9-წლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლა. მისი დასრულებით მთავრდება სავალდებულო განათლება. ამის შემდეგ შესაძლებელია სამწლიანი შემდგომი განათლების მიღება, რომელიც შეიძლება იყოს ზოგადი ან პროფესიული. ორივე იძლევა უმაღლესი განათლების დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას (ევრიდიკა 2008: 4-5).

ფინეთში პროფესიული განათლება უფრო მჭიდროდ არის ინტეგრირებული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. მოსწავლეებს შეუძლიათ პროფესიების ფართო სპექტრიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო პროფესია, რომელიც სპეციალურ მომზადებას მოითხოვს. სკოლები მჭიდროდ თანამშრომლობენ კომპანიებთან, რომლებიც ამ მომზადებას უზრუნველყოფენ. გარდა ამისა, ერთი მხრივ, უმაღლეს განათლებასა და პროფესიულ სწავლებას შორის, და, მეორე მხრივ, დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემებს შორის გადაადგილება ბევრად ადვილია, ვიდრე გერმანიაში.

და ბოლოს, ფინეთში, ისევე, როგორც სხვა სკანდინავიურ სახელმწიფოებში, შემდგომი მომზადება აქტიური პროცესის ბაზრის პოლიტიკის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში პროფესიული განათლების დაწესებულებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ფინეთში იმ კომპანიასთან კავშირი, რომელიც მომზადებას უზრუნველყოფს, ზრდასრულთა განათლების სისტემის ფარგლებში ორმაგი სწავლების პროგრამით არის უზრუნველყოფილი. ფინეთში, ისევე, როგორც გერმანიაში, უნივერსიტეტები და კოლეჯები საჯარო დაწესებულებებია და, ამდენად, მათ სახელმწიფო აფინანსებს.

აშშ-სთან და
ფინეთთან
შედარება

მყარი
სკოლამდელი
განათლება

9-წლიანი ზოგად-
საგანმანათლებლო
სკოლა

სკოლებისა და
პროფესიული
მომზადების
ინტეგრირება

შემდგომი
მომზადება:
აქტიური პროცესის
ბაზრის პოლიტიკის

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემა

განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვეთრად დეცენტრალიზებულია. იქ კერძო სასწავლო დაწესებულებების ხვედრითი წილი მაღალია. ამის შედეგად გვერდიგვერდ არსებობს განათლების ისეთი ფორმები, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. სკოლამდელი განათლების სფეროში სხვადასხვა ფორმის მზრუნველობა მოიცავს 3-5 წლის ბავშვების 56%-ს, რომელთა თითქმის ნახევარი სრულდღიანი დაწესებულებების მომსახურებით სარგებლობს. 5 წლის ასაკიდან ბავშვების უმეტესობა უფასო სახელმწიფო საბავშვო ბაღებში დადის.

სასკოლო განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც წესი, 12-წლიანია. კონკრეტული შტატისა და სასკოლო ოლქის მიხედვით დაწყებითი განათლება 6-8 წლიანია, ხოლო საშუალო განათლება – 4-6-წლიანი. საშუალო განათლების მიღების ბოლო ოთხი წელი ზოგადად „საშუალო სკოლად“ იწოდება.

მოსწავლეები „საშუალო სკოლას“, ჩვეულებრივ, 17-18 წლის ასაკში ამთავრებენ. შტატების უმეტესობაში სავალდებულო განათლება ამ ასაკში მთავრდება. ამის შემდეგ ხელმისაწვდომია პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების სხვადასხვა ფორმა. ასევე შესაძლებელია სწავლის გაგრძელება ორწლიან ადგილობრივ, „სათემო კოლეჯში“, რომელიც „დაბალი საფეხურის კოლეჯის“ სახელითაც არის ცნობილი, და ოთხწლიანი სწავლა კოლეჯში ან უნივერსიტეტში (აშშ-ის განათლების დეპარტამენტი 2005: 13). ყველა დაწყებითი და საშუალო სკოლის დაახლოებით 24%-ს კერძო სკოლები შეადგენს. იქ მოსწავლეთა 10% სწავლობს და მასწავლებლეთა 12% მუშაობს (აშშ-ის განათლების დეპარტამენტი 2005: 18).

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგადი განათლებისა და პროფესიული სწავლების მრავალი სხვადასხვა „ბილიკი“ არსებობს, საბოლოოდ ყველა კურსდამთავრებული ერთნაირ კვალიფიკაციას იღებს.

ამერიკის შეერთებული შტატების კოლეჯები და უნივერსიტეტები ხშირად დიდი ენთუზიაზმით სახელდება სამაგალითოებად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა როგორც სწავლების ხარისხის, ისე შესაძლებლობების თვალსაზრისით. მაგალითად, ეგრეთ წოდებული „სათემო კოლეჯები“ სინამდვილეში პროფესიული განათლების და შემდგომი მომზადების დაწესებულებებია. სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი სწავლობს ძვირ კერძო უნივერსიტეტებში.

შემდგომი მომზადების დაწესებულებებიც სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებად იყოფა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას განათლების კერძო ბაზარი განაპირობებს: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპლექსური, ერთიანი და სამართლებრივად რეგულირებული შემდგომი მომზადების სისტემა არ არსებობს. ეს უფრო ჰგავს „წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლებას“ და შემდგომ არასავალდებულო განათლებას კოლეჯში, რომლის ფულსაც ხშირად თავად მუშა-მოსამსახურეები იხდიან.

განათლება და სამართლიანობის პრინციპები

დგება საკითხი, თუ სამართლიანობის რომელი პრინციპების მიხედვით არის შედარებული განათლების/მომზადების ეს სამი სისტემა. ამისთვის უპირანი იქნება, მათ ისტორიას გადავხედოთ. სოციალ-დემოკრატიული თვალთახედვით, განათლება ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მე-19 და მე-20 საუკუნე-

განათლების სისტემა: პრივატიზებული და მკვეთრად დეცენტრალიზებული

სასკოლო განათლება, როგორც წესი, 12-წლიანია

კერძო სკოლების მაღალი ხვედრითი წილი

აშშ-ის კოლეჯები და უნივერსიტეტები სამაგალითოა? შედარება ხშირად რთულია

შემდგომი მომზადება თავისუფალი ბაზრის მეშვეობით

მუშათა მოძრაობა: განათლება დემოკრატიისა და ემანსიპაციის საფუძველია

სამი პრინციპი: შანსების თანასწორობა, შრომითი წვლილი და მოთხოვნილება

შანსების თანასწორობა

ბის მუშათა მოძრაობების მონაწილეები განათლებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროფესიების განთავისუფლებისა და მთლიანად საზოგადოების დემოკრატიზაციის საქმეში. ძირითადი პროგრესული დევიზი ასეთი იყო – „ეროვნული განათლება ეროვნულ თავისუფლებას ნიშნავს“: განათლება აღარ უნდა იყოს გარკვეული სოციალური ფენის უპირატესობა.

დევიზი დღესაც ძალაშია. განათლების ხელმისაწვდომობა წარმომავლობაზე ან შემოსავალზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით, განათლების სისტემები სამართლიანობის სამი პრინციპის საფუძველზე უნდა ფასდებოდეს: შანსების თანასწორობის, შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობის და მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობის.

შანსების თანასწორობა, სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით, განათლების სისტემის შეფასების ძირითადი კატეგორიაა. ტრადიციული სოციალური პოლიტიკისაგან განსხვავებით, რომელიც შემოსავლების კუთხით არსებული უთანასწორობის კომპენსირების მიზნით მოქმედებას მხოლოდ რაიმე მოვლენის შემდეგ იწყებს, განათლება/მომზადება თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. უკასუხოდ რჩება კითხვა: შეძლებს თუ არა განათლების/მომზადების იდეალური სისტემა სანყისი პრობებიდან გამომდინარე ყველა განსხვავების (მაგალითად, ნიჭის არათანაბარი განაწილების) კომპენსირებას? მაგრამ სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს ამ იდეალის მიღწევისაკენ.

მსჯელობისთვის

სოციალური დემოკრატია განათლების თანაბარ შესაძლებლობებს მოითხოვს. მაგრამ არსებობს მრავალი ადამიანი, რომელთაც გერმანიის განათლების/მომზადების სისტემამ არავითარი შანსი არ მისცა. ამის შედეგად მათთვის განათლება არა წინსვლასა და განვითარებას, არამედ დამარცხებასა და წარუმატებლობას უკავშირდება. იქაც კი, სადაც შესაძლებლობები არსებობს, ყოველთვის არის იმის საფრთხე, რომ აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მათ ვერ გამოიყენებენ. ეს თეზისი გარკვევითაა წარმოდგენილი გიოტინგენელი პოლიტოლოგის, ფრანც ვალტერის, მიერ. ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება ასეთი ადამიანების ინტეგრირება საზოგადოებაში, რომელიც ასე ძლიერ არის ორიენტორებული განათლებასა და მომზადებაზე. გაქვთ რაიმე მოსაზრებები?

შრომითი წვლილის შესაბამისი სამართლიანობა

მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობა

რაც შეეხება შრომითი წვლილის შესაბამის სამართლიანობას, განათლების/მომზადების სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რომ თანაბარ შრომით წვლილს შესაბამისი კატეგორიები და კვალიფიკაციები მოჰყვეს. ერთი შეხედვით, ეს თავისთავად ცხადი უნდა იყოს, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის.

და ბოლოს, განათლების/მომზადების პოლიტიკამ მოთხოვნილების შესაბამისი სამართლიანობის პრინციპი უნდა გაითვალისწინოს. სწორმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური საბაზისო განათლება ყველასთვის. ეს ნიშნავს, მაგალითად, იმ ახალგაზრდების მტკიცე ხელშეწყობას, რომელთაც დაბალი კვალიფიკაცია აქვთ. დევიზი „თითოეულისაგან – უნარის მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილების მიხედვით“ განათლების/მომზადების პოლიტიკასაც ეხება.

რამდენად ხარისხიანი და რამდენად სამართლიანია გერმანიის განათლების/ მომზადების სისტემა?

საერთაშორისო სტანდარტებით, გერმანიის განათლების/მომზადების სისტემა „არადამაკმაყოფილებლად“ არის შეფასებული. როგორც განათლების შედეგების, ისე სამართლიანობის სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, გერმანია საგრძნობლად ჩამორჩება ბევრ სხვა ქვეყანას.

განათლების შედეგების შესახებ ძირითადი მონაცემების სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარება

	გერმანია	ფინეთი	აშშ
PISA-ს ქულები კითხვაში, 2009	497	536	500
კითხვაში PISA-ს ქულებიდან სტანდარტული გადახრა, 2009	95	86	97
PISA-ს ქულები მათემატიკაში, 2009	513	541	487
მათემატიკაში PISA-ს ქულებიდან სტანდარტული გადახრა, 2009	98	82	91

წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2007b)

განათლების შედეგები

განათლების შედეგების მიხედვით გერმანია იმავე დონეზეა, რომელზედაც ამერიკის შეერთებული შტატები: შესაბამისი მონაცემი ახლოსაა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საშუალო მაჩვენებელთან (500 ქულა). წარმატებული მოსწავლეები ფინეთში ბევრად უკეთეს შედეგებს აღწევენ კითხვასა და არითმეტიკაში. ნამდვილად გასაცარია აღმოჩენა, რომელიც უკავშირდება სტანდარტულ გადახრას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განათლების შედეგებს შორის განსხვავების დონეს. ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირველ ინდიკატორად იმისა, თუ რამდენად აკომპენსირებს ან უშვებს საგანმანათლებლო განსხვავებებს განათლების სისტემა. აქაც გერმანია (95 ქულა კითხვაში და 98 ქულა მათემატიკაში) საგრძნობლად უსწრებს ფინეთს (შესაბამისად, 86 და 82 ქულა).

ასევე აღანიშნავია, რომ განათლების შედეგების სტანდარტებიდან გადახრა – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა შედეგის მიმოფანტულობა – უფრო შესამჩნევია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა იქ განათლების სისტემა ძლიერ დეცენტრალიზებულია და ცალკეულ სასკოლო ოლქებს შორის ხარისხისა და შესაძლებლობების კუთხით მნიშვნელოვანი უთანასწორობა არსებობს; შესაბამისად, მოსალოდნელია საგრძნობი არაერთგვაროვნება განათლების შედეგების თვალსაზრისით.

თანაბარი შესაძლებლობები განათლების სისტემაში

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ შეიმუშავა ინდიკატორი, რომლის საშუალებითაც საგანმანათლებლო უთანას-

გერმანიის განათლების სისტემა: ღარიბი და არასამართლიანი

